რიშარდ კაპუშცინსკი

შაჰინშაჰი

პოლონურიდან თარგმნა
ამბროსი გრიშიკაშვილმა

20 თბილისი 07

მთარგმნელის გამოთხოვება ავტორთან

სცდების და სცდების სიკვდილსა,
ვინც არ მოელის წამისად...

ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება.
ხალხური

ამ რამდენიმე ხნის წინ ცნობილი მოგზაურისა და ფოტოგრაფის, გინესის რეკორდების წიგნის ლაურეატის, ჯუმბერ ლეჟავას ფოტო-გამოფენას ვათვალიერებდი ისტორიული მუზეუმის ფილიალ - ქარვასლაში. საოცარი სურათები და გამოფენა იყო. აქვე მითხრეს, რომ ეს ძალზე მცირე ნაწილია იმ სურათებისა, რომლებიც ბატონ ჯუმბერს აქვს გადაღებულიო.

საგამოფენო დარბაზში ყოფნისას ორ რამეზე ფიქრი არ მასვენებდა: რაოდენ სახიფათოა ასეთი მოგზაურობა. უბრალო მოკვდავს ხომ საფრთხე მშობლიურ ქალაქში ყოფნის დროსაც თან სდევს, მითუმეტეს ასეთ უცხო და შორეულ ადგილების მონახულებისას.

მეორე, ვისზედაც მაშინ ვფიქრობდი, სწორედ წინამდებარე ნაწარმოების ავტორი, - მწერალი, ჟურნალისტი და რეპორტიორი რიშარდ კაპუშცინსკი გახლდათ. ისიც მოგზაური იყო, გამოცემულიც აქვს წიგნი ,,მოგზაურობა ჰეროდოტესთან ერთად", არ უშინდებოდა სახიფათო ადგილებში სიარულს, პირიქით, განგებ სწორედ იქით ისწრაფოდა, სადაც ყველაზე საშიში, ცხელი წერტილი იყო. რამდენჯერმე სიკვდილს პირდაპირ ხელიდან დასხლტომია. ერთხელ ლათინურ ამერიკაში, იმიტომ გადარჩა ცოცხალი, რომ პარტიზანი ჯარისკაცი, რომელსაც მისი სიკვდილით დასჯა დაავალეს, ისე იყო გაბრუებული ნარკოტიკით და ალკოჰოლით, რომ ხელში ავტომატს ვერ იმორჩილებდა.

კრაკოვში, ვილა დეციუშში, რომელიც პოლონეთის კულტურის სამინისტროს კუთვნილებაა და პოლონური კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზატორების დასასვენებლად და სამუშაოდ გამოიყენება, საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავე. წერილებს ვუგზავნიდი გაზეთ ,,24 საათს" და ჟურნალ ,,საქართველოს ეკონომიკას" (ბოლოს ეს წერილები შევკრიბე და სათაურით: ,,პოლონეთიდან გამოგზავნილი წერილები" გამოვეცი). აქვე დავასრულე ,,შაჰინშაჰის" თარგმნა.

აქ ჩემს გარდა კიდევ რამდენიმე მწერალი და მთარგმნელი იყო სხვადასხვა ქვეყნიდან: ორი ამერიკიდან, სამი უკრაინიდან, ორი გერმანიიდან, ავსტრიიდან, ბელორუსიდან. იყვნენ ადგილობრივებიც.

ზუსტად ჩვენი იქ ყოფნისას შვედეთის ნობელის კომიტეტმა იმ მწერლების კანდიდატურების განხილვა დაიწყო, რომელთაგან ერთ-ერთსაც ეს საპატიო ჯილდო

უნდა გადასცემოდა. ჩვენს შორის მყოფი ამერიკელი ჟურნალისტის, ერიკ ჰანსენის წინადადებით გადავწყვიტეთ ერთგვარი სანაძლაოს მსგავსი რამ გვეთამაშა: თითოეულმა საერთო ყულაბაში ჩავდეთ 10-10 ზლოტი (დაახლოებით 7 ლარი) და გამოვთქვით ჩვენი პროგნოზი, თუ კანდიდატთაგან ვინ გახდებოდა ლიტერატურაში იმ წლის ნობელის პრემიის ლაურეატი.

ვინ რა თქვა და ვინ – რა. კანდიდატურები იყო ბობ დილანის, პამუკის, კაპუშცინსკის და სხვა. მე ამ უკანასკნელის კანდიდატურას ვუჭერდი მხარს. ამ წელს კაპუშცინსკი მეორედ განიხილებოდა ნობელის პრემიაზე და იმედი მქონდა, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებდა. სხვა რომ არაფერი, როდესაც რომელიმე მწერლის ნაწარმოებზე მუშაობ, გეჩვენება, რომ იგი ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ბოლოს აღმოჩნდა, რომ პამუკმა მიიღო ეს ჯილდო (თურქი მწერალი პამუკი დაჯილდოვდა რომანისათვის ,,თოვლი”). თუმცა შენაგროვები ფულისათვის ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა: იმ საღამოს ჩვენ ერთად მშვენიერ უკრაინულ ეროვნულ კერძს შევექცეოდით, რადგან ყველაზე ზუსტი უკრაინელი ჟურნალისტი ქალის პროგნოზი აღმოჩნდა და შეგროვებული ფულიც მას ერგო წილად.

ბატონ რიშარდს პირადად არ ვიცნობდი. იგი პირველად 2000 წელს, ვარშავის უნივერსიტეტში ვნახე. იქ, როგორც მთარგმნელი სამ თვიან კურსებზე ვიყავი მიწვეული და უნივერსიტეტის პროფესურამ მწერალი მთარგმნელებთან შესახვედრად მოიწვია. მწერალმა ისაუბრა და ბოლოს ახლად გამოსული საკუთარი წიგნი - ,,ლაპიდარიუმ”[1] დაგვირიგა.

მეორედ იგი 2002 წელს ვნახე, კრაკოვში, სადაც პოლონურიდან მთარგმნელთა I მსოფლიო კონგრესზე სიტყვით გამოვიდა. მან ამ პროფესიის რთულ და საპასუხისმგებლო მისიაზე ისაუბრა და თქვა, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია მთარგმნელს ხალხთა ურთიერთდაახლოების საქმეში. აი, ზოგიერთი მისი მოსაზრება:

როგორი იქნებოდა ჩვენი ცოდნა იმ ხალხის კულტურაზე, რომლებიც ჩვენგან განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, რომ არა მთარგმნელთა შრომა? როგორი იქნებოდა ჩვენი ცოდნა ჩვენგან შორს მცხოვრები ხალხის ცივილიზაციის, აზროვნების წესის და გრძნობების შესახებ, რომ არ შეგვძლებოდა წერილობითი ლიტერატურის ჩვენთვის მისაწვდომ ენაზე გაცნობა? სწორედ მთარგმნელი გვათავისუფლებს მკითხველებს, ამგვარი ბარიერებისაგან ამ ცივილიზაციის შეცნობის გზაზე, სწორედ იგი ხდება მეგზური ჩვენთვის უცხო ენაზე დაწერილი შედევრების გაცნობისას, რომლებიც მის გარეშე უცნობი დარჩებოდა. ამასთან, მთარგმნელის შრომა მხოლოდ უცხო ენის უზადო ცოდნა როდია. იგი მოითხოვს მთელი იმ ლიტერატურის კარგად ცოდნას, რომელსაც ნაწარმოები მიეკუთვნება, ცოდნას იმ ქვეყნის წეს-ჩვეულებებისაც, სადაც ნაწარმოები შეიქმნა, მოითხოვს დიდ ტალანტს და წლობით შრომას, თუ მთარგმნელს სურს დაძლიოს ის სიძნელეები, რომლებიც უხვად შეხვდება დანტესა თუ შექსპირის, პასკალისა თუ სერვანტესის თარგმნისას. მთარგმნელი დამსახურებული შუამავალია ჩვენსა და ლიტერატურის ამაღლებულ სულებს შორის, იგი არის მსახურიც და

[1] სტილი, რომელიც მოკლედ, სხარტად და ამავე დროს მკაფიოდ გამოხატავს აზრს, გრძნობას (ასეთი სტილი ახასიათებს ძველი რომაული ძეგლების წარწერებს).

იმავდროულად ჩვენი უახლოესი მეგობარიც. დიდი პატივი და დაფასებაა გერქვას კარგი მთარგმნელი.

და კიდევ: რა გვავიწყდება მაშინ, როდესაც მთარგმნელებზე და მთარგმნელობით საქმიანობაზე ვფიქრობთ? ის, რომ მთარგმნელებიც მწერლები არიან. რატომ? იმიტომ, რომ სხვისი ტექსტის საფუძველზე ისინი საკუთარ ნაწარმოებებს წერენ. ყოველი კარგი თარგმანი ლიტერატურის დამოუკიდებელი ნიმუშია. ხშირად ისიც კი ხდება, რომ ეს ნიმუში ორიგინალზე უკეთესიც კი არის. კარგი თარგმანია ის, რომელიც უცხოელი მკითხველის გულამდე აღწევს, ხოლო თუ თარგმანი ამას ვერ ახერხებს, იგი არაა კარგი თარგმანი, თუნდაც რომ უაღრესად ერთგულებდეს ორიგინალს.

კრაკოვში მწერლის მოსმენისას გადავწყვიტე მის ნაწარმოებები მეთარგმნა. ეს აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცა ჩემმა შვეიცარიელმა კოლეგამ, როდესაც მითხრა, რომ ,,იმპერიის" თარგმნით კარგ საქმეს გავაკეთებდი, რადგან ამ ნაწარმოებში საქართველოსაც ეთმობაო საკმაოდ ვრცელი ადგილი.

სამაგიეროდ პირადად ვიცნობდი და ხშირი ურთიერთობა მქონდა მის ლიტერატურულ აგენტ ჩესლავ აპეციუკთან. ეს უკანასკნელი დიდ პატივს სცემდა ავტორს და ცდილობდა, რომ ჩემთვისაც, როგორც მისი ნაწარმოებების მთარგმნელისათვის, ყველა შესაძლო დახმარება აღმოეჩინა. როდესაც 2006 წლის სექტემბერში ბატონ ჩესლავს ვარშავის ერთ-ერთ სასტუმროში შევხვდი, საუბრის ძირითადი თემა კაპუშცინსკი და მისი ნაწარმოებები იყო. შევთავაზე, ,,იმპერიის" თარგმნა თითქმის დასრულებული მაქვს და თუ ჩამოხვალთ მეთქი გაზაფხულზე თბილისში ამ ნაწარმოების პრეზენტაციაზე (მაშინ დიდი სურვილი მქონდა ბატონი რიშარდის ვარშავაში გაცნობისა, მაგრამ ვერ მოვახერხე – იტალიაში იმყოფებოდა). მან იცოდა, რომ კრაკოვში ,,შაჰინშაჰის" თარგმნას ვაპირებდი და მითხრა, გაზაფხულზე არა, მაგრამ, აი, როდესაც მეორე წიგნსაც გამოსცემ, მაშინ კი ნამდვილად ჩამოვალთო.

და როგორი მაცდური და დაუნდობელია წუთისოფელი. ტყუილად კი არაა ნათქვამი, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო: ვინ იფიქრებდა, რომ არ გავიდოდა ორიოდე თვე და მწერალი ამ ქვეყანას გამოეთხოვებოდა. 2007 წლის 23 იანვარს მთელ მსოფლიოს მოედო ცნობა, რომ გამოჩენილი პოლონელი მწერალი, ჟურნალისტი და რეპორტიორი რიშარდ კაპუშცინსკი გარდაიცვალა.

ამბროსი გრიშიკაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლონეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე

წინასიტყვაობა

ცნობილი მწერალი, პოეტი, ირანის სულიერი ლიდერების მიერ სასიკვდილოდ გამეტებული სალმან რუშდი, რომელსაც ,,შაჰინშაჰის" ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობა ეკუთვნის, წერს: ამ ნაწარმოების წაკითხვისას გვეუფლება გრძნობა, როგორიც ხელოვნების ნამდვილი ნიმუშის კითხვისას: ჩვენს ფანტაზიას ფრთები ესხმება. ნაწარმოების შესახებ რეცენზიები დაიწერა London Review of Books-ში, The Observer-ში, Sunday Times-ში New York Times Book Review-ში, New Yorker-ში, Time-ში და Newsweek-ში. ხოლო Sunday Times-მა 1983 წელს ,,შაჰინშაჰი" წლის საუკეთესო ნაწარმოებად გამოაცხადა.

როდესაც კაპუშცინსკი ირანში თავისი მომავალი ნაწარმოებისათვის მასალებს აგროვებდა, აქ იყო ასევე მეორე პოლონელი მწერალი ვოიცეხ გელჟინსკიც. იგი იგონებს, რომ კაპუშცინსკის სასტუმროს ოთახი სავსე იყო ჟურნალ-გაზეთებით და წიგნებით, თითქოს მწერალს მათგან პირამიდის აგება ჰქონდა გადაწყვეტილი. ისეთი კრედოს მქონე მწერლისა და ჟურნალისტისაგან, როგორიც კაპუშცინსკია, ეს გასაგებიცაა: იგი ხომ ჟურნალისტებს შემდეგს მოუწოდებდა: ერთი გვერდი ტექსტის დასაწერად სტატიების ასი გვერდი მაინც უნდა წაიკითხოთ, რაც ამ თემაზე სხვებმა დაწერესო. კითხვაზე, თუ როგორ ვწეროთ, მწერალი პასუხობდა: უწინარეს ყოვლისა, ბევრი ვიკითხოთ.

კრიტიკოსი ელენა ზავორსკი ამტკიცებს, რომ ,,შაჰინშაჰის" არაა უბრალოდ რეპორტაჟი, არამედ – რომანი. აქ არაა მხოლოდ იმის აღწერა, თუ სად იყო, ვის შეხვდა, ცნობების, პოლიტოკოსთა ციტატების გადმოცემა და ა. შ. კაპუშცინსკი მოგვითხრობს უბრალო ადამიანების განცდების, ფიქრების და იმედების შესახებ.

სურათები, სახეები, ყვავილების მინდორი

ძვირფასო ღმერთო, მე მხოლოდ ის მსურდა,
რომ ქვეყანაზე ბოროტება არ ყოფილიყო.
დებიე
(„ბავშვების წერილი
ღმერთისადმი", გამომცემლობა
ფაქსი, 1978წ.)

აქ ისეთი უწესრიგობა და ქაოსია, თითქოს პოლიციას ეს-ესაა დაესრულებინოს თავისი მოულოდნელი და სასწრაფო ჩხრეკა. ყველგან უცხოური თუ ადგილობრივი დაჭმუჭნული გაზეთები, მათი საგანგებო ჩანართებია მიმოყრილი, თვალში გხვდება მათში მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი წერილების სათაურები

გაფრინდა

და დიდი ფოტოგრაფია, რომელზედაც გამხდარი, ჩაფიქრებული სახეა გამოსახული. სახის გამომეტყველებიდან ჩანს, რომ მისი პატრონი თავს იკავებს რაიმე ნერვიულობის, განცდილი მარცხის გამოსახვისაგან. ეს სახე ისეთი წყნარი და მშვიდი ჩანს, რომ ნამდვილად არაფერზე არ მეტყველებს. აქვე ყრია სხვა თარიღის გაზეთების საგანგებოდ გამოცემული დამატებები, რომლებიც სასწრაფო წესითა და ტრიუმფით იტყობინებიან, რომ

დაბრუნდა

და დაბლა, ისე, რომ თითქმის მთელი გვერდი დაიკაოს, პატრიარქალური გამომეტყველების კაცის სურათია მოთავსებული. მკაცრი და მოღუშული სახით, ადამიანისა, რომელსაც ახლა ერთი სიტყვის წარმოთქმის სურვილიც კი არა აქვს. (არადა, ამ გაფრენასა და დაბრუნებას შორის რამდენი ემოცია, ნაღველი და სინანული, რამდენი ხანძარი იმალება!).

ყოველ ნაბიჯზე – იატაკზე, სკამებზე, მაგიდაზე ნაუცბათევად დაწერილი ტექსტები, ბარათები ყრია. ეს ჩანაწერები ისე სწრაფადაა გაკეთებული, რომ ახლა ვიგონებ და ვერ მომიგონებია, საიდან და რატომ მომივიდა თავში ესა თუ ის აზრი, ესა თუ ის წინადადება. ან წითელი პასტით, მსხვილი ასოებით დაწერილი: აუცილებლად დარეკე ნომერზე: 64-12-18 (უკვე იმდენი ხანი გავიდა, რომ დამავიწყდა კიდეც, ვისი ტელეფონის ნომერია ეს და რატომ იყო აუცილებელი მისთვის დარეკვა).

დაუმთავრებელი და გასაგზავნი ძველი წერილები. ნამდვილად დიდი ხანი დასჭირდება იმის მოყოლას, რაც ამ ქვეყანაში ვნახე და განვიცადე. ამასთან ძალზე ძნელია ჩემი განცდების მოწესრიგებაც, რომლებიც... ყველაზე თვალშისაცემი უწესრიგობა სუფევს დიდ, მრგვალ მაგიდაზე: აქ სხვადასხვა ზომის ფოტოსურათები,

მაგნიტოფონის კასეტები, ბიულეტენები, პოლიტიკური მოწოდებების ფოტოასლები ყრია – ამასთან ყველაფერი, როგორც ბაზარში, ისეა ერთმანეთში არეულ-დარეული. და კიდევ პლაკატები და ალბომები, წიგნები - შეძენილი, ნაჩუქარი, მთელი ფიქსაცია დროისა, რომელმაც არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ჩაიარა, თუმცა რომლის მოსმენა და დანახვა კვლავაც შეიძლება, რადგან იგი აქაა შემონახული – ფილმში, სადაც კარგად მოჩანს მღელვარე, გაავებული ხალხის ნაკადი, კასეტაზე, რომელზეც შემონახულია მუეზინების ღრიალი, მილიციელების ყვირილი, ადამიანების საუბარი, მონოლოგები. რაც შეეხება სურათებს, მათზე ექსტაზში მყოფ ადამიანთა სახეებია შემონახული. ახლა იმის გაფიქრებაზე, რომ ეს ყველაფერი წესრიგში უნდა მოვიყვანო, რადგან ჩემი გაფრენის დრო დგება, მზარავს. გულახდილად რომ ვთქვა, როდესაც სასტუმროში ვცხოვრობ - ეს კი ძალზე ხშირად ხდება, მიყვარს, როსედაც ოთახში უწესრიგობაა გაბატონებული, რადგან რაღაც ცხოვრების, რაღაც სითბოსა და ინტიმურობის ილუზიასა ჰქმნის. იმის დადასტურებაა (თუმცა ილუზორული), რომ ასეთ უცხო და უჩვეულო ადგილას, როგორსაც თავისი ბუნებით ყოველი სასტუმრო წარმოადგენს, გარკვეულწილად ათვისებული და დამორჩილებული გახდა. სასტუმროს საგულდაგულოდ დალაგებულ ნომერში თავს მარტოსულად და მოწყენილად ვგრძნობ.

საბედნიეროდ, იქ ყოფნის რამდენიმე საათის შემდეგ ჩემი პროფესიული საქმიანობის შედეგად (თუმცა შეუგნებლად, რომელიც ჩემი ზარმაცობისა და აჩქარებიდან გამომდინარეობს) ის წესრიგი, რომელიც სასტუმროში მხვდება, ქრება და ყველა საგანი სიცოცხლეს იძენს, იცვლის ადგილს, შედის სრულიად ახალ ურთიერთდამოკიდებულებაში და, თუმცა უფრო მჭიდროდ უხდებათ ერთმანეთთან ყოფნა, მაგრამ მაინც ლამაზად და ცოცხლად გამოიყურებიან და მეც მაშინ შემიძლია შვებით ამოვისუნთქო. თუმცა ამჯერად არ ძალმიძდა ჩემს თავში იმდენი ძალის პოვნა, რომ ამ ოთახში რამე გადამეადგილებინა, ამიტომ ჩავედი დაბლა, სადაც ცარიელ, მოღუშულ დარბაზში ოთხი ახალგაზრდა კაცი ჩაის სვამდა და კარტს თამაშობდა. თავით-ფეხებამდე ჩაფლულნი იყვნენ ამ უცნაურ თამაშში, რომლის წესებიც ვერაფრით ვერ გამიგია. ეს არაა არც ბრიჯი ან პოკერი და არც ,,დურაჩკა". ისინი თავიდან ჩუმად არიან, მაგრამ მოულოდნელად ერთი მათგანი კმაყოფილი სახით წამოკრეფს ყველა კარტს. შემდეგ მას კვლავ გაშლიან, რაღაცაზე დაფიქრდებიან და რაღაცას ანგარიშობენ, უცებ მათ შორის კამათი იწყება. ეს ოთხი ადამიანი, რომლებიც სასტუმროს მოსამსახურენი არიან, ჩემით ცხოვრობენ, მათ ვინახავ, რადგან ამ დღეებში აქ მხოლოდ მე ვცხოვრობ. ამათ გარდა ვინახავ ასევე დამლაგებელს, მზარეულს, მრეცხავებს, ყარაულს, მებაღეს, და ასევე ორ-სამ სხვა ადამიანს ოჯახით. იმას არ ვამბობ, რომ თუ ჩემს გადასახადს დავაგვიანებ, ყველა შიმშილით დაიხოცებიან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მაინც ვცდილობ დროულად მივცე მათი კუთვნილი თანხა. ნამდვილად ბედს უნდა გაეღიმა ადამიანისათვის, რომ სულ რაღაც რამდენიმე თვის წინათ ამ ადგილას სასტუმროში ოთახი ეპოვა. ეს ლატარიაში რაიმეს მოგებას ჰგავდა. მიუხედავად აქ არსებული მრავალი სასტუმროსი, მათზე ისეთი მოთხოვნილება იყო, რომ ახლად ჩამოსული იძულებული ხდებოდა კერძო საავადმყოფოში ლოგინი ეძებნა, რათა როგორმე თავი შეეფარებინა და ცის ქვეშ არ დარჩენილიყო. მაგრამ ახლა წერტილი დაესვა ყოველგვარ ბიზნესს, აღარაა ფულის შოვნის შანსი და აღარც თავბრუდამხვევი ფინანსური გარიგებებია ადვილი.

ადგილობრივმა ბიზნესმენებმა თავი სირაქლემასავით უშიშარ ადგილს შეაფარეს, უცხოელმა ინვესტორებმა ყველაფერზე ხელი აიღეს და ქვეყანა დატოვეს. უეცრად ჩაკვდა ტურისტული ბიზნესი, შეჩერდა ყოველგვარი საერთაშორისო მოძრაობა. სასტუმროთა ნაწილი გადაწვეს, ხოლო ზოგშიც პარტიზანებმა მოიწყვეს თავიანთი შტაბ-ბინა. ახლა ქალაქი საკუთარი თავის ანაბარაა, მას აღარ უნდა ვინმე უცხო, აღარ სჭირდება გარე სამყაროსთან ურთიერთობა. მალე ისინი თამაშს ამთავრებენ და ჩაის მთავაზობენ. აქ მხოლოდ ჩაის სვამენ ან იოგურტს მიირთმევენ, არავითარი ყავა, არავითარი ალკოჰოლი. სპირტიანი სასმელის მიღებისათვის შესაძლოა ორმოცჯერ, სამოცჯერაც კი დაკრან მათრახი. ხოლო თუ დასჯას ჯანიანი ჯეილი ახორციელებს (აქ ზუსტად ასეთები ეტანებიან მსგავს სამუშაოს), მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დღეში ჩავარდება დასჯილი ადამიანის ზურგი. ამიტომ ვუსხედვართ მაგიდას, ვსვამთ ჩაის და ვუყურებთ დარბაზის ბოლოს ფანჯარასთან დადგმულ ტელევიზორს. ეკრანიდან ჰომეინი შემოგვცქერის. იგი ზის ხის უბრალო სკამზე, რომელიც ასევე ხის ფიცრებისაგანვე დამზადებულ ამაღლებულ ადგილას დგას. ყველაფერი კუმის ერთ-ერთ ღარიბულ უბანშია გადაღებული. კუმი პატარა, უძველესი ქალაქია, სადაც მრავლადაა რუხი, ერთსართულიანი სახლები. იგი თეირანიდან ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით, მეტად ცხელ უდაბნოში მდებარეობს. თავდაპირველად ადამიანს ისეთი წარმოდგენა ექმნება, თითქოს ამ მომაკვდინებელ კლიმატში არაფერი არ უნდა განაწყობდეს ადამიანს განმარტოებისა და ჩაფიქრებისაკენ, მაგრამ რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, კუმი სწორედ რელიგიური აღტკინების ქალაქია, მისტიკისა და აგრესიული რწმენის ადგილი, სადაც მდებარეობს ხუთასზე მეტი მეჩეთი და ირანში ყველაზე დიდი სასულიერო სემინარია. სწორედ აქ აწყობენ მეტად ცხარე დებატებს ყურანისა და ტრადიციათა მცოდნენი, აქაა მხცოვანი აიათოლების მოღვაწეობის ცენტრი და აქედან მართავს ქვეყანას ჰომეინი. იგი არასოდეს არ ტოვებს კუმს, არ მიდის დედაქალაქში, საერთოდ, არსად არ დადის, არავის და არაფერს არ სტუმრობს. ადრე ის აქ, პატარა და მტვრიან ქუჩაზე, ერთ პატარა სახლში, ცოლთან და თავის ხუთ შვილთან ერთად ცხოვრობდა. ახლა გადასახლდა თავისი ქალიშვილის სახლში, რომლის აივანიც ქუჩაზე გადის. სწორედ აქედან ეჩვენება ხოლმე ჰომეინი ხალხს, როდესაც ისინი სახლთან იკრიბებიან (უფრო ხშირად ესენი არიან გულმხურვალე და აღტკინებული პილიგრიმები, რომლებიც წმინდა ადგილებზე მდებარე მეჩეთების, განსაკუთრებით კი უწმნიდესი ფატიმას, მეშვიდე იმამის რეზის დის, საფლავის მოსანახულებლად დადიან). ჰომეინი ასკეტურად ცხოვრობს, ბრინჯს, რძის ნაწარმს და ბოსტნეულს ჭამს, ცხოვრობს ერთ ოთახში, სადაც ცარიელი კედლებია და არავითარი ავეჯი. მხოლოდ ლოგინია იატაკზე და წიგნების გორა. ამავე ოთახში იღებს ჰომეინი უაღრესად მაღალი დონის საზღვარგარეთულ დელეგაციასაც. ზის იატაკზე გაშლილ ნოხზე და ზურგით კედელსაა მიყრდნობილი. ამ დროს ფანჯრიდან გადაჰყურებს მეჩეთების თაღებს და მედრესის ვრცელ ეზოს. მისი ნახვის მოსურნე ადამიანების მიმოსვლა მთელი დღის განმავლობაში არ წყდება. შესვენების დროს ჰომეინი სალოცავად მიდის ან ადგილზე რჩება, რათა დარჩენილი დრო რაღაც საკითხზე დასაფიქრებლად გამოიყენოს, ანდა, უბრალოდ, - და ეს სრულიად ბუნებრივია სამოცდაათი წლის მოხუცისათვის - ცოტა ჩათვლიმოს. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ამ ოთახში თავისუფლად შესვლა შეუძლია, მისი ვაჟი ახმედია, მამასავით სასულიერო პირი. მეორე ვაჟი, სიყრმის შვილი, მამის ცხოვრების იმედი,

იდუმალ ვითარებაში გარდაიცვალა, როგორც ამბობენ, შაჰის საიდუმლო პოლიციის, სავაკის მსხვერპლი შეიქმნა[2].

კამერა აჩვენებს ხალხით გადაჭედილ მოედანს, რომელთაც ძალიან სერიოზული და მოღუშული სახეები აქვთ. მოედნის განაპირას, რომელიც მამაკაცებისაგან განიერი ცარიელი ზოლითაა გამოყოფილი, ჩადრში გახვეული ქალები მოჩანს. უმზეო, მოღუშული ამინდია, რის გამოც ადგილი, სადაც შეკრებილი ხალხი დგას, რუხად გამოიყურება, ხოლო ის ადგილი კი, სადაც ქალები მოგროვილან – შავად. ჰომეინიც, როგორც ყოველთვის, შავ ხალათშია გამოწყობილი, თავზე ჩალმა ახურავს. მისი სახე არაფერს გამოსახავს, წვერი მთლად გათეთრებია. როდესაც საუბრობს, ხელები სავარძლის სახელურებზე აქვს დაწყობილი, იშვიათად ატოკებს, ტანიც გახევებული აქვს. ზის ასე გაშეშებული. მხოლოდ ხანდახან შუბლს შეიჭმუხნის და წარბებს ზევით ასწევს. მათ გარდა არაფერი შეტოკდება ამ უაღრესად პრინციპული და მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანის სახეზე, ადამიანისა, რომლისთვისაც უჩვეულოა უკან დახევა და შესაძლოა რაიმე ყოყმანიც კი. მის სახეზე, რომლის საბოლოო ფორმირებაც უკვე მომხდარია, განუწყვეტლივ, ისე, რომ არავითარ ემოციასა და განწყობილებას არ გამოსახავს, გარდა ყურადღების დაძაბული კონცენტრირებისა, მხოლოდ თვალები მოძრაობენ. მათი მზერა სწვდება მოედნის კიდეებამდე და ისე ათვალიერებს იქ შეკრებილთ, თითქოს ვიღაც კონკრეტულ ადამიანს ეძებსო. მესმის მისი მონოტონური საუბარი, თანასწორი, ნელი რიტმით, ძლიერი და ძარღვიანი სიტყვები, თუმცა ყოველგვარი ტემპერამენტისა და მომხიბლველობის გარეშე.

- რას ამბობს? – ვეკითხები გვერდით მდგარ ჩემს ნაცნობებს, როდესაც ორატორი მცირე ხნით ოდნავ სულის მოსათქმელად და ახალი აზრების მოსაკრებად შეყოვნდება.

- ჩვენი ეროვნული ღირსება უნდა შევინარჩუნოთო – მპასუხობს ერთ-ერთი მათგანი.

ოპერატორს თავისი კამერა ახლა ახლო მდებარე სახლის სახურავზე გადააქვს, სადაც ავტომატებიანი ახალგაზრდა კაცები დგანან, რომელთაც სახე შავი ქსოვილით აქვთ ახვეული.

- ახლა რას ამბობს? – ვკითხულობ კვლავ, რადგან არ ვიცი ფარსის ენა, რომელზედაც ჰომეინი საუბრობს.

- ის ამბობს, – მპასუხობს ერთ-ერთი, რომ ჩვენს ქვეყანაზე უცხო ქვეყნების გავლენას წერტილი უნდა დაესვას.

ჰომეინი საუბარს აგრძელებს. მოედანი დაძაბული უსმენს, ეკრანზე ჩანს, თუ ერთ-ერთი იქ მყოფი როგორ აჩუმებს ირგვლივ მყოფ ატირებულ ბავშვებს.

- რას ამბობს? – კვლავ ვეკითხები ჩემს ნაცნობს.

- ის ამბობს, რომ ვერავინ იბატონებს ჩვენს სახლში და თავზეც ვერ მოგვახვევს თავის სურვილებს, ჩვენ ერთმანეთის ძმები ვართ და ერი უნდა გაერთიანდეს.

მას მხოლოდ ამის თქმა შეუძლია თავისი ,,დამტვრეული" ინგლისურით.

---

[2] 1978-79 წლების რევოლუციის ლიდერი აიათოლა ჰომეინი (1902-1989), რომლის მეთაურობითაც 25 საუკუნის ისტორიის მქონე მონარქია დაემხო და ირანის ისლამური რესპუბლიკა დაფუძნდა, არა მხოლოდ გამოცდილი პოლიტიკოსი და ღვაწლმოსილი სასულიერო პირი იყო, არამედ შესანიშნავი პოეტიც. ქართულად გამოსულია მისი ლექსების კრებული - ,,სიყვარულის ღვინო", რომელიც სპარსულიდან თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა. აი, ერთი ნაწყვეტი ამ კრებულიდან:

,,უკვე გავიდა სიცოცხლე ჩემი, სატრფოს კარი კი კვლავ არ მეღება,
უკვე გასრულდა ამბავი ჩემი, სევდას ბოლო კი კვლავ არ ეღება".

ყველამ, ვინც ინგლისურს სწავლობს, უნდა იცოდეს, რომ თანდათან უფრო ძნელი ხდება მისი მრავალ ქვეყანაში გამოყენება. მსგავსად ამისა, თანდათან ძნელდება საუბარი ფრანგულად და საერთოდ, ყველა ევროპულ ენაზე.

ოდესღაც ევროპა მთელ სამყაროზე ბატონობდა, ყველგან აგზავნიდა თავის ვაჭრებს, ჯარისკაცებს, მისიონერებს და მოხელეებს, რომელთა საშუალებითაც მათ თავს ახვევდა თავის ინტერესებსა და კულტურას (ამ უკანასკნელს საკმაოდ საეჭვო სახით). მსოფლიოს ყველაზე მიყრუებულ კუნძულშიც კი ევროპული ენის ცოდნა კარგი ტონის მაჩვენებელი იყო, ცოდნის კარგ აღზრდა-განათლებაზე მეტყველებდა, და ხშირად ცხოვრებისეული აუცილებლობითაც კი იყო გამოწვეული. სწორედ ის იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაწინაურებისა და კარიერის გაკეთების აუცილებელი პირობა. მის გარეშე ადამიანს ნაკლებ პატივს სცემდნენ. ამ ენაზე ასწავლიდნენ აფრიკულ სკოლებში, მასზე ლაპარაკობდნენ ეგზოტიკურ პარლამენტებში, მას გამოიყენებდნენ ვაჭრობასა და სხვადასხვა დაწესებულებაში, აზიურ სასამართლოებში თუ არაბულ კაფეებში. ევროპელს შეეძლო მთელ მსოფლიოში ემოგზაურა და თავი ისე ეგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. ყველგან შეეძლო გამოეთქვა თავისი აზრი და გაეგო, რას ლაპარაკობდნენ სხვები.

დღეს სამყარო შეიცვალა, გადასხვაფერდა, ათასი ჯურის პატრიოტიზმი გაიფურჩქნა, ყოველ ერს სურს, რომ ქვეყანა მხოლოდ მისი საკუთრება იყოს და ტრადიციული წესებით იმართებოდეს. დღეს ყველა ერს განვითარებული და ძალზე მგრძობიარე ამბიციები აქვს, ყველა არის (ყოველ შემთხვევაში, სურს, რომ იყოს) თავისუფალი და დამოუკიდებელი, აფასებს საკუთარ ფასეულობებს და სურს, რომ სხვებიც პატივს სცემდნენ მათ. ძნელი არაა იმის დანახვა, რომ ამ მხრივ ყველა უაღრესად მგრძნობიარე გახდა. პატარა და სუსტი ქვეყნებიც (და განსაკუთრებით ისინი) ვერ იტანენ, თუკი მათ ვინმე ჭკუის სწავლებას დაუწყებს და მხედრდებიან იმათ წინააღმდეგ, ვინც მათზე გაბატონებას მოიწადინებს და შეეცდება მათ თავისი ფასეულობები მოახვიოს თავზე. (რომლებიც ხშირად მართლაც რომ საეჭვო ფასეულობებია). ადამიანებს შეუძლიათ აღფრთოვანდნენ და მოეწონოთ ვიღაცას ძალა, მაგრამ სურთ, რომ ეს ძალა მათგან შორს დარჩეს და წინააღმდეგი არიან იმისა, რომ იგი მათზე იყოს გამოცდილი და გამოყენებული. ყოველ ძალას აქვს თავისი დინამიკა, თავისი ბატონობის ტენდენცია, არის ექსპანსიური და სუსტის დამორჩილების მისწრაფებით გამოირჩევა. ამაში გამოიხატება ძალის უფლება, რაც ყველამ იცის. მაგრამ რისი გაკეთება შეუძლიათ სუსტებს? მხოლოდ იმის, რომ გაემიჯნონ ძლიერთა ამა ქვეყნისათა. ჩვენს მჭიდროდ დასახლებულ სამყაროში, რათა თავი დაიცვან, სუსტები უნდა გამოცალკევდნენ, გვერდზე გადგნენ. ადამიანებს ეშინიათ, რომ ძლიერები მათ გადაყლაპავენ, რომ მათ თავისებურებებს წაუშლიან და დაუკარგავენ, ასწავლიან მათ ერთნაირად ფიქრსა და ლაპარაკს, უბრძანებენ სისხლი დაღვარონ სხვის საქმეში. სწორედ აქედანაა წარმოშობილი მათი უთანხმოება და ბუნტი, მათი ბრძოლა საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის და, მაშასადამე, საკუთარი ენის შენარჩუნებისათვის. სირიაში ფრანგული, ვიეტნამში – ინგლისური გაზეთები დახურეს. ამ ბოლო დროს კი ირანში – ფრანგულიც და ინგლისურიც. რადიოსა და ტელევიზორში, კონფერენციებზეც მხოლოდ საკუთარ ენაზე – ფარსზე საუბრობენ. ასევე ციხეში ჩასვამენ მას, ვინც თეირანში ვერ წაიკითხავს ქალთა მაღაზიაში გამოკრულ განცხადებას, რომელიც მამაკაცებს იქ შესვლას უკრძალავს. ამ მაღაზიაში შესულ მამაკაცს ციხეში სვამენ.

სიცოცხლეს გამოესალმება ის, ვინც ვერ წაიკითხავს ისპანის შესასვლელთან გამოკრულ წარწერას: დანაღმული ტერიტორია. შესვლა აკრძალულია!

ადრე მოგზაურობისას თან დამქონდა პატარა, ჯიბის რადიო და ადგილობრივი არხებს ვუსმენდი. სულ ერთი იყო, რომელ კონტინენტზეც არ უნდა ვყოფილიყავი, ვიცოდი, მთელ მსოფლიოში რა ხდებოდა. ახლა ასეთი სასარგებლო რადიო, აღარაფერში მადგება. როდესაც მას ვრთავ, ეთერიდან ათობით რადიოსადგური ინფორმაციას გადმოსცემს სხვადასხვა ენაზე, რომელთაგან არც ერთის ერთი სიტყვაც კი არ ვიცი. ახლა ყველგან ასეა. იქნებ იმის თაობაზე საუბრობენ, რომ ფულის ნიშნებს, რომლებიც ახლა ჯიბეში მიდევს, დღეიდან არავითარი ფასი აღარ აქვთ ან იქნებ იმას იუწყებიან, რომ სადღაც დიდი ომი ატყდა?

იგივე ეხება ტელევიზიასაც.

მთელ მსოფლიოში, ნებისმიერ დროს მილიონობით ეკრანზე ვხედავთ უსასრულო რაოდენობის ადამიანს, რომლებიც ჩვენ მოგვმართავენ, რაღაცაში გვარწმუნებენ, რაღაც ჟესტებს მიმართავენ, თავს აკანტურებენ, თითით რაღაცაზე მიგვითითებენ, ხოლო ჩვენ ვერ ვიგებთ, რაზეა საუბარი, რას მოითხოვენ ჩვენგან, რას მოგვიწოდებენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი უცხო პლანეტელები იყვნენ, რომელიღაც დიდი სარეკლამო არმია, რომლებიც ვენერადან თუ მარსიდან გველაპარაკებოდნენ, არადა ესენი ხომ ჩვენი ძმები, ჩვენი მსგავსნი და ჩვენი ნაწილნი არიან, რომლებიც იგივე ხორცისა და სისხლისაგან შედგებიან, ისევე ატოკებენ ტუჩებს, ისევე გამოსცემენ ბგერებს, არადა იოტისოდენადაც ვერ ვუგებთ ერთმანეთს. რომელ უნივერსალურ ენაზე უნდა მოხდეს ადამიანებს შორის დიალოგი? რამდენიმე ენა იბრძვის ამ ფუნქციის დასაკუთრებისათვის, მაგრამ შემცირების ნაცვლად მაღლდება ენობრივი ბარიერები, იზრდება ადამიანებს შორის გაუგებრობა და გაუცხოება.

მცირე ხნის შესვენების შემდეგ (რომლის დროსაც ყვავილებიან ველს უჩვენებენ. აქ ძალიან უყვართ ყვავილები, მათი გამოჩენილი პოეტთა სამარეებისათვისაც უხვყვავილოვან ბაღებში მიუჩენიათ ადგილი) ეკრანზე ჩნდება ახალგაზრდა კაცის ფოტოგრაფია. ისმის დიქტორის ხმა.

- რას ამბობს? – ვეკითხები ჩემს თანმხლებთ.

ამ ადამიანის გვარსა და სახელს და იმას მეუბნება, ვინ არის იგი.

მოკლე ხანში მრავალი ადამიანის ფოტო ჩნდება ეკრანზე. ესენია სურათები სტუდენტების ჩათვლის წიგნაკებიდან, სურათები ჩარჩოებში, სურათები ავტომატით, სურათები დანგრეულ შენობასთან. ერთი სურათი ოჯახურ გარემოშია გადაღებული, ისარი ახალგაზრდას ქალიშვილზე უთითებს, რათა გასაგები იყოს, ვის ეხება საქმე. თითოეულ ფოტოგრაფიას ძალზე მცირე დროის მანძილზე უჩვენებენ, რის პარალელურადაც დიქტორი გვარებს კითხულობს. მშობლებს თავიანთი შვილების ბედის გაგება სურთ.

უკვე რამდენი თვეა, რაც ითხოვენ და იმედი აქვთ (ალბათ მხოლოდ მათ აქვთ ამის იმედი), გაიგებენ თავიანთი შვილების ასავალ-დასავალს. ან იქნებ უკვე დაიღუპნენ, მაგრამ როდის – სექტემბერში, დეკემბერში თუ იანვარში, როდესაც უაღრესად ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა და როდესაც ქალაქის თავზე მაღალი და მარად ჩაუქრობელი მთვარე ანათებდა? მათი შვილები, როგორც ჩანს, პირველ რიგებში იბრძოდნენ და პირდაპირ ავტომატების ცეცხლში გაეხვივნენ. ან იქნებ სახლის სახურავებზე მოკალათებული სნაიპერების მსხვერპლნი შეიქმნენ?

როგორც ჩანს, ეკრანზე გამოჩენილი ყოველი ადამიანი სულ ბოლოს რომელიღაც ჯარისკაცმა დაინახა და მიზანშიც მარჯვედ ამოიღო.

საღამოს პროგრამაშიც ფოტოსურათების ჩვენება და გვარების კითხვა გრძელდება. ამჯერად სრულიად სხვა ადამიანებს გვაჩვენებენ, უმთავრესად ასაკში შესულთ, რომლებიც დგანან შეშინებული სახით, დაჭმუჭნულ ტანისამოსში, გაუპარსავნი, ზოგ მათგანს წვერის მოშვებაც მოუსწრია. ყველა მათგანისათვის გვარის და სახელის მითითებით კისერზე საკმაოდ დიდი მუყაოს ქაღალდი ჩამოუკიდიათ. როდესაც ეკრანზე მორიგი ადამიანი გამოჩნდა, ჩემი ნაცნობი სასტუმროს მუშაკებიდან ერთ-ერთი ამბობს – აჰა, ეს ისაა, ის! და ყველანი დაძაბული სახით შესცქერიან ეკრანს. დიქტორი თითოეული მათგანის პერსონალურ მონაცემებს კითხულობს და ახასიათებს, თუ როგორი დანაშაული აქვს ჩადენილი: გენერალმა მოჰამედ ზანდმა თავრიზში სროლის ბრძანება გასცა, რის შედეგადაც ასობით ადამიანი დაიღუპა. მაიორმა ჰუსეინ ფაზინმა მრავალი პატიმარი აწამა, მათ ქუთუთოებს უწვავდა და ფრჩხილებს აგლეჯდა. რამდენიმე საათში, – აცხადებს დიქტორი, – ისლამის მილიცია მათზე ტრიბუნალის განაჩენს განახორციელებს.

ამასობაში კი სასტუმროს დარბაზში, სადაც ტელევიზორის ეკრანი კეთილი და ბოროტი ადამიანების სურათებს უჩვენებდა, ძალიან ჩამოცხა. ამ მდუმარე სურათების ყურება დამთრგუნველი და ერთგვარად მიმზიდველიც გახდა. თანაც ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ ცოტაც და ეკრანზე ჩემი და ჩემთან ერთად ტელევიზორის მაყურებელი სასტუმროს თანამშრომლების ფოტოებიც გამოჩნდებოდა. დიქტორი ჩვენს გვარებსაც დაასახელებდა და კომენტარსაც გაუკეთებდა.

ჩემს სართულზე ავედი, ცარიელი დერეფანი გავიარე და ოთახში შევედი. საიდანღაც, როგორც ყოველთვის დღის ამ დროს, ოთახში სროლის ხმა შემოდიოდა. სროლები ყოველ დღე ათ საათზე იწყებოდა, ისეთი სიზუსტით და რეგულარობით, გეგონებოდათ, ამ ქალაქის ოდინდელი ტრადიციაა. შემდეგ ქალაქი დუმდებოდა, რათა მცირე ხნის გასვლის შემდეგ კვლავ გაგრძელებულიყო სროლები. აქაურები უკვე მიეჩვივნენ ამ სროლებს და მათ რაიმე საშიშროების შემცველად აღარ აღიქვამდნენ (ცხადია, მათი გამოკლებით, რომელთაც ეს ტყვიები ხვდებოდათ). თებერვლის შუა რიცხვების შემდეგ, როდესაც აქ აჯანყება დაიწყო და ბრბომ იარაღის საწყობები გატეხა, თეირანი შეიარაღებული და დამუხტულია. საკმარისია ღამის წყვდიადი ჩამოწვეს, რომ ქუჩებსა და სახლებში დაუნდობელი შეტაკებები იწყება, დღისით დამალული უთანხმოება თავს იჩენს. მოსაღამოებისთანავე თავით - ფეხამდე შეიარაღებული მებრძოლები ქალაქისაკენ მოიწევენ.

ამგვარი მოუსვენარი ღამეები აიძულებენ ადამიანებს, საკუთარ კარებჩარაზულ სახლებში ისე ისხდნენ, როგორც ციხეებში. ქალაქში თითქოს პოლიციური რეჟიმი არ გამოუცხადებიათ, მაგრამ შებინდების შემდეგ დილამდე მეტად საშიში და სარისკოა გავლა. ამ პერიოდში განაბული და გაყუჩებული ქალაქი ისლამის მილიციისა და დამოუკიდებელი მებრძოლების ხელთაა. ორივე შემთხვევაში ესაა კარგად შეიარაღებული გლეხების ჯგუფები, რომლებიც განუწყვეტლივ გაჩერებენ, რევოლვერს გიშვერენ, გამოწმებენ, ყველაფერს გეკითხებიან, ერთმანეთს შორის თათბირობენ და ზოგჯერ, ყოველ შემთხვევისათვის, ადამიანს იჭერენ და სადღაც მიჰყავთ, საიდანაც შემდეგ ძნელია თავის დაღწევა. ამასთან, ვერასდროს გაიგებ, თუ ვინ არიან ესენი, ვინ მისცა მათ ადამიანების შემოწმების და დაჭერის უფლება-

მოსილება. ისინი ხომ არავითარ გამოსაცნობ ნიშნებს სამკლაურს ან სამკერდეს, არ ატარებენ, არ ახურავთ სამხედრო ქუდი, არ აცვიათ სპეციალური სამხედრო თუ მილიციის ფორმა, უბრალოდ, შეიარაღებული სამხედროები არიან, რომელთა ძალაუფლებაც იძულებული ხარ უკრიტიკოდ მიიღო უნდა და ყოველგვარი შეკითხვის გარეშე აღიარო, თუ კი გინდა გადარჩე. თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ გარკვეულ ორიენტაციას ვაკეთებ და მათი გარჩევაც შემიძლია. აი, მაგალითად, ის კაცი, ელეგანტურად გამოწყობილი კოსტუმსა და თეთრ პერანგში, ჰალტუხით, მხარზე გადაკიდებული კარაბინით ხელში რომ მოდის ქუჩაში, ნამდვილად ერთ-ერთი სამინისტროს მილიციელია. სამაგიეროდ ის გლეხი, სახეზე ნიღაბი რომ წამოუცვია (აბრეშუმის ჩულქი, თვალებთან და ცხვირთან ამოჭრილი ნასვრეტებით), ადგილობრივი ფედაინია, რომელსაც აქ არავინ იცნობს. არც იმ ადამიანებზე მაქვს წარმოდგენა, რომლებიც ამერიკულ ქურთუკებში გამოწყობილნი, ავტომობილებით დაქრიან და ფანჯრებიდანაც ავტომატის ლულები გამოუყვიათ. შესაძლოა ისინი მილიციელები არიან ან ოპოზიციური პარტიის მებრძოლები (რელიგიური ფანატიკოსები, ანარქისტები, სავაკის ნარჩენები), რომელთაც თავი გაუწირავთ და საბოტაჟის მოწყობა სურთ ან შურისძიების წყურვილით არიან გაჟღენთილები.

თუმცა, საბოლოო ჯამში ჩვენთვის სულ ერთია, ვის ექნება ჩვენზე ძალაუფლება და ვის ხაფანგში (ხელისუფლების თუ არალეგალების) გავებმებით. არავის სურს მათთან ურთიერთობა, ყველა ცდილობს თავი აარიდოს ასეთ მოულოდნელობას და ამიტომ სულ საკუთარ სახლში არიან გამოკეტილები. ჩემი სასტუმროც დაკეტილია. აქ არავინ მოვა და არც არაფერი მოხდება. ვერც ვერავის დავლაპარაკებივარ, ვზივარ ცარიელ ოთახში, დავცქერი მაგიდაზე გაშლილ ფოტოსურათებსა და ჩანაწერებს, ვუსმენ ფირზე ჩაწერილ საუბრებს...

დაგეროტიპები

,,ძვირფასო ღმერთო, შენ მართლა ღვთიური სული ჩაუდგი ადამიანებს?
და არასოდეს შემცდარხარ?"

კინდი

(,,ბავშვების წერილი
ღმერთისადმი", გამომცემლობა
,,ფაქსი", 1978წ.)

ფოტოგრაფია (1)

ეს ყველაზე ძველი სურათია, რომელიც კი შევძელი მომეპოვებინა. მასზე მოჩანს ჯარისკაცი, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს ჯაჭვი, რომლითაც ადამიანია მიჯაჭული. ჯარისკაცი და ის ადამიანი ობიექტივს დაკვირვებით შემოსცქერიან, ეტყობა, რომ ეს მათთვის მეტად მნიშვნელოვანი მომენტია. ჯარისკაცი დაბალი, ასაკიანი, დამჯერი და უბრალო გლეხის ტიპიური მაგალითია. მას ტანზე ფართო, მოუქნელი სამხედრო შინელი აცვია, შარვალი გარმონივით ეკეცება, ხოლო დიდი,

ირიბად დახურული ქუდი მის გამოჩრილ ყურებს დაყრდნობია. იგი საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურება და რაღაცით ჯარისკაც შვეიკს მაგონებს.

ჯაჭვით დაბმულ ადამიანს (გაფითრებული, გამხდარი სახის, ჩავარდნილი თვალებით) თავი ბანდაჟით აქვს შეხვეული, ეტყობა დაჭრილია. წარწერა სურათის ქვეშ იუწყება, რომ ეს ჯარისკაცი შაჰი მუჰამედ რეზა ფაჰლავის (ირანის უკანასკნელი მბრძანებლის) პაპაა, ხოლო დაჭრილი და დატყვევებული კაცი შაჰ ნაზერ-ედ-დინის მკვლელი. მაშასადამე, იგი 1896 წელს უნდა იყოს გადაღებული, როდესაც ნაზერ-ედ-დინი, ორმოცდაცხრა წლის მბრძანებლობის შემდეგ, ამ სურათზე გამოსახულმა კაცმა მოკლა. შაჰის პაპაცა და მკვლელიც დაქანცულად გამოიყურებიან და ეს გასაგებიცაა: ისინი უკვე რამდენიმე დღეა კუმიდან გამოსულან და სახალხო დასჯის ადგილისაკენ – თეირანისაკენ მიემართებიან. ნელ-ნელა წინ მიიწევენ მზისაგან გადამწვარ უდაბნოში. პირველი დამნაშავე მიდის, უკან - ჯარისკაცი მიჰყვება, დაახლოებით ისე, როგორც ადრე ცირკში ჯაჭვით გაწვრთნილი დათვები დაჰყავდათ ხოლმე. მათ სოფელ-სოფელ თუ ქალაქებში დაატარებდნენ, ხალხს აჩვენებდნენ და ამგვარად თავსაც ირჩენდნენ და ცხოველებსაც კვებავდნენ. ახლა პაპა და მკვლელი ძლივს მიაბიჯებენ, შუბლზე მომდგარ ოფლს იწმენდენ, შიგადაშიგ მკვლელს დაჭრილი თავი წამოსტკივა და ჩივის, მაგრამ ძირითადად მაინც ორივენი მდუმარედ მიდიან, რამეთუ რაა აქ სალაპარაკო - ერთი მკვლელია, ხოლო მეორეს მკვლელი სასიკვდილო ადგილისაკენ მიჰყავს. იმ წლებში სპარსეთი მეტად ღარიბი იყო, არ არსებობდა რკინიგზა, ცხენის ეტლები მხოლოდ არისტოკრატებს ჰყავდათ, რის გამოც სურათზე გამოსახული ეს ორი ადამიანი იძულებული გახდა ფეხით გასდგომოდნენ შორეულ გზას, რომლის ბოლოც ერთისათვის სასჯელის, ხოლო მეორისათვის - ვალის მოხდის ადგილი იყო. ისინი ზოგჯერ მიადგებოდნენ ხოლმე თიხის სახლებიან სოფლებს, სადაც კედელს მიყუდებული ღარიბ-ღატაკი გლეხები გაუნძრევლად ისხდნენ. მიახლოვებული პატიმრისა და მისი დამპატიმრებლის დანახვაზე მათ თვალებზე გარკვეული ინტერესი იკითხება, ისინი დგებიან და მტვრით დაფარული მოგზაურების ირგვლივ იკრიბებიან. - ვინ მიგყავთ, ჯარისკაცო? – კითხულობენ გაუბედავად. – ვინ? – იმეორებს კითხვას ეს უკანასკნელი და მცირე ხნის დუმილის შემდეგ, უფრო მეტი ეფექტი და შთაბეჭდილება მოახდინოს, ამბობს: - აი, მან - და პატიმარზე უთითებს – შაჰი სასიკვდილოდ გაიმეტა! თან შაჰის პაპის ხმაში დაუფარავი სიამაყე გამოსჭვივის. გლეხები პატიმარს ერთგვარი შიშითა და გაკვირვებით შეჰყურებენ. იმის გამო, რომ მან ასეთი დიდი ადამიანი მოკლა, ჯაჭვით დაბმულიც მათ თვალში გარკვეულად ამაღლებული ჩანს, სახელდობრ, ამ მკვლელობის გამო თითქოს მანაც წარჩინებულთა საზოგადოებაში გადაინაცვლა. ამიტომ არ იციან, მის მიმართ გაბრაზება გამოხატონ, თუ დაიჩოქონ. ამასობაში ჯარისკაცი ჯაჭვს გზაზე მდგარ ხეზე გამოაბამს, მხრიდან კარაბინს მოიხსნის (რომელიც ისეთი გრძელია, რომ მიწამდე დასთრევს) და გლეხებს უბრძანებს წყალი და საჭმელი მოიტანონ. გლეხები თავს უკმაყოფილოდ იქნევენ, ვინაიდან სოფელი ღატაკია, შიმშილობს. ჯარისკაციც გლეხია, როგორც ისინი, და როგორც მათ, საკუთარი გვარიც არა აქვს. იგი გვარად საკუთარი სოფლის სახელს – სავად-კუხის იყენებს, მაგრამ აქვს მუნდირი, კარაბინი და სხვებისაგან იმით გამოირჩევა, რომ შაჰის მკვლელი დასჯის ადგილისაკენ მიჰყავს, მაშასადამე, იყენებს თავის მდგომარეობას და გლეხებს კიდევ ერთხელ უბრძანებს წყლისა და საჭმლის მოტანას. თავადაც გრძნობს

უაღრეს შიმშილს და ამასთან, არც ის უნდა დაუშვას, რომ ბორკილებდადებული პატიმარი შიმშილისა და წყურვილისაგან გზაში მოუკვდეს. მაშინ ხომ თეირანში ასეთ უჩვეულო სანახაობას ვერ მოაწყობს, რომლის დროსაც შაჰის მკვლელის დასჯის ადგილს ათასობით ადამიანი მოაწყდება. ჯარიკაცის მიერ შეშინებულმა გლეხებმა ბოლოს მოიტანეს თუკი რამე გააჩნიათ და რითიც თავად იკვებებიან: ესაა მიწიდან ამოთხრილი ხის ფესვები და გამხმარი კალიები. ჯარისკაცი და მისი პატიმარი მიჯდებიან ჩრდილში და გემრიელად ახრამუნებენ კალიებს, რომლის ფრთებსაც გვერდზე ყრიან და ყოველ ლუკმას წყალს აყოლებენ. გლეხები ჩუმად, შურით შეჰყურებენ მათ. საღამოს ჯარისკაცი ირჩევს ყველაზე უკეთეს ქოხს, იქიდან მის პატრონს გამოაგდებს და მას დროებით საპატიმროდ აქცევს. უფრო დაამოკლებს ჯაჭვს, რათა პატიმარი ახლოს ჰყავდეს და არ გაექცეს, შემდეგ ორივე, ტილებით გადაშავებულ თიხის იატაკზე დაეგდება და მრავალსაათიანი მოგზაურობით დაღლილებს მკვდარივით, ღრმა ძილით ჩაეძინებათ. დილით ადრე დგებიან და კვლავ თეირანისაკენ მიმავალ გრძელ გზას გაუდგებიან.

ფოტოგრაფია (2)

ამ სურათზე ვხედავთ სპარსეთის კაზაკების ბრიგადის ახალგაზრდა ოფიცერს, რომელიც დგას მძიმე კარაბინთან და კოლეგებს ამ სიკვდილის მომტანი იარაღის მოქმედების პრინციპებს უხსნის. ვინაიდან სურათზე გადაღებული კარაბინი 1910 წელს გამოშვებული მაქსიმის განახლებული მოდელია, ეს ფოტო დაახლოებით ამ დროს უნდა იყოს გადაღებული. ახალგაზრდა (ასე 1878 წელს დაბადებულს) ოფიცერს რეზა ხანი ჰქვია და იმ ჯარისკაც-კონვოის ვაჟია, რომელსაც ჩვენ შევხვდით უდაბნოში, სადაც მას ჯაჭვით დაბმული შაჰის მკვლელი მიჰყავდა. ამ ორი სურათის ერთმანეთთან შედარებისას უმალ იმ ფაქტს ვაქცევთ ყურადღებას, რომ მამისაგან განსხვავებით რეზა ხანი ფიზიკურად მეტად ტანადი კაცია. იგი ყველა თავის კოლეგაზე სულ მცირე ერთი თავით მაღალია, გამობერილი კუნთები აქვს და იმ გოლიათს წააგავს, რომელიც თავისათვის ძალის დაუტანებლად შეუძლია ცხენის ნალები დაამტვრიოს. მას ცივი გამოხედვა და მოკუმული ტუჩები აქვს, გეგონება არასოდეს არ გაუღიმიაო. თავზე შავი კარაკულის კაზაკური ქუდი ახურავს, რადგან, როგორც ზევითაც ვთქვით, კაზაკების ბრიგადის ოფიცერია (იმ ერთადერთი არმიის, რომელიც იმ დროს შაჰის განკარგულებაში იყო) და რომელსაც სანკ-პეტერბურგელი ოფიცერი ვსევოლოდ ლიახოვი მეთაურობდა. რეზა ხანი პოლკოვნიკ ლიახოვს გამორჩეულად მოსწონს, რადგან მას უყვარს სისხლხორციანი ჯარისკაცები, ხოლო ჩვენი ახალგაზრდა ოფიცერი ნამდვილად ასეთია. იგი ამ ბრიგადაში თოთხმეტი წლის ასაკში, სრულიად უწიგნური შევიდა (სხვაშორის, მან სიცოცხლის ბოლომდე ვერ ისწავლა კარგად წერა-კითხვა) და თავისი ერთგულების, წესიერებით, პრინციპულობის და დაბადებით თანდაყოლილი ინტელიგენტურობის წყალობით და კიდევ იმის მეოხებით, რასაც ჯარისკაცები მეთაურის, ლიდერის ტალანტს უწოდებენ, თავის პროფესიულ კიბეზე თანდათან მაღლა ავიდა. თუმცა მისი ჭეშმარიტი აღმასვლა ძირითადად 1917 წლის შემდეგ იწყება, როდესაც შაჰმა ლიახოვის ბოლშევიკებისადმი კეთილგანწყობაში ეჭვი შეიტანა (სრულიად უსაფუძვლოდ), იგი თანამდებობიდან გადააყენა და რუსეთში გააგზავნა. მალე რეზა ხანი ხდება პოლკოვნიკი და კაზაკების

ბრიგადის მეთაური, ვისზე მზრუნველობაც იმ დროიდან უკვე ინგლისელებმა იკისრეს. ბრიტანელი გენერალი სირ ედმუნდ რონსაიდი ფეხის თითებზე უნდა დადგეს, რათა ერთ-ერთი წვეულების დროს რეზა ხანს ყურში ჩასჩურჩულოს: თქვენ დიდი მომავალი გელით, პოლკოვნიკო! ამის შემდეგ ისინი ბაღში გადიან, სადაც სეირნობის დროს გენერალი მას ტახტის გადატრიალების თაობაზე იდეას მიაწვდის და თანაც ამით ლონდონის კეთილ ნებაშიც დაარწმუნებს. 1921 წლის თებერვალში რეზა ხანი თავისი ბრიგადით თეირანში შეიჭრა და დაატყვევა დედაქალაქელი პოლიტიკოსები (ზამთარია, თოვს, პოლიტიკოსები ჩივიან საკნებში არსებული სიცივისა და სინესტის გამო), რის შემდეგაც ჰქმნის ახალ მთავრობას, რომელშიც თავად იგი ჯერ სამხედრო მინისტრი, ხოლო შემდეგ პრემიერიც გახდება. 1925 წელს ყველაფერში მისი დამჯერი საკონსტიტუციო კრება (რომელსაც ეშინია პოლკოვნიკის და მის უკან მდგარი ინგლისელების) კაზაკების მეთაურს სპარსეთის შაჰად შერაცხავს. იმ დროიდან ჩვენს ახალგაზრდა ოფიცერს, ფოტოსურათზე რომ ვხედავთ, როდესაც ის თავის კოლეგებს (სურათზე მათ ახურავთ ფაფახები და კაზაკური ხალათები აცვიათ) 1910 წლის კარაბინი მაქსიმის განახლებული მოდელის მოქმედების პრინციპებს უხსნის, უწოდებენ შაჰ რეზა ბრწყინვალეს, მეფეთა მეფეს, ყოვლისმპყრობელი ღმერთის მოადგილეს დედამიწაზე. იგი გახდება ფაჰლავების დინასტიის ფუძემდებელი. ეს დინასტია სწორედ მისგან დაიწყო და ბედისწერით დასრულდა მის შვილზე, რომელიც ისეთივე ცივი ზამთრის დილით, როგორ დილასაც მამამისმა, ორმოცდაშვიდი წლის წინათ, დაიპყრო დედაქალაქი და ტახტს დაეუფლა, დატოვა სასახლე, თეირანი და თანამედროვე თვითმფრინავით გაურკვეველი მომავლისაკენ გაფრინდა.

ფოტოგრაფია (3)

ბევრ რამეს გაიგებს ის, ვინც ყურადღებით დააკვირდება მამა-შვილის ფოტოსურათს, რომელიც 1926 წელსაა გადაღებული. სურათის გადაღების დროს მამა ორმოცდშვიდი წლისაა, ვაჟი – შვიდის. მათ შორის განსხვავება პირველი შეხედვისთანავე თვალში საცემია. შაჰი-მამა მაღალი და წარმოსადეგია, რომელიც წარბშეკრული დგას, ცალი ხელით დოინჯშემოყრილი. გვერდით ვაჟი უდგას, მამას წელამდეც კი ვერ სწვდება. იგი მეტად გამხდარი, ტანწვრილი ბიჭია. გაფითრებული სახით, მორჩილად დგას მამასთან. ორივე მსგავს მუნდირშია გამოწყობილი და ერთნაირი ქუდები ახურავს, ერთი და იგივე ტიპის ფეხსაცმელები აცვია, ქამარიც ერთნაირი არტყიათ და ღილებიც ტოლი რაოდენობის აკერიათ – თოთხმეტი. ეს მსგავსი ჩაცმულობა მამის იდეაა, რომელსაც სურს, რომ ვაჟი, რომელიც მისგან ასე განსხვავდება, რაც შეიძლება მეტად წააგავდეს. შვილი გრძნობს მშობლის განზრახვას და თუმცა ბუნებით სუსტი და თავის თავში დაეჭვებულია, მომავალში ყოველნაირად ეცდება მამის ნებისყოფა და მისი დესპოტური მანერები შეითვისოს. ამ დროიდან შვილში ვითარდება და ერთმანეთს ებრძვის ორი ბუნება – საკუთარი და მემკვიდრეობით მიღებული: დაბადებით თანდაყოლილი და მამისგან გადმოცემული, რომელიც ამბიციური მცდელობების შედეგად თანდათან უფრო ჩრდილავს პირველს.

ბოლოს და ბოლოს ისე დაემსგავსება მამას, რომ, როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ თავად დაიკავებს ტახტს, ზოგჯერ შეუგნებლად და ხშირად გააზრებულადაც, მის მოძრაობებს, ჟესტებს იმეორებს. ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო ხანებში კი ძალზე ხშირად იშველიებს მამის ავტორიტეტს. ჯერ-ჯერობით კი მამამისი მთელი ენერგიით იწყებს მმართველობას. იგი გრძნობს თავის მისიასა და მოწოდებას და იცის, საითკენ უნდა ისწრაფოს და რისთვის უნდა იბრძოლოს. მის უმთავრეს მიზანს ის შეადგენს, რომ ხალხი შრომას მიაჩვიოს და ახალი, თანამედროვე სახელმწიფო ააშენოს, რომლის მიმართაც რიდი და მორჩილება, გარკვეული შიშიც, ყველას ექნება. ამ დროს ხომ ბებერი, მოფამფალებული ირანი წასაქცევადაა გამზადებული (სწორედ მისი გადაწყვეტილებით დაერქმევა სპარსეთს - ირანი). ამისათვის იგი მტკიცე ხელთან ერთად და უბრალო, მარტივ ეკონომიკურ მეთოდებს იყენებს. ყველაფერს კი ძლიერი არმიის მშენებლობით იწყებს. ასორმოცდაათი ათასი კაცი იღებს სამხედრო ფორმასა და იარაღს. სწორედ არმია ხდება მისი უმთავრესი პრიორიტეტი, მისი ზრუნვისა და სიყვარულის უპირველესი ობიექტი. არმიას უნდა ჰქონდეს ფული, მას უნდა ჰქონდეს ყველაფერი. არმია შეაძლებინებს ხალხს გახდეს თანამედროვე, დისციპლინირებული და დამჯერე. ყველა ქვეყნის დასაცავად უნდა დადგეს.

მისი ბრძანებით ირანელები ეროვნული სამოსის ნაცვლად ევროპული ტანსაცმლში გამოეწყობიან. ტრადიციული სამოსი აკრძალულია. განსაკუთრებით – ჩადრი. პოლიცია განცვიფრებულ ქალებს ქუჩებში ხდის ჩადრებს. მორწმუნენი მეშხედის მეჩეთში იკრიბებიან და ხელისუფლების ასეთ ქმედებას მკაცრად აკრიტიკებენ. ხელისუფლება კი არტილერიას გზავნის ურჩების დასასჯელად და მეჩეთს ანგრევინებს. შაჰი ბრძანებს მომთაბარე ტომების ერთ ადგილას დასახლებას, ეს უკანასკნელნი პროტესტს გამოთქვამენ, რასაც მათი ჭების დაბინძურება და შიმშილით სიკვდილამდე მიყვანა მოჰყვება. მომთაბარენი არ ნებდებიან. მაშინ შაჰი გაგზავნის ჯარს და მათი ყოფნის ადგილებზე მხოლოდ უკაცრიელი მიწა რჩება. ბევრი სისხლი დაიღვარა მაშინ ირანში. აქლემების ფოტოგრაფირება იკრძალება, რადგან იგი ჩამორჩენილ ცხოველად ითვლება. კუმში ერთი მოლა კრიტიკულად გამოვა ირანში განვითარებული ბოლო დროინდელი ამბების გამო. შაჰი ამ მეჩეთში შედის და კრიტიკოს მოლას ჯოხით უმასპინძლდება. მედრესის დიდი აიათოლა, რომელიც ასევე შაჰის კრიტიკით გამოდიოდა, სამი წლით სარდაფში გამოამწყვდია. ლიბერალები გაუბედავი კრიტიკით გამოდიან გაზეთებში. გამომცემლობა იხურება, ხოლო ლიბერალები ციხეში ხვდებიან. იმათ, ვინც უკმაყოფილოა ასეთი რეჟიმით, აიძულებენ პოლიციის აღრიცხვაზე ავიდნენ და ყოველდღე იარონ რეგისტრაციაზე. არისტოკრატებსაც კი შიშისაგან აკანკალებთ, როდესაც ეს შეუვალი ახმახი კაცი მკაცრი სახით შეხედავს.

რეზა ხანმა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა თავისი ბავშვობისა და ახალგაზრდობაში სამხედრო ბანაკებში გატარებული დროინდელი მრავალი ჩვევა. მართალია, სასახლეში ცხოვრობს, მაგრამ კვლავაც იატაკზე სძინავს, სულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი დადის, იმავე ქვაბიდან ჭამს, რომლიდანაც ჯარისკაცები. ჩვენი ბიჭია! იმავდროულად ძალიან დიდ სიხარბეს იჩენს ფულისა და მამულების მიმართ. ბოროტად იყენებს თავის ხელისუფლებას და უდიდეს ქონებას იხვეჭს. ყველაზე დიდი ფეოდალი ხდება ქვეყანაში, რომელიც ფლობს სამი ათასზე მეტ სოფელსა და იქ მცხოვრებ ორას ორმოცდაათ ათას გლეხზე მეტს. მრავალი ფირმის

აქციებს დიდი რაოდენობით იძენს და მრავალი ბანკის დამფუძნებელია, ითვლის და ითვლის, უმატებს და ანგარიშობს. საკმარისია კარგ ტყეს, მოსავლიან მინდორს, მწვანე ველს, ბარაქიან პლანტაციას თვალი მოჰკრას, რომ ის ტყე, ის მინდორი, ის ველი და პლანტაცია მისი ხდება. არავის აქვს უფლება მონარქის მამულების მიჯნას მიუახლოვდეს. ერთ დღეს სანიმუშო დასჯას მოაწყობს – ჯარისკაცთა ათეული დახვრეტს ვირს, რომელმაც არაფრად ჩააგდო შაჰის ბრძანება და რეზა ხანის მინდორში გადავიდა. დასჯის ადგილას თავი მოუყარეს გლეხებს, რათა მომავალში მათ მეტი პატივი ეცათ მბრძანებლის ქონებისათვის. მაგრამ ასეთი სიმხეცისა და მომხვეჭველობის მიუხედავად მოხუც შაჰს ქვეყნის წინაშე თავისი დამსახურებებიც ჰქონდა. მან ირანი დაშლა-დანაწევრებისაგან იხსნა, რაც ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ემუქრებოდა. ამის გარდა, ცდილობდა ქვეყნის მოდერნიზებას, აშენებდა ხიდებს, გაჰყავდა გზები და რკინიგზები, აგებდა სკოლებსა და საავადმყოფოებს, აეროდრომებსა და ახალ-ახალ დასახლებებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყანა კვლავაც ღარიბი და აპათიური რჩებოდა და როდესაც რეზა ხანი გარდაიცვალა, გახარებული ხალხი ამ ამბავს დიდ ხანს ზეიმობდა.

ფოტოგრაფია (4)

აი, ცნობილი ფოტო, რომელმაც თავის დროზე მთელი მსოფლიო შემოიარა: სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი ლამაზ აივანზე სავარძელში სხედან. სტალინი და ჩერჩილი სამხედრო ფორმაში არიან გამოწყობილი. რუზველტს რუხი კოსტუმი აცვია. სურათი თეირანშია გადაღებულნი, 1943 წლის მზიანი დეკემბრის დღეს. ამ სურათზე ყველა მათგანს წყნარი სახე აქვს, ეს ჩვენზე სასიამოვნოდ და დამაწყნარებლად მოქმედებს, რადგან ვიცით, რომ მიმდინარეობს ისტორიაში უსაშინლესი ომი და ამ ადამიანების სახის გამომეტყველება დედამიწაზე მცხოვრები თითოეული ადამიანისათვის მეტად მნიშვნელოვანია: მან ადამიანებს იმედი უნდა ჩაუნერგოს. რეპორტიორები თავიანთ საქმეს მორჩნენ და ახლა ეს დიდი სამეული დარბაზში პირისპირ საუბრისათვის გადის. რუზველტი ჩერჩელს ეკითხება, რა დაემართა ამ ქვეყნის მბრძანებელს, შაჰ რეზასო (რუზველტი თან ინტერესდება, სწორედ წარმოთქვამს თუ არა ამ გვარს). ჩერჩილი მხრებს იჩეჩავს და უხალისოდ ლაპარაკობს მასზე. შაჰი აღტაცებული იყო ჰიტლერით და ირგვლივ მისი ხალხი ჰყავდა შემორტყმული – ამბობს ის. მთელი ირანი გერმანელებით გაივსო. ისინი იყვნენ სასახლეში, სამინისტროებში, არმიაში. აბვერმა ძალიან მოიკიდა ფეხი თეირანში და შაჰი ამას სიამოვნებით უყურებდა. მას მოეწონა ჰიტლერის მიერ ინგლისისა და რუსეთისათვის შეტევა, იგი ამ ქვეყნებს ვერ იტანდა და მხარს უჭერდა ფიურერს წინსვლაში. ლონდონს ძალიან ეშინოდა ირანის ნავთობი არ დაეკარგა, რომელიც ინგლისის ფლოტის უმთავრესი საწვავი იყო, ხოლო მოსკოვს იმის შიში ჰქონდა, რომ გერმანელები ირანს დაიკავებდნენ და აქედან შეუტევდნენ კასპიის ზღვის რეგიონს. თუმცა საქმე უმთავრესად ტრანციმბირის რკინიგზას ეხებოდა, რომლის საშუალებითაც ამერიკელებსა და ინგლისელებს სტალინისათვის იარაღი და სურსათი უნდა მიეწოდებინა. შაჰმა უარი განაცხადა აღნიშნული სარკინიგზო ხაზის ამ მიზნით გამოყენებაზე, ხოლო დრო მეტად დრამატული იყო: გერმანული დივიზიები თანდათან აღმოსავლეთისაკენ მიიწევდნენ. ამ სიტუაციაში მოკავშირეებს უაღრესად

პრინციპულად უნდა ემოქმედათ – 1941 წლის აგვისტოში ბრიტანეთის არმიისა და წითელი არმიის ნაწილები შეიჭრნენ. ირანის თხუთმეტი დივიზია, თითქმის უბრძოლველად დანებდა მტერს. შაჰი ამ ცნობას არ იჯერებდა, არასწორად მიაჩნდა და როდესაც მის სისწორეში დარწმუნდა, ისე განიცადა, როგორც პირადი წყენა და დამცირება. დამარცხებული ჯარის ნაწილი სახლში გაუშვეს, ნაწილი კი ბანაკებში გამოკეტეს. შაჰმა, რომელსაც საყვარელი არმია უკვე აღარ ჰყავდა, თავი დაანება ქონების აღრიცხვას და საერთოდ შეწყვიტა ქვეყნის მართვა. ინგლისელებმა, რომლებიც იმ მონარქებსაც კი პატივს სცემენ, რომლებიც მათ განუდგნენ, შაჰს ღირსეული გამოსავალი უჩვენეს – დაე მისმა უმაღლესობამ უარი თქვას ტახტზე თავისი ვაჟიშვილის, მემკვიდრის სასარგებლოდ. ჩვენ მასზე კარგი წარმოდგენა გვაქვს და მხარსაც დავუჭერთ – აღუთქვეს ინგლისელებმა. ამ უკანასკნელთაც შაჰი იმაში დაარწმუნეს, რომ მას სხვა გამოსავალი აღარ დარჩენოდა. ამ წინადადებას შაჰი დაეთანხმა და 1941 წლის სექტემბერში ირანის ტახტზე ოცდაორი წლის ვაჟი მუჰამედ რეზა ფაჰლავი ავიდა. მოხუცი შაჰი უკვე კერძო პირი გახდა და პირველად თავის სიცოცხლეში ჩაიცვა სამოქალაქო კოსტუმი. ინგლისელებმა იგი გემით აფრიკაში, იოჰანესბურგში ჩაიყვანეს (სადაც სამი წლის შემდეგ მარტოობასა და გარიყულობაში გარდაიცვალა, თუმცა მატერიალურად კარგად იყო უზრუნველყოფილი). - ჭე ბროუგჰტ ჰიმ, წე ტოოკ ჰიმ (ჩვენ ავიყვანეთ ტახტზე და ჩვენვე გადავაგდეთ) – ასე მოკლედ დაასრულა ამ თემაზე თავისი სიტყვა ჩერჩილმა.

რვეულებიდან (1)

ვხედავ, რომ რამდენიმე სურათი მაკლია და ვერ მიპოვია. მაგალითად, არა მაქვს უკანასკნელი შაჰის ფოტოსურათი ახალგაზრდობის პერიოდიდან. ასევე 1939 წლის ფოტო, რომელიც მისი თეირანში ოფიცერთა მომზადების სკოლაში მისი სტუმრობისასაა გადაღებული. ამ დროს ის 20 წლის შესრულდა და მამამ გენერლის წოდება მიანიჭა. არა მაქვს მისი პირველი მეუღლის – ფავზიას ფოტო, როდესაც იგი რძეში ბანაობს. დიახ, ფავზია, მეფე ფარუკის და, ულამაზესი ქალი, რძეში ბანაობს, მაგრამ შაჰის ასული აშრაფი, ახალგაზრდა შაჰის და და როგორც ამბობენ, მისი ბოროტი სული, მისი შავი სინდისი, მას ვანაში რაღაც მომწამვლელ ფხვნილს უყრის. ამის გამო კიდევ ერთი სკანდალი აგორდება სასახლეში.

სამაგიეროდ მაქვს უკანასკნელი შაჰის 1941 წლის 16 სექტემბერს გადაღებული ფოტოსურათი, რომელზედაც მისი, როგორც შაჰ მუჰამედ რეზა ფაჰლავის ტახტზე ასვლაა გამოსახული. ის პარლამენტის დარბაზში დგას, გამხდარი, დეკორატიულ მუნდირში გამოწყობილი, გვერდზე ხმალი აქვს ჩამოკიდებული და ბარათზე ფიცის ტექსტს კითხულობს. ეს სურათი შაჰისადმი მიძღვნილ ყველა ალბომში მეორდებოდა, ასეთი კი ათობით, თუ ასობით იყო. მას ძალიან უყვარდა საკუთარ თავზე დაწერილი წიგნების კითხვა და მისადმი მიძღვნილი ალბომების თვალიერება, ძალიან იტაცებდა საკუთარი ძეგლების და თავისი პორტრეტებისათვის ფარდის ახდა. არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა შაჰის პორტრეტის დანახვა: ნებისმიერ ადგილას რომ დამდგარიყავი და ირგვლივ მიგეხედ-მოგეხედა, მის პორტრეტსა თუ ქანდაკებას დაინახავდი. რაკი სიმაღლით არ გამოირჩეოდა, ფოტოგრაფები იძულებული იყვნენ ისე დაეყენებინათ ობიექტივი, რომ სურათზე იგი იქ მყოფთა შორის ყველაზე მაღალი

გამოჩენილიყო. ამაში მას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებიც ეხმარებოდა. ხელქვეითნი ფეხსაცმელზე კოცნიდნენ. არ გაგიკვირდეთ, მაქვს სურათი, რომელზედაც ასეთი კადრებია გამოსახული. ამასთან, არა მაქვს მისი მუნდირის 1949 წელს გადაღებული ფოტოგრაფია. ეს მუნდირი, რომელიც ტყვიებით იყო დაცხრილული და დასისხლიანებული, გამოფენილი იყო თეირანის ოფიცერთა სახლში როგორც რელიკვია, როგორც გასახსენებელი. ის ეცვა შაჰს, როდესაც ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც რეპორტიორად ასაღებდა თავს და რევოლვერი ფოტოაპარატში ჰქონდა დამონტაჟებული, რამდენიმე გასროლით დაჭრა მონარქი. საერთოდ, სულ ხუთჯერ მოინდომეს შაჰის სიცოცხლის ხელყოფა. ყოველივე ამის შედეგად მის გარშემო ისეთი ატმოსფერო შეიქმნა, რომ შაჰი იძულებული ხდებოდა პოლიციელ ჯგუფებთან ერთად გადაადგილებულიყო. ირანელებს აღიზიანებდათ, რომ შაჰის მონაწილეობით გამართულ ღონისძიებებზე მხოლოდ უცხოელებს ეპატიჟებოდნენ. მისი თანამემამულეები ირონიით იმასაც ამბობდნენ, რომ საკუთარ ქვეყანაში შაჰი მხოლოდ შვეულმფრენით ან თვითმფრინავით გადაადგილება და სამშობლოს დანახვა მხოლოდ თვითმფრინავიდან შეუძლიაო.

არა მაქვს ასევე ადრინდელი წლების არც ერთი ფოტოგრაფია ჰომეინისა. ეს უკანასკნელი თავის კოლექციაში მხოლოდ მოხუცებულობისასაა გამოჩენილი, თითქოს ისეთი ადამიანი იყოს, რომელსაც არც ბავშვობა და არც ახალგაზრდობა გააჩნდა. აქაურ რელიგიურ ფანატიკოსებს ღრმად სწამთ, რომ ჰომეინი მეთორმეტე იმამია, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში გაუჩინარდა და რომლის გამოჩენასაც ისინი აქამდე მოუთმენლად ელოდნენ. იგი მხოლოდ ახლა, ათასი წლის გასვლის შემდეგ დაუბრუნდა სამშობლოს, რათა თანამემამულეები სიღატაკისა და დევნისაგან იხსნას. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მას, ასე ასაკში შესულს, მართლაც შეუძლია ხალხის ამგვარი ყალბი რწმენის დადასტურება და განმტკიცება.

ფოტოგრაფია (5)

შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ეს ყველაზე ბრწყინვალე დღეა დოქტორ მოსადეჰის გრძელ ცხოვრებაში. მან პარლამენტი გახარებული და აღტკინებული ბრბოს ხელებზე ატაცებულმა დატოვა. თავადაც გახარებულია, იღიმება და მარჯენა ხელის ზევით აწევით ხალხს ესალმება. სამი დღით ადრე, 1951 წლის 28 აპრილს იგი პრემიერი გახდა, ხოლო დღეს პარლამენტმა მისი პროექტი, ნავთობის ნაციონალიზაციის შესახებ მოიწონა. ირანის ყვლაზე დიდი საუნჯე ხალხს დაუბრუნდა, კვლავ მისი საკუთრება გახდა. ამ ყველაფრის გასაგებად ჩვენ იმ ეპოქაში უნდა გადავინაცვლოთ, რადგან მას შემდეგ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში. იმ დროს იმის გაკეთება, რაც მოსადეჰმა გააკეთა, უტოლდებოდა ვაშინგტონში ან ლონდონში ბომბის მოულოდნელ, უცებ აფეთქებას. ფსიქოლოგიური ეფექტი თითქმის იგივე იყო – შოკი, შიში, ზიზღი, გაბრაზება. იქ სადღაც, ირანში, ვიღაც მოხუცმა ადვოკატმა და დახვეწილმა დემაგოგმა საფუძველი გამოაცალა ჩვენი იმპერიის უმთავრეს ბომს! ეს ხომ წარმოუდგენელი თავხედობაა! მაშინ კოლონიური საკუთრება მართლაც მსოფლიო სიმდიდრეს წარმოადგენდა, მას ხელშეუხებლობის ტაბუ ჰქონდა დადებული. მაგრამ იმ დღეს, როდესაც აღტაცებულ ირანელებს, და ეს აშკარად ჩანს ფოტოზე, ხელში ატაცებული გამოჰყავდათ დოქტორ მოსადეჰი პარლამენტის შენობიდან, მათ არ იცოდნენ, თუ რას

იქმოდნენ, რა გამოუსწორებელ დანაშაულს ჩადიოდნენ, რის გამოც მკაცრად დასჯა ელოდათ. ჯერ-ჯერობით კი მთელი ირანი უჩვეულოდ ხარობს, უცხო და წარსულის ზიზღისაგან განწმენდის ბრწყინვალე წუთებს განიცდის. ნავთობი ჩვენი სისხლია! – გაჰყვირის აღფრთოვანებული ბრბო; ნავთობი ჩვენი თავისუფლების გარანტიაა! ქალაქის ატმოსფერომ სასახლემდეც შეაღწია და შაჰმა თავისი ხელმოწერა დასვა აქტზე ნავთობის ნაციონალიზაციის შესახებ. ეს ირანელთა დამმობილების, ქვეყნის გაერთიანების მომენტია, იშვიათი წუთები, რომელსაც მალე მოგონებად გადაქცევა უწერია, რამეთუ ეროვნულ ძმურ ოჯახში თანხმობა დიდხანს ვერ გაგრძელდება. მოსადეჰსა და ორივე შაჰ ფაჰლავებს (მამა-შვილს) შორის ურთიერთობა მშვიდობიანი არასოდეს ყოფილა.

მოსადეჰი ფრანგული აზროვნების მიმდევარი, დემოკრატი და ლიბერალი კაცი გახლდათ, რომელსაც სწამდა ისეთი ინსტიტუტების, როგორებიცაა დემოკრატია, პარლამენტი, თავისუფალი მედია და აკრიტიკებდა ისეთ ურთიერთობას ამ ინსტიტუტებსა და ხელისუფლებას შორის, როგორიც მის სამშობლოში არსებობდა. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, ევროპაში განათლება მიღებული მოსადეჰი პარლამენტის წევრი ხდება და მისი ტრიბუნიდან იბრძვის კორუფციისა და ნეპოტიზმის, ხელისუფლების მექრთამეობისა და ელიტის გამყიდველობის წინააღმდეგ. როდესაც რეზა ხანმა გადატრიალება მოახდინა და თავზე შაჰის გვირგვინი დაიდგა, მოსადეჰი მის წინააღმდეგ მთელი სიმკაცრით გამოვიდა, უზურპატორი უწოდა და უცხო გავლენის ქვეშ მოხვედრაში ამხილა. ესეც არ იკმარა, პროტესტის ნიშნად პარლამენტი დატოვა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზეც ხელი აიღო. რეზა ხანის დაცემის შემდეგ მოსადეჰსა და მის თანამოაზრეებს ასპარეზი გაეხსნათ.

ახალგაზრდა შაჰი ის ადამიანი იყო, რომელსაც იმ დროს პოლიტიკაზე მეტად გართობა და სპორტი აინტერესებდა. ლიბერალების აზრით, შესაძლებელი იყო დემოკრატიული სისტემის განვითარება და ირანის უცხო გავლენისაგან გამოყვანა. მოსადეჰის ძალა მაშინ დიდი იყო. მის მოწოდებებს ისეთი გავლენა ჰქონდა და ისეთი პოპულარული შეიქმნა, რომ შაჰი თითქმის აღარავის ახსოვდა. შაჰს ეს დიდად არ აწუხებდა, თამაშობდა ფეხბურთს, დაფრინავდა საკუთარი თვითმფრინავით, აწყობდა ნიღბიან ბანკეტებს და სხვ. ამავე პერიოდს ეკუთვნის მისი განქორწინება, ხელმეორედ დაქორწინება, შვეიცარიაში საქორწინო მოგზაურობა და იქ თხილამურებზე სრიალი.

ირანში შაჰი არასოდეს ყოფილა პოპულარული და ადამიანებიც, რომელთანაც მას ხშირი კონტაქტები ჰქონდა, ცოტანი იყვნენ, განსაკუთრებით მისი მმართველობის ბოლო ხანებში, როდესაც ამ ადამიანებს ძირითადად ოფიცრობა შეადგენდა. მისი იმედი იყო სასახლის დაცვაც.Uუფროს ოფიცრებს ახსოვდათ არმიის უწინდელი პრესტიჟი და ძალა. შაჰს გვერდით ედგა ახალგაზრდა ოფიცრობაც, მისი თანატოლები სამხედრო სასწავლებლიდან. მათ აღიზიანებდათ მოსადეჰის მიერ ქუჩის გაძლიერება და ქვეყნის იქიდან მართვა.

მაგრამ მოსადეჰს ზურგს უმაგრებდა იმ დროის დიდი ავტორიტეტი – აიათოლა კაშანი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მოხუც დოქტორს მხარს მთელი ქვეყანა უჭერდა.

ფოტოგრაფია (6)

შაჰი და მისი ახალი მეუღლე, სორაია ესფანდიარი რომში არიან. მაგრამ ეს არაა მათი საქორწინო მოგზაურობა, მხიარული და უზრუნველი გართობა, შორს ყოველდღიური მომქანცველი და რუტინული ცხოვრებისაგან. არა, ესაა მათი გაქცევა ქვეყნიდან. ამ სპეციალურად პოზირებულ სურათზეც კი ვერ ახერხებს ოცდათოთხმეტი წლის შაჰი თავისი ნერვიულობისა და დაძაბულობის დამალვას. ის ნათელ, მოდურ კოსტუმშია გამოწყობილი, ახალგაზრდაა და მზე მოკიდებული. იგი ქვეცნობიერად გრძნობს, რომ სწორედ ამ დღეებში გადაწყდება მისი, როგორც მონარქის ბედი ანუ მან ჯერ კიდევ არ იცის, კვლავ ეღირსება თუ არა ირანის ტახტზე ასვლა თუ სიცოცხლის ბოლომდე ასე მიუსაფარმა უნდა გაატაროს და სამყაროს კიდით-კიდემდე იაროს, როგორც ემიგრანტმა. სამაგიეროდ სორაია, ეს საკმაოდ ცივი შეხედულობის (შავ სათვალეებში) ლამაზი ქალბატონი, ბახჰიარების ტომის ბელადისა და ირანში დასახლებული გერმანელი ქალის ქალიშვილი, იმ ადამიანს წააგავს, რომელიც თავს კარგად იმორჩილებს და მისი მწყობრიდან გამოყვანაც ძალზე ძნელია. ისინი რომში გუშინ, 1953 წლის აგვისტოში საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრინდნენ. მას თავად შაჰი მართავდა. სამეფო წყვილი სასტუმრო ექსელსიორში დაბინავდა, სადაც ახლა ჟურნალისტთა და ფოტორეპორტიორთა მთელი არმია ირევა, რომლებიც მოუთმენლად ელიან მათი მაღალბრწყინვალების გამოჩენას. რომი ზაფხულის ამ მშვენიერ დღეებში ტურისტებითაა სავსე, იტალიურ პლაჟებზე ნემსი ვერ ჩავარდება (ზუსტად მაშინ შედის მოდაში ბიკინის კოსტიუმები). ევროპა ისვენებს, მოგზაურობს, ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს ეცნობა, ძვირფას რესტორნებში სადილობს, მთებში ექსკურსიებზე დადის, ძალას იკრებს, ჯანმრთელობას იკაჟებს, შემოდგომის სიცივეებისა და ზამთრის ყინვების გასაძლებად ემზადება.

ამ დროს კი თეირანში ძალიან ცხელა როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. აქ არავინ არ ფიქრობს დასვენებაზე, რამეთუ ჰაერში დენთის სუნი იგრძნობა და ისიც ისმის, თუ როგორ ულესავენ დანას პირს. ყველას ის აკერია პირზე, რომ რაღაც მოხდება, ნამდვილად რაღაც მზადდება (ყველა გრძნობს თანდათან უფრო და უფრო დამძიმებული ჰაერის მწვალებელ წნევას, რომელიც მოახლოებული აფეთქების მომასწავებელია), მაგრამ იმის შესახებ, თუ ვინ დაიწყებს და რა სახე ექნება ამას, ეს მხოლოდ შეთქმულთა ვიწრო ჯგუფმა იცის. დოქტორ მოსადეჰის ორწლიანი ხელმწიფობა ბოლო დღეებს ითვლის. დოქტორი, რომელსაც კარგა ხანია, თავდასხმით ემუქრებიან (მისი, როგორც დემოკრატისა და ლიბერალის, წინააღმდეგ ამხედრებულან შაჰის მომხრეები, და ფანატიკოსი ისლამისტები) თავისი საწოლით, პიჟამოებით სავსე ფუთით (მას ჩვეულებად ჰქონდა პიჟამაში მუშაობა) და წამლებით სავსე ჩანთით პარლამენტში გადადის სამუშაოდ, სადაც, როგორც თავად ეჩვენება, უფრო უსაფრთხოდ იქნება. აქ დასახლდა და აქედან მართავს ქვეყანას, ისე, რომ შენობას არ ტოვებს. იგი იმ დონემდე მოტყდა, რომ ვინც იმ დღეებში ნახეს, ყურადღებას აქცევდნენ ცრემლებს მის თვალებზე. მისი ყველა იმედი დაემხო, ყველა გათვლა მცდარი აღმოჩნდა. ინგლისელები კი გაყარა ნავთობით სავსე მიწებიდან, რადგან მიაჩნდა, რომ საკუთარ სიმდიდრეზე უფლება ყველა ქვეყანასა აქვს, მაგრამ დაავიწყდა, რომ ძალა უფლებაზე მაღლა დგას. დასავლეთმა ირანს ბლოკადა, ხოლო

მის ნავთობს - ბოიკოტი გამოუცხადა. მისი რეალიზაცია მკაცრად აიკრძალა საერთაშორისო ბაზრებზე. მოსადეჰი ვარაუდობდა, რომ ინგლისელებთან დაჯახებისას მის სიმართლეს ამერიკელები მიხვდებოდნენ და მხარს დაუჭერდნენ. მაგრამ შეცდა. ამერიკელებს მისთვის მაშველი ხელი არ გაუწვდიათ. ირანი, რომელსაც ნავთობის გარდა ბევრი არაფერი აქვს გასაყიდი, გაკოტრების წინაშე აღმოჩნდა. დოქტორი ეიზენჰაუერს წერილს წერილზე წერს, მოუხმობს მის სინდისსა და გონებას, მაგრამ წერილები უპასუხოდ რჩება. ეიზენჰაუერი კომუნიზმისადმი მის სიმპათიებშია დაეჭვებული, თუმცა მოსადეჰი კომუნიზმის წინააღმდეგია. იგი უბრალოდ გულმხურვალე დამოუკიდებელი პატრიოტია. არავის სურს მოისმინოს მისი ახსნა-განმარტებები, რამეთუ ამა ქვეყნის მდიდართა თვალში ჩამორჩენილი ქვეყნების პატრიოტები საეჭვო ადამიანებად მოჩანან. ეიზენჰაუერი უკვე ესაუბრა შაჰს, მასზე ამყარებს იმედებს, მაგრამ შაჰი თავის სამშობლოში საბოლოოდ გაკოტრებულია, კარგა ხანია, რაც სასახლიდან არ გამოდის, შიშსა და დეპრესიას განიცდის, ან ფრთხილობს, გაცეცხლებულმა ხალხმა ტახტიდან არ გადააგდოს. თავის ახლობლებს არ უმალავს, რომ ყველაფერი დაკარგულია! დიახ, ყველაფერი დაკარგულია!

შაჰი დიდხანს ყოყმანობდა, დაეჯერებინა თუ არა თავისი ერთგული ოფიცრებისათვის, რომლებიც ურჩევდნენ გადაეყენებინა მოსადეჰი, თუ სურდა, მონარქია, ტახტი და არმია შეენარჩუნებინა (მაღალი ჩინის ოფიცრობა განაწყენებული იყო მოსადეჰზე, რადგან მან ბოლო ხანებში თორმეტი ოფიცერი გაათავისუფლა, რომელთაც ბრალად სამშობლოსა და დემოკრატიის ღალატი ედებოდა). შაჰი დიდხანს ვერ ახერხებდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას, რომელიც მასა და პრემიერს შორის ისედაც საფუძველმორყეულ ხიდს საბოლოოდ ჩატეხდა (ორივე ერიდებოდა ბრძოლას, რომელიც არც ერთისათვის არ იყოს სასარგებლო, რადგან საქმე ეხებოდა ერთმმართველობის საკითხს, რომლის დროსაც ერთ მხარეზე შაჰი იდგა, ხოლო მეორე მხარეს დემოკრატია მოსადეჰის სახით). იქნებ შაჰი იმიტომაც ითრევდა ფეხს ამ ბრძოლის დასაწყებად, რომ გარკვეული მორიდება ჰქონდა მოხუცი დოქტორის მიმართ, ან იქნებ გამბედაობა, ნებისყოფა არ ჰყოფნის, საკუთარ ძალებში დარწმუნებული არ იყო. იქნებ ისიც სურდა, რომ მთელი ეს ბინძური და მტკივნეული საქმე მის მაგიერ სხვას შეესრულებინა. ასეთ ყოყმანში მყოფი გაღიზიანებული შაჰი თეირანიდან თავის საზაფხულო რეზიდენციაში, კასპიის ზღვის პირად, რამსარში გაემგზავრა, სადაც პრემიერის გადაყენების შესახებ ბრძანებას ბოლოს მაინც მოაწერა ხელი. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ეს პირველი ცდა პრემიერთან ანგარიშისწორებისა ნაადრევად გამოაშკარავდა და სასახლის დამარცხებით დასრულდა. შაჰი არ დაელოდა მოვლენების შემდგომ განვითარებას, დატოვა ირანი და მეუღლესთან ერთად რომში გაფრინდა.

ფოტოგრაფია (7)

ეს სურათი გაზეთიდანაა ამოჭრილი, მაგრამ ისე დაუდევრად, რომ წარწერაც მიყოლებული აქვს. სურათზე მაღალ, გრანიტის პიედესტალზე მდგარი მხედარი ჩანს. ჰერკულესის აღნაგობის მხედარს, ერთ ხელში აღვირი უჭირავს, მეორე ხელით რაღაც მიზანზე მიანიშნებს (როგორც ჩანს, ნათელი მომავლისაკენ სურს ქვეყნის წაყვანა). მხედარს კისერზე შემოჭერილი აქვს თოკი, თოკი აქვს შემოჭედილი ცხოველსაც.

სკვერში ქანდაკების ირგვლივ თავმოყრილი კაცები ეჭიდებიან ამ თოკებს და მათი წაქცევა სურთ. ეს ყველაფერი ხდება მოედანზე, სადაც უამრავი ადამიანია მოგროვილი. ისინი ცნობისმოყვარეობით შესცქერიან ამ პროცესს.

სურათი იმ დროსაა გადაღებული, როდესაც თოკები სიმივითაა დაჭიმულია და მხედარიც და ცხენიც საცაა მიწაზე დაენარცხებიან. სურათის ყურებისას უნებლიედ იმაზე ფიქრობ, რომ ეს მამაკაცები, რომლებიც მთელი ძალ-ღონის დაძაბვით ექაჩებიან თოკებს, ქანდაკება ზედ არ დაეცეთ. თუ მოასწრებენ გვერდზე გადახტომას, მათ ირგვლივ ხომ თანდათან მატულობს მაყურებელი?! სურათზე ერთ-ერთი შაჰის (მამის ან შვილის) ქანდაკება მოჩანს, თეირანში თუ სხვა ადგილას. ეს რთული დასადგენია, ვინაიდან ორივე შაჰის (ფაჰლავების) ქანდაკებას ანგრევდნენ, როდესაც კი ირანელებს ამის საშუალება მიეცემოდათ. ახლაც, გაიგეს თუ არა, შაჰი ირანიდან გაიქცა და რომში იმალებაო, ხალხი მოედანზე გამოვიდა და თავიანთი მბრძანებლების ქანდაკებებს ნგრევა დაუწყეს.

გაზეთი (1)

მასში შაჰის ქანდაკებების ,,სტაჟიან" მნგრეველთან თეირანის გაზეთის ,,Kayhan"-ის ჟურნალისტის საუბარია დაბეჭდილი:

- გორან, ამ რაიონში ძალიან პოპულარული გახდით, როგორც შაჰის ქანდაკებების მნგრეველი. თქვენ ამ საქმის ვეტერანადაც კი ხართ მიჩნეული.

- სრული სიმართლეა. პირველად ჯერ კიდევ წინა შაჰის, ანუ მოჰამედ რეზას მამის ქანდაკება დავანგრიე, როცა ის გადადგა. ეს 1941 წელს მოხდა. მახსოვს, ხალხმა როგორ გაიხარა, როდესაც მოხუცი შაჰის გადაგდომა გაიგო. მაშინვე გავვარდით მისი ქანდაკებების დასანგრევად. იმ დროს პატარა ბიჭი ვიყავი და მამას ვეხმარებოდი ამ საქმეში. ის მეზობლებთან ერთად ანგრევდა იმ ქანდაკებებს, რომლებიც ძველმა შაჰმა ჩვენს რაიონში დადგა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩემი პირველი ნათლობა იყო.

- ამით ალბათ ძალიან გაითქვით სახელი, არა?

- მაშინ ჯერ კიდევ არა. ეს ის წლები იყო, როდესაც ძველი შაჰის გადადგომის შემდეგ ქვეყანაში თავისუფლებამ დაისადგურა. ახალგაზრდა შაჰს მაშინ არ ჰქონდა ისეთი დიდი ძალა, რათა თავისი ხელისუფლება გაემყარებინა. ვის უნდა დაეშალა მაშინ ჩვენთვის ამის გაკეთება? ყველა მონარქიის წინააღმდეგ გამოდიოდა. შაჰს მხოლოდ სამხედრო ნაწილი და, ცხადია, ამერიკელები უჭერდნენ მხარს. შემდეგ მოახდინეს გადატრიალება, ჩაამწყვდიეს ჩვენი მოსადეჰი, დახოცეს მისი ხალხი, ასევე კომუნისტები. მალე შაჰი დაბრუნდა და დიქტატურა დაამყარა. ეს 1953 წელს მოხდა.

- კარგად გახსოვთ ის წელი?

- მახსოვს, აბა რა. ეგ ხომ მნიშვნელოვანი წელი იყო, რამეთუ მაშინ დემოკრატია დასრულდა და ახალი რეჟიმი დაიწყო. ყოველ შემთხვევაში კარგად მახსოვს, როგორ გადმოსცა რადიომ, შაჰი ევროპაში გაიქცაო. როდესაც ხალხმა ეს გაიგო, ქუჩაში გაიქცა და მამა-შვილის იმ ქანდაკებების დანგრევა დაიწყო, რომელიც ახალგაზრდა შაჰმა ტახტზე ასვლისთანავე დადგა. ისე, რომ სამი წლის განმავლობაში საკმაოდ მოგროვდა მათი ქანდაკებები. ჩვენც საქმე გაგვიჩნდა. მამაჩემი გარდაცვლილი იყო, მაგრამ მე უკვე მოზრდილი ბიჭი ვიყავი და მაშინ პირველად დავიწყე ქანდაკებების დამოუკიდებლად დანგრევა.

- და მერე, შაჰის ყველა ქანდაკება დაანგრიეთ?

- კი, თუმცა ეს არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. როდესაც შაჰი უკან დაბრუნდა, ფაჰლავების ერთი ქანდაკებაც არ იყო ადგილზე. მაგრამ შემდეგ მან კვლავ დაიწყო თავისთვის და მამამისისთვის ქანდაკებების დადგმა.

- ესე იგი, თქვენ ანგრევდით, ის აგებდა?! ის აგებდა და - თქვენ ანგრევდით?!

- ასე გამოდის. შეიძლება ითქვას, რომ ხელები დაგვიკოჟრდა მათი ქანდაკებების ნგრევით. ჩვენ ვანგრევდით ერთს, ის აგებდა სამს, ვანგრევდით სამს, ის აგებდა ათს და ამ ყველაფერს საზღვარი არ ჰქონდა.

- 1953 წლის შემდეგაც ანგრევდით?

- ჩვენ ამის გაკეთება 1963 წელს გვინდოდა, როდესაც აჯანყებამ იფეთქა და შაჰმა ჰომეინი დააპატიმრა, მაგრამ მან ისეთი ეგზეკუციები წამოიწყო, რომ იძულებულები გავხდით დაგვემალა ჩვენი თოკები.

- ეგ როგორ გავიგოთ, ამ საქმისათვის სპეციალური თოკები გქონდათ?

- აბა როგორ?! სპეციალურად მაგარი, გასანთლული თოკები გვქონდა, რომელთაც ბაზარში თოკების გამყიდველთან ვინახავდით. სახუმარო საქმე როდი იყო. თუკი პოლიცია კვალს აიღებდა, ჩვენ კედელთან მიგვაყენებდა. ყველაფერი მომზადებული, გათვლილი და მოფიქრებული გვქონდა ასეთი წუთებისათვის. უკანასკნელი რევოლუციის დროს, ანუ 79 წელს, მთელი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ამ საქმეში მრავალი გამოუცდელი ადამიანი ჩაერთო, რის გამოც ბევრი უბედური შემთხვევა ხდებოდა. ისინი ზოგჯერ ვერ ასწრებდნენ განზე გადგომას და ქანდაკება პირდაპირ თავზე ეცემოდათ. ძეგლის დანგრევა ისე ადვილი როდია, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. უაღრესად პროფესიულად უნდა მივუდგეთ ამ საქმეს და გვქონდეს გარკვეული გამოცდილება. ანუ ვიცოდეთ, რისგანაა აგებული, რომელ ადგილას გამოვდოთ თოკი და რომელ მხარეს გადავაყირაოთ ფიგურა, რათა ჩამოგდებისას თავზე არ დაგვეცეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, შემდეგ როგორ გავანადგუროთ ის. ჩვენ ამ დეტალებს მაშინვე ვაზუსტებდით, როდესაც შაჰი მორიგ ქანდაკებას დგამდა. ეს საუკეთესო დრო იყო, გვენახა, როგორია მისი კონსტრუქცია, ფიგურა ცარიელია თუ შევსებული და რაც ყველაზე მთავარია – რით და როგორაა დამაგრებული კვარცხლბეკზე.

- ყოველივე ამის შესწავლას ალბათ დიდ დროს ანდომებდით.

- ძალიან დიდ დროს. ხომ იცით, რომ ბოლო ხანებში შაჰი ძალიან ბევრ ძეგლებს – მოედნებზე, სკვერებში, სასახლეებში, გზებზე - იდგამდა. გარდა ამისა, სხვებიც უდგამდნენ. ვისაც სურდა კარგ ურთიერთობა ჰქონდა მასთან, ჩქარობდა პირველს დაედგა ძეგლი. საბოლოოდ იმდენი ძეგლი დაგროვდა, რომ ეჭვიც კი მეპარებოდა, შევძლებდით კი ყველა მათ დანგრევას. ისინი ხომ ასობით იყო. და მართლაც, თავდაუზოგავად ვმუშაობდით, ხელები სულ დახეთქილი და მაზოლიანი მქონდა.

- ისე, კაცმა რომ თქვას, საინტერესო პროფესია გქონიათ.

- ეს არ იყო პროფესია, ეს იყო მოვალეობა. ძალზე მეამაყება, რომ შაჰის ქანდაკებების სასტიკი მტერი ვიყავი. ვფიქრობ, რომ ყველა ის, ვინც მიიღო მონაწილეობა მისი ძეგლების ნგრევაში, ამით სიამაყის გრძნობას განიცდიან. ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ყველასათვის ნათელია, ახლა უკვე ყველა კვარცხლბეკი გასუფთავებულია, ხოლო შაჰის ფიგურები კი დამსხვრეული და სადღაც სარდაფებში ყრია.

წიგნი (1)

ამერიკელი რეპორტიორები დავით ვაისი და თომას როსი თავიანთ წიგნში ,,The Invisible Government" (Londyn 1965), წერენ:

არავითარი ეჭვი არ უნდა შევიტანოთ იმაში, რომ ამერიკულმა დაზვერვამ მოახდინა და ხელმძღვანელობდა იმ გადატრიალების ორგანიზაციას, რომელმა 1953 წელს დაამხო პრემიერი მოჰამედ მოსადეჰი და ირანის ტახტზე შაჰი მოჰამედ რეზა ფაჰლავი აიყვანა. მაგრამ ბევრმა ამერიკელმა როდი იცის, რომ გადატრიალების სათავეში იდგა CIA-ს (ამერიკის დაზვერვის სამსახური – ა.გ.) აგენტი, რომელიც პრეზიდენტ რუზველტის შვილიშვილი იყო. ამ ადამიანმა –კერმიტ რუზველტმა – ისე ოსტატურად განახორციელა თეირანში ეს ოპერაცია, რომ შემდგომ, მრავალი წლის განმავლობაში მას ,,მისტერ ირანს" უწოდებდნენ. ამ სააგენტოს თანამშრომლებს შორის შეიქმნა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც მოსადეჰზე თავდასხმას კერმიტი ხელმძღვანელობდა. თითქოს იგი რევოლვერით ხელში პირველ ტანკში იჯდა, როდესაც ტანკები თეირანის ქუჩებში გამოჩნდნენ. თუმცა სხვა აგენტი, რომელმაც კარგად დაინახა, რაც მაშინ ქალაქში ხდებოდა, ამბობს, რომ ეს ამბავი ნამდვილად გადაჭარბებულია და ,,რომანტიული ელფერი" დაჰკრავს. თავად იგი იმდროინდელ ამბებს ასე აფასებს: კერმიტი მთელ ამ ოპერაციას არა ქუჩიდან, არამედ თეირანის ერთ-ერთი სარდაფიდან ხელმძღვანელობდა და თავის მონაყოლს ამასაც უმატებს: ,,ეს ოპერაცია მართლაც რომ ჯეიმს ბონდის ოსტატობით ჩატარდა".

გენერალი ფაზოლაჰ ზაჰედიც, რომელიც CIA-მ პრემიერ მოსადეჰის ადგილას დანიშნა, იმსახურებს მასზე ამ ხასიათის მოთხრობის დაწერას. ეს იყო მაღალი, წარმოსადეგი, ქალების მოყვარული მამაკაცი, რომელიც ბოლშევიკებს ებრძოდა, შემდეგ ქურთებს ჩაუვარდა ხელთ, 1942 წელს კი ინგლისელებმა დააპატიმრეს, რამეთუ ეჭვი შეიტანეს, თითქოს იგი ჰიტლერის აგენტი იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისელები და რუსები ერთად შეიჭრნენ ირანში. ბრიტანეთის აგენტები, რომლებმაც დააპატიმრეს ზაჰედი, ამტკიცებდნენ, რომ მის საძინებელ ოთახში მხოლოდ გერმანული ავტომატური იარაღის კოლექცია, ქალის აბრეშუმის საცვლები, ცოტაოდენი ოპიუმი, წერილები გერმანელი პარაშუტისტებისაგან, რომლებიც მთებში მოქმედებდნენ და თეირანში მცხოვრები ყველაზე ლამაზი ბოზების ალბომი ნახეს.

მის დასრულებისთანავე ზაჰედი საზოგადოებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა. შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, როდესაც 1951 წელს მოსადეჰი პრემიერი გახდა. მოსადეჰმა ნაციონალიზება გაუკეთა ბრიტანულ ფირმა ანგლო-ირანიანს და უკან დაიბრუნა ნავთობის გადამამუშავებელი ქარხანა სპარსეთის ყურეში, ქალაქ აბადანში.

მოსადეჰი ლოიალურად იყო განწყობილი ზაჰედის, ასევე ირანის კომუნისტური პარტიის მიმართ, რის გამოც ლონდონსა და ვაშინგტონში შიშობდნენ, რომ ამ ქვეყანაში რუსები შევიდოდნენ და ირანის ნავთობის რესურსებს დაიკავებდნენ. მოსადეჰი, რომელიც ქვეყანას ლოგინში მწოლიარე ხელმძღვანელობდა, ამტკიცებდა, რომ ძალიან ავადაა, ზაჰედიმ გადააყენა, რამეთუ ამ უკანასკნელს არ მოსწონდა პრემიერის ასეთი ლოიალური დამოკიდებულება კომუნისტების მიმართ. ასეთ ვითარებას ჰქონდა ადგილი, როდესაც CIA-მ და კერმიტ რუზველტმა მოსადეჰის გადაყენებისაკენ

მიმართული საქმიანობა დაიწყეს. ამის შემდეგ მათ ამ პოსტზე ზაჰედის აყვანა უნდოდათ. როგორც ვხედავთ, მიზანს მიაღწიეს კიდეც.

მოსადეჰის მოშორება ერთად დაიგეგმა ამერიკული და ბრიტანული მთავრობების მიერ. CIA-მ შეისწავლა მდგომარეობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ოპერაცია წარმატებით დასრულდებოდა, რამეთუ იმ დროს ირანში შექმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარება ამას ხელს უწყობდა. რუზველტი მაშინ 37 წლის იყო და უკვე სადაზვერვო საქმის ვეტერანად ითვლებოდა. მან ირანში არალეგალურად შეაღწია. საზღვარი ავტომანქანით გადაკვეთა, თეირანში ჩავიდა და იქ უკვე თვალიდან გაუჩინარდა. უნდა გამქრალიყო კიდეც, რამეთუ იგი მანამდე რამდენჯერმე ეწვია ირანს და მისი სახე დაფიქსირებული იყო. მან უამრავი საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა, რათა მოსადეჰის ჯაშუშებს არ მიეგნოთ მისი ადგილსამყოფელისათვის. ამაში რუზველტს ხუთი ამერიკელი მიეხმარა და მათ შორის, ამერიკის საელჩოში მომუშავე CIA-ს აგენტებიც. მათთან თანამშრომლობდა ასევე რამდენიმე ადგილობრივი მაღალჩინოსანიც, რომლებთან კავშირიც შუამავლების საშუალებით ჰქონდა.

13 დეკემბერს შაჰმა ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის ძალითაც მოსაჰედი გადააყენა და პრემიერად ზაჰედი დანიშნა. მაგრამ მოსაჰედმა დააპატიმრა ის პოლკოვნიკი, ვინც მას ეს დოკუმენტი ხელმოსაწერად მიუტანა (იგი იყო ნემატოლაჰ ნასირი, შემდგომში სავაკის შეფი). ქუჩაში ხალხი გამოვიდა, რათა პროტესტი გამოეხატათ შაჰის გადაწყვეტილებისათვის. სწორედ მაშინ მან და მისმა მეუღლემ ირანი დატოვეს და რომს მიაშურეს.

შემდგომ ორ დღეს ქვეყანაში ისეთი ქაოსი და უწესრიგობა გაბატონდა, რომ რუზველტმა კავშირი დაკარგა თავის ირანელ მეკავშირეებთან. ამასობაში შაჰი რომში ჩავიდა, სადაც მას CIA-ს შეფი ალენ დალესი შეხვდა. დალესს სურდა მოჰამედ რეზასთან ერთად ამ აქციის ყველა დეტალი დაეგეგმა და დაეზუსტებინა. ამ დროს თეირანში კომუნისტურად განწყობილი ბრბო აკონტროლებდა ქუჩებს. ისინი შაჰის გაქცევას მისი ძეგლების დანგრევით აღნიშნავდნენ. მალე ჯარი ბანაკიდან გამოვიდა და ბრბოს ალყა შემოარტყა. 19 აგვისტოს დილით რუზველტი, რომელიც სამალავიდან კვლავ არ გამოსულიყო, ბრძანებას აძლევდა ირანელ აგენტებს, რომ ქუჩაში გამოეყვანათ ყველა, ვისი გამოყვანაც შეეძლოთ.

აგენტებმა სპორტულ დარბაზებს მიაშურეს და იქიდან სპორტსმენები - ძალოსნები და ტანმოვარჯიშეები წამოიყვანეს, რომლებიც, შაჰის სადიდებელ მოწოდებებს გაჰყვიროდნენ.

ზაჰედი საღამოს გამოვიდა სამალავიდან. გაქცეული შაჰიც დაბრუნდა რომიდან. მოსაჰედი დააპატიმრეს. მისი მომხრეები - დახვიტეს.

ცხადია, შეერთებულ შტატებს ოფიციალურად არასოდეს უღიარებია ის როლი, რომელიც CIA-მ შეასრულა ამ ყველაფერში. შედარებით ყველაზე მეტი ამ თემის ირგვლივ თავად დალესმა თქვა, როდესაც თავისი გადადგომის შემდეგ ტელევიზიით გამოვიდა. კითხვაზე: ,,მართალია თუ არა, რომ CIA-მ მილიონობით დოლარი დახარჯა იმ ადამიანების დასაქირავებლად, რომლებიც მაშინ თეირანის ქუჩაში გამოვიდნენ და ასევე სხვა აქტებისათვისაც, რომელთა მიზანსაც მოსაჰედის გადაყენება წარმოადგენდა”, დალესმა უპასუხა: ,,OK” მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ

მტკიცება იმისა, თითქოს ამ მიზნისათვის ბევრი ფული დავხარჯეთ, სიმართლეს ნამდვილად არ შეეფერება".

წიგნი (2)

ფრანგი რეპორტიორები ჟან ბრეიერი და პიერ ბლაჰეტი წიგნში: ,,Iran: La revolution au nom de Dieu" (პარიზი, 1979) წერენ:

,,რუზველტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დამდგარიყო დრო, როდესაც შეტევაზე უნდა გაეშვათ ხაბახან ბიმორის რაზმები. ამ უკანასკნელს სხვანაირად ,,უტვინო ხაბახანს" უწოდებდნენ. მისი დროშის ქვეშ თეირანში თავს ასე სამასი-ოთხასი კაცი მოიყრიდა, მაგრამ სამაგიეროდ ისინი არაფრის გამო უკან არ დაიხევდნენ, ცხადია, იმ პირობით, თუ სათანადო იარაღს მიიღებდნენ. შეერთებული შტატების ახალი ელჩი მიდის მელის ბანკში ფულის, დოლარების კონვერტის ასაღებად, რითიც თავის ავტომანქანას გაავსებს. მასში, როგორც ამბობენ, ოთხასი ათასი დოლარია. შემდეგ მას რეალებზე გადაცვლის.

19 აგვისტოს ირანელთა მცირე ჯგუფი (ეს ,,უტვინო ხაბახანის" ხალხია) ბანკნოტებს ჰაერში აფრიალებს და ყვირის: ,,იყვირეთ, შაჰს გაუმარჯოსო!". ისინი, ვინც მართლაც დაიწყებდა ამის ყვირილს, ათ რეალს იღებდა. მალე პარლამენტის ირგვლივ მრავალი ადამიანი მოგროვდა, შემდეგ მათ დემონსტრაცია მოაწყვეს და თან ,,შაჰს გაუმარჯოსო" – ყვიროდნენ. ქუჩაში გამოსული ხალხის რაოდენობა თანდათან იზრდება, ამასთან, ზოგი მოსაჰედის მხარდასაჭერად არის აქ მოსული, ზოგიც – შაჰის.

მაგრამ მალე ქუჩაში ტანკები გამოჩნდება და მათ წინააღმდეგ გაემართება, ვისაც არ სურს მხარი შაჰს დაუჭიროს: მალე ზაჰედიც ჩაერთვება ამ საქმეში და ხოცვა-ჟლეტას დაუწყებენ უიარაღო ხალხს. ამ ადგილას ორასზე მეტ ადამიანს დახვრეტენ და ხუთასზე მეტიც დიჭრება. ოთხი საათისათვის ყველაფერი დასრულებულია და ზაჰედი ტელეგრამას უგზავნის შაჰს, რომ შეუძლია უსაფრთხოდ დაბრუნება.

1953 წლის 26 ოქტომბერს თეირანის სამხედრო გუბერნატორად თემურ ბახკიარს, დაუნდობელსა და შეუბრალებელ კაცს დანიშნავენ, რომელსაც მალე ზედმეტ სახელად ,,მკვლელს" დაარქმევენ. მოკლე ხანში მისი ძირითადი საქმე ის გახდება, რომ მოსადეჰის იმ მხარდამჭერებს დაუწყებს დატყვევებასა და დაპატიმრებას, რომლებიც გადარჩნენ და თავი შეაფარეს. ქასრის ცნობილი ციხე კრიმინალებისაგან დაცალეს, ხოლო იმ ციხეებს ტანკებით იცავენ, სადაც სატვირთო მანქანებით განუწყვეტლივ მოჰყავთ დაპატიმრებულები. მოსადეჰის მხარდამჭერებს - მინისტრებს, საეჭვო ოფიცრებს, ტუდეჰის (მისი პარტია) აქტიურ მოღვაწეებს აპატიმრებენ და აწამებენ. ადამიანებს დღე და ღამე სჯიან.

ირანელთა მეხსიერებაში 1953 წლის 19 აგვისტო შაჰის, მოჰამედ რეზა ფაჰლავის ტახტზე ასვლის ნამდვილი თარიღია, ტახტზე ასვლისა, რომელსაც წინ საშინელი რეპრესიები და სისხლის მდინარეები უძღოდა.

კასეტა (1)

- დიახ ბატონო, რა თქმა უნდა, შეგიძლია მოისმინოთ. ის ახლა უკვე აღარაა აკრძალული. ადრე ეს შეუძლებელი იყო. თქვენ თუ იცით, ჩემო ბატონო, რომ მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში აკრძალული იყო მისი სახელის ხსენება? რომ სიტყვა ,,მოსადეჰი“ ყველა წიგნიდან, ყველა სახელმძღვანელოდან იყო ამოღებული? რა, ახლა თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ახალგაზრდები, რომლებსაც თითქოს არაფერი უნდა სცოდნოდათ მის შესახებ, სასიკვდილოდ სწირავდნენ თავს და მაინც მიჰქონდათ მისი პორტრეტები?! ასეთი შესწორებები ხომ მთელი რეალური ისტორიული პროცესების შეცვლას ნიშნავდა?! მაგრამ შაჰს ამის გაგება არ უნდოდა. მას არ შეეძლო იმის წარმოდგენა, რომ შეიძლება ადამიანი გაანადგურო, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი შეწყვეტს არსებობას. პირიქით, თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი უფრო ინტენსიურ არსებობას დაიწყებს.

სეს ისეთი პარადოქსია, რომლის წინააღმდეგაც ნებისმიერი დესპოტი უძლურია. ცელს კი მოიქნევს და ბალახს მოთიბავს, მაგრამ კვლავაც ამოიზრდება და ამასთან ისეთი მაღალი გახდება, როგორც არასდროს. მოსადეჰი! ინგლისელები მას ფამილიარულად – old Mossy-ის ეძახდნენ. თუმცა სულ ცოფებს ყრიდნენ მის გამო, მაგრამ დიდი სიმპათიითაც იყვნენ განწყობილი ამ პიროვნების მიმართ. ვერც ერთი ინგლისელი ვერ გაბედავდა მისთვის სროლას. ეს ისევ ჩვენმა მუნდირში გადაცმულმა დოყლაპიებმა გააკეთეს. მათ რამდენიმე დღეში დაამყარეს თავისი წესრიგი!

მოსი სამი წლით ციხეში ჩასვეს. ხუთი ათასი კაცის სიცოცხლე შეეწირა ამ წესრიგს. ისინი ან კედელთან მიაყენეს ან ქუჩაში ბრძოლებისას დაეცნენ. აი, რა ფასად შეინარჩუნა მაშინ შაჰმა ტახტი. თქვენ გაინტერესებთ, რატომ წააგო მოსადეჰმა ბრძოლა? ჯერ ერთი, მას არ წაუგია, მან მოიგო. თქვენ ასეთი ადამიანები თანამდებობების მიხედვით კი არ უნდა განსაჯოთ, არამედ ისტორიული თვალსაზრისით. ეს კი სრულიად განსხვავებული რამაა. ასეთი ადამიანი შეიძლება თანამდებობიდან გაათავისუფლო, მაგრამ მას ვერავინ წაშლის ისტორიიდან. ვერავინ შეძლებს მისი ხალხის მეხსიერებიდან ამოშლას. ეს უკანასკნელი კერძო საკუთრებაა, რომელსაც ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეეხება. მოსი ამბობდა, რომ მიწა, რომელზედაც დავდივართ, ჩვენია და ასევე ჩვენი საერთო საკუთრებაა ის ყველაფერი... მანამდე ამ ქვეყანაში ეს ასე გაბედულად ვერავინ გამოთქვა. ის ამბობდა, დაე, ყველამ ამოიღოს ხმა, თქვას, რასაც ფიქრობს, მე მსურს თქვენი მოსმენაო.

თქვენ გესმით, ჩემო ბატონო, ორნახევარი ათასი წლის დესპოტიზმის შემდეგ მან გაბედა და უბრალო ადამიანის ყურადღება იმას მიაქცია, რომ იგი მონა კი არა, თავისუფალი და მოაზროვნე არსებაა. ადრე ხომ არც ერთ ხელისუფლებას ეს არ უთქვამს. ის, რასაც მოსსი ამბობდა, ადამიანებს ჭკუაში დაუჯდათ და ეს დღემდე არ დავიწყებიათ, უფრო მეტიც, ამით ცხოვრობენ. ყოველთვის ასეა: ყველაზე კარგად ის სიტყვები რჩება ადამიანის გულში, რომლებიც თვალებს გვიხელენ და სამყაროს სულ სხვა თვალით გვანახვებენ. ის კი მართლაც რომ ასეთი სიტყვებით მოგვმართავდა. თუ შეუძლია ვინმეს გვითხრას, რომ იმაში, რასაც ის ამბობდა და აკეთებდა, რა იყო შეცდომა? არც ერთ ღირსეულ ადამიანს არ გამოუთქვამს მსგავსი რამ. დღეს ყველა იმას ამტკიცებს, რომ მოსადეჰი მართალი იყო. პრობლემა მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ნამეტანი ადრე ამბობდა, დროზე ადრე არ უნდა თქვათ არაფერი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარ კარიერას, საკუთარ სიცოცხლეს აყენებთ რისკის ქვეშ. ყოველი აზრის მომწიფებას დიდი ხანი სჭირდება, ხოლო ადამიანები ამ დროის

განმავლობაში იტანჯებიან ან სიბნელეში ხელის ფათურით დადიან, მაგრამ მოულოდნელად მოდის ადამიანი, რომელიც ამ აზრს გამოთქვამს მანამდე, ვიდრე ის საზოგადოებაში მომწიფდებოდეს, ვიდრე იგი საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება გახდებოდეს და მაშინ, ასეთი ერეტიკოსის წინააღმდეგ ამხედრდება მთელი გაბატონებული ძალა და ამ ადამიანს ან ცეცხლში უკრავენ თავს, ანდა სახჩობელაზე აიყვანენ, ვინაიდან მისი აზრები უკანასკნელთა ინტერესებს ეწინააღმდეგება და მათ ტკბილ ცხოვრებასა და მყუდროებას ურღვევს.

მოსი მონარქიის დიქტატურისა და ქვეყანაში უცხო ქვეყნების გავლენის წინააღმდეგ გამოდიოდა. დღეს უკვე მონარქიები ერთიმეორის მიყოლებით ეცემიან, ხოლო უცხოთა გავლენა უნდა დაფარო, რამეთუ ეს უდიდეს უკმაყოფილებას იწვევს ხალხში. იგი ამის წინააღმდეგ ოცდაათი წლის წინათ გამოვიდა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ვერავინ ამბობდა ასეთ ნათელ და ყველასათვის გასაგებ რამეს. მე ის მისი სიკვდილამდე ორი კვირით ადრე ვნახე. როდის? ეს მე მგონი მოხდა 1967 წლის თებერვალში. მან სიცოცხლის ბოლო ათი წელი შინაპატიმრობაში გაატარა, თეირანის ახლოს თავის პატარა სახლში. ცხადია, მასთან მიახლოვება შეუძლებელი იყო, მთელ იმ ტერიტორიას პოლიცია იცავდა. მაგრამ თქვენთვის ხომ ცნობილია, რომ ამ ქვეყანაში, თუკი ფული გაქვს, ყველაფრის მოგვარება შეიძლება.

მოსი მაშინ დაახლოებით 90 წელს უახლოვდებოდა. ვფიქრობ, იმიტომ ცოცხლობდა ამდენ ხანს, რომ სურდა მოსწრებოდა იმ დროს, როდესაც მისი აზრების ჭეშმარიტება დადასტურდებოდა. მას უაღრესად მტკიცე ხასიათი ჰქონდა და ძალიან რთული იყო მასთან ურთიერთობა. არც დათმობა იცოდა. მაგრამ ასეთ ადამიანებს არ შეუძლიათ და არც ეხერხებათ დათმობა. სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა აზრის სიცხადე და გონიერება. ყველაფერზე საქმის კურსში იყო, თუმცა უკვე ჯოხზე დაყრდნობით ძლივს დადიოდა. სულის მოსათქმელად მალ-მალე ჯდებოდა მიწაზე. პოლიციელები, რომლებიც მას იცავდნენ, შემდეგ ამბობდნენ, რომ ერთ დილასაც ასე მიდიოდა, სვენებ-სვენებით, ჩვეულებისამებრ ერთ ადგილას დაჯდა დასასვენებლად, მაგრამ დიდხანს გაგრძელდა ასე და როდესაც მიუახლოვდნენ, ნახეს, რომ აღარ სუნთქავდა.

რვეულებიდან (2)

ნავთობი უდიდეს ემოციებს აღვიძებს კაცში, რამეთუ იგი უპირველეს ყოვლისა, უდიდესი ცდუნების წყაროა, ადვილი და დიდი ფულის გაკეთების, სიმდიდრისა და ძალის მოპოვების ცდუნების წყარო. ის, მართალია, ჭუჭყიანი და აყროლებულია, რომელიც მიწიდან შადრევანით ამოიფრქვევა ხოლმე მაღლა, სამაგიეროდ ქვევით, დედამიწაზე ფულის შხაპუნა წვიმის სახით ბრუნდება. ვინც აღმოაჩინა და ფლობს ნავთობს, თავს ისე გრძნობს, თითქოს დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ მიწის ქვეშეთში მოულოდნელად სამეფო საგანძურს გადაეყარა. შედეგად იგი არა მხოლოდ მდიდარი გახდა, ისეთი რწმენაც ეუფლება, თითქოს რაღაც ზეციურმა ძალამ წყალობის თვალით გადმოხედა, სხვებისაგან გამოარჩია და თავის ფავორიტადაც კი აქცია. შემონახულია მრავალი ფოტოგრაფია, სადაც ის მომენტია აღბეჭდილი, როდესაც მილში ნავთობის პირველმა ნაკადმა ამოხეთქა: იქ მყოფი ხალხი სიხარულისაგან ადგილზე ვერ ისვენებს, ხტის, ერთმანეთს ეხვევა, იცინის, ტირის.

ალბათ ძნელია წარმოვიდგინოთ ქარხნის მუშა, რომელიც ეიფორიაში ჩავარდება ავტომანქანაზე მორიგი ნაწილის დამაგრების შემდეგ, ან სიცხისაგან გასავათებული გლეხი, რომელიც სახნისს მისდევს და თან სიხარულისაგან დახტის. ეს იმიტომ ხდება, რომ ნავთობი სრულიად განსხვავებული ცხოვრების უზრუნველი ყოფის, უქმი და უფასო არსებობისას ილუზიას უქმნის ადამიანს. ნავთობი არის ნედლეული, რომელიც ადამიანის აზროვნებას წამლავს, გონებას აბნელებს, ახდენს მის დემორალიზაციას. ღარიბი ქვეყნის ადამიანები დღე და ღამ იმაზე ფიქრობენ: ღმერთო ჩემო, რა კარგი იქნებოდა, ნავთობი რომ გვქონდეს! მასზე ფიქრი გამოხატავს ადამიანთა საუკუნო ოცნებას სიმდიდრეზე, რომლის მიღწევაც მას ბედნიერი შემთხვევის წყალობით ექნება და არა დიდი შრომის და ძალების უაღრესად დაძაბვის გზით.

ამ გაგებით ნავთობი ნამდვილად საოცნებო რამაა, ზღაპარია და როგორც ყოველი ზღაპარი – ტყუილია და მეტი არაფერი. ნავთობი ადამიანს ისეთ მედიდურს ხდის, რომ მას იმის რწმენაც კი უჩნდება, თითქოს ისეთი ჯიუტი და მყარი კატეგორიის დაძლევაც კი ხელეწიფებოდეს, როგორსაც დრო წარმოადგენს. - ნავთობის საშუალებით, – ამბობდა უკანასკნელი შაჰი – ერთი თაობის განმავლობაში ქვეყანას მეორე ამერიკად ვაქცევ! ვერ გადააქცია. ნავთობი ძლიერი და ყოვლის შემძლეა, მაგრამ მას აქილევსის ქუსლიც აქვს – იგი ვერ ცვლის აზროვნებას და გონებას. ნავთობის ერთ-ერთი მაცდუნებელი მიმზიდველობა, მაგნიტივით იზიდავს მბრძანებლებს და აძლიერებს მათ ძალაუფლებას. ნავთობი დიდ მოგებას იძლევა, მაგრამ ამ სფეროში ძალზე ცოტა მუშა-ხელია დასაქმებული.

ნავთობი საზოგადოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით საკმაოდ პრობლემატურია, რადგან მცირერიცხოვან პროლეტარიატს და ასევე ხელის თითებზე ჩამოსათვლელ ბურჟუას წარმოშობს. შედეგად ხელისუფლებას საშუალება აქვს, რაც შეიძლება ნაკლებ ადამიანს გაუყოს მოგება და თითქმის მთლიანად საკუთარი სურვილების შესაბამისად გახარჯოს იგი. აი, თუნდაც ამ ნედლეულის მქონე ქვეყნების მინისტრებს შევხედოთ – როგორ მაღლა უჭირავთ თავი, როგორი შეგრძნება აქვთ საკუთარი ძალისა. აბა, როგორ, ისინი ხომ ენერგიული ლორდები არიან, რომელთა გადასაწყვეტია ჩვენ ფეხით ვივლით, თუ ავტომანქანით. ახლა ნავთობისა და მეჩეთის ურთიერთობა? როგორი ბრწყინვალება და მნიშვნელობა შესძინა ამ ახალმა სიმდიდრემ - ნავთობმა, მათ რელიგიას – ისლამს, რომელიც თანდათან ძლიერდება და სულ უფრო და უფრო ზრდის თავის აღმსარებელთა რაოდენობას.

რვეულებიდან (3)

ჩემი ნაცნობი ირანელი მეუბნება, რომ რაც შემდეგ მოხდა, მას ძალზე სპარსული ხასიათი ჰქონდა. უძველესი დროიდან თითქმის ყოველი შაჰის მბრძანებლობა სწორედ ასე საშინლად და საბრალოდ დასრულებულა. მისთვის ან თავი მოუკვეთიათ ანდა დანა გაურჭვიათ ზურგში. იშვიათად იყო, რომ შაჰს სიცოცხლე ბუნებრივი სიკვდილით დაუსრულებია. ეს მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როდესაც იგი სამშობლოს ტოვებდა და სიცოცხლეს სადღაც განმართოებით, ყველასაგან დავიწყებული ასრულებდა. ვერ ვიხსენებ, თუმცა იქნებ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შაჰი თავის ტახტზე გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით და სიცოცხლე სიყვარულითა

და პატივისცემით გარშემორტყმულმა დაასრულა. ვერც ერთ შემთხვევას ვერ ვიხსენებ, რომ ხალხს დაეტირებინა თავისი შაჰი და საბოლოო განსასვენებლამდე ტირილითა და მოთქმით გაეცილებინა. ჩვენს საუკუნეში ყველა შაჰმა, ხოლო ისინი კი ცოტანი როდი იყვნენ, ტახტიცა და სიცოცხლეც გაურკვეველ ვითარებაში დაკარგეს. ხალხი მათ საშინელ ადამიანებად მიიჩნევდა, სულმდაბლობაში ადანაშაულებდა, მათ ტახტიდან გადადგომას სიხარულის შეძახილებითა და წყევლით ხვდებოდა, ხოლო მათი სიკვდილი ქვეშევრდომებში ზეიმის საბაბი ხდებოდა.

ნაცნობ ირანელს ვეუბნები, რომ ჩემთვის ძნელია ასეთი რამეების გაგება, რადგან ჩვენ ტრადიციების ღრმა უფსკრული გვყოფს. პოლონელი მეფეების უმრავლესობა თავს არ ზოგავდა ერისა და ქვეყნისათვის. მათ გარდაცვალების შემდეგაც კარგი სახელი დატოვეს. მაგალითად, ერთმა ჩვენმა მეფემ ხის ქოხების ქვეყანა ჩაიბარა სამართავად და სულ ქვითა და ქვიტკირით აშენებული სახლები დატოვა. სხვა ტოლერანციის პრინციპებს ამკვიდრებდა და საშუალებას არ აძლევდა არავის უმიზეზოდ დაესაჯა ქვეშევრდომები, სხვები კიდევ ბარბაროსების შემოსევისაგან გვიცავდნენ. ისეთი მეფეებიც გვყავდა, რომლებიც თავისი ცოდნით საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერებს აკვირვებდნენ და ისეთებიც, რომლებიც პოეტებთან მეგობრობდნენ. ის ზედმეტი სახელებიც კი, რომლებსაც მათ ხალხი არქმევდა – სამართლიანი, გულუხვი, განმაახლებელი, ღვთისმოშიში და სხვ. – იმაზე მეტყველებს, რომ ხალხი მათ მიმართ სიყვარულითა და სიმპათიით იყო აღვსილი. ამიტომ ჩემს ქვეყანაში, თუკი ადამიანს ესმის, რომ რომელიღაც მონარქს საშინელი ბედი შეხვდა, ინსტიქტურად მასზე გადააქვს ის გრძობა, რომელიც დედის რძესთან ერთად აქვს შესმული და რომელიც სრულიად სხვა ტრადიციიდან, სხვა გამოცდილებიდან წარმოდგება. მაშინ მას ამ დასჯილი ხელისუფალის ბედუკუღმართობა ისევე ახლოს მიაქვს გულთან და განიცდის, როგორც ზევით ნახსენები მეფეების მიმართ შეეძლო განეცადა. ამიტომ ეცოდება ასე დასჯილი ადამიანი, რომელსაც დაუნდობლად მოგლიჯეს თავიდან სამეფო გვირგვინი და იქნებ სასიკვდილოდაც კი გაიმეტეს.

მართალი ხართ, ძალზე ძნელია იმის გაგება, რომ სადმე სხვაგან შეიძლება სხვაგვარად იყოს, რომ მონარქის მკვლელობა ხალხმა გარკვეულ ხსნად, მეტიც, თავად ღმერთის მიერ დასახმარებლად გამოწვდილ ხელად მიიჩნიოს. ისე იშვიათად - მეუბნება იგი, - ჩვენც გვყავდა საუკეთესო მეფეები, მაგალითად, კიროსი ან აბასი, მაგრამ ეს ძალზე დიდი ხნის წინათ იყო. ჩვენმა უკანასკნელმა ორმა დინასტიამ, ტახტისა და გვირგვინის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად, ძალზე ბევრი სისხლი დაღვარა. აბა წარმოიდგინეთ შაჰი - აღა მაჰმად ხანი, რომელმაც ტახტისათვის ბრძოლაში ბრძანება გასცა ამოეჟლიტათ ან თვალები დაეთხარათ ქალაქ ქერმანის მთელი მოსახლეობისათვის. არავითარი გამონაკლისის დაშვება და უკან დახევა მან არ იცოდა და მის პრეტორიანელებსაც მეტი რა უნდოდათ?! აქაურებს რიგში აყენებდნენ და ისე სჯიდნენ, მოზრდილები კედელთან მიჰყავდათ, ხოლო ბავშვებს - თვალებს თხრიდნენ. მაგრამ ბოლოს, მიუხედავად ამ დასჯის პროცესებს შორის გარკვეული შესვენებებისა, პრეტორიანელები ისე დაიქანცნენ, რომ ხმლისა თუ დანის ზევით აწევაც აღარ შეეძლოთ. და მხოლოდ ამის წყალობით გადარჩა მოსახლეობის დარჩენილი ნაწილი განადგურებას. შემდეგ ამ ქალაქიდან დაიძრა უსინათლო ბავშვების პროცესია და მთელ ირანს მოედო. ამასთან, ზოგჯერ მათ გზა ერეოდათ უდაბნოში და უწყლობით იღუპებოდნენ.

ამ ბრმა ბავშვების გადარჩენილმა ნაწილმა მიაღწია დასახლებულ პუნქტებს და იქ ითხოვდა ლუკმა-პურს, თან მღეროდნენ ქალაქ ქერმანში ჩადენილი ბარბაროსობის შესახებ. იმ დროს ახალი ამბები ძალზე ნელი ტემპებით ვრცელდებოდა, ამიტომ ამ ბრმა და ფეხშიშველა ბავშვების შემხედვარე ხალხი ძალიან გაკვირვებული იყო, რადგან მათ არაფერი სმენოდა ასეთი ამბის შესახებ. ისინი უსმენდნენ ამ ბავშვებს, რომლებიც მღეროდნენ გადამწვარი მეჩეთებისა და თავმოჭრილი ადამიანების შესახებ და კითხულობდნენ, რა დააშავა ამ ქალაქმა და რით დაიმსახურა შაჰის ასეთი რისხვა, ბავშვები ხომ სწორედ საკუთარი დანაშაულის შესახებ ჰყვებოდნენ. ის კი იმაში მდგომარეობდა, რომ მათმა მშობლებმა თავშესაფერი მისცეს წინანდელ შაჰს და ახალმა მათ ეს ვერ აპატია. ამ ბავშვების პროცესია ღრმა სიბრალულს იწვევდა ხალხში და მათთვის საკვების მისაცემადაც ყველა მზად იყო, მაგრამ ამასთან იძულებულნი იყვნენ ამ დევნილებისათვის მალულად მიეცათ იგი, რადგან ისინი შაჰის მიერ იყვნენ დასჯილნი, რის გამოც ერთგვარ ოპოზიციას წარმოადგენდნენ. ოპოზიციის ყოველგვარი დახმარება და მხარდაჭერა კი სასტიკად ისჯებოდა. თანდათან ამ პროცესს უერთდებოდნენ სხვა პატარა ბავშვებიც, რომლებიც უსინათლო ბავშვების წინამძღოლები ხდებოდნენ. ამიერიდან ისინი ერთად დაეხეტებოდნენ საჭმლის მოსაპოვებლად და სიცივეში თავშესაფრის მოსაძებნად. ამ ძებნაში ბავშვთა რაზმები შორეულ სოფლებამდეც აღწევდა, სადაც ქალაქ ქერმანში ჩადენილი ბარბაროსობის ამბავიც ჩაჰქონდათ.

ეს, – ამბობს ჩემი ნაცნობი, – ძალზე გულმომკვლელი და საშინელი ისტორიაა, რომელსაც ირანელი ხალხი თავის მეხსიერებაში ინახავს. შაჰებს ხელში ჰქონდათ ჩაგდებული მძლავრი იარაღი, რითაც იმორჩილებდნენ მთელ საზოგადოებას, მასების დასასჯელათა და დასაშინებლად იყენებდნენ. მათ ყურამდე არ აღწევდა არც დასჯილთა ყვირილი და არც მათ დედათა თუ ცოლთა მოთქმა-გოდება. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ძალზე ხშირად ჩვენი საქმეები ირჩეოდა და წყდებოდა შორეულ დედაქალაქებში. ტახტის ახალი პრეტენდენტი თეირანში ისე შემოდიოდა, ერთ მხარეს რუსეთის ელჩი უმშვენებდა, ხოლო მეორეს – ბრიტანეთის. ასეთ შაჰებს ხალხი როგორც უზურპატორებსა და ოკუპანტებს, ისე ხვდებოდა. რამდენადაც უკვე შევიტყვეთ ირანში არსებული ტრადიციის თაობაზე, ძნელი არაა იმის გაგება, როგორ შეეძლოთ მოლებს ამდენი აჯანყება მოეწყოთ მათ წინააღმდეგ. მოლები ამბობდნენ – ის, ვინც სასახლეში ზის და ქვეყანას მართავს, ჩვენთვის უცხოა, სხვა ქვეყნების ხელისუფალთ უსმენს და მათ ნებას ემორჩილება. ზუსტად ისაა ჩვენი უბედურების მიზეზი, თავის კეთილდღეობას ჩვენი უბედურების ხარჯზე აგებს და სამშობლოს გვიყიდის. ხალხი მათ უსმენდა, რამეთუ მოლების სიტყვა ჭეშმარიტებად მიაჩნდათ და მათი გულის სიღრმემდე აღწევდა. მე ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ მოლები მთლად წმინდა ხალხი იყო. როგორ გეკადრებათ! მრავალ დანაშაულს და დამნაშავეს იფარავდნენ მეჩეთის კედლები. მაგრამ ხელისუფლების მიერ ჩადენილი უკანონობის გამო მოლები ხალხის ნება-სურვილისა და ინტერესების გამომხატველად იქცეოდნენ ხოლმე.

აი, თუნდაც უკანასკნელი შაჰის მაგალითი ავიღოთ. მაშინ, რომში რამდენიმე დღის ემიგრაციის დროს მიხვდა, რომ შესაძლოა ტახტი დაეკარგა და გაეზარდა გაქცეული შაჰების ეგზოტიკური რაზმი. ასეთმა ფიქრებმა მასზე ცივი შხაპივით იმოქმედა. მან მოინდომა უარი ეთქვა რომში მხიარული და გართობით სავსე ცხოვრებაზე (შაჰი

ავტობიოგრაფიაში დაწერს, რომ იქ გამოეცხადა წმინდა ალი და უთხრა – დაბრუნდი სამშობლოში, ხალხი გადაარჩინე). მასში გაიღვიძა დიდმა ამბიციამ და სურვილმა ხალხისათვის ეჩვენებინა თავისი ძალა და უნარი. – ესეც, – მეუბნება ჩემი ნაცნობი, – ირანული ხასიათია. ერთი ირანელი მეორეს არ დაუთმობს, თითოეული მათგანი დარწმუნებულია თავის უპირატესობაში, პირველობა სურს, ისწრაფვის თავისი შეხედულებები სხვას მოახვიოს თავზე. მე! მე! მე! მე ვიცი ყველაზე მეტი, მე მაქვს ყველაზე მეტი, მე მაქვს ყველაფერი. სამყარო ჩემიდან იწყება, მე თავად ვარ მთელი სამყარო. მე! მე! (და სურს უფრო უკეთ მიმანიშნოს, დგება, თავს მაღლა სწევს, მკერდს წინ გამოსწევს და ზევიდან ქვევით დამყურებს. მის გამოხედვაში იგრძნობა სიამაყე, აღმოსავლური მედიდურობა). ირანელები ისტორიულად არიან მიჩვეული იერარქიული პრინციპის მიხედვით ცხოვრებას. მე პირველი ვარ, შენ – მეორე, შენ კი კვლავ მესამედ რჩები. ის მეორე და მესამე არ კმაყოფილდებიან თავისი ბედით და დაუყოვნებლივ იწყებენ ინტრიგების ხლართვას, ხაფანგის დაგებას, მოკლედ ყველაფერზე მიდიან, რომ როგორმე პირველის ადგილი დაიკაონ. ის პირველი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ პირველობა არ დააკარგინონ.

სანგარში უნდა ჩაჯდეს და ავტომატი შეყენებული ჰქონდეს!

თქვენ როგორ გგონიათ, მსგავსი წესები მხოლოდ პოლიტიკაში ბატონობს?! ოჯახშიც. რადგან კაცი მაღლა მდგომად უნდა გრძნობდეს თავს, ქალმა თავი უნდა დაიმდაბლოს. ოჯახის უფროსი იქნებ სახლის გარეთ არაფერს წარმოადგენდეს, მაგრამ საკუთარი სახლის ჭერქვეშ კონპენსაციას იღებს – აქ ის ყველაფერია. აქ მისი ძალაუფლება განუყოფელია, ხოლო მისი ძალა და გავლენა მით უფრო მეტია, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ოჯახი. ამიტომ კარგია, თუ ოჯახში ბევრი ბავშვია, ასეთ შემთხვევაში მამაკაცს უფრო მეტი ძალისა და გავლენის გამომჟღავნების საშუალება ეძლევა, ანუ არიან ისინი, ვისზედაც მას შეუძლია იბატონოს. მაშინ კაცი ოჯახური სახელმწიფოს მბრძანებელი ხდება, პატივისცემას იხვეჭს. იგი წყვეტს ოჯახის დანარჩენი წევრების ბედს, არჩევს დავებს, საკუთარ ნებას თავს ახვევს დანარჩენთ, მოკლედ – განაგებს (ნახა რა, თუ რა მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა მონათხრობმა, უკან დაიხია - არა, მე პირადად წინააღმდეგი ვარ ასეთი სტერეოტიპებისო). ასეთი თამაშის წესების გამო არასოდეს არ მოხერხდება ირანში სოლიდური ოპოზიციური პარტიის შექმნა, რამეთუ პარტიის შიგნით დაუყოვნებლივ იწყება ერთმანეთს შორის ძიძგილი, ბრძოლა ლიდერობისათვის. აქ ყველა საკუთარი პარტიის ჩამოყალიბებას ლამობს.

რომიდან მობრუნების შემდეგ შაჰიც დაუყოვნებლივ ასეთ თამაშში ჩაერთო. უპირველეს ყოვლისა, იგი ცდილობდა შელახული სახელის აღდგენას, რამეთუ ჩვენს საზოგადოებაში სახელის გატეხვაზე უარესი არაფერია. იგი ხალხის თვალში მონარქია, ერის მამა, რომელიც სამშობლოსათვის ყველაზე კრიტიკულ დროს გაიქცა ქვეყნიდან, მაღაზიებში დადიოდა და ცოლისათვის სამკაულებს ყიდულობდა! შაჰს ჯერ ხალხში გავრცელებული ამგვარი შეხედულება უნდა გამოესწორებინა. ამიტომ როდესაც ზაჰედმა შეატყობინა, რომ ტანკებმა თავისი საქმე გააკეთეს და ახლა უკვე შეუძლია დაბრუნდეს და დარწმუნებული იყოს, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, შაჰი ერაყში შეჩერდა და იქ ხალიფა ალის, შიიტების მფარველის სამარესთან სურათი გადაიღო. აბა როგორ, ჩვენი წმინდანი აგზავნის მას უკან სამშობლოში და გზას ულოცავს.

რელიგიური ჟესტი – აი, უმთავრესი, რითიც შეიძლება ირანელთა გულის მოგება.

შაჰი კი დაბრუნდა, მაგრამ ქვეყნაში მშვიდობა არ დამყარებულა. სტუდენტები იფიცებოდნენ, ქუჩაში დემონსტრაციები ეწყობოდა, მანიფესტაციებს ბოლო არ უჩანდა, ვიღაცას ესვროდნენ, ვიღაცას კლავდნენ, ვიღაცას მარხავდნენ. არმიაშიც განხეთქილება იყო, ხშირად ააშკარავებდნენ შეთქმულებას. შაჰს სასახლიდან გამოსვლის ეშინოდა, მტერიც მოუმრავლდა. მხოლოდ ოჯახისა და უახლოესი ადამიანების (სადაც უმთავრეს ადგილს გენერლები იკავებდნენ), გარემოცვაში ცხოვრობდა. მოსადეჰის გადაყენების შემდეგ, ვაშინგტონმა დაიწყო დიდი რაოდენობის ფულის გამოგზავნა. ამ ფულის ნახევარს შაჰი ჯარის აღმშენებლობისათვის იყენებდა, რადგან მისი უმთავრესი იმედი და დასაყრდენი სწორედ ის იყო (სხავათაშორის, ზუსტად ასე იქცევიან სხვა მონარქებიც ირანის მსგავს ქვეყნებში. ისინი ოქროსა და მარგალიტებში არიან ჩაფლული მილიტარული დიქტატურის სახით).

სამხედროები უკვე იღებდნენ თავიანთ საკმარ პურსა და ხორცს. - თუ გავიხსენებთ, – მეუბნება ნაცნობი, – თუ როგორ ცუდ პირობებში ცხოვრობდა ჩვენი ხალხი, მაშინ ნათელი გახდება, თუ ეს რას ნიშნავს. ეს ჯარისკაცს საზოგადოების თვალში წონასა და მნიშნელობას მატებს.

იმ ხანებში ძალზე ხშირად შეხვდებოდით ბავშვებს უჩვეულოდ გაბერილი მუცლებით: ისინი ხომ მხოლოდ ბალახით იკვებებოდნენ.

ერთი ადამიანი მახსოვს, რომელმაც თავის შვილს პაპიროსით თვალის ქუთუთოები ამოწვა. ამის გამო ბავშვს თვალები დაუსივდა, წითლად აუელვარდა და საშინლად გამოიყურებოდა. თავად მან კი ხელი რაღაც სითხით შეიღება, რათა ხელი გაპრიალებულ-გაშავებულიყო. მას ამ გზით ეწადა ადამიანებში სიბრალული გამოეწვია და მისთვის ლუკმა-პური ეწყალობებინათ.

ერთადერთ გასართობს ჩემს ბავშვობაში ქვები წარმოადგენდა. ქვას კანაფს ვაბამდი და მივათრევდი; ვითომ მე ცხენი ვიყავი, ხოლო ქვა - შაჰის მოოქროვებული ეტლი.

- შემდეგ, - ამბობს მცირე ჩაფიქრების შემდეგ ჩემი ნაცნობი, - მთელი 25 წლის განმავლობაში შაჰი თავისი ხელისუფლების სერიოზულად განმტკიცებას შეეცდება. ძალიან რთული აღმოჩნდა ეს საქმე. თავიდან ბევრს არ სჯეროდა, რომ მას დიდხანს ექნებოდა ძალაუფლება, მაგრამ ამერიკელებმა შეუნარჩუნეს ტახტი, თუმცა ისინიც არ არიან დარწმუნებულნი, რომ სწორი არჩევანი გააკეთეს. შაჰს დიდ პატივისცემაში ჰყავდა ამერიკელები, რადგან მათი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, მათ გარეშე მყარად ვერა გრძნობდა თავს საკუთარ ქვეყანაში. განუწყვეტლივ დადიოდა ვაშინგტონში, მთელი კვირაობით რჩებოდა იქ, ხვდებოდა ხალხს, ეთათბირებოდა, არწმუნებდა და პირობას დებდა. მაგრამ სხვებიც ჩადიოდნენ იქ და ისინიც არწმუნებდნენ ამერიკელებს. ჩვენი ელიტის წარმომადგენელთა შორის შეჯიბრი იწყება, თუ ვინ უფრო მოაგვარებს საქმეს ამერიკაში, ამისათვის ისინი არაფერს იშურებდნენ საკუთარი ქვეყნის გაყიდვის ჩათვლით. უკვე პოლიციური რეჟიმი ჩამოყალიბდა, დაფუძნდა სავაკი. ამ დაწესებულების პირველი შეფი შაჰის მეუღლის, სორაიას ბიძა, გენერალი ბახტიარი გახდა. დროთა განმავლობაში შაჰს შიში დაეუფლა, რომ ეს უკანასკნელი, რომელიც უაღრესად ძლიერი და მტკიცე ნებისყოფის კაცი იყო, გადატრიალებას მოახდენდა და თავად ჩაიგდებდა ტახტს ხელში. ამიტომ მალე თანამდებობიდან გადააყენა და შემდეგ მისი ბრძანებით დახვრეტეს კიდეც.

მალე ,,დიდი წმენდა", დახვრეტები და ტერორი დაიწყო. არავინ არ იყო დარწმუნებული ხვალინდელ დღეში. ქვეყანა აირია, ჰაერი დენთისა და რევოლუციის სუნით გაიჟღენთა. ირანში არც არასოდეს ყოფილა სიწყნარე, ამ ქვეყანაში სულ შავი ღრუბელია ჩამოწოლილი. მაგრამ მაშინ მაინც განსაკუთრებით საშიში მდგომარეობა შეიქმნა.

რვეულებიდან (4)

პრეზიდენტი კენედი მოუწოდებდა შაჰს, რომ რეფორმები გაეტარებინა. იგი ურჩევდა მონარქს (და ასევე მის უახლოეს ხელქვეითებს), რათა მათ ქვეყანა გაეთანამედროვებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში – არწმუნებდა იგი ირანელებს – თქვენ ფულგენსიო ბატისტას (ამერიკა ამ დროს – 1961 წელია – ფიდელ კასტროს ტრიუმფის ცხელ-ცხელი შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფება და ჯერაც ვერ მოუნელებია ეს დამარცხება. მას არ სურს, რომ იგივე რომელი სხვა ქვეყანაში გამეორდეს) ბედი გელითო. კენედს მტკიცედ სჯეროდა, რომ შეძლებდა თავიდან აეცილებინა მოვლენების ასეთი განვითარება, თუკი დიქტატორები რაღაც რეფორმებს მაინც გაატარებდნენ და საზოგადოებას ცოტას მაინც შეუმსუბუქებდნენ მდგომარეობას. მხოლოდ ამ გზით დააყრევინებდნენ ხელიდან იარაღს იმ აგიტატორებს, რომლებიც ხალხს რევოლუციისაკენ და შაჰის გადაყენებისაკენ მოუწოდებდნენ.

ვაშინგტონის წინადადებებისა და მოწოდებების შესაბამისად შაჰმა თავისი ,,თეთრი რევოლუცია" გამოაცხადა და დაიწყო კიდეც. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ შაჰმა დაუჯერა კენედის და მისი რჩევების თავის სასარგებლოდ გამოყენება დაიწყო. ამით მას ორი მიზნის მიღწევა სურდა (რომელთა განხორციელებაც სამწუხაროდ, შეუძლებელი იყო), – გაეძლიერებინა თავისი ძალაუფლება და უფრო პოპულარული გამხდარიყო.

შაჰი იმ ადამიანებს ეკუთვნოდა, რომელთათვისაც ქება-დიდება, თაყვანისცემა და კვერის დაკვრა ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენს, იმის საშუალებას, რომ განიმტკიცონ თავიანთი სუსტი, თავის თავში ურწმუნო და იმავდროულად ფუქსავატი ბუნება. ამგვარი საგზლის გარეშე მათ არა თუ სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, უბრალოდ არსებობაც კი არ შეუძლიათ. ირანელ მონარქს გამუდმებით უნდოდა მოესმინა მისადმი მიმართული ქებათა-ქება, ენახა საკუთარი ფოტოსურათები გაზეთების პირველ გვერდზე, ტელევიზორის ეკრანზე, სასკოლო რვეულების გარეკანზეც კი. ძალიან განრისხდებოდა ხოლმე, როდესაც მისი გამუდმებული მოგზაურობის შესახებ თუნდაც რაიმე გადაკრულ სიტყვას მოისმენდა ან წაიკითხავდა. ამას წლობით იმახსოვრებდა და არავის პატიობდა. ამ სისუსტის შესახებ მთელმა სამეფო კარმა უწყოდა, ამიტომ მისი ელჩები უმთავრესად ასეთი წერილების განადგურებით იყვნენ დაკავებულნი, თუნდაც ამგვარი კრიტიკული წერილი ისეთ უმნიშვნელო ქვეყნის გაზეთში დაბეჭდილიყო, როგორიცაა ტონგო ან სალვადორი, ანდა ისეთ მიუღწეველ ენაზე წარმოთქმულიყო, როგორებსაც ზანდი ან ორომო წარმოადგენენ. დაუყოვნებლივ იწყებოდა ნოტების გზავნა, პროტესტის გამოთქმა, ამ ქვეყანასთან დიპლომატიური კავშირისა და ურთიერთობის გაწყვეტა.

ირანში მიმდინარე მოვლენების ობიეტური ასახვის ამგვარმა დევნამ მთელ მსოფლიოში ის გამოიწვია, რომ მსოფლიო საზოგადოებამ (მცირე გამონაკლისის გარდა) არ იცოდა, სინამდვილეში რა ხდებოდა. აქაური ამბები, ასე მტკივნეული, დრამატულ და რთული, დანარჩენ სამყაროს როგორც ვარდისფერ ქაღალდში გახვეული საქორწინო ტორტივით მიეწოდებოდა. იქნებ ამ შემთხვევაში რეკომპენსაციის კანონი იწყებდა ამოქმედებას და შაჰი საზღვარგარეთ ეძებდა იმას, რაც საკუთარ სამშობლოში არ ჰქონდა: პატივისცემას, აღიარებას, სიყვარულს. იგი არ ყოფილა პოპულარული, ხალხს არ უყვარდა და ცხადია, განიცდიდა ამას.

და აი, დადგა დრო, რომ რაღაც რეფორმა მაინც აუცილებლად უნდა გაეტარებინა. გამოაცხადეს აგრარული სექტორის ტრანსფორმაციის დაწყება. რის შედეგადაც მიწები გლეხებისათვის უნდა დაერიგებინათ. ამ გზით აპირებდნენ ორი კურდღელის დაჭერას: სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის გაზრდას და გლეხობის შემორიგებას. მაგრამ ვისი მიწები უნდა გაენაწილებინათ? მიწები ჰქონდათ მხოლოდ შაჰს, ფეოდალებს და სასულიერო პირებს. თუ ფეოდალებს და სასულიერო პირებს ჩამოართმევდნენ მიწას, მათი ძალა და გავლენა პროვინციებში შესუსტდებოდა, სამაგიეროდ აქ გაძლიერდებოდა სახელმწიფოს, ანუ შაჰის გავლენა. ეს არც ისე ადვილი იყო, შაჰის ინიციატივით წამოწყებული ეს რეფორმა უაღრესად გართულდა, ნელი ტემპით და სერიოზული გადახრებით წარიმართა. სოფელმა უფრო უარესი სახე მიიღო, ვიდრე ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ მართალია ფეოდალებს მიწა სახელმწიფოს უნდა გადაეცათ, მაგრამ ეს მხოლოდ ფეოდალების ნაწილს და მიწის ნაწილს ეხებოდა. ამასთან, მიწას არ იღებდა ყველა გლეხი, იღებდნენ ისინი, რომლებსაც უკვე გააჩნდათ (მაშინ, როდესაც სოფლად უმრავლესობას მიწა არ ჰქონდა).

შაჰი რეფორმას საკუთარი თავიდან იწყებდა და აცხადებდა, რომ თავის ქონებას თმობდა. იგი დადიოდა სოფელ-სოფელ და გლეხებს საკუთრების დამადასტურებელ სერთიფიკატებს ურიგებდა. შაჰს გაზეთებში დაბეჭდილ ფოტოსურათებზე ვხედავთ. დგას, როგორც კეთილისმყოფელი, ქაღალდებით ხელში (ეს სწორედ ის სერტიფიკატებია), ხოლო გარშემო მადლიერი გლეხები ეხვევიან და ფეხსაცმელს უკოცნიან.

მაგრამ მალე სკანდალმა იფეთქა.

როგორც აღმოჩნდა, მამამისს ბოროტად გამოუყენებია ძალაუფლება და მრავალი ფეოდალისა და სასულიერო პირის მიწა მიუთვისებია. მისი გადადგომის შემდეგ პარლამენტმა დადგენილება მიიღო, რომლის მიხედვითაც მიწები, რომელსაც შაჰი არალეგალურად ფლობდა, თავიანთ უწინდელ მფლობელებს უნდა დაბრუნებოდათ. და აი, ახლა, მისი შვილი ამ მიწებს ისე არიგებს, თითქოს საკუთარი ყოფილიყოს. არადა, მათ ხომ კანონიერი მესაკუთრე ჰყავდათ. ამასთან, ამ მიწებს მთლად უსასყიდლოდ როდი არიგებდა, მათში შაჰმა საკმაოდ კარგი ფული გააკეთა, არადა, თავს კი დიდ რეფორმატორად აცხადებდა.

მარტო ეს არ ყოფილა მისი ცოდვა! შაჰი, როგორც რეფორმების ინიციატორი, ყველას აიძულებდა მსხვერპლი გაეღოთ, რათა გლეხობის მძიმე მდგომარეობა გაეუმჯობესებინათ. ღვთის მოშიში მუსულმანები, ყურანის კარნახით, წლების მანძილზე მეჩეთებს უბრუნებდნენ თავიანთი ქონების ნაწილს. ამრიგად, მეჩეთებს საკმაოდ დიდი და მსუყე მამულები დაუგროვდათ. მაშ რატომ არ უნდა ჩამოერთმია შაჰს მათთვის ამ მიწების ნაწილი მაინც და გლეხებისათვის არ გადაეცათ?! ამრიგად

გლეხების მდგომარეობაც გაუმჯობესდებოდა და არც მოლები იზარალებდნენ მაინცდამაინც. მალე ამ სკანდალს სხვა სკანდალი მიემატა. აღმოჩნდა, რომ იმ მიწებს, რომელთაც შაჰი მეჩეთებს რეფორმების სახელით ართმევდა, თავის ახლობლებს – გენერლებს, პოლკოვნიკებს, სასახლის მოხელეებს ურიგებდა. როდესაც ამის შესახებ ხალხმა გაიგო, ისე განრისხდა, რომ სულ მცირე ნაპერწკალი იყო საჭირო მორიგი რევოლუციის ასაფეთქებლად.

რვეულებიდან (5)

- დადგა დრო, – მეუბნება ჩემი ნაცნობი ირანელი, – როდესაც გამართლებული ხდებოდა ნებისმიერი მიზეზითა და გზით შაჰის გადაგდება. ხალხს უკვე ყელში ამოუვიდა იგი, სურდა ძალა და ნებისყოფა გამოეჩინა და მის წინააღმდეგ გამოსულიყო. ამიტომ არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან. ხალხი განსაკუთრებით აღშფოთდა, როდესაც დღის სინათლეზე გამოვიდა მისი ბოლო აფიორა. ისინი მიხვდნენ, რომ მას ეკონომიკური გაძლიერება სურდა, რათა ამით კიდევ უფრო გაემყარებინა თავისი დიქტატურა. ხალხს კი ამის დაშვება არ უნდოდა. მათ გაიგეს, რომ ,,თეთრი რევოლუცია" ზევიდანაა თავს მოხვეული, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური მიზანი აქვს, რომელიც მხოლოდ შაჰისათვის იქნება სასარგებლო და არა მათთვის. ამის შემდეგ ყველამ კუმისაკენ დაიწყო ყურება. ჩვენი მთელი ისტორიის მანძილზე ეს პირველი შემთხვევა როდი იყო. როდესაც ქვეყანაში უკმაყოფილება და კრიზისი იწყებოდა, ხალხს ჯერ იმის გაგება სურდა, თუ კუმი რას იტყოდა. ყოველთვის იქიდან მოდიოდა პირველი ნიშანი.

კუმში კი უკვე უკმაყოფილებას დაესადგურებინა.

კუმის უკანასკნელი აღშფოთება ბოლო ხანებში მომხდარმა სხვა ამბავმაც გამოიწვია. კერძოდ, ბოლო დროს შაჰმა ამერიკელი სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრების დიპლომატიური ხელშეუხებლობა აღიარა. იმ დროს ჩვენს არმიაში უკვე მრავალი ამერიკელი ექსპერტი მსახურობდა. მოლებმა ამის წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს. მათ ღრმად სწამდათ, რომ ამგვარი ხელშეუხებლობა ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგაა მიმართული. მაშინ პირველად გაიგო ირანმა ჰომეინის სახელი. იგი ადრე არავისთვის იყო ცნობილი. უფრო სწორად, მას მხოლოდ კუმში ჰყავდა თაყვანისმცემლები. იგი მაშინ სამოც წელზე მეტის იყო და თავისი ასაკით შაჰს მამად შეეფერებოდა. შემდეგში ხშირად იგი მართლაც ასე მიმართავდა ხოლმე მას: - შვილო, - თუმცა, ცხადია, ირონიითა და გაღიზიანებით. ჰომეინი შაჰის წინააღმდეგ მეტად მკაცრად გამოდიოდა და თანაც სიტყვებს არ არჩევდა. – ხალხო! – მიმართავდა ირანელებს იგი – ნუ დაუჯერებთ მას, ის ხომ ჩვენი თანამემამულე არაა. იგი სულაც არა ფიქრობს ჩვენზე. მას მხოლოდ თავისი და საკუთარი ოჯახის ინტერესები ამოძრავებს. იგი ყიდის ჩვენ ქვეყანას, გვყიდის ჩვენ ყველას! შაჰი უნდა გადადგეს!

პოლიციამ დააკავა ჰომეინი. კუმმა მანიფესტაციების გამართვა დაიწყო. ხალხი შაჰის გადადგომას მოითხოვდა. კუმის შემდეგ თეირანმა, თებრიზმა, მეშხედმა და ისპაჰანმაც აიმაღლა ხმა. მაშინ შაჰმა ქუჩაში ჯარი გამოიყვანა და ხალხის ხოცვა დაიწყო (ჩემი ნაცნობი დგება, ვითომ ხელში ავტომატი აქვს და ისვრის. თან მარცხენა თვალს ჭუტავს და ავტომატიდან გასროლის მსგავს ბგერებს გამოსცემს). ეს 1963 წლის

ივნისი იყო. აჯანყება ხუთი თვე გაგრძელდა. მას მოსადეჰის პარტიის დემოკრატები და სასულიერო პირები ხელმძღვანელობდნენ. აჯანყების დროს რამდენიმე ათასი ადამიანი მოკვდა და დაიჭრა. შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. თუმცა ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანდა. ხანდახან იფეთქებდა ხოლმე ამბოხებები და ბრძოლები. ჰომეინი ქვეყნიდან გააძევეს, მან ერაყის ქალაქ ნაჯაფში, შიიტების უმთავრეს და უდიდეს ცენტრში დაიდო ბინა. სწორედ აქაა ხალიფა ალის სამარე.

ხშირად დავფიქრდები ხოლმე, რამ შექმნა ჰომეინი? იმ დროს ხომ ქვეყანაში სხვა არანაკლებ განათლებული და ხალხისათვის ახლობელი ადამიანები იყვნენ. შაჰის წინააღმდეგ განწყობილი პოლიტიკოსებიც არ აკლდა ირანს. ჩვენ ყველანი ვწერდით პროტესტებს, მანიფესტებს, წერილებსა და მემორიალებს. ამ ყველაფერს ინტელიგენტთა მცირე ჯგუფი კითხულობდა, რადგან მათი ბეჭდვა აკრძალული იყო. ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია. ვაკრიტიკებდით შაჰს, არ ვმალავდით, რომ ცუდად იყო საქმე, მოვითხოვდით რეალურ რეფორმებსა და სამართლიანობას. მაგრამ არავის არ მოსვლია თავში ის, რაც ჰომეინმა გააკეთა – იგი ადგა და ყოველგვარი გრაფომანობის, პეტიციების, რეზოლუციების და ყვირილის გარეშე უთხრა ხალხს – შაჰი უნდა წავიდეს!

და ეს იყო ის ყველაფერი, რასაც ჰომეინი მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში იმეორებდა. უბრალო რამაა, რომლის დამახსოვრებაც ყველას შეეძლო, თუმცა იგი ყველას რომ გაეგო და აღექვა, დიდი დრო დასჭირდა. ეს იმიტომ, რომ მმართველობის მონარქიული ფორმა ხალხისთვის ისეთივე ცხადი და ნათელი რამ იყო, როგორც ჰაერი და არავის მოსვლია თავში ის აზრი, რომ მის გარეშე ცხოვრება შეიძლებოდა.

შაჰი უნდა წავიდეს!

- აღარაა საჭირო კამათი, დისკუსიები, ამას აღარავითარი აზრი აღარ აქვს, ეს ახლა აღარაფერს შეცვლის, ეს ამაო ილუზია იქნება, უბრალოდ თავის მოტყუებაა. გზის გაგრძელებას ჩვენ მხოლოდ მონარქიის ნანგრევებზე შევძლებთ, სხვა გზა არაა.

შაჰი უნდა წავიდეს!

ნუ ელოდებით, ნუ გეშინიათ, ნუ გძინავთ.

შაჰი უნდა წავიდეს!

როდესაც ჰომეინმა ეს პირველად წარმოსთქვა, ამან ისე გაიჟღერა, როგორც მანიაკის ბოდვამ, როგორც გიჟის ყვირილმა. როგორც ჩანს, მონარქიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამოწურული თავისი არსებობის შესაძლებლობა, თავისი პოტენციალი, მაგრამ იგი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, ეს უკვე მისი ეპილოგი იყო. და მაშინ ხალხს გაახსენდა, თუ რას ამბობდა ჰომეინი, მას მოუხმო და გაჰყვა.

ფოტოგრაფია (8)

სურათზე ადამიანთა ჯგუფია გამოსახული, რომელიც თეირანის ერთ-ერთ ქუჩაზე ავტობუსის რიგში დგას. ისინი თითქმის ერთმანეთს ჰგვანან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქვთ ერთნაირად აპათიური და დაღლილი სახე, მსგავსად არიან ბედს მინდობილნი, დამორჩილებულნი, არავითარი სურვილი ერთმანეთთან გამოლაპარაკების, ერთმანეთისათვის შეხედვისაც კი არა აქვთ. ის ადამიანი, რომელმაც ოდესღაც ეს

ფოტოგრაფია მომცა, შემეკითხა, თუ ვხედავდი ამ სურათზე რაიმე უჩვეულოს. მე ვუპასუხე, არა-მეთქი. მაშინ მითხრა, რომ ეს სურათი მალულად არისო გადაღებული ქუჩის მეორე მხარეს მდგარი სახლის ფანჯრიდან. აი, ამ კაცს მიაქციეთ ყურადღება, მითითებს სურათზე გამოსახულ ერთ კაცზე (დაბალი რანგის მოხელეს ჰგავს, რაიმე განსაკუთრებული ნიშნების გარეშე), რომელიც სამი ერთმანეთში მოსაუბრე კაცის ახლოს დგას მიყურადებული. ეს კაცი სავაკის საიდუმლო თანამშრომელია და იმ ხალხის საუბრის მოსმენა სურს, რომლებიც ავტობუსს ელოდებიან. იგი სულ აქ დგას და აქ ასრულებს თავის მოვალეობას. მართალია ხალხი უბრალო, საყოფაცხოვრებო თემაზე საუბრობდა, მაგრამ ამ საუბარშიც საჭირო იყო სიფრთხილის გამოჩენა, რათა პოლიციას რაიმე საეჭვო არ აღმოეჩინა მასში. სავაკს ხომ ყველაფრისათვის შეეძლო კუდი მოება.

აი, მაგალითად, ერთ ცხელ დღეს გაჩერებაზე მოხუცი კაცი მოვიდა, რომელიც გულით ავადმყოფი იყო. მოსვლისთანავე თქვა: ოი, როგორ ცხელა, ყველაფერი ჩაიხუთა, ძლივს სუნთქავს კაციო. ამის გაგებაზე სავაკის აგენტი მიუახლოვდა მას და დაუდასტურა, მართლაც ძალიან ცხელაო. ოი, ჰო, შვილო, - ეუბნება მოხუციც, – პირადაპირ ვეღარ უსუნთქია კაცს, – პასუხობს ეს გულუბრყვილო ადამიანიც და თან გულზე ხელს იდებს. - როგორი მძიმე და ცხელი ჰაერია. ამ დროს სავაკელი გაიჭიმება და მოხუცს ეუბნება – თქვენ მალე მოიკრებთ ძალას - და ყოველგვარი ახსნის გარეშე მილიციისაკენ მიჰყავს. გაჩერებაზე მდგარი ადამიანები ამ ყველაფერს შიშით ადევნებდნენ თვალს, რადგან მათ ადრევე იყნოსეს და შეაფასეს სიტუაცია. ისინი მიხვდნენ, რომ მოხუცი, ავადმყოფი კაცი გამოუსწორებელ შეცდომას უშვებდა, ხმარობდა რა მეტად საეჭვო სიტყვას – უჰაერობას. მათ გამოცდილებამ ასწავლა, რომ სასტიკად უნდა მოერიდო ისეთი სიტყვების წარმოთქმას, როგორიცაა უჰაერობა, სიბნელე, სიმძიმე, ჯაჭვი, ჯოხი, სისულელე, ჯიბე და სხვა; ასევე არ გამოყენონ სიტყვები: გავლენა, დაწოლა, ჩავარდნა, მოყოლა, დასუსტება, დაბრმავება და ა.შ.

ამიტომ მცირე დროის განმავლობაში გაჩერებაზე მდგარ ადამიანებს ეჭვმაც კი გაჰკრათ გულში – ეს მოხუციც სავაკის თანამშრომელი ხომ არაა. იმიტომ, რომ რადგან რეჟიმს აკრიტიკებდა (მან ხომ სიტყვა უჰაერობა იხმარა), ალბათ ნება აქვს მიცემული ამის გაკეთებისო. უფლება რომ არ ჰქონდეს, ჩუმად იქნებოდა ანდა სხვა უფრო სასიამოვნო რამეზე ილაპარაკებდა, მაგალითად, როგორ ბრწყინავს მზე ან იმაზე, რომ ავტობუსი საცაა გამოჩნდებაო. აბა, როგორ, განა კრიტიკის უფლება მხოლოდ სავაკს არა აქვს?! მხოლოდ მის თანამშრომლებს, რომლებიც ასე აბრიყვებენ ზოგიერთებს და შემდეგ სადაც საჭიროა, იქ მიჰყავთ. ისეთი საყოველთაო შიში და ეჭვიანობა გაბატონებულიყო ადამიანთა გონებაში, რომ არავის არავისი პატიოსნება, გაბედულება და სიწმინდეც აღარ სჯეროდათ. მათ ხომ საკუთარი თავიც მიაჩნდათ ასეთად, მაგრამ ვერ გაებედათ ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვათ, რაიმე გაეკრიტიკებინათ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ მათ ამისათვის სასჯელი არ ასცდებოდათ.

თუ ვინმე მონარქს აკრიტიკებდა, ფიქრობდნენ, რომ იგი განსაკუთრებული უფლებითაა დაჯილდოვებული და ბოროტი განზრახვით მოქმედებს: მას სურს, რომ სხვები შეიტყუოს საუბარში და გამოააშკარაოს მისი ნამდვილი სახე. რაც უფრო დახვეწილად და ზუსტად გამოთქვამდა ადამიანი თავის შეხედულებას, მით უფრო საეჭვოდ მოჩანდა ხალხის თვალში და დაუყოვნებლივ აქცევდნენ ხოლმე ზურგს და

ახლობლებსაც არიგებდნენ, ფრთხილად იყავითო, ეგ საეჭვო ადამიანია, რაღაც უშიშრად ლაპარაკობსო.

ამრიგად, ამ ქვეყანაში შიში თავის ტრიუმფს იმკიდა – ადამიანებს, რომელთაც ხალხის გამოღვიძება და ხელისუფლების ძალადობისათვის წინ აღდგომა სურდათ, ყოველგვარ შანსს ართმევდა ხელიდან. ამ შიშს აზროვნება ისეთ არანორმალურ მდგომარეობამდე დაჰყავდა, რომ ადამიანი მზად იყო გაბედულება – თავხედობად, ხოლო გმირობა – კოლაბორაციად მოენათლა. მაგრამ ჩვენს მიერ მოთხრობილი ამბის შემთხვევაში, აქ მყოფი ხალხი დარწმუნდა, რომ სავაკოველმა თავისი მსხვერპლი უხეშად წაიყვანა გაჩერებიდან და მოხუც კაცს არ შეიძლებოდა რაიმე კავშირი ჰქონოდა პოლიციასთან. მაგრამ მალე ორივენი, მსხვერპლიცა და სავაკოველიც, გაქრნენ იქიდან და კითხვა – სად წავიდნენ? - უპასუხოდ დარჩა.

აქ კარგად არავინ იცოდა, თუ სად მდებარეობდა სავაკი. მას არსად ჰქონდა რაღაც მთავარი ოფისის მსგავსი, მოდებული იყო მთელ ქალაქში (მთელ ქვეყანაში). ისეთ სარდაფებში, აგარაკებსა თუ ბინებში განეთავსებინათ, რომლებიც არავის ყურადღებას არ მიიპყრობდა. ოფისებს არავითარი წარწერა არა ჰქონდა, ანდა ჩამოკიდებული იყო არ არსებული ფირმებისა თუ დაწესებულებების აბრები. მისი ტელეფონის ნომრები მხოლოდ თანამშრომლებისათვის იყო ცნობილი. სავაკი შესაძლოა არსებულიყო ძალიან ჩვეულებრივ მრავალ სართულიან საცხოვრებელ სახლში ანდა მის საგამომძიებლო ოფისში, სადაც შესასვლელი რომელიმე მაღაზიიდან, სამრეცხაოდან ან ღამის კლუბიდან თუ მოხერხდებოდა. ასეთ პირობებში ნებისმიერ კედელს შეიძლებოდა ყურები ჰქონოდა, ხოლო ყოველი კარი ამ დაწესებულებაში შესასვლელი ყოფილიყო. ვინც ამ საიდუმლო პოლიციის ხელში ჩავარდებოდა, მისი კვალი დიდი ხნით (ან სამუდამოდ) ქრებოდა. უცებ აორთქლდებოდა, არავინ იცოდა, რა დაემართა, სად მოეძებნათ, ვისთვის მიემართად, ვისთვის ეთხოვათ შებრალება. შესაძლოა იგი ერთ-ერთ ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული, მაგრამ – რომელში? მათი რიცხვი ხომ დიდი იყო.

ამ ციხეებში, როგორც ამას ოპოზიცია ამტკიცებდა, ჩამწყვდეულ პოლიტიკურ პატიმართა რიცხვი 100 ათას აღემატებოდა. ადამიანთა წინ აღმართულიყო უჩინარი კედელი, რომლის წინაშეც ისინი უსუსურნი იყვნენ და მისი მიმართულებით ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეეძლოთ. ირანი სავაკის საბრძანებელი იყო, მაგრამ სავაკი აქ მოქმედებდა, როგორც მიწისქვეშა ორგანიზაცია - გამოჩნდებოდა და უმალ ქრებოდა, თავის უკან ყოველგვარ კვალს შლიდა. იმავდროულად მისი უჯრედები სრულიად ოფიციალურად არსებობდა. სავაკის ცენზურის ქვეშ იყო პრესა, წიგნები და ფილმები (სავაკმა აკრძალა მაგალითად, შექსპირისა და მოლიერის წარმოდგენები ამ ქვეყნის თეატრების სცენაზე, რადგან ამ პიესებში მონარქების ხუშტურებია გაკრიტიკებული). სავაკს ფესვები სასწავლებლებში, დაწესებულებებში და ფაბრიკა-ქარხნებშიც ჰქონდა გადგმული. ის ისეთი ურჩხული იყო, რომელსაც საცეცები ყველგან და ყველაფერზე აქვს შემოხვეული.

აბა წარმოიდგინეთ, სავაკს ჰყავდა სამოცი ათასი აგენტი, ასევე, როგორც ითვლიან, სამი მილიონი დამსმენი, რომელთაც იქ სხვადასხვა სახის ამბები მიჰქონდათ – რათა სამსახური ეშოვათ, ფული გამოემუშავებინათ, გადარჩენილიყვნენ და ოჯახიც უზრუნველეყოთ. სავაკი ადამიანებს მოისყიდიდა ანდა აწამებდა, აძლევდა სამსახურს ანდა უმუშევრად სტოვებდა. იგი ადგენდა, თუ ვინ იყო მოყვარე ან მტერი და,

მაშასადამე, ვისი მოსპობა იყო საჭირო. მისი გადაწყვეტილება საბოლოო იყო და არავითარ გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ერთადერთის შაჰს შეეძლო სავაკის მიერ დასჯილი ადამიანი შეეწყალებინა. სავაკი მხოლოდ შაჰის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. მონარქის ყველა ხელქვეითი უსუსური იყო ამ საიდუმლო პოლიციის მიმართ. აი, ყველაფრი ამის შესახებ იცოდა გაჩერებაზე შეკრებილმა ხალხმა და ამიტომ სავაკოველისა და მოხუცი კაცის გაქრობის შემდეგ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. აქ მყოფი ადამიანები ცერად უყურებდნენ ერთმანეთს – არავინ არ იყო დარწმუნებული, რომ ვინც ახლა მის გვერდით იდგა, ამ ორგანიზაციის ჯაშუში არ იქნებოდა. იქნებ სულაც ეს-ესაა დაბრუნდა იქიდან, სადაც მას უთხრეს, რომ კარგად დაეგდო ყური, ხალხი რას ამბობდა და მათთან მიეტანა ამბავი, თუ უნდოდა, რომ მის შვილს უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა სწავლა. ხოლო თუ სავაკელებისათვის საჭირო ინფორმაციას არ მიიტანდა, ოპოზიციის სიაში შეიტანდნენ. კი მაგრამ, მე ხომ ოპოზიციაში არა ვარ! – გააპროტესტებდა იგი – ხარ, ჩვენ შენ ოპოზიციის სიაში შეგიყვანეთ. უნებურად (თუმცა ზოგიერთები ცდილობენ დამალონ ეს, რათა თავის მიმართ აგრესია არ გამოიწვიონ) ადამიანები, რომლებიც გაჩერებაზე იდგნენ საკუთარი თავის მიმართ ვერ მალავდნენ ზიზღს. ძლივს იკავებდნენ თავს რაიმე არასაჭირო, ზედმეტი რეაქციისაგან. მათ რაღაც აღიზიანებთ, რაღაც ცუდი სუნი მოსდიოდათ, ელოდნენ, თუ ვინ ვის ეძგერებოდა პირველი. ეს ურთიერთუნდობლობა იყო შედეგი სავაკის საქმიანობის, რომელიც წლების მანძილზე ირანელებს ჩასჩურჩულებს ყურში, რომ ყველა სავაკის ჯაშუშია, ისიც, ისიც, აი, ისიც. როგორ ისიც? ის? რა თქმა უნდა, ისიც. ყველანი!

მაგრამ მეორე მხრივ, განა გამორიცხულია, რომ გაჩერებაზე მდგარი ხალხი პატიოსანი ყოფილიყო?! იქნებ მათი შინაგანი აღშფოთება, რომელიც იძულებულნი დუმილითა და გაქვავებული სახით მალავდნენ, იქიდან გამომდინარეობდა, რომ სულ რამდენიმე წუთის წინ დიდი შიში ჭამეს. ეს შიში გამოწვეული იყო იმით, ასე ახლოს შეხება მოუწიათ სავაკთან. განა ბევრი ფიქრი უნდა იმას, რა იქნებოდა მაშინ, თუ მათ ინსტინქტი უმტყუნებდათ და საუბარს დაიწყებდნენ ისეთ მრავალმნიშვნელოვან რამეზე როგორიცაა მაგალითად, თევზი, ვთქვათ, ერთი იტყოდა, რომ ასეთ პაპანაქება სიცხეში თევზი მალე ყროლდება, თანაც ისეთი თვისება აქვს, რომ თავდაპირველად თავიდან იწყებს გაფუჭებას, ამიტომ თუ გინდა, თევზი შედარებით დიდ ხანს შეინახო, თავი უნდა მოაშოროო. საკმარისი იყო ამ ადამიანებს ასეთი ,,სამზარეულოს" თემა დაუფიქრებლად წამოეწყოთ, რომ იმ საწყალი, გულით ავადმყოფი მოხუცის ბედი გაეზიარებინათ. მაგრამ ამჯერად ისინი გადარჩნენ, იდგნენ გაჩერებაზე და სახეზე ცხვირსახოცით ოფლს იწმენდნენ.

რვეულიდან (6)

ვისკი, რომელსაც კონსპირაციის პირობებში დალევ (არადა, ნამდვილად საჭიროა მისი მალულად დალევა, რადგან ჰომეინიმ ,,მშრალი კანონი" შემოიღო და სპირტიანი სასმელების წარმოება და მოხმარება აკრძალა), ისევე, როგორც ყოველი აკრძალული ხილი, რაღაც განსაკუთრებით გემრიელი და მიმზიდველია. არადა, ჭიქებში ამ სასმელის მხოლოდ მცირე რაოდენობა შემორჩა – ჩემმა მასპინძლებმა სადღაც

გადამალული უკანასკნელი ბოთლი გამოიღეს. მის მეტს ყიდვითაც ვეღარ იყიდდი. იმ დღეებში ირანში უკანასკნელი ლოთი ალკოჰოლს არა და, სულს კი ლევდა. აბა რა იქნებოდა, არ შეეძლოთ მაღაზიაში ეყიდათ ნორმალური სასმელი და კაცმა არ იცის, რას არა სვამდნენ.

ჩვენ პატარა, მაგრამ ლამაზი და კარგად მოვლილი აგარაკის პირველ სართულზე ვისხედით. ფარდებგაწეული ფანჯრებიდან ვხედავდით ეზოს, ბაღს, ხოლო იქით კი უკვე თითქმის სამმეტრიან კედელს, რომელიც ქუჩას ფარავდა. ამასთან, ეს კედელი ჩვენს ურთიერთობას უფრო ინტიმურ ხასიათს აძლევდა. ჩემი მასპინძლები, ცოლ-ქმარი, ასე ორმოცი წლის ირანელები იყვნენ. მათ თეირანში დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და დედაქალაქის ერთ-ერთ ტურისტულ ბიუროში მუშაობდნენ (როგორებიც, შესაფერისად, რომ მოემსახურონ თავიანთ უაღრესად მოუსვენარი ხასიათის თანამემამულეებს, მრავლადაა ამ ქვეყანაში).

- რამდენიმე წელიწადია ცოლ-ქმარი ვართ მეუბნებოდა გაჭაღარავებული მასპინძელი – მაგრამ მხოლოდ ახლა, ცოლთან ერთად პირველად ვსაუბრობთ პოლიტიკაზე. ჩვენ ამ თემას არასოდეს შევხებივართ. მსგავსი სიტუაციაა ყველა ჩვენი ნაცნობის ოჯახში. არა, ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ერთმანეთს არ ვენდობოდით. არც არასოდეს მოგვილაპარაკია, რომ მასზე არ გვესაუბრა. Uუბრალოდ, ეს იყო მდუმარე შეთანხმება, რომელიც ადამიანის ბუნების ცოდნიდან გამომდინარეობდა. კერძოდ კი იქიდან, რომ არასოდეს არ იცი, თუ როგორ მოიქცევა იგი, თუკი უკიდურეს სიტუაციაში აღმოჩნდება.

- უბედურება იმაშია, – საუბარში დიასახლისიც ჩაერთო და მიუხედავად ჩამოწოლილი სიბნელისა, კარგად ვხედავდი მის დიდრონ, მბრწყინვალე თვალებს – რომ თავის დრომდე არავინ იცის, თუ რა დონემდე გაუძლებს ტანჯვას. და საერთოდ, გაუძლებს კი მას. სავაკი ხომ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, წამების უსაშინლეს ფორმებს იყენებდა. მათი მეთოდი იმაში მდგომარეობდა, რომ იტაცებდნენ ქუჩაში მიმავალ ადამიანს, უხვევდნენ თვალებს და ყოველგვარი შეკითხვის გარეშე მიჰყავდათ პირდაპირ წამების ადგილას, სადაც დაუყოვნებლივ იწყებდნენ მის წამებას – ძვლების მტვრევას, ფრჩხილების დაძრობას, ხელების დაშანთვას და ა.შ. მოკლედ, წამების სხვა ათასი სახის მეთოდის გამოყენებას. მხოლოდ მაშინ, როდესაც საბოლოოდ გატეხავდნენ მის ნებისყოფას, ტკივილისაგან გაცოფებული ადამიანი მზად იყო ყველაფერი დაეფქვა, რაც იცოდა და არ იცოდა, დაიწყებდნენ მის დაკითხვას, თუ ვინ იყო; გვარი, სახელი, მისამართი. და მთავარ კითხვას უსვამდნენ:

- რას ამბობდი შაჰის წინააღმდეგ, თქვი, ნუ ჯიუტობ!

- და თქვენ იცით, ბატონო - მეუბნებოდა სახლის პატრონი, – ამ დროს ის ადამიანი შეიძლება სრულიად უდანაშაულოც ყოფილიყო. მაგრამ მერე რა – დიდი ამბავი?! სამაგიეროდ, ყველა ფრთხილად იქნება, ვერავინ იგრძნობს თავს უშიშრად. აი, ეს იყო სავაკის ტერორის არსი, რომ მას შეეძლო დაერტყა ნებისმიერი ადამიანისათვის, ყველანი ეჭვმიტანილები ვიყავით, რამეთუ ეჭვმიტანილობა ეხებოდა არა მოქმედებას, არამედ ფიქრს, გონებაში გავლებულ აზრს და ეს კი სავაკს შეეძლო ნებისმიერი ადამიანისათვის დაებრალებინა. - შაჰის წინააღმდეგი იყავი? - არა, არ ვყოფილვარ. - მაგრამ გინდოდა, რომ ყოფილიყავი – ძაღლო! - და ეს საკმარისი იყო.

- ზოგჯერ პროცესებსაც აწყობდნენ პოლიტიკური პატიმრებისათვის (მაგრამ რას ნიშნავს ,,პოლიტიკური პატიმარი?" ისინი ხომ ყველას ,,პოლიტიკურად" მიიჩნევდნენ).

სამხედრო სასამართლო იკრიბებოდა, დახურული სასამართლოები, არავითარი ადვოკატი, არავითარი მოწმე, პირდაპირ განაჩენი და მისი ჯანი. შემდეგ განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ. განა ვინმეს შეუძლია დათვალოს, რამდენი ადამიანი ჰყავს დახვრეტილი სავაკს? ალბათ ათასობით. ჩვენი ბრწყინვალე პოეტი ხოსროვ გოლეშოხი დახვრიტეს, რომელსაც გამოჩენილი რეჟისორი ქერამატ დენახიანიც მიაყოლეს. ასობით მწერალი, პროფესორი და მსახიობი იჯდა ციხეში. ასობით სხვა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო.

- ვფიქრობ, რომ სავაკს არ უყვარდა პროცესებისა და ტრიბუნალების გამართვა. ის მოწინააღმდეგეებთან ანგარიშის გასწორების სხვა მეთოდს ირჩევდა. უფრო ხშირად სამალავიდან კლავდნენ. შემდეგ წადი და დაადგინე, ვინ მოკლა. სად არიან დამნაშავეები? დამნაშავენი არ არიან.

- ხალხმა ვერ შეძლო დიდი ხნით აეტანა ასეთი ტერორი და ამიტომ იყო, რომ შიშველი ხელით ეძგერა არმიასა და პოლიციას. ამას შეიძლება სასოწარკვეთილება ვუწოდოთ, მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი ეს უკვე სულ ერთი იყო. ყველა შაჰის წინააღმდეგ გამოვიდა, რამეთუ სავაკი ჩვენთვის იყო შაჰი - მისი ყურები, თვალები და ხელები.

- იცით, ჩემო ბატონო, როდესაც სავაკზე ჩამოვარდებოდა ხოლმე საუბარი, ერთი საათის შემდეგ მოსაუბრენი ერთმანეთს შეჰყურებენ და იმაზე იწყებენ ფიქრს, ესეც სავაკის ჯაშუში ხომ არ არისო? ეს იყო ძალზე ჯიუტი აზრები, რომელიც შემდეგ კიდევ დარჩა ადამიანის მახსოვრობაში. ეს მოსაუბრე კი შეიძლებოდა მამაჩემი, ქმარი, ჩემი ყველაზე ახლო მეგობარი ყოფილიყო. ჩემს თავს ვეუბნებოდი – დაწყნარდი, ეს ხომ უაზრობაა, მაგრამ არაფერი მშველოდა, ეს აზრი განუწყვეტლივ ბრუნდებოდა გონებაში. ეს ყველაფერი, შაჰის მთელი რეჟიმი ავადმყოფობა იყო და გულახდილად რომ ვთქვა, ნამდვილად არ ვიცი, როდის გამოვჯანმრთელდებით, ანუ სულიერად როდის გავწონასწორდებით. წლების მანძილზე ასეთი დიქტატურის შედეგად ჩვენ ფსიქიურად აშლილები ვართ და ვფიქრობ, ეს დიდხანს გაგრძელდება, მალე ვერ დავიწყებთ ნორმალურ ცხოვრებას.

ფოტოგრაფია (9)

ეს სურათი შირაზში, რევოლუციური ტრიბუნალის შენობის წინ დაფაზე ლოზუნგებთან და სხვა სურათებთან ერთად იყო ჩამოკიდებული. ერთ სტუდენტს ვთხოვე კარგად გადაეთარგმნა წარწერა, რომელიც მის ქვეშ იყო მიმაგრებული.

– აქ წერია, – მითხრა მან –ეს ბიჭი სამი წლისაა, ჰქვია ჰაბიბ ფარდუზი და სავაკში ჰყავდათ დამწყვდეული.

– ეს როგორ, ასეთი პატარა და სავაკის პატიმარი? – გამიკვირდა.

- იყო შემთხვევები, - გააგრძელა სტუდენტმა - როდესაც სავაკი მთელ ოჯახს სვამდა ციხეში და ამ შემთხვევაშიც ასეთ დაპატიმრებასთან გვაქვს საქმე.

მან მთელი წარწერა წაიკითხა და დაუმატა, რომ ამ ბიჭის მშობლები წამებისაგან გარდაიცვალნენ. ახლა გამოდის დიდი წიგნი სავაკის მუშაობის მეთოდების თაობაზე, მასში მრავალი ფოტოსურათი იქნება და ასევე მოწმეების წერილებიც. მე თავადაც ვნახე ფერადი სურათი, უნივერსიტეტის წინ ყიდდნენ, სადაც სავაკის მიერ ნაწამები

ადამიანები იყვნენ გამოსახული. ზუსტად ის ხდებოდა, რაც შაჰ თემურ ლენგის დროს. ექვსასი წელი გავიდა მას შემდეგ და ამ მხრივ არაფერი ცვლილება არ მომხდარა. წამების ზუსტად ისეთივე პათოლოგიურ მეთოდებს იყენებდნენ, იქნებ უფრო დახვეწილსაც. საწამებელ იარაღს შორის, რომელსაც ყველაზე მეტად ვპოულობთ სავაკის ყოფილ სამუშაო ადგილებში, განსაკუთრებით მრავლადაა რკინის ელექტრო მაგიდა, რომელზედაც ადამიანს საწამებლად დააწვენდნენ და ხელ-ფეხს დაუბამდნენ ხოლმე. ამ მაგიდებზე მრავალი ადამიანი დაიღუპა. ხშირად, უდანაშაულოს ამ დარბაზში შეიყვანდნენ, მას უკვე გრძნობა დაკარგული ჰქონდა, რადგან კარგად ესმოდა სხვა ადამიანის წამების ხმა და სუნთქავდა დამწვარი ხორცის სუნს. კოშმარის ამ სამყაროში ტექნიკურმა პროგრესმა ვერ შეძლო ძველი, შუა საუკუნეების დროინდელი წამების საშუალებები და მეთოდები შეეცვალა. ისპაჰანის ციხეებში ადამიანებს ყრიდნენ დიდ ტომრებში, სადაც ერთმანეთში არეულიყვნენ შიმშილისაგან გაგიჟებული ველური კატები და შხამიანი გველები. ეს და სხვა მსგავსი ისტორიები, რომლებსაც სავაკოველები ხშირად შეგნებულად ავრცელებდნენ, წლების მანძილზე ტრიალებდა საზოგადოებაში, რის გამოც ადვილი შესაძლებელი იყო მტრის ასეთ აბსტრაქტულ განსაზღვრებაში ნებისმიერ ადამიანს საკუთარი თავი წარმოედგინა და ისიც კი განეცადა, როგორ აწამებენ მას სავაკის ჯურღმულებში. ირანელებისათვის სავაკი იყო არა მხოლოდ საშინელი, არამედ უცხო ძალაც, ის იყო ოკუპანტი, გესტაპოს ადგილობრივი სახეცვლილება.

რევოლუციის დღეებში თეირანის ქუჩებში მიმავალი მანიფესტანტები ექსპრესიითა და პათოსით სავსე სიმღერას – ალლაჰ აქბარს მღეროდნენ, რომელშიც რამდენჯერმე მეორდება რეფრენი:

Ірან, Іран, Іран,

ჩჰუნ-ო-მარგ-ო-ოსჯან.

(ირანი, ირანი, ირანი,

ესაა სისხლი, სიკვდილი და აჯანყება)

ეს ტრაგიკული, მაგრამ იქნებ ყველაზე კარგი დეფინიციაა ირანის. ასეთი იყო იგი მრავალი საუკუნის განმავლობაში ხანგრძლივი შესვენების გარეშე.

ვინაიდან ამ შემთხვევაში თარიღებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ზუსტად ვიმოწმებ მას: 1978 წლის სექტემბერში, ოთხი თვით ადრე თავის გადადგომიდან, შაჰმა ყოველკვირეული ჟურნალის ,,შტერნ”-ის ჟურნალისტს ინტერვიუ მისცა. ამ დროს უკვე ოცი წელიწადია გასული, რაც მისი ბრძანებით სავაკი შეიქმნა.

,,კორესპონდენტი: რამდენი პოლიტიკური პატიმარი გყავთ ირანში?

შაჰი: - რას გულისხმობთ ,,პოლიტიკურ პატიმარ“-ში? თუმცა ვხვდები, რაც გაინტერესებთ. ალბათ ათასზე ნაკლები.

კორესპონდენტი: თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ არც ერთი მათგანი არ უწამებიათ?

შაჰი: - მე უკვე გავეცი ბრძანება, რომ წამებას აღარ მიმართონ”.

ფოტოგრაფია (10)

სურათი თეირანშია გადაღებული 1973 წლის 23 დეკემბერს: შაჰი მიკროფონების რკალშია მოქცეული და ჟურნალისტებით სავსე დარბაზში სიტყვით გამოდის.

მოჰამედ რეზა, რომელსაც როგორც წესი უცნაური, თუმცა დახვეწილი მანერები ახასიათებდა, ახლა თავის ემოციებს, უფრო მეტიც, აღელვებას ვერ მალავს. მართლაც რომ მეტად რთული დრო დადგა ირანში და არა მხოლოდ ირანისათვის. ზუსტად ახლა შაჰი ნავთობზე ახალ ფასებს აცხადებს. გავა ორ თვემდე და ნავთობის ფასი ოთხჯერ და უფრო მეტად გაიზრდება და ირანი, რომლის შემოსავალიც ამ ნედლეულის ექსპორტიდან ხუთ მილიარდ დოლარს შეადგენს, ახლა ოც მილიარდს გადაჭარბებს. გავითვალისწინოთ, რომ ამ თანხიდან მნიშვნელოვანი წილი სწორედ შაჰის ჯიბეში წავა. თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მას შეეძლება ეს ფული ისე მოიხმაროს, როგორც მოისურვებს – თუ უნდა გადაყრის ზღვაში, თუ უნდა რამეს შეიძენს ან ოქროს ყულაბაში შეინახავს. ამიტომ ძნელია მივხვდეთ სულის იმ მდგომარეობას, რომელსაც ამ წუთებში მონარქი განიცდის, რადგან არც ერთმა ჩვენგანმა არ იცის, როგორ მოიქცევა, თუკი ჯიბეში ხელს ჩაიყოფს და მოულოდნელად იქ ოც მილიარდ დოლარს აღმოაჩენს. ამასთან, ყველასათვის ცნობილია, რომ ეს ფული ყოველწლიურად გაიზრდება და თუ პირველ წელს ოცი მილიარდი იქნება, შემდგომში კიდევ უფრო მეტი გახდება. ამიტომ ძნელია გავიკვირვოთ, რომ შაჰს დაემართა ის, რაც ლოგიკურად უნდა დამართოდა, ანუ სრულიად დაკარგა გონება. ნაცლად იმისა, რომ შეეკრიბა ოჯახის წევრები, ერთგული გენერლები და სანდო მრჩეველები, რათა ერთად გადაეწყვიტათ, თუ როგორ უფრო აჯობებდა ამხელა შემოსავლების გამოყენება, შაჰს, რომელსაც – როგორც შემდგომ იგი თავად ამტკიცებდა – მოულოდნელად ბრწყინვალე აზრმა გაუნათა გონება და სახალხოდ გამოაცხადა, რომ ერთი თაობის განმავლობაში ირანს (რომელიც უაღრესად ჩამორჩენილი ქვეყანაა, იმართება ძალიან ცუდად, მოსახლეობის ნახევარი უწიგნური და შიშველ-ტიტველია), მსოფლიოში მეხუთე სახელწიფოდ გადააქცევდა. მონარქმა ასევე მოულოდნელად ისროლა ლოზუნგი, თუ როგორ მკვეთრად ამაღლდებოდა ყოველი ირანელის კეთილდღეობა. ამან კი მოსახლეობაში დიდი იმედები გააღვიძა. თავიდან ეს მათ არც თუ ისე მიუღწეველი და ილუზიური ეჩვენებოდათ, რამეთუ კარგად უწყოდნენ, თუ რა დიდ შემოსავლებს ელოდა შაჰი ნავთობზე ფასების გაზრდით.

რამდენიმე დღის შემდეგ იმ კონფერენციიდან, რომელიც სურათზეა გამოსახული, მონარქი ინტერვიუს აძლევს ყოველკვირეული ჟურნალის ,,შპიგელის" კორესპონდენტს:

- ათი წლის შემდეგ ჩვენ ვიცხოვრებთ თითქმის ისეთივე დონეზე, რა დონეზეც ცხოვრობთ თქვენ, გერმანელები, ფრანგები და ინგლისელები.

- და თქვენ ფიქრობთ - ეკითხება დაეჭვებული ჟურნალისტი – შეძლებთ ყოველივე ამის გაკეთებას ათი წლის განმავლობაში?

- რა თქმა უნდა.

- კი მაგრამ, – არ ეშვება კორესპონდენტი, – დასავლეთს ამ დონის მისაღწევად რამდენიმე თაობის დაუღლელი შრომა დასჭირდა. თქვენ ამას ათ წელიწადში აპირებთ?

- რა თქმა უნდა.

ზუსტად ეს ინტერვიუ გამახსენდა ახლა, როდესაც შაჰი უკვე აღარაა ირანში და შირაზთან ახლოს მდებარე სოფელში წარმოუდგენელ ტალახსა და ნეხვში მივტოპავ. ქუჩაში მრავლად ირევიან შიშველ-ტიტველი და სიცივისაგან აკანკალებული ბავშვები, ხოლო ერთი ქოხის წინ ქალი საქონლის ნეხვიდან პატარ-პატარა მრგვალ ნაჭრებს

ამზადებს, რომელიც გამოშრობის შემდეგ მისი ოჯახის ერთადერთი საწვავი უნდა გახდეს (ნავთობითა და გაზით სავსე ქვეყანაში). და აი, როდესაც მივდივარ ამ სევდიან, მოწყენილ, შუა საუკუნეებში ჩარჩენილ სოფელში და ვიხსენებ იმ ინტერვიუს, რომლის მიცემის დროიდან უკვე რამდენიმე წელიწადი გავიდა, თავში უაღრესად ბანალური აზრები მომდის, კერძოდ კი ის, რომ ბუნებაში არ არსებობს უაზრობა, რომლის მოგონებაც ადამიანის გონებას არ შეეძლოს.

შაჰი სასახლეში იყო ჩაკეტილი, საიდანაც ათეულობით განკარგულებას, ბრძანებას, მითითებას იძლეოდა, რომლებიც არყევდნენ ირანს, ხოლო ხუთი წლის შემდეგ კი თავად მას გასაქცევად გაუხდა საქმე. კერძოდ, მან ბრძანა, რომ გაეზარდათ ხარჯები ინვესტიციებზე, დაეწყოთ უდიდესი მოცულობის ტექნოლოგიების იმპორტი და ტექნოლოგიური შეიარაღების თვალსაზრისით მსოფლიოში მესამე არმია შეექმნათ. ბრძანა ეროვნულ მეურნეობაშიც უაღრესად ახალი ტექნოლოგიები დაენერგათ, რამეთუ ახალი ტექნოლოგიები ახალი ნაწარმის გამოშვების საშუალებას მისცემდა ქვეყანას და ირანი საზღვარგარეთ საექსპორტოდ საუკეთესო საქონელს გაიტანდა. ბრძანა ასევე ახალი ატომური ელექტროსადგურის მშნებლობის დაწყება, ელექროსაქონლის ქარხნის აშენება და ა. შ. ყოველივე ამის შემდეგ (იმ წელს მშვენიერი თოვლი მოვიდა) იგი თხილამურებზე სასრიალოდ წავიდა შტ. Moritz-ში. მაგრამ შაჰის შტ. Мoрицъ-ის მშვენიერ და მყუდრო რეზიდენციას მალე ვეღარ იცნობდით. სიჩუმისა და განმარტოების ნაცვლად, რის შესაძლებლობაც აქ იყო ადრე, უაღრესად ინტენსიური მისვლა-მოსვლა დაიწყო.

საქმე იმაშია, რომ ამასობაში ცნობა ახალი ელდორადოს შესახებ მთელ მსოფლიოს მოედება და მდიდარი ქვეყნების დედაქალაქებში საქმიან ადამიანთა მოულოდნელ ამოძრავებას გამოიწვევს. ფულის ასეთი დიდი რაოდენობა ხომ ყველა ადამიანის წარმოდგენაზე უჩვეულოდ მოქმედებს. ყველამ ადვილად გამოთვალა, რა დიდი კაპიტალის შოვნა შეიძლება ირანში. ამიტომ მალე შაჰის შვეიცარიის რეზიდენციაში სხვადასხვა ცნობილი და მდიდარი ქვეყნების პრემიერების და მინისტრების რიგი დადგა. შაჰი სავარძელში იჯდა, ბუხრის ცეცხლზე ხელებს ითბობდა და სხვადასხვა წინადადებას, აზრს თუ პროექტს ეცნობოდა. ახლა მთელი სამყარო მის ფეხებთან იყო, მის წინ თავდახრილი, წელში მოხრილი და ხელგაშლილი ადამიანები იდგნენ. ხომ ხედავთ, არ იცით ქვეყნის მართვა და ამიტომ არც ფული გაქვთ – ეუბნებოდა იგი სხვადასხვა ქვეყნის პრემიერებსა და მინისტრებს. ჭკუას არიგებდა ლონდონსა და რომს, რჩევებს აძლევდა პარიზსა თუ მადრიდს. მთელი სამყარო მორჩილად უსმენდა მას, ყლაპავდა მის მიერ მიწვდილ მწარე აბებს, რადგან მისი მზერა ოქროს ბრწყინვალე პირამიდებს სწვდებოდა, რომლებიც ირანის უდაბნოში წამოიმართებოდა ხოლმე. თეირანში მდებარე საელჩოების თანამშრომლებს მოსვენება არ ჰქონდათ, რადგან თავიანთი დედაქალაქებიდან ისინი წარამარა ათობით ტელეგრამას იღებდნენ ფულის თემაზე: რამდენის მოცემა შეუძლია შაჰს? როდის და რა პირობით? გითხრათ, რომ არ მოგვცემს? ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ მისმა უდიდესებულებამ დააჩქაროს ეს საქმე! გარანტიას ვაძლევთ, რომ მის შესახებ ერთი კრიტიკული წერილიც არ დაიბეჭდება ჩვენს პრესაში!

შაჰის ყველაზე უმნიშვნელო მინისტრის მისაღებშიც კი გაუთავებელი მისვლა-მოსვლა, ხელის ჩამორთმევა და კოცნა იყო გამართული. აქ ყველა ივიწყებდა თავის ღირსებასა და კეთილშობილურ მოქცევას. ისინი, ვინც მინისტრების მოსაცდელში

იდგნენ, სხვებს ხელით ექაჩებოდნენ, ერთმანეთს უბიძგებდნენ და ყვიროდნენ: – აქაა რიგი! ესენი იყვნენ მსოფლიო მასშტაბის ფირმების პრეზიდენტები, ტრანსნაციონალური კონცერნებისა და მეტ-ნაკლებად ცნობილი სახელმწიფოთა ხელმძღვანელები, რომლებიც იძლევიან წინადადებებს, სთავაზობენ საქონელს, მომსახურებას, ზოგი საავტომობილო ქარხანას, ზოგიც – თავად ავტომობილებს, სხვები ტელევიზორებს, კიდევ სხვები – საათებს. და ნორმალურ პირობებში მსოფლიო კაპიტალისა და მრეწველობის ამ პატივცემული, ცნობილი ლორდების გვერდით, ირანში ჩამოდიან უფრო ,,წვრილი თევზებიც" - წვრილ-წვრილი სპეკულიანტები, ვაჭრები, ოქროსა და სხვა ძვირფასი ქვების სპეციალისტები, მოკლედ სხვადასხვა სპეციალობის და ათასი ჯურის ადამიანი. შეგეძლოთ თეირანის ქუჩებში წაგეკითხათ გამოკრული რეკლამები და ბილბოარდები: Jimm's Night Club, Holiday Barber Shop, Best Food in the World, New Your Cinema, Discreate Corner, ზუსტად ისე, თითქოს ბროდვეიზე ან ლონდონის შოჰო-ში ყოფილიყავით. მას, ვისაც კარებიდან არ უშვებდნენ, ფანჯრიდან გადასვლით ცდილობს ირანში შეღწევას, ჯერ კიდევ ევროპულ აეროპორტში ვიღაც სტუდენტი ცდილობდა მიეჩეჩებინა ლოზუნგები იმის თაობაზე, რომ მათ ქვეყანაში ადამიანები იხოცებოდნენ წამებისაგან და შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენია ცოცხლად დარჩენილი სავაკისაგან მოტაცებული ადამიანთაგან. მაგრამ ეს არავის აინტერესებდა, რადგან ჯიბეების გასქელების დრო დამდგარიყო. მით უმეტეს, რომ ყველაფერი კეთდებოდა ,,დიდი ცივილიზაციის" მშენებლობის ლოზუნგის ქვეშ, რომელიც შაჰმა გამოაცხადა. ამასობაში შაჰი დასვენებული და კმაყოფილი დაბრუნდა თავისი ზამთრის არდადეგებიდან. ბოლოს და ბოლოს, მას ყველა ადიდებდა, მთელი მსოფლიოს პრესა მის საქებარ წერილებს ბეჭდავდა, აღწერდა მის დამსახურებებს და ხაზს უსვამდა, რომ მთელ მსოფლიოში პრობლემებია, ირანში კი – ვითომც არაფერი, პოლიტიკურ-ეკონომიკური ოაზისია, ყველაფერი ნორმალურად ვითარდება, საქმეები წარმატებით მიდის, აი, იქ უნდა წავიდნენ, აიღონ მისგან მაგალითი, ნახონ, რამდენ რამეს აკეთებს ირანის მონარქი, თავისი ხალხი სიბნელიდან რომ გამოიყვანოს და ახალ ცხოვრებას, ცივილიზაციას აზიაროს, არაფერს არ იშურებს რათა ირანი განვითარების დონით საფრანგეთსა და ინგლისს მიუახლოვოს.

- როგორ ფიქრობთ, თქვენო ბრწყინვალებავ, – ეკითხება ,,შპიგელის" კორესპონდენტი – ქვეყნის განვითარების თქვენს მიერ მიღებული მოდელი პასუხობს განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს, ქვეყნის ინტერესებს?

- მე ამაში დარწმუნებული ვარ! – პასუხობს შაჰი.

განვითარება, ცოტა არ იყოს, მატყუარა მდინარეა, რაშიც დარწმუნდება ყველა, ვინც მის ტალღებს მიენდობა. ზედაპირზე წყალი გლუვია და მდინარებს წყნარად, მაგრამ საკმარისია მენავემ თავისი ნავი ცოტა უყურადღებოდ მიანდოს ტალღებს, ცოტა მეტად შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, რომ ნახავს, რამდენი საშიში მეჩეჩია მასში. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეხათქუნება მათ ნავი, მენავეს სახე თანდათან უგრძელდება...გაოცების და სიბრაზისაგან. ნავი თითქოს მიცურავს, მაგრამ სინამდვილეში ერთ ადგილზე დგას: იგი მეჩეჩზეა შემდგარი.

თუმცა ეს ყველაფერი შემდგომ მოხდა. მანამდე კი შაჰი თითქმის მთელ მსოფლიოში მილიარდების ღირებულების საქონელს ყიდულობდა. ირანის მიმართულებით ყველა ქვეყნიდან დაიწყეს ცურვა საქონლით სავსე გემებმა. მაგრამ როდესაც ისინი სპარსეთის

ყურემდე მიცურდნენ, აღმოჩნდა, რომ ირანს არა აქვს სათანადო პორტები (რაც შაჰმა არ უწყოდა). მართალია, მათ არ ძალუძდათ ამხელა გემების მიღება. რამდენიმე დიდი გემი დადგა ყურეში და დასაცლელად თავის რიგს დაუწყო ლოდინი. ზოგ მათგანს თითქმის ნახევარი წელიწადი მოუწია ამ რიგში ყურყუტი. გემების დროზე მეტი ხნით გაჩერებისათვის ირანი მათ მფლობელებს წელიწადში მილიარდ დოლარზე მეტს უხდიდა.

როგორც იქნა გემები კი დაცალეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქვეყანას საწყობები არ ჰქონდა საქონლის განსათავსებლად (რაც შაჰმა არ უწყოდა). ღია ცის ქვეშ, უდაბნოში კოშმარულ ტროპიკულ სიცხეში მილიონობით ტონა მრავალი სახის საქონელი ელაგა, რომლის ნახევარიც უკვე გაფუჭებული და გადასაყრელი გახდა. მათში ხომ სასურსათო პროდუქტიც იყო და სხვადასხვა სახის ქიმიური საქონელიც. მომდევნო ეტაპზე საჭირო გახდა შემოტანილი საქონლის ქვეყნის შიდა პროვინციებში გადაზიდვა, მაგრამ ქვეყანას ამისათვის საკმარისი ტრანსპორტი არ ჰქონდა (რაც შაჰმა არ უწყოდა). ანუ კი იყო ცოტა მანქანები და ვაგონები, მაგრამ ეს რას ეყოფოდა ამდენი საქონლის ტრანსპორტირებას. ამიტომ სასწრაფოდ ევროპიდან შემოიყვანეს რამდენიმე ათასი სატვირთო ავტომანქანა, რომელმაც ახალი პრობლემა წარმოშვა - ირანს არ ჰყავდა მძღოლები (რაც შაჰმა არ უწყოდა). მრავალი თათბირის შემდეგ თვითმფრინავი გააგზავნეს, რომელმაც სეულიდან სამხრეთ კორეელი მძღოლები ჩამოიყვანა. მათ სატვირთო ავტომანქანები აამუშავეს და დაიწყეს ტვირთის გადაზიდვა. კორეელმა მძღოლებმა ისწავლეს ცოტაოდენი სპარსული და გაიგეს, რომ მათ ირანელ მძღოლებთან შედარებით მცირე ხელფასს აძლევდნენ. ამაზე ისინი გაბრაზდნენ, მიატოვეს მანქანები და სამშობლოში დაბრუნდნენ. ის ავტომანქანები კი დღესაც გამოუყენებელი ყრია, უდაბნოში ბანდერ აბასიდამ თეირანისაკენ მიმავალ გზაზე და ქვიშით ივსება. დროთა განმავლობაში უცხოური სატრანსპორტო კომპანიების საშუალებით ადგილზე გადაიზიდა მთელ მსოფლიოში შეძენილი მოწყობილობები. დადგა დრო, როდესაც ისინი უნდა დაემონტაჟებინათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ირანს არა ჰყავს სათანადო რაოდენობით ინჟინრები და ტექნიკოსები (რაც შაჰმა არ უწყოდა). ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ვინც დიდი ცივილიზაციის შექმნას იწყებს, ეს პროცესი ადამიანებიდან უნდა დაიწყოს, - მოამზადდეს სპეციალისტები, რათა შექმნას საკუთარი ინტელიგენცია. მაგრამ შაჰისათვის ასეთი გაგება მიუღებელი აღმოჩნდა. გახსნას ახალი უნივერსიტეტი, ახალი პოლიტექნიკური ინსტიტუტი? - ყოველი ასეთი სასწავლებელი ხომ კალიების ბუდეა, ყოველი სტუდენტი ხომ თავისუფლად მოაზროვნე მეამბოხეა. ამიტომ განა შეიძლება შაჰის გაგვიკვირდეს, რომელსაც სულაც არ უნდოდა შოლტი ერტყა საკუთარი სხეულისათვის?

მონარქს უფრო უკეთესი მეთოდი ჰქონდა – სწავლის მოსურნე ახალგაზრდობის უმეტესობას ირანიდან შორს აგზავნიდა. ამ მხრივ ეს ქვეყანა მთელ მსოფლიოში გამოირჩეოდა. 100 ათას ირანელზე მეტი სწავლობდა ევროპისა და ამერიკის სასწავლებლებში. ეს, რა თქმა უნდა, ირანს გაცილებით მეტი უჯდებოდა, ვიდრე ის, რომ მას თავად შეექმნა საკუთარი სასწავლო დაწესებულებები, მაგრამ ამ გზით რეჟიმი შედარებით უსაფრთხოებასა და სიმშვიდეს უზრუნველყოფდა. ამ ახალგაზრდათა უმეტესობა საერთოდ აღარ დაბრუნებულა სამშობლოში. ამიტომ ახლა სან ფრანცისკოსა და ჰამბურგში გაცილებით მეტი ირანელი ექიმია, ვიდრე თეირანსა და მეშჰედში. მიუხედავად შაჰის მიერ შეთავაზებული მაღალი ანაზღაურებისა, მაინც არ

დაბრუნდნენ: მათ სავაკის ეშინოდათ და მეტად აღარ სურდათ ვინმესთვის ფეხსაცმელებზე ეკოცნათ. ასეთი მდგომარეობა უკვე დიდი ხანია, ტრაგედიაა ირანისათვის. შაჰის დიქტატურამ, მისმა რეპრესიებმა და დევნამ საუკეთესო მწერლები, არტისტები, მხატვრები, კომპოზიტორები აიძულა ემიგრაციაში წასულიყვნენ, გაჩუმებულიყვნენ ანდა ციხეში გამომწყვდეულიყვნენ. განათლებულ ირანელთან შეხვედრა გაცილებით ადვილი იყო მარსელსა თუ ბრიუსელში, ვიდრე ჰამადანში თუ ყაზვინში. ირანელს სამშობლოში არ შეეძლო თავისი გამოჩენილი მწერლის წიგნი წაეკითხა (რადგან ისინი მხოლოდ საზღვარგარეთ გამოდიოდა), არ შეეძლო ენახა თავისი გამოჩენილი რეჟისორების ფილმები (რადგან აკრძალული იყო მათი ირანში ჩვენება), არ შეეძლო ესმინა თავისი ინტელექტუალებისათვის (რადგან ისინი იძულებულნი იყვნენ გაჩუმებულიყვნენ).

შაჰის ნებით ადამიანებს ერთი არჩევანი ჰქონდათ დარჩენილი: სავაკი ან მოლები. ცხადია, მათ ეს უკანასკნელი არჩიეს.

როდესაც ვსაუბრობთ რომელიმე დიქტატურის დამხობაზე (ხოლო შაჰის რეჟიმი სწორედაც რომ დიქტატურა იყო, უაღრესად უხეში და მკაცრი), არ უნდა გვქონდეს რაღაც ილუზიები იმასთან დაკავშირებით, რომ მის ლიკვიდაციასთან ერთად მთელი სისტემა დასრულდება და გაქრება, როგორც ცუდი სიზმარი. დიქტატურის დამხობით სისტემა მხოლოდ ფიზიკურად წყვეტს არსებობას, თორემ მისი ფსიქოლოგიური, საზოგადოებრივი შედეგები რჩება, ცხოვრებას განაგრძობს და მრავალი წლის განმავლობაში იგრძნობა. მან შეიძლება არსებობა გააგრძელოს შეუცნობლად, ადრინდელი ქცევის ფორმით. დიქტატურა, ანადგურებს ინტელიგენციასა და კულტურას და თავის შემდეგ ტოვებს ცარიელსა და უსიცოცხლო ველს, რომელზედაც იშვიათად იზრდება აზროვნების ხე, მით უმეტეს, განტოტვილი და გაფურჩქნული. ამ ყამირ მინდორზე სამალავიდან, ჭუჭრუტანებიდან ყოველთვის ისინი არ გამოდიან, რომლებიც უკეთესები არიან, არამედ უფრო ხშირად ისინი, ვინც უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ, რომლებიც ახალ ღირებულებებს შექმნიან, რომელთაც მაგარმა ტყავმა და შინაგანმა სიჯიუტემ გაუადვილა გადარჩენა. ასეთ შემთხვევაში ისტორია ტრიალს იწყებს ტრაგიკულ, მაცდურ წრეში და ხშირად მთელი ეპოქაა საჭირო, რათა საზოგადოებამ მისგან თავის დაღწევა შეძლოს.

ახლა, ამ ადგილზე ჩვენ უნდა შევჩერდეთ, უფრო მეტიც, უკან დავიხიოთ რამდენიმე წლით, რათა გავუსწროთ მოვლენებს, უკვე დავანგრიეთ შაჰის ,,დიდი ცივილიზაცია“, მაგრამ ჯერ ხომ მისი აგებაა საჭირო. ჰოდა, როგორ აშენდეს იგი, თუკი არა გვყავს პროფესიონალები? ირანელებმა, თუნდაც უაღრესად მოწყურებულნი იყვნენ სწავლას, სად ისწავლონ, არ იციან. შაჰის განზრახვები სისრულეში რომ მოეყვანათ, დაუყოვნებლივ უნდა დაესაქმებინათ მინიმუმ სამოცდაათი ათასი ადამიანი. მცირე ფიქრის შემდეგ მოინახა უაღრესად მარტივი და უსაფრთხო გამოსავალი – სპეციალისტების შემოყვანა საზღვარგარეთიდან. ამ შემთხვევაში უსაფრთხოებას მართლაც დიდი ყურადღება ექცეოდა. ცხადი იყო, რომ უცხო ადამიანი ირანში გაფიცვებსა და დემონსტრაციებს არ მოაწყობდა, უკმაყოფილო არ იქნებოდა სავაკის საქციელით; - მას მხოლოდ ის აინტერესებს, როგორ შეასრულოს თავისი საქმე, გამოიმუშაოს ფული და სახლში წავიდეს. ამ ქვეყნად ალბათ არავითარ რევოლუციებს აღარ ექნებოდა ადგილი, თუკი მაგალითად, ეკვადორელები იმუშავებდნენ პარაგვაიში, ხოლო ინდუსები – საუდის არაბეთში. მაშასადამე, საჭიროა ხალხის

შერევა, აღრევა, გათქვეფა, რათა ერთხელ და სამუდამოდ მშვიდობა დამყარდეს დედამიწაზე.

ამიტომ დაიწყეს ირანისაკენ ათასობით უცხოელის სამუშაოდ მოზიდვა. თეირანის აეროდრომზე თვითმფრინავები ერთმანეთის მიყოლებით ჯდებიან. აქ ჩამოდიან მზარეულები ფილიპინებიდან, სანტექნიკოსები – საბერძნეთიდან, ელექტრო მონტიორები – ნორვეგიიდან, მექანიკოსები – იტალიიდან, სამხედროები – შეერთებული შტატებიდან. ვათვალიერებ შაჰის იმ დროინდელ ფოტოსურათებს – შაჰი მონაკოელ ინჟინერს ესაუბრება, შაჰი რაღაცას უმტკიცებს იტალიელ მშენებელს, შაჰი საუბრობს კუზნეცელ ზეინკალთან. ეს ირანელები ვინღა არიან იქვე ახლოს დამდგანან? ესენი ირანის სამინისტროების თანამშრომლები ანდა სავაკის ოპერატიული მუშაკები.

სამაგიეროდ ის ირანელები, რომელთაც სურათზე ვერ ვხედავთ, ყველაფერ ამას თანდათან უფრო გულდაწყვეტილები უყურებენ. უპირველეს ყოვლისა, ეს უცხოური არმია, თავისი მაღალი ოსტატობით, იმით, რომ უკეთ ერკვევა თანამედროვე ტექნიკის მართვაში, თუმცა ძალიან მორიდებულად იქცევა, მაგრამ მაინც დომინირებული ადგილის დაკავებას იწყებს, ეს კი ირანელებს მეორე ხარისხოვანი ადამიანების გარკვეულ კომპლექსს უქმნის - უცხოელს შეუძლია – მე კი არა – ფიქრობს იგი. ირანელები კი ამაყი ხალხია და უაღრესად აღიზიანებთ მათ ღირსებაზე ოდნავ უხეში შეხებაც კი. ირანელი არ აღიარებს რაიმე რომ არ შეეძლოს, - ეს მისთვის სირცხვილია, თავის მოჭრაა.

ირანელები მალე აუღებენ ალღოს იმას, რაც შაჰს განუზრახავს – თქვენ იჯექით მანდ მეჩეთის ჩრდილში და პარსეთ ცხვარი. რადგან ვიდრე თქვენ რამეს გაიგებთ, მრავალი წელი გავა, მე კი მეჩქარება ამერიკელებთან და გერმანელებთან ერთად მსოფლიო იმპერია ავაშენო. სწორედ ამიტომ მიიღეს ირანელებმა ,,დიდი ცივილიზაცია", როგორც დიდი შეურაცხყოფა.

მაგრამ ეს, ცხადია, საქმის ნაწილია. მალე ირანელები შეიტყობენ, თუ რამდენს გამოიმუშავებენ ეს პროფესიონალები ქვეყანაში, სადაც მრავალი გლეხისათვის ათი დოლარიც კი დიდი ფულია (გლეხი მხოლოდ ათ პროცენტს იღებს იმ საქონლის ფასიდან, რომელიც შემდეგ ქალაქის ბაზარზე უნდა გაიყიდოს). ირანელებს განსაკუთრებით საგონებელში აგდებთ შაჰის მიერ შემოყვანილი ამერიკელი ოფიცრების ხელფასი, რომელიც ხშირად ორმოცდაათიდან ორას ათას დოლარს აღწევს წელიწადში. საკმარისია ამ ოფიცერმა ირანში ოთხი წელიწადი იმსახუროს, რომ თავის სამშობლოში ჯიბეში ნახევარი მილიონი დოლარით დაბრუნდება. ინჟინრებს გაცილებით ნაკლებს უხდიან, მაგრამ ირანელის შეხედულება ამ სფეროში ამერიკელთა მიერ მიღებულმა ხელფასებმა ჩამოაყალიბა. ძნელი არაა კაცმა წარმოიდგინოს, რას ფიქრობს საშუალო ირანელი, რომელსაც ცხოვრებას თავსა და ბოლოს ვერ აბამს, ეთაყვანება შაჰსა და მის ცივილიზაციას, როდესაც საკუთარ სამშობლოში ასე დაჩაგრულია, გვერდზე მიგდებულია, დამცირებულია ყველა ამ უცხოელისაგან, რომლებიც – თუმცა ცდილობენ ეს არ გამოხატონ, დარწმუნებულნი არიან თავიანთ აღმატებულობაში.

ბოლოს რამდენიმე ფაბრიკა მაინც აშენდა, მაგრამ მაშინ აღმოჩნდა, რომ ქვეყანას არ ჰქონდა საკმარისი ელექტროენერგია (რაც შაჰმა არ იცოდა). თუმცა უფრო სწორედ თუ ვიტყვით, მას ეს არც ეცოდინებოდა, რამეთუ იგი ქვეყნის მდგომარეობას

სტატისტიკით ეცნობოდა, იქიდან კი იტყობდა, რომ ელექტროენერგია საკმარისი რაოდენობით იწარმოებოდა. ეს მართალიც იყო, სტატისტიკა უჩვენებდა, თითქოს იწარმოებოდა ორჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე სინამდვილეში.

იმ დროს შაჰს უკვე დანა ყელზე ჰქონდა მიბჯენილი, სურდა, რაც არ უნდა დასჯდომოდა, საექპორტოდ სამრეწველო საქონელი გაეტანა. რა შეღავათი იყო იმისგან, რომ ასეთი ფანტასტიური რაოდენობის ფული შემოსდიოდა. ის ხომ დაუფიქრებლად ფანტავდა მას მარჯვნივ და მარცხნივ და ამის პარალელურად, უანგარიშოდ სესხულობდა. მაინც რატომ იღებდა ირანი ამდენ კრედიტს, რისთვის სჭიდებოდა იგი? იმისათვის, რომ უამრავი რაოდენობით იძენდა უცხოურ - ამერიკულ, გერმანულ და სხვა ქვეყნების უდიდესი კონცერნების აქციებს. ნუთუ ეს ასე აუცილებელი იყო? დიახ, აუცილებელი გახლდათ, რამეთუ შაჰს მსოფლიოზე გაბატონება სურდა. ბოლო წლებში იგი ყველას ჭკუას არიგებდა, რჩევას აძლევდა შვედებსა და ეგვიპტელებს, მაგრამ სურდა, რომ რეალური ძალაც სჭეროდა ხელში. ირანის სოფლები სიღატაკისაგან სულს ღაფავდა და საქონლის ნეხვით თბებოდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, თუკი შაჰი მსოფლიო მნიშვნელობის ამბიციას შეეპყრო.

ფოტოგრაფია (11)

U უფრო ზუსტად, ეს ფოტოგრაფია კი არა, ზეთში შესრულებული სურათის რეპროდუქციაა, რომელზედაც მხატვარ-პანეგერიკი შაჰს ა ლა Nპოლეონ-ის ფორმით წარმოგვიდგენს (ეს ის სურათია, რომელზეც ნაპოლეონი ცხენზე ზის და თავის ერთ-ერთ შვეიცარულ ბრძოლას ხელმძღვანელობს). ეს ფოტოგრაფია ირანის ინფორმაციის სამინისტრომ გაავრცელა (რომელსაც ფაქტობრივად სავაკი ხელმძღვანელობს). თუმცა, ცხადია, ამას შაჰის ნებართვის გარეშე ვერ გააკეთებდა და ისიც უარს არ ეტყოდა, რადგან მას უყვარდა ამგვარი შედარებები. შაჰს ტანზე კარგად გამოყვანილი მუნდირი აცვია, რომელიც ხაზს უსვამს მოჰამედ რეზას მოხდენილი, სწორი სხეულის ფორმას, მნახველს ანცვიფრებს თავისი მდიდრული ტანისამოსით, ჩინ-მედლების რაოდენობით და მკერდზე მეტად ოსტატურად ერთმანეთის გადამკვეთი თასმებით. ამ სურათზე ჩვენ შაჰს ვხედავათ თავის ყველაზე საყვარელ როლში – როგორც არმიის მეთაურს. არა, რა თქმა უნდა, შაჰი ზრუნავს თავის ერზე, თავის ქვეშევრდომებზე, მეტად დიდ დროს ხარჯავს ქვეყნის დაჩქარებული განვითარების გზების ძიებაში და ა. შ. მაგრამ ეს ყველაფერი მისთვის დამამძიმებელი მოვალეობაა, რომელიც იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ იგი ერის მამაა. სამაგიეროდ, მისი ჭეშმარიტი ჰობი, მისი ნამდვილი მოწოდება სწორედ რომ არმიაა. ეს ვნება კი მთლად უანგარო როდი ყოფილა. ყოველთვის არმია იყო მისი ტახტის უმთავრესი საყრდენი, ხოლო დროის გასვლასთან ერთად იგი ერთადერთი მისი იმედი გახდა. საკმარისი იყო, ირანული არმია დაშლილიყო, რომ შაჰსაც შეეწყვიტა არსებობა. ამასთან, ძალზე ვჭოჭმანობ, საერთოდ კი უნდა გამოვიყენო ეს ტერმინი თუ არა – არმია, რადგან ამ შემთხვევაში მისმა გამოყენებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. როგორც წესი, არმია ადამიანთა კავშირია, რომელთაც ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის სისხლი დაღვარეს, საზღვარს იცავდნენ, იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის და გამარჯვებას

აღწევდნენ. სხვაგვარადაც ხდებოდა ხოლმე: ტრაგიკულად მარცხდებოდნენ, რის შემდეგაც იწყებოდა მთელი ერის ტანჯვა-წამება.
არც ერთი შაჰ-ფაჰლავის არმიაზე არავითარი მსგავსი რამის თქმა არ შეგვიძლია. მას ერთხელ ჰქონდა შემთხვევა სამშობლო დაეცვა (1941 წელს), მაგრამ ზუსტად მაშინ უცხო ჯარისკაცის პირველსავე დანახვაზე ირანელებმა იარაღი დაყარეს და სახლებში გაიქცნენ. სამაგიეროდ მანამდეც და მას შემდეგაც, თავისი ძალა სრულიად სხვა მხრივ დაგვანახვეს, კერძოდ, საკუთარი თანამემამულეების (ხშირად ეროვნული უმცირესობის, ზოგჯერ დემონსტრაციის, ხშირად - უიარაღოს) დასჯის საქმეში. ერთი სიტყვით, ეს არმია სხვა არაფერი იყო, თუ არა შინაგანი ტერორის იარაღი, ერთგვარი ბანაკში შეყვანილი პოლიციის მსგავსი. და ისე, როგორც ჩვენმა (პოლონეთის ა.გ.) არმიამ სახელი გაითქვა ბრწყინვალე ბრძოლებით გრუნველდთან, რაცლავიცასთან თუ გროხოვსკასთან, ასევე მოჰამედ რეზას არმიამ თავი გამოიჩინა საკუთარი ხალხის დასჯაში (გავიხსენოთ: აზერბაიჯანში – 1946 წელს, თეირანში – 1963 წელს, ქურთისტანში – 1967 წელს, მთელი ირანის მასშტაბით – 1978 წელს და სხვ.). ყოველივე აქედან გამომდინარე არმიის განვითარება-გაძლიერებას ხალხი. ისე უყურებდა როგორც თავის დამარცხებას, დამონებას. მიაჩნდათ, რომ შაჰი ამ გზით მათ უფრო მეტად უჭერდა ბორკილებს. არმიის გაძლიერება ირანელებს მიაჩნდათ შოლტის დაწვნად, რომელიც ადრე თუ გვიან მათ ზურგზე გაიღებდა ტლაშუნს. არმიის დაყოფაც კი არმიად და პოლიციად (მათი რვა სახე არსებობდა) მხოლოდ ფორმალობა იყო და მეტი არაფერი. პოლიციის ყველა სახეს სათავეში გენერალი – შაჰის უახლოესი ადამიანი ედგა. არმიას, ისევე, როგორც სავაკს, ყოველგვარი პრივილეგია ჰქონდა (საფრანგეთში სწავლის დასრულების შემდეგ, - მიყვება ერთი ირანელი, - ცოლთან ერთად კინოში წავედით. დავდექით რიგში. ამ დროს გამოჩნდა ვიღაც ოფიცერი, რომელიც წავიდა და ურიგოდ იყიდა ბილეთი. მე შევეცადე მისთვის წინააღმდეგობა გამეწია. მაშინ მომიახლოვდა და სახეში გამარტყა. იძულებული ვიყავი მომეთმინა, რადგან ჩემს გვერდით მდგარმა ადამიანებმა მითხრეს, რომ ჩივილს აზრი არა ჰქონდა, პირიქით, შეიძლებოდა ციხეშიც ჩავესვით).

როგორც ზემოთაც ვთქვით, შაჰი თავს ყველაზე კარგად მუნდირში გრძნობდა და თავის უმეტეს დროს არმიასაც უთმობდა. მისი უსაყვარლესი გართობა იმ ჟურნალების თვალიერება იყო (რომლებიც დასავლეთში მრავლად გამოდის), სადაც ახალი სახეობის იარაღით რეკლამას ფირმები აკეთებდნენ. მოჰამედ რეზა ყველა ამ ჟურნალს იწერდა და დიდი გულისყურით კითხულობდა. როდესაც მას არ ჰქონდა იმდენი ფული, რომ ყველა ის იარაღი შეეძინა, რომელიც მოსწონდა, მხოლოდ შეეძლო ეთვალიერებინა და იმაზე ეოცნება, რომელ ტანკს ან თვითმფრინავს აჩუქებდნენ ამერიკელები. ეს უკანასკნელნი მართლაც აძლევდნენ მას ბევრს, მაგრამ ყოველთვის გამოჩნდებოდა ხოლმე რომელიმე სენატორი, რომელიც პენტაგონის კრიტიკას იწყებდა იმიტომ, რომ შაჰს მეტისმეტად ბევრ იარაღს აწვდიდა და ასეთ შემთხვევაში, რაღაც ლიმიტს უწესებდნენ ხოლმე.

მაგრამ იმის შემდეგ, რაც ნავთობმა ბევრი ფული მოუტანა, მას უკვე ხელ-ფეხი გაეხსნა. უპირველეს ყოვლისა, თანხა წლიური ოცი მილიარდი დოლარის ოდენობით ორ თანაბარ ნაწილად გაყო – ერთი ნახევარი ეკონომიკისათვის და მეორე ნახევარი – არმიისათვის (აქვე უნდა დავუმატოთ, რომ არმიაში ირანის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 1 პროცენტი მსახურობდა). ამის შემდეგ შაჰი კიდევ უფრო ჩაუღრმავდება

თავის სამხედრო პროფილის ჟურნალებს და საბრძოლო პროსპექტებს და მთელი მსოფლიოსაკენ თეირანიდან დაიწყებს წასვლას ფანტასტიური ხელშეკრულებები. რამდენი ტანკი ჰყავს დიდ ბრიტანეთს? ათას ხუთასი. კეთილი, - ამბობს შაჰი, - შევუკვეთოთ ორი ათასი. რამდენი ჰყავს ბუნდესვერს? - ათასი. ძალიან კარგი, ჩვენ ათას ხუთასი შევიძინოთ. კი მაგრამ რატომ უფრო მეტი, ვიდრე ბრიტანეთის არმიასა და ბუნდესვერს? იმიტომ, რომ შაჰს სურს მსოფლიოში მესამე არმია ჰყავდეს. სამწუხაროდ, პირველი და მეორე ალბათ ვერა, მაგრამ მესამე მაინც. - მესამე შეიძლება და აუცილებლად გვეყოლება კიდეც – ასე ფიქრობს შაჰი. და აი, ირანის მიმართულებით კვლავ დაიძვრება ტანკები, მოფრინავენ თვითმფრინავები და მოდის სატვირთო ავტომანქანების ეშელონები, რომელთაც ამ ქვეყნისაკენ თანამედროვე იარაღი მოაქვთ, როგორიც კი ამქვეყნად ადამიანს გამოუგონია და უწარმოებია.

მოკლე ხანში (იმიტომ, რომ თუ ფაბრიკების აშენება პრობლემებთან იყო დაკავშირებული, იარაღის იმპორტი არც თუ ისეთი რთულია, თუკი ფული გაქვს), ირანი სამხედრო ტექნიკისა და იარაღის უდიდეს საგამოფენო ტერიტორიად იქცევა, რამეთუ ქვეყანას არა აქვს საწყობები, ანგარები, ფარდულები, რათა ეს იარაღი შეინახოს და ცის ქვეშ არ დაყარონ. მართლაც რომ არნახული სანახაობაა. დღეს, როდესაც მიდიხარ შირაქიდან ისპაჰანისაკენ, ერთ ადგილას, გზის პირას, უდაბნოში დგას ასობით შვეულმფრენი. უმოძრაოდ გაჩერებულ მფრინავ მანქანებს დროთა განმავლობაში ქვიშა ფარავს. ამ ადგილებს არავინ იცავს, არც არის ამის აუცილებლობა. აქ კაცი არაა, ვინც მათ აამუშავებდა. გადაყრილი საბრძოლო იარაღის მთელი გორები ყრია კუმის სიახლოვეს, მიტოვებული ტანკებია დახორავებული აჰვაზის მახლობლად.

თუმცა მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. ჯერ-ჯერობით ირანს ისევ მოჰამედ რეზა ერთპიროვნულად მართავს. მას თავისი სამოქმედო პროგრამა ბოლო პარაგრაფამდე შევსებული აქვს. მონარქის არსენალი დღითიდღე ივსება, და ყოველდღიურად რაღაც ახალი ემატება – ხან რაკეტები, ხან რადარი, ხან რეაქტიული თვითმფრინავი, ხან - რა და ხან – რა. ეს ყველაფერი ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის. წელიწადის გასვლას არ აცდიან და სამხედრო ბიუჯეტს ხუთჯერ ზრდიან, ორიდან ხუთ მილიარდ დოლარამდე. შაჰს ესეც არ აკმაყოფილებს. იგი დადის, ინტერესდება, ათვალიერებს, ყველაფერს საკუთარი ხელით ამოწმებს, იღებს პატაკებს, მოხსენებებს, ისმენს ახსნა-განმარტებებს, თუ რისთვისაა ეს ძრავა, ეს ამწე, რა მოხდება, თუ მაგალითად, აი, ამ წითელ ღილაკს დავაჭერთ თითს. შაჰი ისმენს, თავს უკრავს. ამასთან, რაღაც უცნაურად გამოიყურებიან ის ადამიანები, რომელთაც შაჰი ესაუბრება, რაღაც ნამეტანი თეთრი ხალხია, თუმცა ზოგჯერ მათ შორის, ძალიან შავიც გამოერევა ხოლმე. მაგრამ რაა აქ გასაკვირი, ისინი ხომ ამერიკელები არიან! აბა, ვინ იფრენს ასეთი რთული ტექნიკით, ვინ მართავდა რადარს, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ირანს ასეთი კადრები არ ჰყავდა, არც სამხედრო და არც სამოქალაქო. როდესაც ასეთ თანამედროვე ტექნიკას ყიდულობდა, შაჰმა ისიც გაითვალისწინა, რომ მაღალანაზღაურებადი ამერიკელი სპეციალისტები შემოეყვანა ქვეყანაში, რომელთაც ამ ყველაფრის მოქმედებაში მოყვანა შეეძლოთ. მისი ბატონობის ბოლო წელიწადს ირანში უცხოელი სპეციალისტების რიცხვი ორმოც ათასს აღემატებოდა. სამხედროთა ხელფასის უწყისში ყოველი მესამე ოფიცერი ამერიკელი იყო, მაშინ, როდესაც ბევრ სამხედრო ფორმაციაში ადგილობრივ ოფიცრებს ხელის თითებზე ჩამოთვლიდით. ამასთან, ამერიკულ არმიასაც კი არა ჰყავდა იმდენი ექსპერტი, რამდენსაც შაჰი მოითხოვდა.

ერთ დღეს, როდესაც შაჰი ჩვეულებისამებრ სამხედრო პროსპექტებს ათვალიერებდა, მას ძალიან მოეწონა თანამედროვე გამანადგურებელი ,,შპრუანცე". მისი ერთი ეგზემპლარის ფასი 338 მილიონ დოლარს შეადგენდა. შაჰმა დაუყოვნებლივ ოთხი ასეთი გამანადგურებელი შეუკვეთა. ისინი შემოცურდნენ პორტ ბენდერ აბასში, მაგრამ ამერიკული ეკიპაჟი უკან, შეერთებულ შტატებში უნდა გაბრუნებულიყო, რამეთუ თავად შტატებს არ ჰყავდა საკმარისი მეზღვაური ასეთი სახის გემების მოსამსახურებლად. და აი, ეს გამანადგურებლები დღემდე ამ პორტში დგანან, ჟანგდებიან და ლპებიან.

სხვა დროს შაჰის ყურადღება მიიპყრო ბომბდამშენ F-16-ის სურათმა. წუთიც არ უფიქრია, ისე გადაწყვიტა მათი დიდი პარტიის შეძენა. მაგრამ ამერიკელები ხომ ისეთი საცოდავი ხალხია, მათ არაფერი წესიერის გაკეთება არ შეუძლიათ. და აი, ახლაც მათ თურმე გადაუწყვეტიათ, რომ შეწყვირონ ამ საფრენი აპარატის წარმოება. მისი დამზადება ძალიან ძვირი ჯდებოდა - ერთი ეგზემპლარი 26 მილიონ დოლარზე მეტი. საბედნიეროდ შაჰმა იხსნა მისი წარმოება ლიკვიდაციისაგან და გადაწყვიტა დახმარებოდა თავის ღარიბ მეგობრებს. მან ამერიკაში გაგზავნა შეკვეთა 160 ასეთ ბომბდამშენზე და მას სამი მილიარდ 800 ათას დოლარიანი ქვითარიც მიაყოლა.

ასეთი უზარმაზარი თანხიდან რატომ ცოტაოდენი არ გადადო, თუნდაც ერთი მილიონი, რამდენიმე საქალაქო ავტობუსის შესაძენად თეირანის მკვიდრთათვის? დედაქალაქში ხალხი ხომ საათობით ელოდებოდა ავტობუსს და შემდეგ უამრავ დროს ხარჯავდა სამსახურში მისვლამდე? Qქალაქის ავტობუსები? რა სიდიადე გამოიხატება ქალაქის ავტობუსების შეძენაში? რა ბრწყინვალებას შესძენენ ისინი ქვეყანას? მაშინ იქნებ ამ თანხიდან ერთი მილიონი მაინც სოფლებში ჭების ამოსაჭრელად გადაედოთ? ჭები? კი მაგრამ ვინ ივლის იმ სოფლებში ჭების სანახავად? ის სოფლები შორსაა. არავინ შეიწუხებს თავს და მთებში არ წავა, გასაოცარი ჭების სანახავად.

დავუშვათ, გამოვუშვით ალბომი, რომელიც აჩვენებს ირანს, როგორც მეხუთე სახელმწიფოს. ალბომში მოვათავსებთ სოფლის სურათს, სადაც ნაჩვენები იქნება ჭაც. ამის დანახვაზე ვროპელები დაფიქრდებიან, რა გამოსჭვივის ამ სურათიდან? არც არაფერი. უბრალოდ ჩანს ჭა. სამაგიეროდ, თუ სურათზე გამოსახული იქნება მონარქი ბომბდამშენების ფონზე (არის ბევრი ასეთი სურათი), ყველა მოწონებითა და გაკვირვებით გაიქნევს თავს და იტყვის, რომ ამ შაჰმა მართლაც გასაკვირი რამე გააკეთა! ამ დროს მუჰამედ რეზა შტაბში, თავის კაბინეტში იმყოფებოდა. მინახავს ტელევიზიით რეპორტაჟი ამ კაბინეტიდან. მისი ერთი კედელი მთლიანად დაკავებული ჰქონდა მსოფლიო რუკას. რუკიდან საკმაოდ მოშორებით იდგა ღრმა, ფართო სავარძელი, მის გვერდით კი პატარა მაგიდა და სამი ტელეფონი. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ოთახში სხვა არავითარი ავეჯი არ იდგა. არც სკამი, არც სავარძელი. აქ მხოლოდ იგი იმყოფება. ჯდება სავარძელში და რუკას შეჰყურებდა. კუნძულები ორმუზის სრუტეში? ისინი უკვე დაპყრობილი, დაკავებულია მისი ჯარების მიერ. ომანი? იქ მისი დივიზიებია დაბანაკებული. სომალი? მას სამხედრო დახმარება აღმოუჩინა. ზაირი? მასაც დაეხმარა. ეგვიპტესა და მაროკოს კრედიტები გამოუყო. ევროპა? აქ კაპიტალი ბანკებში აქვს, ხოლო დიდ კონცერნებში წილი. ამერიკა? აქაც შეისყიდა ბევრი აქცია. როგორც ვხედავთ, აქვს სატრაბახო. ირანი გაიზარდა, ყველა კონტინენტზე თავისი პოზიციები დაიკავა. ინდოეთის ოკეანე? ჰო,

დადგა დრო, როდესაც საჭიროა აქაც გააძლიეროს თავისი გავლენა. და ისიც ამ საქმეს თანდათან უფრო დიდ დროს უთმობდა.

ფოტოგრაფია (12)

სურათზე ლუფთჰანზას საფრენი ხაზის თვითმფრინავია გამოსახული თეირანის აეროდრომზე. ჩანს, სარეკლამო ფოტოსურათია, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო არაა რეკლამა, ადგილები ყოველთვის წინასწარაა გაყიდული. ეს თვითმფრინავი ყოველდღე მიფრინავდა თეირანიდან და მიუნჰენის სამხრეთით ჯდებოდა. შეკვეთილ ლიმუზინებს მგზავრები ელეგანტურ რესტორანში სადილზე მიჰყავდათ. ისადილებდნენ თუ არა, ყველნი იმავე თვითმფრინავით უკან, თეირანში ბრუნდებოდნენ, სადაც ამჯერად უკვე საკუთარ სახლებში ვახშამი ელოდათ. არც თუ ისე გასართობი იყო ეს რეისი, იმის გათვალისწინებით, რომ მასში ერთი ადამიანი ორი ათას დოლარს იხდიდა. თუმცა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც შაჰის ფავორიტთა რიცხვში შედიოდნენ, რა იყო ორი ათასი დოლარი?! თანხის რაოდენობას მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ძირითადად სასახლის კარის პლებსი დადიოდა მიუნჰენში სასადილოდ.

შაჰთან უფრო ახლოს მდგარი მაღალი თანამდებობის პირებს მაინც და მაინც არ ეხალისებოდათ ასეთი დიდი ენერგია დაეხარჯათ აქეთ-იქით სიარულში. სამაგიეროდ მათთვის Air France-ს თვითმფრინავს სადილად პარიზის Maxima-დან ჩამოჰყავდათ მზარეულები და ოფიციანტები. მაგრამ ასეთი ფუფუნების ფასიც კაპიკები იყო იმ ზღვა შემოსავლებთან შედარებით, რომელსაც შაჰი და მასთან დაახლოებული პირები იღებდნენ.

რიგითი ირანელის თვალში ,,დიდი ცივილიზაცია" ანუ შაჰისა და ხალხის ერთობლივი რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, უდიდესი ძარცვა იყო, რომელსაც ელიტამ მიჰყო ხელი. ყველა იპარავდა, ვისაც კი ძალაუფლება გააჩნდა. თუ ვინმე თანამდებობაზე იყო და არ იპარავდა, მის ირგვლივ სიცარიელე ჩნდებოდა: იგი თითქმის ყველას საეჭვო ადამიანად მიაჩნდა. კოლეგები მის შესახებ ამბობდნენ, რომ იგი აგენტია და მათთან იმისათვისაა მიგზავნილი, რომ დაასმინოს, თუ ვინ რამდენს იპარავს, რადგან ასეთი ინფორმაცია ჩვენს მტრებს სჭირდებათ. და თუ იმდენი შეეძლოთ, ასეთ ადამიანს თავიდან იშორებდნენ – თამაშს აფუჭებდა.

ამრიგად, ყველაფერი თავდაყირა დადგა, ღირებულებებს სრულიად საპირისპირო ნიშანი გაუჩნდათ. ის, ვისაც სურდა წესიერ და ღირსეულ ადამიანად დარჩენილიყო, ციხეში უშვებდნენ იმიტომ, რომ ხალხის თვალში ისიც მექრთამე იყო. თუკი ვინმე სუფთა ხელებით იყო დარჩენილი, იძულებული ხდებოდა ისინი რაც შეიძლება დაემალა. თითქოს რაღაც სამარცხვინო იყო ამ სისუფთავეში. რაც უფრო მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა ადამიანი, მით უფრო სავსე ჰქონდა ჯიბეები. ვისაც სურდა აეშენებინა ფაბრიკა, გაეხსნა ფირმა, ანდა ბამბის პლანტაცია გაეშენებინა, მას შემოსავლის ნაწილი შაჰის ან მისი დაახლოებული პირისათვის უნდა მიეცა. სიამოვნებითაც აძლევდნენ კიდეც, რადგან ბიზნესის განვითარება მხოლოდ მაშინ შეეძლოთ, თუ სასახლის კარის მხარდაჭერა ექნებოდათ. ყველა სახის წინააღმდეგობას გადალახავდი, თუ გავლენა და ფული გქონდა. გავლენა კი შეგეძლო გეყიდა და შემდეგ მისი გამოყენებით დიდი ფული გეკეთებინა.

ძნელი წარმოსადგენია ფულის ის მოცულობა, რომელიც შაჰის, მისი ოჯახისა და ახლობლების ჯიბისაკენ მიდიოდა. შაჰის ოჯახი ქრთამის სახით იღებდა ას მილიონ დოლარს და მეტსაც. თავად ირანში იგი ატრიალებდა სამიდან ოთხ მილიარდ დოლარამდე, მაგრამ თანხის უდიდესი ნაწილი საზღვარგარეთის ბანკებში ჰქონდა. პრემიერი და გენერლები ქრთამის სახით ოციდან ორმოცდაათ მილიონ დოლარამდე იღებდნენ. რაც უფრო დაბლა ჩამოვდიოდით, ქრთამის მოცულობა მით უფრო მცირდებოდა, მაგრამ თავისი წილი ყველას ჰქონდა. იმის მიხედვით, თუ როგორ იზრდებოდა ფასები, იზრდებოდა ქრთამის მოცულობაც. უბრალო ადამიანები აღშფოთებულები იყვნენ, რადგან მათ თანდათან უფრო მეტი თანხის გადახდა უწევდათ კორუფციული ურჩხულის შესანახად.

ადრეულ ეპოქებში ირანში თანამდებობის გაყიდვის ტრადიცია არსებობდა. შაჰმაც გამოაცხადა გუბერნატორის თანამდებობის დასაკავებლად საწყისი ფასი და ვინც ყველაზე მეტს გადაიხდიდა, ამ თანამდებობასაც დაიკავებდა. შემდეგ ეს უკანასკნელი თავის ქვეშევრდომებს ქათამივით პუტავდა, რათა ერთი ათად აეღო ის, რაც გუბერნატორობაში შაჰს გადაუხადა. ახლა ეს ტრადიცია სხვა სახით აღსდგა. ახლა მონარქი იმით მოისყიდიდა ხოლმე ადამიანებს, რომ მათ ძვირადღირებული სამხედრო კონტრაქტების დასადებად აგზავნიდა. ასეთ გარიგებებში უდიდესი ფული კეთდებოდა, რომლის ნაწილიც შაჰისა იყო. ეს ეპოქა პირდაპირ სამოთხე იყო გენერლებისთვის („დიდი ცივილიზაციის" დროს ყველაზე მეტი ფული სამხედროებმა და სავაკმა იშოვა). მაშინ გენერალიტეტმა ზღაპრული ქონება უსირცხვილოდ ჩაიგდო ხელში. სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურმა, კონტრადმირალმა აბას ატაიმ თავისი ფლოტი დუბაიდან ირანში კონტრაბანდის გადასატანად გამოიყენა. ზღვის მხრიდან ირანი აბსოლუტურად დაუცველი იყო – მისი გემები დუბაის პორტში იდგნენ და გემბანზე იაპონურ ავტომანქანებს ტვირთავდნენ.

შაჰი მეხუთე სახელმწიფოს აშენებით, რევოლუციით, ცივილიზაციით და პროგრესით იყო დაკავებული და დრო არ ჰქონდა ისეთ წვრილმან საქმეებში გარკვეულიყო, როგორსაც მისი თანამდებობის პირების მეთვალყურეობა წარმოადგენდა. მისი მილიარდიანი ანგარიშები ძალზე მარტივი სახით წარმოსდგებოდა. იგი ერთადერთი ადამიანი იყო ქვეყანაში, რომელმაც იცოდა, რა შემოსავალ-გასავალი ჰქონდა ირანის ნავთობის ასოციაციას, ანუ მის გარეშე ვერ მოხდებოდა ამ ორგანიზაციის ნავთობდოლარების სახით შემოსავლების გაყოფა. ხოლო მიჯნა, რომელიც შაჰის ჯიბესა და სახელმწიფო ბიუჯეტს ყოფდა ძალზე მკრთალი და დაუდგენელი იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ შაჰი, რომელიც ასე დაკავებული იყო მრავალი სახის ვალდებულებებით, ერთი წუთითაც არ ივიწყებდა საკუთარ ქისას და თავის ხალხს რამდენადაც შესაძლებელი იყო, ატყავებდა. რას უშვრებოდა ამდენ ფულს შაჰის უახლოესი გარემოცვა? ისინი ამ ფულს ძირითადად უცხოურ ბანკებში ინახავდნენ.

ჯერ კიდევ 1958 წელს ირანში ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი სკანდალი ატყდა. ვიღაცამ დაადგინა, რომ ის ფული, რომელსაც ამერიკა აძლევდა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ირანს, ისევ უკან, შეერთებულ შტატებში ბრუნდებოდა და შაჰის, მისი ოჯახის წევრებისა და უახლოესი გარემოცვის ანგარიშებზე ილექებოდა. მაგრამ იმ დროიდან, რაც ირანში ნავთობდოლარების შემოდინება დაიწყო, არც ერთ სენატორს არ ჰქონდა იმის უფლება, რომ ამ ქვეყნის შიდა საქმეებში ქექვა დაეწყო. ამის

შემდეგ უაღრესად თავისუფლად დაიწყო ირანიდან საიმედო უცხოურ ბანკებში ფულის გადატანა. მათში ირანული ელიტა ყოველწლიურად კერძო ანგარიშებზე ორ მილიონ დოლარზე მეტს რიცხავდა. შემდეგ და შემდეგ ეს თანხა კიდევ უფრო გაიზარდა და რევოლუციის წელს მან წლიურად ოთხ მილიარდს გადააჭარბა.

ეს წარმოადგენდა საკუთარი ხალხის უმაღლესი ხარისხით ძარცვა-გლეჯას. ნებისმიერს იმდენი ფულის გატანა შეეძლო ქვეყნიდან, რამდენიც ჰქონდა და სურდა, არავითარი შეზღუდვა ამ სფეროში არ არსებობდა, მხოლოდ ქვითრის შევსება იყო საკმარისი.

ამას გარდა ქვეყნიდან ფული გადიოდა უცხოელი მეგობრების, თანამდებობის პირების დასასაჩუქრებლად, მათ მოსაქრთამად, ათასგვარ გასართობებზე. ლონდონსა თუ ფრანკფურტში, სან-ფრანცისკოსა თუ სხვა საკურორტო ადგილებში აგარაკების, სასტუმროების შესაძენად, კერძო სავადმყოფოების ასაშენებლად, რესტორნების გასახსნელად. უდიდესმა ფულმა შაჰს საშუალება მისცა საწყისი მიეცა ახალი საზოგადოებრივი ფენის აღმოცენებისათვის, რომლის მსგავსიც არც ეკონომისტების, არც სოციოლოგების და არც ისტორიკოსებისათვის აქამდე ცნობილი არ იყო. ესაა ნავთობის ბურჟუაზია, უცნაური საზოგადოებრივი ფენომენი. იგი ამქვეყნად აბსოლუტურად არაფერს არ ქმნის, მაგრამ მის ერთადერთ საქმიანობას წარმოადგენს ზღვარდაუდებელი მოხმარება. ეს ფენა თავის ადგილს იმკვიდრებს არა საზოგადოებრივი ბრძოლით (ფეოდალიზმთან), ან კონკურენციის გზით (სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზია), არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლითა და კონკურენციით შაჰის მადლიერების მოსაპოვებლად. ამ ადგილის დაკავება შეიძლება მოხდეს ერთ წამს, ერთი დღის განმავლობაში, საკმარისია მონარქის მხოლოდ ერთი სიტყვა, მისი ერთი ხელმოწერა. შაჰის ამგვარ კეთილგანწყობას კი მხოლოდ ის მოიპოვებდა, ვინც შეძლებდა მონარქისათვის ლეკვივით კუდის ქიცინს და დაარწმუნებდა მისადმი თავდადებასა და ერთგულებაში. სხვა არავითარი ადამიანური ღირსება და დამსახურება საჭირო არ იყო. ეს პარაზიტების ფენა, რომელმაც მოკლე დროში ხელში ჩაიგდო ირანის ნავთობიდან მიღებული შემოსავლების უდიდეს ნაწილი, ამ ქვეყნის მესაკუთრე გახდა. მათთვის ყველაფერი ნებადართული იყო, ისინი ხომ აკმაყოფილებენ შაჰის უმთავრეს მოთხოვნებს – აქებდნენ და ადიდებდნენ მას. ასევე აძლევდნენ მას საშუალებას თავი უსაფრთხოდ და უშიშრად ეგრძნო. გარშემორტყმული იყო კბილებამდე შეიარაღებული ხალხით და მის ირგვლივ დღედაღამ ის ადამიანები ტრიალებდნენ, რომლებიც აღტაცებით ისმენდნენ მის ყოველ სიტყვას, აღაფრთოვანებდათ მისი ყოველი მოქმედება. მას ვერ გაეცნობიერებინა, რა ყალბი, რა მოჩვენებითი და მყიფე იყო ეს ყოველივე. მუსიკას ნავთობის ბურჟუაზია უკვეთავდა (საოცარია ამ უკანასკნელის ანატომია. იგი შედგებოდა მაღალი წრის სამხედროების, სამოქალაქო ბიუროკრატიის, სასახლის კარის მოხელეების, გაქნილი სპეკულანტების და ასევე საკმაო რაოდენობის გაურკვეველი კატეგორიიის ადამიანებისაგან, ყოველგვარი პროფესიისა და თანამდებობის გარეშე. მიუხედავად ამისა, თითოეულ მათგანს ჰქონდა გარკვეული პოზიცია შაჰის კარზე, ქონება და გავლენა. რატომ? ვკითხულობ. პასუხი ყოველთვის ერთი და იგივეა – იგი შაჰის კაცი იყო. ეს საკმარისია).

უმთავრესი დამახასიათებელი ამ ფენისათვის, რაც უაღრესად გამაღიზიანებელი ხდებოდა ირანის ტრადიციების მიმდევარი ხალხისათვის, ის იყო, რომ ის თავის

ქცევით, აზრებით, ჩაცმულობით და ასე შემდეგ, გარიყული იყო საზოგადოებისაგან. იგი ტანსაცმელს ყიდულობდა ნიუ-იორკსა და ლონდონში (ქალები უფრო პარიზში), თავისუფალ დროს თეირანის ამერიკულ ღამის კლუბებში ატარებდა, ხოლო ბავშვებს - საზღვარგარეთ აგზავნიდა განათლების მისაღებად. ეს ფენა უდიდესი სიმპათიით იყო განმსჭვალული ამერიკისა და ევროპისადმი, ხოლო აგდებულად - თანამემამულეებისადმი. ის თავის ელეგანტურ აგარაკებზე მასპინძლობდა უცხოელებს და იქ უყალიბებდა აზრს ქვეყნისა და მის მკვიდრთა შესახებ (რაზეც, ხშირ შემთხვევაში, თავად არ გააჩნდა წარმოდგენა). მას უაღრესად რაფინირებული მანერები ჰქონდა, საუბრობდა ევროპულ ენებზე და განა გასაგები არაა, რომ თუნდაც ამის გამო ევროპელები მასთან მოინდომებდნენ კავშირის დაჭერას?! მაგრამ როგორი ილუზიურია ასეთი შეხვედრებისას ევროპელთა მიერ შექმნილი შთაბეჭდილება, როგორ განსხვავდება აქ მათ წარმოდგენაში შექმნილი ქვეყნის სახე ნამდვილად არსებული მდგომარეობისაგან. ეს ფენა თავისი თვითგადარჩენის ინსტიქტით გრძნობდა, როგორი სწრაფწარმავალი და მოჩვენებითია მათი კარიერა, ამიტომ სულ მზად ჰქონდა ჩემოდანი, ფულს საზღვარგარეთ რიცხავდა, ევროპასა და ამერიკაში უძრავ ქონებას ყიდულობდა.

ამასთან, მათ იმდენი ფული გააჩნდათ, სად წაეღოთ, აღარ იცოდნენ. ამ ფულის ნაწილს ეს ფენა ირანში ფუფუნებით ცხოვრებისათვის მოიხმარდა. შედეგად, თეირანში თანდათან წარმოსდგა უმდიდრესი დასახლებები, რომლის კომფორტი და სიმდიდრე ყოველ მნახველს ანცვიფრებდა. მრავალი სახლის ღირებულება მილიონ დოლარს აღემატებოდა. ასეთი დასახლებები იზრდებოდა და ფართოვდებოდა იმ ქალაქში, რომლის ზოგიერთ რაიონში მთელი ოჯახი იძულებული იყო ერთ კვადრატულ მეტრზე ეცხოვრა, ამასთან, წყლისა და ელექტროენერგიის გარეშე.

ამხელა სიმდიდრე, ზღაპრული ქონება, ასეთი ზღვარს გადასული მოხმარება უცხო თვალს მოფარებული მაინც უნდა ყოფილიყო, ფარდებჩამოფარებულ ოთახებში ან ტყეში სადმე მაინც ჰქონოდა ადგილი, სადაც ამას ბევრი ვერავინ შენიშნავდა და ვერც ვერავის გააღიზიანებდა.

მაგრამ როგორ გეკადრებათ! აქ არაფერს არ მალავენ, ყველაფერი ყველას დასანახადაა გამოფენილი, ყველა ფანარი ანთებულია, რათა ყველა დააბრმავონ თავიანთი სიმდიდრის ბრწყინვალებით, ყველამ მუხლი მოიყაროს მათი სიმდიდრის წინაშე! აბა, თუ დამალავ, არ გამოაჩენ, რა საჭიროა ასეთი ქონება? მის შეძენას, სჯობს საერთოდ არაფერი გქონდეს. და რადგან გაქვს, ყველამაც უნდა დაინახოს, გაიგოს, იცოდეს, დაე, უყურონ და აღფრთოვანებაში მოვიდნენ, დაე, თვალები დააჭყიტონ ასეთი ქონების დანახვისას!

და მართლაც, მდუმარე და გაბოროტებული ხალხის თვალწინ ეს ახალი ფენა ირანის *dolce vita*-ს დანახვის საშუალებას აძლევდა, იმ *dolce vita-ს*ი, რომელსაც არაფერში ზომა და თავშეკავება არ სჩვეოდა, რომლის ცინიზმსაც საზღვარი არ ჰქონდა. ეს ყველაფერი კი შედეგად ისეთ ხანძარს გამოიწვევს, რომელიც თავის ცეცხლის ენებში შთანთქამს ამ ფენასაც და მის წარმომშობსაც.

ფოტოგრაფია (13)

ესაა იმ კარიკატურის რეპროდუქცია, რომელიც ოპოზიციონერ მხატვარს დაუხატავს რევოლუციის დღეებში. მასზე თეირანის ქუჩა მოჩანს. რომელზეც ვეებერთელა ამერიკული ავტომანქანები მიდიან, ხოლო ტროტუარებზე ხალხი დგას. თითოეულ მათგანს ხელში ავტომანქანის რაღაც ნაწილი უჭირავს სიმბოლურად: ზოგს მისი კარების სახელური, ზოგს ავტომანქანის სარკე, ზოგს – საჭე, მოკლედ ზოგს რა და ზოგს – რა. ნახატის ქვევით წარწერაა: თითოეულს პეიკანი! (პეიკანი ირანში ყველაზე პოპულარული ავტომანქანის სახელწოდებაა).

როდესაც შაჰმა დიდი ფულადი შემოსავლები მიიღო, ირანელ ხალხს შეპირდა, რომ ყოველ მათგანს ავტომანქანის შეძენის საშუალება ექნებოდა. კარიკატურა გვიჩვენებს, როგორ შესრულდა ეს დაპირება. ამ ქუჩის ზევით, ღრუბელზე, გაბრაზებული შაჰი ზის, რომლის თავს ზევითაც წერია: მუჰამედ რეზა გაბრაზებულია თავის ხალხზე, რომელსაც არ სურს აღიაროს, როგორ გაუმჯობესდა ცხოვრება. ესაა მეტად საინტერესო სურათი, რომელიც გვეუბნება, თუ როგორ ეკიდებოდნენ ირანელები ,,დიდ ცივილიზაციას". ანუ ეს უკანასკნელი ხალხს უდიდეს უსამართლობად, დაცინვად მიაჩნდა. საზოგადოებას, რომლისთვისაც აქამდე უცნობი იყო თანასწორობა, ახლა კიდევ უფრო უარესი, - უაღრესად საგრძნობი სოციალური უფსკრული დაემატა. ცხადია, შაჰებს ყოველთვის გაცილებით მეტი ჰქონდათ, ვიდრე სხვებს, მაგრამ მათ მილიონერებს ძნელად უწოდებდი. ისინი იძულებული ხდებოდნენ კონცესიები გაეყიდათ, რათა რაღაც დონეზე ეცხოვრებინათ თავიანთი ოჯახი და სასახლის კარი. შაჰ ნაზერ-ედ-დინს პარიზის საროსკოპოებში იმდენი ვალი დაუგროვდა, რომ თავის გამოსასყიდად და სამშობლოში დასაბრუნებლად იძულებული გახდა ფრანგებისათვის სპარსეთში არქეოლოგიური საგანძურის მოძიებისა და იქ ნაპოვნი ანტიკური ნივთების საფრანგეთში გატანის უფლება მიეცა.

მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ახლა, სამოცდაათიანი წლების შუაში, ირანმა უდიდესი ფინანსური წყარო იპოვა. და რას აკეთებდა შაჰი? შემოსავლის ნაწილს უნაწილებდა ელიტას, ნაწილს აძლევდა თავის არმიას, ხოლო დანარჩენს – განვითარებაზე სდებდა. მაგრამ რას ნიშნავს – განვითარება? ეს არაა რაღაც განყენებული, აბსტრაქტული კატეგორია. განვითარება შეიძლება მიმართული იყოს იქით, რომ გაამდიდროს საზოგადოება, მისი ცხოვრება გახადოს უკეთესი, თავისუფალი და სამართლიანი. მაგრამ მას შეიძლება სრულიად საპირისპირო ხასიათიც ჰქონდეს. სწორედ ასე ხდება ერთპიროვნული მმართველობის სისტემის არსებობისას, როდესაც ელიტა თავის ინტერესს სახელმწიფოს ინტერესთან აიგივეებს (მისი ბატონობის ინსტრუმენტთან) და სადაც განვითარებას, რომელსაც მიზნად სახელმწიფოს და მისი რეპრესიული აპარატის გაძლიერება უნდა ჰქონდეს დასახული, დიქტატურას, მონობის ხარისხს, ხალხის ცარიელ არსებობას აძლიერებს. ზუსტად ასეთი სახე ჰქონდა განვითარებას ირანში, რომელიც ,,დიდი ცივილიზაცია" სარეკლამო საბურველით მიეწოდებოდათ ირანელებს. ამიტომ განა უნდა გაგვიკვირდეს მათი, რომლებიც მიუხედავად უდიდესი და საშინელი მსხვერპლისა, აჯანყდნენ, განვითარების ეს მოდელი უარყვეს და ისტორიის სანაგვეში მოისროლეს?!

მათ ეს იმიტომ კი არ ჩაიდინეს, რომ ბნელი და ჩამორჩენილი ხალხი იყო (საუბარია მთელ ხალხზე და არა ერთ-ორ გაგიჟებულ ფანატიკოსზე), არამედ პირიქით, გონიერნი და ინტელექტუალები იყვნენ და ესმოდათ, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო. ისინი ხვდებოდნენ, რომ კიდევ რამდენიმე წელიწადი და ასეთი ,,ცივილიზაცია" და

ხელისუფლება ამით სუნთქვის საშუალებასაც წაართმევდა, უფრო მეტიც, საერთოდ შეწყვეტდნენ არსებობას, როგორც ერი. შაჰთან ბრძოლას (ანუ ბრძოლას დიქტატურის წინააღმდეგ) ეწეოდნენ არა მხოლოდ ჰომეინი და მოლები. ეს ასე წარმოადგინა სავაკის საკმაოდ ეშმაკურმა პროპაგანდამ (როგორც შემდეგ აღმოჩნდა): ვითომ გონებადაბნელებული მოლები ებრძოდნენ და ანადგურებდნენ შაჰის პროგრესულ წამოწყებებს. არა! ამ ბრძოლას აწარმოებდა, უპირველეს ყოვლისა, ყველა ის ადამიანი, რომლებიც ასახიერებდნენ ირანის ღირსებას, გონიერებას, სინდის-ნამუსს და პატრიოტიზმს: მუშები, მწერლები, სტუდენტები, მეცნიერები. ისინი იტანჯებოდნენ სავაკის ჯურღმულებში, მათ აიმაღლეს პირველებმა ხმა და მათვე აიღეს იარაღი შაჰის, მისი დიქტატურის წინააღმდეგ. სწორედ დიქტატურის, რამეთუ ,,დიდ ცივილიზაციას" დასაწყისიდანვე თან დაჰყვა ორი მოვლენა, რომელიც აქამდე ასეთ დონემდე არასოდეს არ ასულა ამ ქვეყანაში: პოლიციური რეპრესიებისა და დიქტატურის გაძლიერება და მეორე მხრივ, მუშათა და სტუდენტთა თანდათან უფრო მოხშირებული აჯანყებები და ძლიერი პარტიზანული მოძრაობის წარმოშობა. ამ უკანასკნელს ეწეოდნენ ირანელი ფედაინები (აქვე ავღნიშნავთ, რომ მათ არაფერი ჰქონდათ საერთო მოლებთან. პირიქით, ეს უკანასკნელნი ფედაინების წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ). ეს პარტიზანული დაჯგუფებები გაცილებით ფართო ფრონტით მოქმედებდნენ, ვიდრე ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში, თუმცა მათ შესახებ მსოფლიომ არაფერი იცოდა. ვერც გაიგებდა. შაჰი ხომ ყველას საშუალებას აძლევდა ხელი მოეთბო ირანის სიმდიდრეზე, ოღონდ მის საზღვრებს გარეთ ცუდი არაფერი წამოსცდენოდათ. ამ პარტიზანთა რიგებში ნახავდით ექიმებს, სტუდენტებს, ინჟინრებს, პოეტებს. ესაა ის ირანული ,,ბნელი ძალა", რომელიც შაჰისა და მისი თანამედროვე სახელმწიფოს სინათლის წინააღმდეგ გამოვიდა? და ეს მაშინ, როდესაც ყველა მას აქებდა და ვის წინაშეც განცვიფრებას, აღტაცებას ვერ მალავდნენ. ხუთი წლის განმავლობაში პარტიზანულ ბრძოლებში დაიღუპა რამდენიმე ასეული ირანელი, ხოლო რამდენიმე ასეულს სავაკმა მიუსაჯა სიკვდილი. ამ პერიოდში ასეთი დიდი მსხვერპლი თავის სინდის-ნამუსზე არ ჰქონია არც სომოსს და არც სტროესნერს. იმათგან, ვინც ჩამოაყალიბა და სათავე დაუდო ირანის პარტიზანული მოძრაობას, ვინც მისი ბელადი და ტერორისტი იყო, ვინც ფედაინებს, მოჯაჰედებს და სხვა მებრძოლ ჯგუფებს წინამძღოლობდნენ, შაჰის მომხრეებს ცოცხალი ერთიც არ გაუშვიათ.

რვეულიდან (6)

შიიტი უკიდურესობამდე მისული ოპოზიციონერია. თავდაპირველად შიიტები მუჰამედის სიძის, მისი უსაყვარლესი ქალიშვილის, ფატიმას ქმრის – ალის მეგობრები და მომხრეების მცირე ჯგუფს წარმოადგენდნენ. მუჰამედის სიკვდილის შემდეგ, რომელსაც გვარის გამგრძელებელი, მამაკაცი მემკვიდრე არ დარჩენია და არც გარკვევით დაუბარებია, თუ ვინ იქნებოდა მისი საქმეების გამგრძელებელი, მუსულმანებს შორის დაიწყო ბრძოლა წინასწარმეტყველის მემკვიდრეობისათვის, იმის შესახებ, თუ ვინ იქნებოდა ალაჰის აღმსარებელთა მეთაური (ხალიფა), პირველი პირი ისლამის სამყაროში. ალის მომხრეები (ზუსტად ამას ნიშნავს სიტყვა ,,შიი") ამ თანამდებობაზე თავიანთ ლიდერს ასახელებდნენ. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ

ზუსტად ალია წინასწარმეტყველის ოჯახის ერთადერთი წარმომადგენელი, მისი ორი შვილიშვილის – ჰასანისა და ჰუსეინის, მამა. მაგრამ მაჰმადიანთა სუნიტური უმრავლესობა უგულვებელყოფდა შიიტთა არგუმენტებს და სამი მომდევნო არჩევნებისას ხალიფად ირჩევდნენ აბუ ბაქრს, უმარს და უტმანს. ბოლოს ალიმ მართალია ხალიფატი მოიპოვა, მაგრამ მხოლოდ ხუთი წლით, რადგან ში ერთმა აჯანყებულმა მოკლა – თავი მოწამლული ხმლით მოკვეთა. ალის ორი შვილიდან ერთი - ჰასანს, მოწამლეს, ხოლო ჰუსეინი ბრძოლის ველზე დაეცა. ალის ოჯახის ამოწყვეტამ შიიტებს ხელისუფლების მოპოვების შანსი ერთხელ და სამუდამოდ დაუკარგა (ის ხელში ჩაუვარდა ომადების, შემდეგ აბასიდებს, ხოლო ბოლოს – ოტომანების დინასტიას).

ხალიფატი, რომელიც წინასწარმეტყველის წარმოდგენით უბრალო და მარტივი დაწესებულება უნდა ყოფილიყო, მემკვიდრეობით მონარქიად გადაიქცა. ასეთ სიტუაციაში უბრალო მაჰმადიანები, ღვთის მოშიში და ღარიბი შიიტები, რომელთაც თვალს სჭრიდა ახლადწამოჩიტული ხალიფების ცხოვრების მდიდრული სტილი, ოპოზიციაში გადავიდნენ.

ეს ამბები მეშვიდე საუკუნის შუა ხანებში ხდებოდა, მაგრამ დღესაც უაღრესად მგრძობიარე და ცოცხალი ისტორიაა მაჰმადიანისათვის. ღვთის მოშიშ შიიტთან საუბრისას მისი რწმენის თემაზე, ის გამუდმებით იმ ძველ, ხანდაზმულ ისტორიას უბრუნდება და თვალებზე ცრემლმომდგარი მოგიყვებათ კარბალასთან მომხდარი ხოცვა-ჯლეტის შესახებ, როდესაც ჰუსეინს თავი მოკვეთეს. სკეპტიკურად განწყობილი ევროპელი ამ დროს გაიფიქრებს – ღმერთო ჩემო, ახლა ამ ყოველივეს რა მნიშვნელობა აქვს! მაგრამ თუ ხმამაღლა წარმოთქვამ ამ სიტყვებს, ამით უდიდეს შეურაცხყოფას მიაყენებთ შიიტს.

ამ უკანასკნელთა ბედი მართლაც რომ ყოველმხრივ ტრაგიკულია. ისტორიული უსამართლობის ეს შეგრძნება, და კიდევ ის, რომ მათ განუყრელად თან სდევდათ უბედურება, შიიტის შეგნებაში ღრმადაა ჩაჭრილ-ჩაბეჭდილი. არიან ერები, რომელთა მეგზურიც განუწყვეტელი წარუმატებლობა და მარცხია, რომელთაც ყველაფერში ხელი ეცარებათ, გაიელვებს თუ არა მათ გონებაში რაიმე იმედი, მყისვე ქრება, მათთვის ზურგის ქარი არასოდეს არ ქრის. მოკლედ, ეს ხალხი რაღაც ფატალური ნიშნითაა აღბეჭდილი. ზუსტად ასეა შიიტების ბედიც. იქნებ ამიტომაცაა, რომ ისინი ასეთი სერიოზული, უაღრესად დაძაბული, ყოველთვის თავის შეხედულებაზე დამრჩენნი, ზედმეტად პრინციპული ადამიანების შთაბეჭდილებას რომ სტოვებენ.

იმ დროიდან, როდესაც შიიტები (რომლებიც მუსულმანთა მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენენ, დანარჩენი სუნიტები არიან) ოპოზიციაში გადავიდნენ, მათი არნახული დევნა დაიწყო. ისინი ვერ ივიწყებენ, თუ როგორ არბევდნენ და რამდენი მსხვერპლი აქვთ გაღებული.

ამიტომ შიიტები თავიანთ გეტოებში იკეტებიან, განცალკევებით ცხოვრობენ, ერთმანეთს მხოლოდ მათთვის ცნობილი ნიშნებით ეცნაურებიან და ქცევის კონსპირაციულ ფორმებს იმუშავებენ. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ვერ გაურბიან დევნას, თავიდან ვერ იცილებენ დამცირებას. შიიტები ძალზე გამობრძმედილი ხალხია. სუნიტებისაგან განსხვავებით, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი მორჩილი ხასიათით, შიიტები ოპოზიციაში უდგებიან ხელისუფლებას, რომელიც მუჰამედის შემდეგ ქედმაღალი და სიმდიდრის ძალზე მოყვარული გახდა, გამოდიან არსებული

ორთოდოქსული წესების წინააღმდეგ და ამიტომ, ცხადია, მუსლიმანურ სამყაროში ამას ვერავინ შეეგუება.

თანდათან იწყებენ უსაფრთხო ადგილების ძებნას, რომელიც მათ გადარჩენის მეტს შანსს მისცემდათ. იმ დროს, როდესაც ადამიანთა შორის კომინიკაციური კავშირები უაღრესად ნელა და რთულად ვითარეობდა, სივრცე და დაშორება, გამყოფი კედლის მეტად შედეგიან როლს თამაშობდა. ამიტომ შიიტები ცდილობდნენ, რაც შეიძლება შორებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას (რომელიც ჯერ დამასკოში, ხოლო მოგვიანებით – ბაღდადში იმყოფებოდა). მალე ისინი მთელ მსოფლიოს მოედებიან, დახეტიალობენ უდაბნოსა და მთებში, იმალებიან მიწისქვეშ. ამრიგად, წარმოსდგება მუსულმანურ სამყაროში დღემდე გადარჩენილი შიიტური დიასპორა. თავგაწირვის წარმოუდგენელი მაგალითებით, გაბედულობითა და სულის სიმტკიცით, სავსე მათი ეპოპეა, ცალკე წიგნის მიძღვნას იმსახურებს.

მოხეტიალე შიიტების ნაწილი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა, გადალახა ტიგროსი და ევფრატი, გადავიდა ზაგროსის მთაზე და სპარსეთის ზეგანის უდაბნოს მიადგა.

ამ დროს სპარსეთი ბიზანტიასთან საუკუნოვანი ბრძოლით ქანცგამოცლილი და გამოფიტული, არაბებს ჰყავდათ დაპყრობილი. ამ უკანასკნელთ სურდათ სპარსელების გამუსლიმანება, რასაც სპარსელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ამიტომ ამ ქვეყნის გამაჰმადიანება ნელი ტემპით, საშინელი ბრძოლის გზით მიდიოდა. იმ დროს სპარსელთა ოფიციალური რელიგია (ზოროასტრიზმი) გაბატონებულ რეჟიმთან (სასანიდების) იყო დაკავშირებული. ახლა კი არაბები ცდილობდნენ სხვა ოფიციალური რელიგია – სუნიტური ისლამი თავზე მოეხვიათ. მოკლედ, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ დროს: ჯერ არ იყო ძმარიო და ზედ დაასხეს წყალიო.

მაგრამ ზუსტად ამ დროს სპარსეთში გამოჩნდნენ ღარიბი, უბედური შიიტები, რომელთა სახეზეც მთელი განცდილ-გადატანილი ცხოვრება იკითხებოდა. სპარსელებმა გაიგეს, რომ ეს შიიტები მუსულმანები იყვნენ, ამასთან (როგორც ამას ისინი თავად ამტკიცებენ) ერთადერთი მართლმადიდებელი მუსულმანები, წმინდა და შეუბღალავი რწმენის მქონენი, რომლისთვისაც თავის დადებასაც არ მორიდებოდნენ - კეთილი, ეკითხებიან სპარსელები, მაგრამ ეს თქვენი ძმები არაბები, რომლებმაც ჩვენ დაგვიპყრეს, რა რწმენის არიან? - ძმები? – უკმაყოფილოდ პასუხობენ შიიტები, - ესენი ხომ სუნიტები არიან, უზურპატორები, ჩვენი მტანჯველები. მათ მოკლეს ალი და ხელისუფლება მიითვისეს. არა, ჩვენ მაგათ არ ვცნობთ. მათ მიმართ ოპოზიციაში ვართ.

ამის შემდეგ შიიტები ინტერესდებიან, თუ შეუძლიათ მცირე ხნით აქ გაჩერება და სულის მოთქმა გრძელი და დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ. თანაც ჭიქა წყალს ითხოვენ.

ფეხშიშველა მოხეტიალეთა ასეთმა განცხადებამ ირანელთა აზრს სრულიად სხვა მიმართულება მისცა. მათი ფიქრით - შესაძლებელია იყო მუსულმანი, მაგრამ არაა აუცილებელი რეჟიმის მომხრეც გახდე. უფრო მეტიც: იქიდან, რასაც ისინი ამბობენ, გამომდინარეობს, რომ შეიძლება ოპოზიციაშიც კი ედგე მათ. და ასეთ შემთხვევაში საუკეთესო მუსულმანიც კი ხარ! ეს ღარიბი და დაჩაგრული შიიტები სპარსელებს მოეწონებათ. ამ დროს სპარსელებიც მათსავით ღარიბი და დაჩაგრულები იყვნენ. ქვეყანა ომებისაგან განადგურებული იყო და უცხოელებს ჰყავდათ დაპყრობილი. ამიტომ მალე იპოვეს საერთო ენა შიიტებთან, რომლებიც მათ თავშესაფარს თხოვდნენ

და მათი სტუმართმასპინძლობის იმედი ჰქონდათ. სპარსელები იწყებდნენ შიიტთა ქადაგების მოსმენას და ბოლოს მათი რწმენა მიიღეს კიდეც.

ამ სწორ მანევრში, რომელიც სპარსელებმა განახორციელეს, ჩანს მთელი მათი ინტელიგენტურობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის გამოხატულება, მიუხედავად იმისა, რომ დაპყრობილ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ასობით წელი სპარსეთი უცხო ქვეყნების აგრესიის მსხვერპლი ხდებოდა. საუკუნეების მანძილზე მას ან უცხო მართავდა ან თავისი, რომელიც უცხო ძალების ძალისხმევით იყო ამ ქვეყნის ტახტზე დასმული. მიუხედავად ამისა, მაინც შეინარჩუნა კულტურა და ენა, განუმეორებლობა და იმდენი სულიერი ძალა, რომ ყოველ შესაფერის შემთხვევაში ფენიქსივით ფერფლიდან ამდგარიყო და ძალა მოეკრიბა.

თავისი ისტორიის ოცდახუთი საუკუნის მანძილზე სპარსელები ადრე თუ გვიან ყოველთვის, უკუაგდებდნენ ხოლმე ყველა დამპყრობელს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მორჩა, უკვე შეუძლიათ მართონ სპარსეთი, როგორც მოესურვებათ. ზოგჯერ მიზნის მისაღწევად სპარსელები აჯანყებასა და რევოლუციას მიმართავდნენ და ბევრ სისხლსაც ღვრიდნენ, ხოლო ზოგჯერაც პასიური წინააღმდეგობის მეთოდებს არჩევდნენ, ამასთან, უჩვეულოდ თანმიმდევრულსა და უკიდურესს. როდესაც ხელისუფლების ატანა მეტად ნამდვილად აღარ შეეძლოთ, მთელი ქვეყანა ყუჩდებოდა, ხალხი თითქოს ქრებოდა, გეგონებოდათ მიწამ უყო პირიო. ხელისუფლება ბრძანებებს გასცემდა, მაგრამ მას არავინ უსმენდა და არავინ უყურებდა, შუბლს იჭმუხნიდა, ყვიროდა, მაგრამ მისი ყვირილი ჰგავდა ხმას მღაღადებლისას უდაბნოსა შინა. და მაშინ ხელისუფლება იშლებოდა, როგორც ქვიშის სახლი. ამ გზით სპარსელები ახერხებდნენ წინ აღსდგომოდნენ მომხვდურთა ყოველგვარ მცდელობას მათი ასიმილიზაციის, ჩაყლაპვის და ამ ერის, პირისაგან მიწისა გაქრობას თაობაზე.

სპარსელები მაშინაც ასე მოიქცნენ, როდესაც ისინი არაბებმა დაიპყრეს. - გსურთ ისლამი მივიღოთ? – ეკითხებოდნენ ისინი თავიანთ დამპყრობს – კეთილი, გავხდებით მუსულმანები, ოღონდ ჩვენი, ეროვნული ფორმით. ეს იქნება რწმენა, მაგრამ სპარსული, რომელიც გამოხატავს ჩვენს ეროვნულ სულს, კულტურას და დამოუკიდებლობას. აი, ეს ფილოსოფია უდევს საფუძვლად სპარსელთა გადაწყვეტილებას, რომლებიც ისლამს აღიარებდნენ. - მას მივიღებთ, მაგრამ შიიტური ფორმით (რომელიც ამ დროს არის დამონებულთა და დაჩაგრულთა რწმენა, წინააღმდეგობის გაწევის იარაღი) – ეუბნებოდნენ ისინი დამპყრობთ.

ამრიგად, შიიტიზმი გახდა სპარსელთა არა მხოლოდ ეროვნული იარაღი, არამედ მათი თავშესაფარიც, ეროვნული გადარჩენის და ასევე, _ როცა დრო დადგება – ბრძოლისა და გამარჯვების ფორმაც.

ამრიგად, სპარსეთი გადაიქცა მუსულმანური იმპერიის ყველაზე მოუსვენარ პროვინციად. აქ გამუდმებით შეთქმულებებს ამზადებდნენ, აჯანყებებს აწყობდნენ, საიდუმლო პროკლამაციებს თუ წერილებს ავრცელებდნენ. ოკუპაციური ხელისუფლება – არაბი გუბერნატორები მიმართავდნენ დაშინების ათასგვარ ფორმას, აწიოკებდნენ ხალხს, მაგრამ შედეგები იმის საპირისპირო იყო, რაც სურდათ, რომ ყოფილიყო. ტერორის საპასუხოდ სპარსელი შიიტები იწყებენ ბრძოლას, ოღონდ არა მახვილით, საამისოდ ისინი ჯერ ძალიან სუსტები იყვნენ. ამიერიდან შიიტური საზოგადოების ბრძოლის ერთ-ერთი ელემენტი ტერორიზმი გახდა. ისინი

აყალიბებდნენ კონსპირატიულ, მცირე, მაგრამ ისეთ ჯგუფებს, რომელთაც არ იცოდნენ, რა არის შიში და შებრალება. მათ მთელი სპარსეთი ძრწოლაში მოჰყავდათ. ამ ქვეყანაში მომხდარი მკვლელობების ნახევარი, რომელსაც აიათოლებს მიაწერდნენ, სწორედ მათი ნახელავია. მიჩნეულია, რომ მსოფლიო ისტორიაში შიიტები იყვნენ პირველები, ვინც შექმნეს თეორია და პრაქტიკაში განახორციელეს ინდივიდუალური ტერორის, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა.

ისევე, როგორც ყოველ საზოგადოებას, რომელიც გეტოშია გამომწყვდეული და გადარჩენისათვის უნდა იბრძოლოს, შიიტებსაც ახასიათებთ რელიგიური მგზნებარება, ორთოდოქსულობა, თავიანთ რწმენაზე ფანატიური ზრუნვა და მისი დაცვა. დევნილმა ადამიანმა, რათა თავი გადაირჩინოს, უნდა შეინარჩუნოს ურყევი რწმენა თავისი არჩევანის სისწორისადმი და თვალის ჩინივით გაუფრთხილდეს იმ ღირებულებებს, რომელთა გამოც მან ეს რწმენა აირჩია. ამიტომ შიიტიზმის ყველა მიმდინარეობას (ასეთი კი მრავალია) ერთი ძირითადი რამ ახასიათებს – ყველა ისინი ულტრამემარცხენეებია. ყოველ დროში მოიძებნებოდა ფანატიკოსთა რაღაც ჯგუფები, რომლებიც უტევდა დანარჩენ მორწმუნეებს და მათ რწმენის განელებაში, რწმენის მოთხოვნების შეუსრულებლობაში, ოპორტუნიზმში ადანაშაულებდა. შედეგად ხდებოდა მორწმუნეების გახლეჩა, მათ შორის ყველაზე მგზნებარენი ხელს იარაღს სტაცებდნენ და ისლამის მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად მიდიოდნენ (ხშირად თავადაც იხოცებოდნენ), რათა სისხლით გამოესყიდათ თავიანთი განდგომილი ძმების გამყიდველობა.

ირანელი შიიტები მიწისქვეშ, კატაკომბებში რვაასი წლის მანძილზე ცხოვრობდნენ. მათი არსებობა გვაგონებს რომში მცხოვრებ ქრისტიანთა უბედურებასა და ტანჯვას, რომელთაც ლომებს უგდებდნენ რომაელები დასაფლეთად. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ მცირე ხანიც და მათგან აღარავინ გადარჩება, რომ მათ სრული განადგურება ელით. ისინი წლობით მთებს აფარებენ თავს, ცხოვრობენ გამოქვაბულებში და შიმშილით იხოცებიან. იმ დროიდან შემორჩენილი მათი სიმღერები სავსეა ნაღველითა და მწუხარებით, სამყაროს დასასრულის წინასწარმეტყველებით.

მაგრამ დგება მშვიდობიანი წლებიც და მაშინ ირანი ისლამურ სამყაროში ყველა ოპოზიციონერის თავშესაფარი ხდება. ყველა ასეთი ადამიანი იქით მიიწევს, რათა დევნას გადაურჩეს. ამასთან შიიტს ნება ეძლევა დროებით, თავის მოსაჩვენებლად იმ დროს გაბატონებული რეჟიმის რელიგია მიიღოს (ამას ტაგია ეწოდება), თავი იმ რელიგიის მიმდევრად გამოაცხადოს, რათა თვითონაც გადარჩეს და ახლობლებიც გადაარჩინოს. მას შეუძლია ასევე მოწინააღმდეგის დაბნევის, დეზორიენტაციის მეთოდს (კიტმანი) მიმართოს, ეს შიიტს ნებას რთავს საშიშროების შემთხვევაში ყველაფერი უარყოს, რაც წუთის წინ გააკეთა ან თქვა, მტერს თავი გიჟად მოაჩვენოს და სხვ.

ამიტომ შუა საუკუნეების სპარსეთი ყოველი ჯურის არამზადის, ყაჩაღის, წინასწარმეტყველის, მისტიკოსის, მკითხავის სამშობლოდ იქცა, რომლებიც აქ ჩამოდიოდნენ ყოველი მხრიდან, ქადაგებდნენ, ლოცულობდნენ და კრებებს მართავდნენ. ეს ყველაფერი სპარსეთში ქმნიდა ამ ქვეყნისათვის ასე დამახასიათებელ რელიგიური ეგზალტურობისა და მისტიურობის ატმოსფეროს.

- სკოლაში ძალზე რელიგიური ვიყავი, – მეუბნება ირანელი, – და ყველა ბავშვს სჯეროდა, რომ ჩემი თავი ბრწინვალე შარავანდედით იყო შემოსილი.

ახლა წარმოიდგინეთ ევროპელი ქვეყნის მეთაური, რომელიც ხალხს შემდეგ ამბავს მოუყვება: იგი ცხენით მიდიოდა და უფსკრულში გადაიჩეხა, მაგრამ მყის გამოჩნდა ანგელოზი, ჰაერში ხელი სტაცა და სიკვდილს გადაარჩინა. წარმოუდგენელია, არა? ზუსტად ასეთ ისტორიებს ჰყვება შაჰი თავის წიგნში, რომელსაც ყველა ირანელი დიდი ყურადღებით კითხულობს. სასწაულის რწმენა ირანელს სისხლსა და ხორცში ღრმად აქვს გამჯდარი. მას სჯერა ასევე მკითხავების, გამოცხადების, სულ სხვაგვარად აღიქვამს ციფრებს, სიმბოლოებსა და ნიშნებს.

XVI საუკუნეში საფანიდების სპარსული დინასტიის მეთაურებმა შიიტიზმი ოფიციალურ რელიგიად გამოაცხადეს. ახლა შიიტიზმი, რომელიც ოპოზიციური ხალხის იდეოლოგია იყო, ოპოზიციური სახელმწიფოს – სპარსეთის იდეოლოგია გახდა, რომელიც ანტაგონისტურ ურთიერთობაშია ოტომანთა იმპერიასთან. მაგრამ დროის გასვლასთან ერთად მონარქსა და შიიტურ ეკლესიას შორის ურთიერთობა თანდათან იძაბება და ფუჭდება.

საქმე იმაშია, რომ შიიტები არა მხოლოდ ხალიფების ხელისუფლებას უარყოფენ, არამედ უარყოფენ ყოველგვარ ხელისუფლებას და მათ შორის, სამოქალაქოსაც. სპარსეთი იქცევა უნიკალურ ქვეყნად, რომელშიც საზოგადოებას მხოლოდ თავისი რელიგიური მეთაურების – იმამების სწამს და სჯერა.

აქ უკვე მივადექით შიიტიზმის არსებით დოქტრინას, მისი მიმდევრების რწმენის მთავარ აქტს. შიიტები, რომლებსაც არავითარი შანსი არ გააჩნიათ იმისა, რომ ხალიფატი შექმნან, ხალიფებს ერთხელ და სამუდამოდ ზურგს შეაქცევენ და იმ დროიდან მოყოლებული მხოლოდ საკუთარი რწმენის იდეოლოგებს – იმამებს, სცნობენ და აღიარებენ.

პირველი იმამია ალი, მეორე და მესამე მისი ვაჟები – ჰასანი და ჰუსეინი და ასე შემდეგ, მეთორმეტე იმამამდე. ამ იმამთაგან არც ერთი არ მომკვდარა ბუნებრივი სიკვდილით, ისინი ხალიფებმა გაგუდეს ან მოწამლეს, რადგან მათში ძლიერი ოპოზიციის მეთაურებს ხედავდნენ. მაგრამ შიიტებს სწამთ, რომ ბოლო იმამი - მუჰამედი, კი არ მომკვდარა, არამედ გაქრა უდიდესი მეჩეთის სამარის (ერაყი) ხვრელში. ეს უნდა მომხდარიყო 878 წელს. შიიტებს სწამთ, რომ სანატრელი და ადამიანთა თვალს მიფარებული იმამი, რომელსაც ასე ელიან, მათ გამოეცხადებათ შესაბამის დროს, როგორც მაჰდი (ღმერთის მიერ მოგვრილი) და დედამიწაზე სამართლიანობის სამეფოს დაამკვიდრებს. შემდეგ სამყაროს დასასრული დადგება.

შიიტებს ღრმად სწამთ, რომ თუ ის იმამი არ იარსებებდა, სამყარო წყვდიადში შთაინთქებოდა. სწორედ ის იმამია შიიტების სულიერი ძალის წყარო, ისინი ამ რწმენით ცოცხლობენ და ამ რწმენით იხოცებიან. ეს არის ძალზე გასაგები ადამიანური სურვილი და მონატრება იმ საზოგადოებისა, რომელიც ასე გატანჯულა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე. ის ამ იდეაში ჰპოვებს მცირეოდენ შვებას და უპირველესყოვლისა – ცხოვრების აზრს.

– არ ვიცით, როდის გამოგვეცხადება ის, მაგრამ შეიძლება მოვიდეს დღეს, ყოველ წუთში, აი, ახლაც კი. მაშინ ნამდვილად შეაშრებათ ადამიანებს ცრემლი და იგი ყველას თავის ადგილს მიუჩენს უხვად გაწყობილ მაგიდასთან, – ამბობენ შიიტები.

მხოლოდ ბოლო იმამია ის ბელადი, რომელსაც ყველა შიიტი უსიტყვოდ დაემორჩილებოდა. ამ უკანასკნელთა წარმოდგენაში მასთან შედარებით გაცილებით დაბალ რელიგიურ საფეხურზე დგას აიათოლა და კიდევ უფრო ქვევით – შაჰი.

საპირისპიროდ ბოლო სანატრელი იმამისა, რომელიც შიიტებს გაკულტებული ჰყავთ და თაყვანს სცემენ, უბრალოდ იძულებული არიან შაჰი მოითმინონ და აიტანონ.

შაჰიდების დროიდან სპარსეთში არსებობდა ორხელისუფლებიანობა – მონარქისა და ეკლესიის. ამ ხელისუფლებათა შორის ურთიერთობა სხვადასხვა დროს განსხვავებულია, მაგრამ არასოდეს ყოფილა თბილი და მეგობრული. ამასთან, თუ ამ ძალებს შორის წონასწორობა დაირღვევა, მაგალითად, თუ შაჰი მოიწადინებს თავისი ხელისუფლება ტოტალურად თავს მოახვიოს ხალხს (მით უმეტეს, უცხო სახელმწიფოს დახმარებით), მაშინ ის მეჩეთების ირგვლივ იყრის თავს და ბრძოლას იწყებს.

მეჩეთი შიიტებისათვის გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ რელიგიური კულტის ადგილი. ის არის ასევე თავშესაფარი, სადაც შიიტს შეუძლია სიცოცხლეც კი გადაირჩინოს. ეს იმუნიტეტით დაცული ტერიტორიაა, რომელზეც ხელისუფლების ძალა და გავლენა არ ვრცელდება. უძველესი დროიდან ირანში არსებობდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც პოლიციისაგან დევნილი დამნაშავე თუ მეჩეთში შეაფარებდა თავს – გადარჩებოდა, მას იქიდან უკვე ვერავინ გამოიყვანდა (ასე იყო უძველეს, კლეოპატრას დროინდელ ეგვიპტეშიც. დამნაშავე მდევარს ტაძარში შეასწრებდა და გადარჩენილი იყო – ა.გ.).

ქრისტიანული ეკლესიისა და მეჩეთის კონსტრუქციას შორისაც ვხედავთ არსებით განსხვავებას. ეკლესია დახურული ტიპის ნაგებობაა, ლოცვის, დაფიქრების და დუმილის ადგილი. თუ ვინმე აქ ლაპარაკს დაიწყებს, სხვები მას ყურადღებას მიაქცევენ. მეჩეთში სხვაგვარადაა მოწყობილი. მის უდიდეს ნაწილს გახსნილი ეზო წარმოადგენს, სადაც შეიძლება ლოცვა, მაგრამ ასევე სეირნობა, ერთმანეთს შორის კამათი და სერიოზული ყრილობის გამართვაც კი. აქ პოლიტიკური და სხვა სახის ცხოვრებაც მიმდინარეობს. ირანელი, რომელსაც სამსახურში ყოველ წუთს აკონტროლებენ, დაწესებულებებში მობუზღუნე მოხელეებთან უწევს ურთიერთობა, წვრილმანი საქმის მოგვარებისთვისაც კი მისგან ქრთამს მოელიან, რომელსაც ყველგან პოლიცია ჰყავს ჩასაფრებული, მეჩეთში მიდის, რათა სიმშვიდე და სულიერი წონასწორობა მოიპოვოს და თავისი ადამიანური ღირსება დაიბრუნოს. აქ არავინ არავის დაჩაგრავს, ვერ დაამცირებს, იერარქია ქრება, ყველანი ერთმანეთის ძმები, თანასწორნი არიან. მეჩეთი ის ადგილია, სადაც ადამიანები ამა თუ იმ საკითხზე, მოვლენაზე, ერთმანეთის აზრს ეცნობიან. ამას ადამიანისათვის გარკვეული შვება მოაქვს და ამიტომ მისთვის იქ სიარული მოთხოვნილებადაა ქცეული.

იმის მიხედვით, თუ როგორ მოუჭერს დიქტატორი თავის ბორკილებს ქვეშევრდომებს, უფრო მეტი დუმილი ისადგურებს სამსახურებსა და ქუჩაში, ხოლო მეჩეთი ივსება ხალხით და აქ გაცხოველებული კამათი იმართება. თუმცა ყველა როდია მგზნებარე მუსულმანი, ყველა როდი მოუყვანია აქ ღვთისადმი ღაღადის დაუოკებელ სურვილს; უბრალოდ, აქ მოდიან იმისათვის, რომ შვებით ამოისუნთქონ, ადამიანად იგრძნონ თავი.

მეჩეთის ტერიტორიაზე სავაკსაც კი ეზღუდებოდა მოქმედების რადიუსი. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ იგი აპატიმრებდა და აწამებდა მრავალ სასულიერო პირს, რომლებიც აშკარად აკრიტიკებდნენ შაჰის ზღვარდაუდებელ მმართველობას. მან წამებით მოკლა აიათოლა საიდი. ეს უკანასკნელი ელექტრონულ სკამზე დასვეს. ხოლო აიათოლა აზარშარმა სავაკოველებმა ადუღებული ზეთით სავსე კასრში ჩააგდეს. აიათოლა ტელეჰამი კი გამოვიდა ციხიდან, მაგრამ ისეთი ნაწამები, რომ

მცირე ხანს იცოცხლა. მტარვალებმა მის თვალწინ ქალიშვილი გააუპატიურეს. ტელეჰამი თვალებს ხუჭავდა, არ უნდოდა ჯალათებისათვის ეყურებინა. ისინი სავაკოველებმა წამწამები ამოუწვეს, რომ თვალები სულ გახელილი ჰქონოდა და არაფერი გამორჩენოდა მხედველობიდან. ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინათ კი არა, ჩვენი საუკუნის სამოცდაათიან წლებში ხდებოდა.

შაჰი თავისი მოქმედებებით მეჩეთის მიმართ დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა. ერთი მხრივ იგი დევნიდა სულიერ ოპოზიციას, მეორე მხრივ, დიდი პოპულარობის მოპოვება სურდა და თავი მგზნებარე მუსლიმანად მოჰქონდა, მთელ მსოფლიოში წმინდა ადგილების მოსანახულებლად დადიოდა, მხურვალედ ლოცულობდა, მოლებს დალოცვას სთხოვდა. აბა აშკარად როგორ გამოუცხადებდა ომს მეჩეთებს?

მაგრამ სხვა მიზეზიც იყო, რისთვისაც მეჩეთი შედარებით მეტი თავისუფლებით სარგებლობდა. ამერიკელები, რომლებიც ფაქტიურად მართავდნენ შაჰს (რასაც მონარქისათვის მხოლოდ უბედურება მოჰქონდა, რადგან ისინი არ იცნობდნენ ირანელებს და ბოლომდე ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა ამ ქვეყანაში), მიიჩნევდნენ, რომ მოჰამედ რეზას ერთადერთი მოწინააღმდეგე, შეურიგებელი მტერი პარტია ტუდეჰი და კომუნისტები იყვნენ. ამიტომ, სავაკმა სწორედ მათ წინააღმდეგ მიმართა მთელი თავისი საბრძოლო არსენალი. მაგრამ იმ დროს კომუნისტები მთლიანად მოსპეს, ან აწამეს და დააჩუმეს, ზოგიც აიძულეს ემიგრაციაში წასულიყვნენ.

შაჰის რეჟიმი ისე გაერთო არსებული თუ გამოგონებული კომუნისტების დევნით, რომ ვეღარ შენიშნა, იმავდროულად სრულიად სხვა ადგილას და სხვა ლოზუნგებით როგორ წამოიზარდა ახალი ძალა, რომელმაც დიქტატურა დაამხო კიდეც.

(*სხვათაშორის, ცნობილი ირანელი პოლიტოლოგი, ემიგრანტი, სტანფორდის უნივერსიტეტის პროფესორი აბას მილანი კითხვაზე – როდის გაძლიერდნენ ფუნდამენტალისტები, როდესაც ,,ცივი ომის" დროს ავტორიტეტული რეჟიმები მაჰმადიანურ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტებთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული? – პასუხობს: აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ნამდვილად ასეა. ირანის შაჰს მიაჩნდა, რომ მისი ხელისუფლებისათვის ყველაზე დიდ საშიშროებას კომინისტები და ლიბერალური დემოკრატები წარმოადგენდნენ. ამიტომ ისლამისტ ფუნდამენტალისტებს, როგორც მოკავშირეებს, ისე ეპყრობოდა. 1970-1975 წლებში ირანში გაცილებით მეტი მეჩეთი აშენდა, ვიდრე ოდესმე. ჯერ კიდევ წელიწადნახევრით ადრე, ვიდრე რევოლუცია მოხდებოდა, - ამბობს მილანი, - ციხეში მოლებთან, რომლებმაც შემდეგ რევოლუცია მოახდინეს, ერთად ვიჯექი. იქ მოვიდნენ სავაკელები და მოლებს შესთავაზეს, აქედან გაგიშვებთ, თუკი მემარცხენეებს ისევე აქტიურად შეებრძოლებით, როგორც ჩვენ გვებრძოდითო. შაჰს სულ სჯეროდა, რომ მოლები მისი მოკავშირეები იყვნენ! გარდაცვალების წინ, 1980 წელს იგი კვლავ იმეორებდა, რომ რევოლუცია კომუნისტებმა მოუწყვეს. ცხადია, შაჰს ეზიზღებოდა ჰომეინი, იჭერდა მასთან კავშირში შენიშნულ ადამიანებს, მაგრამ მოლათა უმეტესობა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მოქმედებდა – ლეგალურად ამზადებდა თავის კადრს, ხსნიდა ახალ-ახალ სასწავლებლებს, სადაც ახალგაზრდობას თეოლოგიას ასწავლიდნენ. დღეს ირანის ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების 4/5 სწორედ ამ სასწავლებლების მოსწავლეები არიან. – ა.გ.*).

შიიტები მეჩეთში იმიტომ დადიან, რომ ის ყოველთვის მეზობლად, გზაზე დგას. მარტო თეირანში ათასამდე მეჩეთია. ტურისტის გამოუცდელი თვალი ალბათ მხოლოდ რამდენიმე მათგანს, ქალაქის ცენტრში მდგარ შედარებით მოზრდილ მეჩეთს შეამჩნევს. გარეუბნებში მეჩეთები გაცილებით უბრალო ნაგებობებია, რომელთაც

გვერდით მდგარი ღარიბი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლისაგან ძნელად გამოარჩევს ადამიანი. ისინი იმავე ნეხვში შეზელილი თიხითაა აშენებული, როგორ დანარჩენი სახლები. ეს ქმნის საოცრად ინტიმურ ატმოსფეროს შიიტსა და მეჩეთს შორის. არაა საჭირო გრძელი გზა გაიარო მეჩეთში მისასვლელად, არაა აუცილებელი სპეციალურ სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოეწყო, მეჩეთი შიიტის ყოველდღიურობაა, თავად ცხოვრებაა.

პირველი შიიტები, რომლებმაც სპარსეთამდე ჩააღწიეს, წვრილი ქალაქელი ვაჭრები და ხელოსნები იყვნენ. ისინი იკეტებოდნენ გეტოებში, სადაც აშენებდნენ მეჩეთს, ირგვლივ კი სახელოსნოები იწყებდნენ მუშაობას და პატარა მაღაზიები იხსნებოდა. ვინაიდან მაჰმადიანმა ლოცვამდე უნდა დაიბანოს, იქვე აშენდა და ამუშავდა აბანოები. მაჰმადიანს სურს ასევე ჩაი ან ყავა დალიოს ლოცვის შემდეგ და ცოტა რაიმე შეჭამოს კიდეც – ამიტომ აქვე, სიახლოვეს გაიხსნა რესტორანი თუ კაფე. ამრიგად, წარმოსდგა სპარსული ქალაქური პეიზაჟი – ბაზარი (სწორედ ამ სიტყვით აღინიშნება მხიარული, ყაყანა, ბრბოს შეგროვების, ერთგვარად მისტიკური სავაჭრო-სამომხმარებლო ადგილი). თუ მაჰმადიანი ამბობს, ბაზარში მივდივარო, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი ხელში ჩანთას აიღებს, სადაც ნაყიდ პროდუქტს ჩააწყობს. ბაზარში შეიძლება წახვიდე, რათა შეხვდე მეგობრებს, მოილაპარაკო რაიმე საქმეზე, დაჯდე კაფეში. შეიძლება ასევე მოისმინო ახალი ჭორები და ოპოზიციის შეკრებაზეც კი მიიღო მონაწილეობა. ყველაფერ ამას მოახერხებ ერთ ადგილას, ბაზარზე – არ არის საჭირო ქალაქში სირბილი, შიიტი სულისა და სხეულის ყველა მოთხოვნილებას ბაზარზე დაიკმაყოფილებს.

აქაა ყველაფერი, რაც საჭიროა მიწიერი არსებობისათვის და ასევე ლოცვითა და მსხვერპლთშეწირვით სამუდამო ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

უხუცესი ვაჭრები, ტალანტით დაჯილდოებული მრეწველები და ბაზრის მეჩეთის მოლები ბაზრის ელიტას ქმნიან. მათ მოწოდებებსა და აზრებს მთელი შიიტური საზოგადოება უსმენდა, იზიარებდა და ითვალისწინებდა. ისინი ხომ როგორც ამქვეყნიური, ისე სამუდამო, ზეციური ცხოვრების თაობაზე იღებდნენ გადაწყვეტილებებს. თუ ბაზარი გაიფიცებოდა და კარებებს დაკეტავდა – შიიტები შიმშილით იხოცებოდნენ, მაგრამ წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ ბაზრის ამ ნაბიჯს. აქედან გამომდინარე ბაზრისა და მეჩეთის კავშირი წარმოადგენს უძლიერეს ძალას, რომელსაც ხელეწიფება გაუმკლავდეს ნებისმიერ ხელისუფალს. სწორედ ასე მოხდა უკანასკნელი შაჰის დროსაც. მისი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო - ბაზარმა მას განაჩენი გამოუტანა.

იმის კვალობაზე, თუ როგორ იკრებს ძალას ბრძოლა, შიიტები უფრო და უფრო მეტ მგრძნებარებას იძენენ. მათი ტალანტი ბრძოლაში გამოიხატება და არა შრომაში. დაბადებიდანვე უაღრესად ამაყი და გამოუსწორებელი ოპოზიციონერები, სწორედ ბრძოლაში პოულობენ ცხოვრების აზრს, მოტივსა და გამართლებას.

სპარსელისათვის შიიტიზმი ყოველთვის ის იყო, რაც ჩვენი კონსპირატორებისათვის სხვენში გადანახული ხმალი.

თუ ცხოვრება ასე თუ ისე გასაძლები იყო, სხვენში დამალული ძონძებში გახვეული ხმალი ელოდა თავის დროს. მაგრამ გაისმებოდა თუ არა საბრძოლო ყივილი, დადგებოდა თუ არა ჟამი, რომ პოლონელი სამშობლოს დასაცავადა უნდა გამოსულიყო, დაიწყებდა ჭრიჭინს სხვენისაკენ მიმავალი კიბე, შემდეგ ცხენის

ჭიხვინიც გაისმოდა, მისი ფლოქვები გაყრიდა ნაპერწკლებს და ბოლოს, ალესილი ხმალი ჰაერს სისინით გაკვეთდა.

რვეულიდან (7)

მაჰმუდ აზარი თეირანში 1977 წლის დასაწყისში დაბრუნდა. რვა წელიწადი ცხოვრობდა ლონდონში, სადაც წიგნების თუ სარეკლამო ტექსტების თარგმნიდან მიღებული შემოსავლით გაჰქონდა თავი. იგი ასაკოვანი, უცოლშვილო კაცია, რომელსაც მუშაობის შემდეგ ძალიან უყვარდა სეირნობა, თავის თანამემამულეებთან შეხვედრა და საუბარი, რომლის დროსაც ისინი უმთავრესად იმ სიძნელეებზე საუბრობდნენ, რასაც ინგლისელები განიცდიდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ სავაკს ლონდონშიც კი გაშვებული ჰქონდა თავისი საცეცები, ირანელები თავიანთ სამშობლოზე საუბარს ერიდებოდნენ.

1976 წლის ბოლოს მაჰმუდმა ერთი საერთო ნაცნობის საშუალებით ძმის რამდენიმე წერილი მიიღო. იგი წერდა, რომ ქვეყანაში საინტერესო დრო დგებოდა. მართალია მაჰმუდს ეშინოდა ასეთი საინტერესო დროისა, მაგრამ ძმას მათ ოჯახში დიდი გავლენა ჰქონდა, ამიტომ თავისი ნივთები ჩემოდანში ჩაალაგა და თეირანში დაბრუნდა.

ქალაქის ცნობა მართლაც შეუძლებელი იყო.

ერთ დროს წყნარი, უდაბნოს ოაზისი, უაღრესად ხმაურიან ადგილად, ჭიანჭველების ბუდედ გადაქცეულიყო. ხუთი მილიონი ერთად შეყრილი ადამიანი ცდილობდა რაღაც გაეკეთებინა, ეჭამა, ეთქვა, სადღაც წასულიყო. მილიონი ავტომანქანა ისწრაფოდა ვიწრო ქუჩაში სხვა მანქანისთვის გაესწრო, ისინი მოდიოდნენ მარცხნიდან და მარჯვნიდან, ჩრდილო დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ, ადგილ-ადგილ ქმნიდნენ საცობებს, სადაც იყო ერთი ყვირილი, გაწევ-გამოწევა, ლანძღვა-გინება, დილიდან საღამომდე გაუთავებელი ათასობით ავტომობილის სიგნალი.

მაჰმუდმა ისიც შენიშნა, რომ ადრე წყნარი და მშვიდი ირანელები ახლა პატარა მიზეზის გამოც კი ერთმანეთს შორის ჩხუბობდნენ, ერთმანეთს ეჯიკავებოდნენ და ყელში სწვდებოდნენ ხოლმე.

ეს ადამიანები მას აგონებდნენ რომელიღაც საკვირველ, სიურეალისტურ, გაორებულ მონსტრს, რომლის სხეულის ზოგიერთი ნაწილი უსმენდა და უჯერებდა ვიღაც ძლერსა და გავლენიანს, ხოლო მეორე იმავდროულად იმისათვის იყო მოწოდებული, რომ ვიღაც, თავისზე უფრო სუსტი დაეჩაგრა, დაებეჩავებინა. როგორც ჩანდა ეს მონსტრი ამის შედეგად იძენდა რაღაც შინაგან წონასწორობას, თუმცა ძალზე საბრალოსა და უბადრუკს, მაგრამ აუცილებელს თავის გასამაგრებლად და გადასარჩენად.

იგი გარკვეულ საგონებელში ჩავარდა იმის გამო, რომ ასეთ მონსტრთან შეხვედრისას თუ სწორად აუღებდა ალღოს, პირველად მისი სხეულის რომელი ნაწილები გააკეთებდნენ რეაგირებას – ისინი, რომლებიც სიმშვიდეს ინარჩუნებდნენ, თუ ისინი, რომლებიც ძალზე აქტიურობდნენ სუსტის დაჩაგვრა _ დამონებაში. მალე მიხვდა, რომ მჩაგვრელი ნაწილები გაცილებით აქტიურები იყვნენ, ისინი გამუდმებით წინ გამორბოდნენ და უკან მხოლოდ მნიშვნელოვანი გარემოებების გავლენით ბრუნდებოდნენ.

პირველი სეირნობისას იგი პარკამდე მივიდა. სკამზე დაჯდა, რომელზედაც უკვე ვიღაც კაცი იჯდა და შეეცადა მასთან საუბარი წამოეწყო. მაგრამ ორიოდე სიტყვა თქვა თუ არა, კაცი უსიტყვოდ წამოდგა და იქაურობას გაეცალა. შემდეგ მაჰმუდი სხვას გამოეცნაურა, მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა. უცნობმა მაჰმუდს ისეთი თვალით შეხედა, თითქოს გიჟი დაინახაო. მაჰმუდიც მოშორდა მას და სასტუმროში წავიდა, სადაც ცხოვრობდა ლონდონიდან ჩამოსვლის შემდეგ.

სასტუმროში შესვლისთანავე ადმინისტრატორმა უთხრა, რომ პოლიციაში უნდა გამოცხადებულიყო. მაჰმუდმა პირველად რვა წლის განმავლობაში იგრძნო რაღაც შიში. იგი ზუსტად ამ წუთს მიხვდა, რომ ესაა ის გრძნობა, რომელიც არ ბერდება. იგრძნო ზუსტად ისეთივე ცივი ოფლი და ფეხების ისეთივე დამძიმება, როგორც ეს ადრეულ წლებში მსგავს სიტუაციებში ემართებოდა ხოლმე.

პოლიცია ამავე ქუჩის ბოლოს ერთ ძველ, უბადრუკ შენობაში მდებარეობდა. მაჰმუდი შევიდა და მუღუშულ, უხასიათო ადამიანებთან ერთად დაუწყო თავის რიგს ლოდინი. თხელი კედლის მეორე მხარეს პოლიციელები იყვნენ. დიდ, ჩახუთულ შენობაში სრული სიჩუმე გამეფებულიყო: პოლიციელები გაზეთის კითხვით ერთობოდნენ, ხოლო რიგში მდგარი ადამიანებიდან ვერავის გაებედა სიტყვის თქმა ან უკმაყოფილების გამოხატვა. მალე, მაჰმუდისათვის რაღაც უცნობი მიზეზის გამო, პოლიციელებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტეს გაზეთის კითხვა, სერიოზული სახე მიიღეს და უჯრებში დაიწყეს ქექვა.

- საიდან ამდენი თავხედობა? – დაფიქრდა მაჰმუდი.

როდესაც მისი რიგი მოვიდა, ანკეტა მიიღო, რომელიც ადგილზე უნდა შეევსო. იგი ყოველ გრაფაზე ყოყმანობდა და შენიშნა, იქ მყოფნი ეჭვით შეჰყურებდნენ. ამით შეშინებულმა სწრაფად, ნერვიულად, ბატიფეხურით დაიწყო წერა, თითქოს წერა-კითხვის უცოდინარი ყოფილიყო. გრძნობდა, როგორ დაუწყო ოფლმა მის შუბლზე და სახეზე დენა. ჯიბეში ცხვირსახოციც არ აღმოაჩნდა მის შესამშრალებლად.

ანკეტის შევსებისა და დატოვების შემდეგ სწრაფი ნაბიჯებით დატოვა პოლიციის შენობა. ქუჩაში ჩაფიქრებული მიდიოდა და კინაღამ წააქცია გზაზე შემხვედრი გამვლელი. მან მაჰმუდს ხმამაღლა ჩხუბი დაუწყო. ირგვლივ ხალხი მოგროვდა. როგორც აღმოჩნდა, მაჰმუდმა თავისი ამ საქციელით დაარღვია კანონი, რომელიც კრძალავს ნებადაურთველად ხალხის ქუჩაში შეკრებას. მალე პოლიციელიც გამოჩნდა. მაჰმუდი იძულებული იყო აეხსნა მისთვის, რომ ამ ადამიანს შემთხვევით დაეჯახა და მთელი ამ ხმამაღალი კამათის მანძილზე მონარქიისა და შაჰის წინააღმდეგ არავის ერთი სიტყვაც არ წარმოუთქვამს. მიუხედავად ამისა, პოლიციელმა ჩაიწერა მისი სახელი, გვარი და თან ათასი რეალი გამოართვა.

სასტუმროში დათრგუნული დაბრუნდა.

უკვე კარგად აცნობიერებდა, რომ პოლიციას უკვე დაფიქსირებული ჰყავდა, თანაც ორჯერ. ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, რა მოხდებოდა, თუკი ეს ჩანაწერი ვინმეს თვალში მოხვდებოდა. თუმცა მალე უკუაგდო იგი, რადგან ძნელი წარმოსადგენი იყო, ასეთ არეულობაში, როგორიც მაშინ ქვეყანაში არსებობდა, ასეთი ჩანაწერებისათვის ვინმეს ყურადღება მიექცია.

დილით ძმა ესტუმრა და ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ მაჰმუდმა მას წინა დღით მომხდარი თავგადასავალი უამბო.

- უკეთესი ხომ არ იქნებოდა, ლონდონში დავბრუნებულიყავი? – იკითხა მან.

წლების წინ მაჰმუდის ძმა დიდ გამომცემლობას ხელმძღვანელობდა, რომელიც სავაკმა გაუკოტრა. ეს უკანასკნელი წიგნებს მხოლოდ მათი გამოცემის შემდეგ კითხულობდა. თუ წიგნი მის დაეჭვებას გამოიწვევდა, მთელი ტირაჟი უნდა განადგურებულიყო, ხოლო მისი ხარჯები გამომცემელს აწვებოდა ზურგზე. ამ გზით სავაკმა მარტო მაჰმუდის ძმის გამომცემლობა როდი გააკოტრა. აღნიშნულის გამო სხვა გამომცემლობები, იმის შიშით, რომ სავაკის რომელიმე წიგნის დაბეჭდვის შემთხვევაში მასაც ასე არ მოქცეოდნენ, მხოლოდ მცირე ტირაჟით ბეჭდავდა წიგნებს – სულ რაღაც ათასი ეგზემპლარის ოდენობით და ეს 35 მილიონიან ქვეყანაში. ,,დიდი ცივილიზაციის" დროინდელი ბესტსელერი - ,,როგორ მოვუაროთ ავტომობილს" – 15 ათასი ტირაჟით გამოვიდა, შემდეგ შეწყდა მისი ბეჭდვა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ იმ თავებში, სადაც გაფუჭებულ საყვირზე, ცუდ ვინტილიზაციაზე და ა. შ. სხვა ტექნიკურ საკითხებზე იყო საუბარი, სავაკმა ქვეყნის ხელისუფლებაში არსებულ სიტუაციაზე მინიშნებად ამოიკითხა.

ძმას სურდა მაჰმუდთან საუბარი, მაგრამ მიუთითა ტელეფონზე, ღამის ნათურაზე, რადიოზე და უთხრა, რომ გარეთ გასულიყვნენ და ქუჩაში გაესეირნათ. ისინი ძველი, ჯაყჯაყა ავტომანქანით მთებისაკენ წავიდნენ. ცარიელ ქუჩაში შეჩერდნენ. მარტი იყო, თოვდა და ყინულივით ცივი ქარი ქროდა. ისინი ერთ დიდ ქვას მიეფარნენ და სიცივისაგან კანკალებდნენ.

(,,მაშინ ძმამ მითხრა, რომ ირანში უნდა დავრჩენილიყავი, რადგან მალე რევოლუცია დაიწყებოდა და აქ ვიყავი საჭირო.

– რა რევოლუცია გაგიჟდი? – გამიკვირდა. ყოველი მსგავსი არეულობა შოკში მაგდებს, არ მიყვარს პოლიტიკა. ყოველდღიურად იოგაში ვვარჯიშობ, პოეზიას ვკითხულობ და ვთარგმნი. რაში მჭირდება პოლიტიკა? მაგრამ ძმა მიმტკიცებდა, რომ მე არაფერი არ მესმის და სიტუაციაში გარკვევა დამიწყო. ამ შემთხვევაში უმთავრესად ვაშინგტონია გადამწყვეტი ფაქტორი, ჩვენი ბედი იქ წყდება. ვაშინგტონში კი ჯეიმს ბეიკერი ახლა ძირითადად ადამიანის უფლებებზე ლაპარაკობს. შაჰი ვერ შეძლებს ამის უგულვებელყოფას! მან უნდა შეწყვიტოს ხალხის წამება, სატუსაღოში ჩამწყვდეული ადამიანები გამოუშვას და ცხოვრების დემოკრატიზაციისაკენ მიმართული ღონისძიებები განახორციელოს. ეს კი დასაწყისისათვის საკმარისი აღმოჩნდება.

ჩემი ძმა ძალიან აღელვებული ჩანდა, ვაწყნარებდი, მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ კაციშვილი არა ჩანდა. ამ შეხვედრის დროს მან რაღაც ტექსტი მომცა, რომელიც 200 გვერდზე მეტს შეადგენდა. ეს აღმოჩნდა ჩვენი მწერლის – ალი ასფარი ჯავადის მემორიალი – შაჰისადმი მიწერილი ღია წერილი. მასში ჯავადი წერდა ქვეყანაში გამეფებულ კრიზისზე, ირანზე უცხო ქვეყნების გავლენის გაძლიერებაზე, სასახლის კარზე მომხდარი სკანდალების თაობაზე, კორუფციაზე, ინფლაციაზე, რეპრესიებზე და ხალხის მორალურ დაცემაზე. ძმამ მითხრა, რომ ეს წერილი ხალხში ხელიდან ხელში გადადის და რადგან ირანელები მას ერთმანეთისაგან იწერენ, უკვე მრავალი ასლი ტრიალებს ქვეყანაშიო. ახლა ჩვენ იმას ველოდებით, თუ შაჰი როგორ რეაგირებას მოახდენს მასზე, ჯავადის დაიჭერენ თუ არა. მან ჯერ-ჯერობით ტელეფონით მიიღო მუქარა, მეტი არაფერი. იგი ჩვეულებრივად დადის კაფეში, ისე რომ, გექნება შესაძლებლობა მას გამოელაპარაკო. მე უარი ვთქვი ამაზე და ვუთხარი,

რომ მეშინია იმ ადამიანთან საუბარი, რომელიც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობს”).

ამის შემდეგ ქალაქში დაბრუნდნენ. მაჰმუდი სასტუმროს ოთახში ჩაიკეტა და მთელი ღამის განმავლობაში მემორიალს კითხულობდა. ჯავადი შაჰს იმაში ადანაშაულებდა, რომ მან ჩაკლა, გაანადგურა ერის სული. ყოველი ახალი და საღი აზრი ითრგუნება, – წერდა იგი, – ხოლო ჩვენი საზოგადოების ყველაზე გამოჩენილი ადამიანები ციხეში სხედან. კულტურა გისოსებს იქით აღმოჩნდა ან იძულებული გახდა იატაკქვეშეთში წასულიყო. ჯავადი შაჰს აფრთხილებდა, რომ პროგრესის განმსაზღვრელად ტანკებისა და მანქანების რაოდენობა არ გამოდგებოდა. პროგრესის განმსაზღვრელია ადამიანი, მის მიერ თავისუფლებისა და ღირსების შეგრძნებაო. მაჰმუდი წერილს კითხულობდა და თან ყურადღებით იყო, დერეფანში ხომ არავინ მოდისო.

მეორე დღეს მაჰმუდი იმაზე ფიქრით გაიტანჯა, რა ექნა ტექსტისათვის. ბოლოს თან წაიღო, რადგან არ უნდოდა ოთახში დატოვება. მაგრამ ქუჩაში სიარულისას იმაზე დაფიქრდა, რა შეიძლება მომხდარიყო, თუ ისინი ვიღაცის ყურადღებას მიიპყრობდნენ და ეჭვს აღუძრავდნენ. ამიტომ გაზეთი იყიდა და მემორიალი მასში შეახვია. მიუხედავად ამის, ძალზე ეშინოდა ნებისმიერ წუთს არ გაეჩერებინათ და არ გაეჩხრიკათ. განსაკუთრებით სასტუმროს ადმინისტრატორის წინ გავლის ეშინოდა: ხომ შეიძლება ეფიქრა, რა დააქვს ამ კაცს იღლიაში ამოდებულიო. ყოველ შემთხვევაში, მაჰმუდმა გადაწყვიტა, რაც შეიძლება იშვიათად გასულიყო ქუჩაში.

მაჰმუდმა თანდათან თავისი ძველი, სტუდენტობის დროინდელი მეგობრების მოძებნა დაიწყო. სამწუხაროდ, მათი ნაწილი უკვე ცოცხალი აღარ იყო, ბევრიც ემიგრაციაში წასულიყო, ზოგიც – ციხეში იჯდა. ბოლოს ზოგიერთი მათგანის მისამართი მაინც დაადგინა. იგი წავიდა უნივერსიტეტში, სადაც ალი (მუსულმან შიიტთა უმრავლესობას თავიანთ წინასწარმეტყველთა სახელი ჰქვიათ. ალი მაინც განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი სიმრავლით – ა.გ.) კაიდის შეხვდა, ვისთან ერთადაც წლების წინათ ერთად დადიოდა მთებში ლაშქრობაზე. კაიდი ბოტანიკის პროფესორი გამხდარიყო, უხეშფოთლიანი მცენარეების განხრით. მცირე საუბრის შემდეგ ალიმ უთხრა, რომ მას ახლა მხოლოდ ბოტანიკა აინტერესებდა. შემდეგ მან საუბარი იმაზე დაიწყო, რომ სადაც უხეშფოთლიანი მცენარეები ხარობენ, ასეთი ადგილები თავისებური კლიმატით გამოირჩევა. კერძოდ, ზამთრობით იქ ხშირი წვიმები იცის, ხოლო ზაფხული მშრალი და ცხელია. ამ თემაზე კიდევ გააგრძელა საუბარი.

მაჰმუდმა, რომელიც მაინც და მაინც ვერ ერკვეოდა ამ საგანში, პირდაპირ ჰკითხა მეგობარს, თუ არის მოსალოდნელი ქვეყანაში სერიოზული მოვლენებიო. კაიდი კარგა ხანი ფიქრობდა და შემდეგ საუბარი კვლავ იმაზე გააგრძელა, როგორი მშვენიერი გვირგვინი აქვს ანტლანტიკის კედარს (Cedrus atlantica). მერე კი ისა თქვა, – ამ ბოლო დროს მივაკვლიე ჰიმალაის კედარს (Cedrus deodara), რომელიც ჩვენთან იზრდება და, მერწმუნე, ის კიდევ უფრო ლამაზია!

რამდენიმე დღის შემდეგ მაჰმუდმა მეორე მეგობარი ნახა, ვისთან ერთადაც სკოლაში სწავლობდა და პიესის ერთად დაწერასაც ცდილობდნენ. ეს უკანასკნელი ახლა ქალაქ ყარაჯის მერად მუშაობდა. მასთან ერთად საუკეთესო რესტორანში სადილობისას მაჰმუდმა მას საზოგადოების განწყობილების შესახებ ჰკითხა. მაგრამ მერს ეტყობოდა, ამ თემაზე საუბრის არავითარი სურვილი არ ჰქონდა. ისიც თავის ქალაქს უტრიალებდა. ამბობდა, ყარაჯიში ახლა მთავარ ქუჩაზე ვაგებთ ასფალტს და ისეთი

კანალიზაციის მშენებლობა დავიწყეთ, თეირანსაც რომ არა აქვსო. თან იმდენი ციფრები დააყარა მაჰმუდს, რომ ამ უკანასკნელს დიდი სურვილი ჰქონდა, საუბარი როგორმე სხვა თემაზე გადაეტანა. ბოლოს თავს სძლია და შეეკითხა მეგობარს, ყველაზე ხშირად რაზე საუბრობენ ყარაჯელებიო. იგი ჩაფიქრდა: - აბა, რა ვიცი?! – თქვა ბოლოს – თავიანთ საქმეებზე და დაამატა: არაფერზეც არა ფიქრობენ, მათთვის ყველაფერი სულ ერთია. ძალიან ზარმაცები, აპოლიტიკურები არიან, მხოლოდ საკუთარი ოჯახის ბედი აფიქრებთ. ქვეყნის პრობლემები! რაში აინტერესებთ მათ ეს?
და ამის შემდეგ ლაპარაკის საღერღელი აეშალა. ლაპარაკობდა იმის შესახებ, თუ როგორ ააშენეს პარალდეჰიდის (პარალდეჰყდ) ფაბრიკა და რომ ამ ფხვნილით მთელ ქვეყანას ამარაგებდნენ. მაგრამ მაჰმუდმა ისიც არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს სახელი და თავი ჩამორჩენილ ადამიანად იგრძნო. – როგორ, საერთოდ არა გაქვთ პრობლემები? – ჩაფიქრებული შეეკითხა მეგობარს. - როგორ არა! უპასუხა მან. თავი მაგიდაზე დახარა და ჩუმი ხმით უთხრა - ამ ფაბრიკების მიერ გამოშვებული პროდუქცია კაპიკად არ ვარგა. ხალხს მუშაობა არ უნდა, ყველაფერს რაღაც უხალისოდ, აპათიურად აკეთებს, თითქოს ამით პასიურ წინააღმდეგობას უწევს ზემდგომებს. მთელი ქვეყანა ერთგვარად გაყუჩებულია.

- მაგრამ, რატომ? – შეეკითხა მაჰმუდი.

- არ ვიცი, ვერაფერს გეტყვი, – ორაზროვნად უპასუხა მეგობარმა და უფრო მეტი რომ არაფერი წამოსცდენოდა, ოფიციანტს უხმო. მაჰმუდმა შენიშნა, რომ ალალმართალი გული მხოლოდ ერთ მომენტში გაიხსნა, როცა ეს რამდენიმე უჩვეულო სიტყვა ეთქვა, შემდეგ კვლავ დაიმალა გენერატორების, ტრანსპორტიორების და სხვა ტექნიკური (კონკრეტული!) ნაწილების ბარიკადების მეორე მხარეს.

[,,ამ ხალხისათვის კონკრეტული საუბარი თავშესაფრად, სამალავად, თავის საშველად იქცა. კედარი, კი ბატონო, ეს კონკრეტული საუბარია, ასფალტი – ასევე კონკრეტულია. ასეთ კონკრეტულ თემაზე ყოველთვის შეიძლება ილაპარაკო მეტ-ნაკლებად თავისუფლად. კონკრეტულის მიმზიდველობა ისაა, რომ მას აქვს თავისი შემოსაზღვრული დანაღმული საზღვრები. თუკი კონკრეტულ თემებზე მოსაუბრე გონება მიუახლოვდება ამ საზღვრებს, მას დაუყოვნებლივ მიეწოდება ნიშანი, რომელიც გააფრთხილებს, რომ ამის იქით გადასვლა სახიფათოა და უკვე დროა, რომ შეეშვას ზოგად თემებზე საუბარს, დასკვნების გაკეთებას. ამ სიგნალის გაგონებაზე დამფრთხალი გონება უკან დაიხევს და კვლავ კონკრეტულ თემას მიუბრუნდება. მთელი ამ რთული პროცესის შემჩნევა ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მოსაუბრის სახეზე დაკვირვებისას. მოსაუბრეს ეტყობა, რომ მეტად ჩართულია საუბარში და გაცხოველებული გველაპარაკება ციფრებზე, პროცენტებზე, სახელებსა და თარიღებზე. ვხედავთ, რომ ამ ყველაფერ კონკრეტულზე იგი ისე ზის, როგორც კარგი მხედარი – უნაგირზე. ამ დროს ვეკითხებით – კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რატომ არ არის ხალხი კმაყოფილი. და ვხედავთ, თუ როგორ იცვლება ჩვენი მოსაუბრის სახე (მის გონებას უკვე მიეწოდება საგანგაშო სიგნალები: ყურადღება! ცოტაც და გადაკვეთავ კონკრეტულობის საზღვარს). მოსაუბრე დუმდება და გაცხოველებით ეძებს სიტუაციიდან გამოსვლის გზებს. ცხადია, შექმნილი მდგომარობიდან ყველაზე კარგი გამოსავალია კონკრეტულობისაკენ მიბრუნება. კმაყოფილი იმით, რომ ზოგად თემაზე საუბრისას მოსაუბრეს მისი რაიმეში გამოჭერის საშუალება არ მისცა, მან შვებით ამოისუნთქა, და კვლავ გაცხოველებით გააგრძელა საუბარი რაღაც კონკრეტულ

მოვლენაზე, საგანზე თუ ამბავზე. კონკრეტულის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ იგი თავის თავში სხვა კონკრეტულთან დაკავშირებისა და ზოგადი სურათის წარმოდგენის საშუალებას არ შეიცავს. მაგალითად, უარყოფით კონკრეტულ საგანსა თუ მოვლენას შეუძლია იარსებოს მეორე უარყოფით კონკრეტულ საგნისა თუ მოვლენის გვერდით, მაგრამ ამით არ იქმნება რაიმე ერთმანეთთან დაკავშირებული სურათი, ვიდრე ამ ორ მოვლენას (საგანს) ადამიანის აზრი არ შეაერთებს. მაგრამ ამ აზრს, რომელიც საგანგაშო სიგნალის მიღების შემდეგ შეჩერდება ყოველი კონკრეტული მოვლენის საზღვართან, არ შეუძლია შეასრულოს თავისი დავალება და ამიტომ ცალკეულ უარყოფით კონკრეტულ მოვლენას შეუძლია დიდხანს იარსებოს ისე, რომ არ ჩაჯდეს არავითარ დამაფიქრებელ პანორამაში. თუ შესაძლებელი გახდება იმის მიღწევა, რომ ყოველი ადამიანი ჩაიკეტება თავის კონკრეტულ საზღვრებში, მაშინ წარმოიშვება ჩაკეტილი საზოგადოება, რომელიც შედგება კონკრეტული მოვლენების რაოდენობისაგან, რომელთაც არ შეეძლებათ ერთმანეთთან დაკავშირება ურთიერთთანხმობით მოქმედ საზოგადოებაში.]

მაჰმუდმა მოძებნა მეგობარი, რომლის შესახებაც სმენოდა, რომ გამოჩენილი პოეტი გამხდარიყო. ჰასან რეზვანიმ იგი თანამედოვე, უმდიდრეს აგარაკზე მიიღო. ისინი საგულდაგულოდ მოვლილ ბაღში დიდი აუზის პირას დასხდნენ (უკვე ცხელი ზაფხული იწყებოდა) და გაყინული ჭიქებიდან Gin-tonic-ს სვამდნენ. ჰასანი ჩიოდა, რომ ძალიან დაღლილი იყო, რადგან ზუსტად გუშინ დაბრუნებულიყო მონრეალში, პარიზში, ჩიკაგოში და ათენში მოგზაურობიდან, სადაც ლექციების კურსი წაიკითხა შაჰისა და ირანელი ხალხის ,,დიდი ცივილიზაციისა" და ,,რევოლუციის" თაობაზე. - ეს ძალიან ძნელი აღმოჩნდა, – აღიარა ჰასანმა, – რადგან ლექციის დროს წამოძახილებით ხელს უშლიდნენ და გაგრძელების საშუალებას არ აძლევდნენ.

ჰასანმა მაჰმუდს თავისი ახალი ლექსების ტომი უჩვენა, რომელიც შაჰისათვის მიეძღვნა. პირველ ლექსს ასეთი სათაური ჰქონდა: ,,სადაც გაიხედავ, იქ ყვავილი აყვავდება."

,,შაჰმა თუნდაც რომ მხოლოდ გაიხედოს,
წამსვე აყვავდება ტიტა და მიხაკი.
სამაგიეროდ, სადაც მზერას შეაჩერებს,
იქ ვარდი გაიშლება" - ნათქვამი იყო ლექსში,.

სხვა ლექსის სათაური იყო: ,,სადაც შეჩერდება, წყარო ამოსჩქეფს."

,,იქ, სადაც მონარქი ფეხს დააბიჯებს,
კრისტალურად წმინდა წყარო ამოხეთქავს:
ხოლო თუ შაჰი შეჩერდება
და თუ ცოტას მოიცდის,
მდინარე დაიწყებს დინებას". ირწმუნება ავტორი.

ჰასანის ამ ლექსებს რადიოში და სტუდენტებთან კითხულობდნენ. თავად მონარქს ისინი ძალიან მოსწონდა მათ ავტორს ფაჰლავების სახელობის ფონდის პრემია მიანიჭა.

ერთხელ, როდესაც მაჰმუდი ქუჩაში გავიდა ხის ქვეშ მდგარი კაცი დაინახა. მან იცნო (თუმცა ძლივს), მოჰსენ ჯალავერი, ვისთან ერთადაც სტუდენტურ გაზეთში წერილების წერა დაიწყო. მაჰმაუდმა იცოდა, რომ მოჰსენი სავაკს ჰყავდა დაჭერილი და აწამეს კიდეც, რადგან თავის ბინაში მეგობარი მოჯახედი შეიფარა.

მაჰმუდი მისთვის ხელის ჩამოსართმევად შეჩერდა. ამ უკანასკნელმა ისე შეხედა, თითქოს ვერ იცნო. მაჰმუდმა თავი შეახსენა. ამაზე მოჰსენმა უპასუხა, რომ ამას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. კვლავ გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილას და მიწას ჩასჩერებოდა. – წამოდი, სადმე წავიდეთ, შენთან საუბარი მინდა, – შესთავაზა მაჰმუდმა. - ეს ჩემთვის სულ ერთია, – კვლავ უპასუხა მან და ისევ ისე, გაუნძრევლად დგომა გააგრძელა. მაჰმუდმა იგრძნო, რომ მასთან ურთიერთობა ცივდებოდა.

- მომისმინე, - კვლავ შეეცადა მის დაყოლიებას, – იქნებ სხვა დღეს შევხვედრილიყავით? ამაზე ჯალავერს არაფერი უპასუხია, მხოლოდ მოულოდნელად კიდევ უფრო კბილები გააკრაჭუნა და მოკუმული პირიდან გამოსცრა - შემეშვი რა!

მცირე ხნის შემდეგ მაჰმუდმა ქალაქის ცენტრში უბრალო ბინა დაიქირავა. ჯერ კიდევ ჩემოდანი არ გაეხსნა, რომ სამი მამაკაცი ეწვია. ისინი მიესალმნენ როგორც მათი უბნის ახალ მოსახლეს, და შეეკითხნენ, თუ იყო შაჰის პარტიის – რასტაკისის წევრი. მაჰმუდმა უარყოფითად უპასუხა, რადგან ახალი დაბრუნებული იყო ევროპიდან, სადაც მრავალი წელი გაატარა. ამან მამაკაცების დაეჭვება გამოიწვია, ვინაიდან ვისაც შეეძლო, ისინი უფრო გადიოდნენ ქვეყნიდან, ვიდრე ბრუნდებოდნენ. ამიტომ დაუწყეს გამოკითხვა, რატომ, რა მიზნით დაბრუნდა, ამასთან ერთ-ერთი მათგანი ამ ყველაფერს რვეულში იწერდა. ცხადია, ეს მაჰმუდს არ სიამოვნებდა, რადგან მიაჩნდა, რომ ამ გზით იგი უკვე მესამედ აღმოჩნდა დაფიქსირებული. მოსულებმა მას პარტიის წევრობის განცხადების ფორმა გადასცეს, მაჰმუდმა უთხრა, რომ არ სურდა პარტიაში გაწევრიანება, რადგან მთელი სიცოცხლე აპოლიტიკური იყო და ასეთად სურდა დარჩენა. მამაკაცებმა ისეთი გაოცებული სახით შეხედეს, თითქოს ეკითხებოდნენ, თუ იცი, რას ამბობო. მათ მაჰმუდს მისცეს რეკლამა, სადაც დიდი ასოებით შავით თეთრზე ამობეჭდილი იყო შაჰის სიტყვები: ,,ისინი, ვინც არ მიეკუთვნებიან რასტაკისს, მოღალატეები არიან, რომელთა ადგილიც ციხეშია, თუ არ სწამთ შაჰის და სამშობლოსი არ უნდა მოელოდნენ, რომ მათ სხვა დანარჩენთა მსგავსად მოვექცევით“. მაჰმუდმა იმდენი გაბედულება მაინც გამოიჩინა, რომ თხოვა მოფიქრებისათვის ერთი დღე მიეცათ, რადგან სურდა ამ საკითხზე ძმას მოლაპარაკებოდა.

ძმამ უთხრა, რომ სხვა გამოსავალი არა ჰქონდა, პარტიაში უნდა შესულიყო. ყველა ამ პარტიის წევრები ვართ! მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, მას უნდა ეკუთვნოდეს. მაჰმუდი სახლში დაბრუნდა და როდესაც ის მამაკაცები კვლავ ესტუმრნენ, პარტიაში მიღების განცხადება დაწერა. ამგვარად, იგიც ჩადგა ქვეყანაში ,,დიდი ცივილიზაციის“ დამყარებისათვის მებრძოლთა რიგებში.

მალე მან მიწვევა მიიღო რასტაკისის ოფისიდან, რომელიც მისი სახლის ახლოს მდებარეობდა. იქ დანიშნული იყო შემოქმედთა შეკრება, რათა პატივი მიეგოთ მონარქის ტახტზე დაბრძანების 37 წლისთავისათვის. ყველა წლისთავი, რომელიც შაჰის პიროვნებასთან და მის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებთან – ,,თეთრ რევოლუციასთან“ და ,,დიდ ცივილიზაციასთან“ იყო დაკავშირებული, ხმაურითა და ზეიმით აღინიშნებოდა. იმპერიის მთელი ცხოვრება ხომ წლისთავიდან წლისთავამდე სწორედ ასეთ ამაღლებულ რიტმში მიმდინარეობდა. აურაცხელ შტაბებში

დასაქმებული ადამიანები კალენდრით ხელში დაყურადებულნი იყვნენ, რომელიმე საიუბილეო თარიღი არ გამორჩენოდათ: მონარქის დაბადების დღე, მისი ქორწინების წელიწადი, ტახტზე დაბრძანების წლისთავი და სხვ. დროთა განმავლობაში ამ საიუბილეო თარიღებს ახალ-ახალი ემატებოდა. ერთი ზეიმი არ დასრულებულიყო, რომ ახალი იწყებოდა, რომლის დროსაც მთელ ქვეყანაში წყდებოდა მუშაობა, ეწყობოდა ბანკეტები, მისალმებებს და მილოცვებს ხომ ბოლო არ უჩანდა.

ამჯერად კრებაზე უნდა განეხილათ შაჰის ახალი ქანდაკების პროექტი, რომლის აღმართვაც მისი დაბადების დღისათვის უნდა მიეძღვნათ. დარბაზში ას კაცამდე იჯდა. თითოეულს თავმჯდომარე ისე არ მიმართავდა, ხაზი რომ არ გაესვა იმისათვის, თუ როგორი ცნობილი და გამოჩენილი ადამიანი ბრძანდებოდა. მაგრამ არც ერთი დასახელებული გვარი მაჰმუდს არაფერს არ ეუბნებოდა. - ვინ არიან, აი, ისინი, – შეეკითხა გვერდით მჯდომს, - ხავერდის სავარძლებში რომ სხედან?

- ესენი განსაკუთრებით გამორჩეული ხალხია, - ჩურჩულით უპასუხა მან. – მათ ოდესღაც შაჰის წიგნი მიიღეს საჩუქრად, მისივე წარწერით.

კრებას მოქანდაკე კურუს ლაშხაი ხელმძღვანელობდა. იგი მაჰმუდმა ოდესღაც ლონდონში გაიცნო. ლაშხაიმ ლონდონსა და პარიზში მრავალი წელიწადი გაატარა და ცდილობდა კარგად დაუფლებოდა ქანდაკების ხელოვნებას. მაგრამ ტალანტი არ აღმოაჩნდა და მნიშვნელოვანს ვერაფერს მიაღწია. წარუმატებლობით გაღიზიანებული თეირანში დაბრუნდა. ძალიან ამბიციური ადამიანი იყო, ვერ შეძლო დამარცხებას შერიგებოდა და სულ რაიმე კომპენსაციის მიღებას ცდილობდა. მალე რასტაკისის წევრი გახდა და თანდათან კარიერის გაკეთებაც დაიწყო. იგი ფაჰლავის ფონდის ერთ-ერთი მთავარი ექსპერტად დანიშნეს და მისი დასკვნის გარეშე ამ ფონდის ჯილდო თუ პრემია არ გაიცემოდა. უფრო მეტიც, ბევრი მას იმპერიალიზმის თეორიის თეორიტიკოსადაც კი აღიარებდა. ირანში სჯეროდათ, რომ მის სიტყვას ქვეყანაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა - იგი ხომ კულტურის საკითხებში შაჰის მრჩეველი იყო.

როდესაც კრების დარბაზიდან გამოდიოდნენ, მაჰმაუდს მწერალი და მთარგმნელი გოლამ ქაზემი მიუახლოვდა, რომელიც მრავალი წელი არ შეხვედროდა – მაჰმუდი ემიგრაციაში წავიდა, ხოლო გოლანი ირანში ცხოვრობდა და ,,დიდი ცივილიზაციის“ მაქებ-მადიდებელ ნაწარმოებებს თხზავდა. ფუფუნებაში ამყოფებდნენ, შაჰის სასახლეში ნებისმიერ დროს თავისუფლად შეეძლო შესვლა. მის წიგნებს ტყავის ყდით გამოსცემდნენ. გოლემს უნდოდა მაჰმუდისთვის რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი ეთქვა და თითქმის ძალით წაიყვანა იგი სომხური კაფესაკენ. იქ მან მაგიდაზე რომელიღაც ჟურნალი დადო, გაშალა და მაჰმუდს ამაყად მიმართა – შეხედე, რისი დაბეჭდვა შევძელი! ეს იყო პოლ ელუარის (Paul Eluar) ლექსის თარგმანი. მაჰმუდმა ლექსს დახედა და შეეკითხა, თუ რა იყო აქ განსაკუთრებული?

- როგორ თუ რა? – იწყინა გოლამმა – ვერ იგებ? დაკვირვებით წაიკითხე.

მაჰმუდმა ყურადღებით წაიკითხა ლექსი, და კვლავ იკითხა, რა იყო მასში არაჩვეულებრივი, რა იწვევდა მთარგმნელის ასეთ სიამაყეს.

- ადამიანო, შენ რა, დაბრმავდი? შეხედე – და ხმამაღლა წაუკუთხა ლექსის ორი სტრიქონი:

,,სევდის დროა დამდგარი, კუნაპეტი ღამეა,

ბრმებსაც არ ვურჩევდი სახლებიდან გამოსვლას”.

თან კითხულობდა და თან ფრჩხილით ქაღალდზე ყოველ სიტყვას აღნიშნავდა. – იცი, რამდენი წვალება გამოვიარე, ვიდრე ამის დაბეჭდვას მივაღწევდი, ვიდრე სავაკს დავარწმუნებდი ამ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ოპტიმიზმით უნდა იყოს გაჟღენთილი, იღიმებოდეს და ყვაოდეს, მოულოდნელად - ,,სევდის დრო დამდგარა”! შეგიძლია შენ ამის წარმოდგენა? გოლამს გამარჯვებულის სახე ჰქონდა, ძალზე სიამოვნებდა თავისი გმირობა.

გოლანის მოღუშულ, ამასთან ინტელიგენტურ სახეს უყურებდა, მაჰმუდმა ირწმუნა, რომ ქვეყენაში მართლაც ახლოვდებოდა რევოლუცია. იგრძნო, რომ მხოლოდ ახლა-ღა ჩაწვდა არსებული ვითარების მთელ სიღრმეს.

ჩანდა, გოლამმა იგრძნო კატასტროფის მოახლოვება და თავისი ეშმაკური მოქმედებებით, ფრონტის შეცვლა დაიწყო. იგი ცდილობდა განწმენდილიყო და მსხვერპლს სწირავდა მოახლოვებულ ძალებს, რომელთა საშიში ნაბიჯები ყრუ ექოდ გაისმოდა მის დამფრთხალ გულში. ჯერ-ჯერობით წითელ ბალიშს, რომელზედაც შაჰი იჯდა, გოლანმა მალულად მხოლოდ უჩხვლიტა. არა. ეს არ იყო ასაფეთქებელი ნაღმი. შაჰს ამისაგან არავითარი ზიანი არ მიადგებოდა, არ დაიღუპებოდა, სამაგიეროდ გოლანმა იგრძნო თავი უკეთ – იგი ხომ შაჰის წინააღმდეგ გამოვიდა! ახლა ის ხალხს აჩვენებს ამ წკმენტას რა მოჰყვებოდა. მას სიამოვნებას მიანიჭებდა ის გარემოება, რომ უკვე დამოუკიდებელი და წინააღმდეგობის წევრი იყო.

მაგრამ საღამოს მაჰმუდს კვლავ თავისი ძველი ეჭვები ეწვივნენ. თავის ძმასთან ერთად თითქმის უკვე ცარიელ ქუჩაში სეირნობდა. გზად მოღუშულსახიანი, მოწყენილი და დაღლილი ადამიანები ხვდებოდნენ. რომლებიც სახლისაკენ მიიჩქაროდნენ ან მდუმარედ იდგნენ ავტობუსის გაჩერებაზე. ვიღაც კაცები კედელთან ისხდნენ, თავი მუხლებზე დაეყრდნოთ და თვლემდნენ.

- ვინ გააკეთებს ამ შენს რევოლუციას? – შეეკითხა მაჰმუდი ძმას და ხალხზე მიუთითა. - ამათ ხომ ძინავთ.

- ზუსტად ესენი! – უპასუხა ძმამ, – ამ ადამიანებს, ვისაც შენ ახლა აქ ხედავ, ერთ დღეს ფრთები გამოესხმებათ.

მაგრამ მაჰმუდს ამის წარმოდგენაც კი უჭირდა.

(,,ადრეულ ზაფხულზე უკვე დავიწყე იმის შეგრძნება, რომ რაღაც იწყებდა შეცვლას, რაღაცამ გამოიღვიძა ხალხში, ჰაერში. ეს ძალიან გაურკვეველი განწყობაა, დაახლოებით ისეთი, როგორც კოშმარული სიზმრიდან გამოღვიძება. ჯერ-ჯერობით ამერიკელებმა აიძულეს შაჰი, რათა მას ინტელექტუალების ნაწილი ციხიდან გამოეშვა. შაჰი ყოყმანობდა, თავს იკავებდა, ზოგს უშვებდა, სხვებს – პირიქით, ციხეში ამწყვევდა. მაგრამ უმნიშვნელოვანესი ის იყო, რომ ერთი ნაბიჯით დათმობამ, მტკიცე სისტემაში გამოაჩინა პირველი ღრიჭო, პირველი ნაპრალი.

ამით ისარგებლა მწერალთა ჯგუფმა, რომელთაც სურდათ ირანის მწერალთა ორგანიზაციის (კავშირის) აღდგენა. შაჰმა იგი დახურა 1969 წელს. მაშინ თითქმის ყველა მსგავსი უდანაშაულო ორგანიზაცია დაიხურა. ქვეყანაში მხოლოდ რასტაკისი და მეჩეთი დარჩა. *Tertium non datur (მესამე გზა არ არსებობს).* მაგრამ ხელისუფლება კვლავ არ დათანხმდა, რომ ქვეყანაში ლიტარატორთა კავშირს ემოქმედა. ამის გამო ხელოვნების მოღვაწეებმა დაიწყეს კერძო სახლებში შეკრება, ძირითადად თეირანის

გარეუბნებში მდგარ ძველ სახლებში, სადაც მათ კონსპირაციულ პირობებში შეეძლოთ ერთმანეთთან შეხვედრა, რასაც კულტურულ საღამოებს უწოდებდნენ. ჯერ ლექსებს კითხულობდნენ, ხოლო შემდეგ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე იწყებდნენ კამათს. ამ შეხვედრებისას საუბრობდნენ, რომ შაჰის და მისი ხელისუფლების მიერ შეთხზული ქვეყნის განვითარების მთელი პროგრამა ჩაფლავდა, ირანში აღარაფერი აღარ ფუნქციონირებს, ბაზარი თანდათან ცარიელდება, ცხოვრება ძვირდება, ბინის ქირა ადამიანთა შემოსავლების სამ მეოთხედს შთანთქავს, შაჰის უსუსური, მაგრამ ხარბი ელიტა ძარცვავს ქვეყანას, უცხო ფირმებს კი ქვეყნიდან უდიდესი თანხები გააქვთ, რაც რჩება ნავთობის შემოსავლიდან, ირანის უაზრო შეიარაღებას ხმარდება. ყოველივე ამის შესახებ აქ შეკრებილები თანდათან უფრო ღიად და უშიშრად საუბრობდნენ.

მახსოვს, ერთ-ერთ ბოლო შეკრებაზე იქ შევნიშნე ადამიანები, რომლებიც ციხიდან სულ ახლახან გამოსულიყვნენ. ესენი იყვნენ მწერლები, მეცნიერები, სტუდენტები. ვუყურებდი მათ სახეებს, მაინტერესებდა დამენახა, რა კვალს ტოვებს ადამიანზე დიდი შიში და ტანჯვა. ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ მათ საქციელში რაღაც არანორმალური იყო. ისინი თითქოს ურწმუნოდ, სინათლისაგან და სხვების იქ ყოფნით გიჟებივით იქცეოდნენ. ურთიერთობაში ძალზე ფრთხილობდნენ, თითქოს ეშინოდათ, რომ სხვა ადამიანთან შეხება მათთვის ცუდად დასრულდებოდა. ერთ-ერთი მათგანი საშინლად გამოიყურებოდა. კანი სულ დახეთქილი ჰქონდა, ყავარჯნების დახმარებით დადიოდა. იგი უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. შემოწმების დროს მას ფედაინების მოწოდებები აღმოუჩინეს. მახსოვს, ერთხელ ჰყვებოდა როგორ შეიყვანეს სავაკელებმა ერთ დიდ დარბაზში, რომლის კედლებიც სიცხისაგან ელვარებდა. იატაკზე ეყარა საბურავები, საბურავების პატარა თვლებზე ლითონის სკამი იყო დამაგრებული, რომელზეც იგი დააბეს. სავაკოველმა ღილაკს ხელი დააჭირა და სკამმა ნელ-ნელა დაიწყო გაცურება გახურებული კედლისაკენ. სკამი ძალიან ნელა მოძრაობდა, წუთში დაახლოებით სამი სანტიმეტრით. როგორც გამოთვალა, ამ სისწრაფით სკამს კედლამდე დაახლოებით ორი საათი დასჭირდებოდა, მაგრამ უკვე ერთი საათის გასვლის შემდეგ ვეღარ გაუძლო სიცხეს და დაიწყო ყვირილი, ყვიროდა, რომ ყველაფერს აღიარებდა. თუმცა რა უნდა ეღიარებინა, რაც არ იცოდა, ეს მოწოდებები ხომ მან ქუჩაში იპოვა. ყველანი მდუმარედ უსმენდნენ, სტუდენტი ტიროდა. მახსოვს, ღმერთს როგორ შეჰღაღადა – ღმერთო, რატომ დამსაჯე და ასე საშინლად დამამახინჯე ისეთი სიმახინჯით, რომელსაც აზროვნება ჰქვია! რატომ მასწავლე აზროვნება, იმის ნაცვლად, რომ მორჩილება გესწავლებინაო! ბოლოს ისე დასუსტდა, რომ იძულებული გახდნენ მეორე ოთახში გაეყვანათ. თუმცა სხვები, რომლებიც მასავით ციხიდან იყვნენ გამოსული, ძირითადად დუმდნენ, სიტყვას არა სძრავდნენ”).

სავაკმა მალე დაადგინა ამ შეხვედრების კვალი. ერთ ღამეს, როდესაც კონსპირაციის ადგილი დატოვეს და სახლებისაკენ მიდიოდნენ, მაჰმუდმა გზისპირა ბუჩქებში რაღაც ფაჩუნი გაიგონა. მალე იქიდან ვიღაცეები წამოხტნენ და დაიწყეს ყვირილი. მაჰმუდმა კეფაში რაღაც მძიმეს დარტყმა იგრძნო. მიწაზე დაეცა და გონება დაკარგა. აზრზე მხოლოდ ძმის ხელებში მოვიდა. თვალები სისხლით ჰქონდა სავსე, ბნელოდა და ძლივს გაარჩია ძმის შავი, მოღუშული სახე. მალე კვნესაც გაიგონა. ვიღაც მშველელს უხმობდა. მან სტუდენტი შეიცნო. როგორც ჩანს, იგი შოკში იყო, რადგან თითქოს მიწის ქვეშიდან ესმოდა მისი ხმა: - ღმერთო, რატომ დამსაჯე და აზროვნება მასწავლე!

რატომ დამამახინჯე ასე საშინლად?! მაჰმუდი თავის გვერდზე სხვა გასისხლიანებულ ადამიანსაც ხედავდა. მათ ნელ-ნელა გააგრძელეს გზა, თან სულ იმის შიში ჰქონდათ, კიდევ ვიღაცეები თავს არ დაგვესხნენო.

დილით მაჰმუდმა სახლში გამოიღვიძა. თავი შეხვეული ჰქონდა, ხოლო შუბლი – გაკერილი. მეთვალყურემ ახალი გაზეთი შემოუტანა, სადაც მაჰმუდმა წინღამინდელი ამბები ამოიკითხა.

,,გასულ ღამეს კანის მახლობლად მრავალგზის სასჯელმოხდილი საზოგადოების ნაძირლებმა ერთ-ერთ სახლში მოაწყეს საშინელი და სამარცხვინო ორგია. პატრიოტულად განწყობილმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა არაერთხელ თხოვეს მათ, ასე არ მოქცეულიყვნენ, მაგრამ აღვირახსნილმა ბანდიტებმა ადგილობრივ პატრიოტებს არ დაუჯერეს, ეცნენ მათ და ჯოხებითა და ქვებით ცემა დაუწყეს. ადგილობრივი მცხოვრებლებიც იძულებული გახდნენ თავი დაეცვათ და თავიანთი საცხოვრებელი უბნისათვის კვლავ დაებრუნებინათ ტრადიციული სიმშვიდე და სიწყნარე".

მაჰმუდს ჭრილობები აწუხებდა, გრძნობდა, რომ ტემპერატურა უმატებდა და იმასაც მიხვდა, რომ ტვინის შერყევა ჰქონდა.

საღამოს ძმამ მოაკითხა. იგი ძალზე აღელვებული ჩანდა. მას მაჰმუდის ჭრილობებისათვის არც დაუხედავს და თითქოს არც კი ახსოვდა წინა ღამეს მომხდარი ამბავიო, ჩანთიდან მანქანაზე დაბეჭდილი ქაღალდების სქელი დასტა ამოიღო და ავადმყოფს წასაკითხად გადასცა. მაჰმუდმა ძლივს გაიკეთა სათვალე.

- კვლავ წერილი, – თქვა უგულოდ და ნაბეჭდი ქაღალდები გვერდზე გადადო, – თავი დამანებე, თუ კაცი ხარ!

- ჰო, მაგრამ, აბა ნახე, რა მნიშვნელოვანი დოკუმენტია! – არ ეშვებოდა ძმა.

მაჰმუდს თავი სტკიოდა და მიუხედავად იმისა, ამ წერილსაც ძალად აკითხებდნენ, მცირე ხნის შემდეგ იძულებული იყო ეღიარებინა, რომ წერილი მართლაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. კერძოდ, იგი კითხულობდა იმ წერილის ასლს, რომელიც მოსადეჰის სამმა უახლოესმა ადამიანმა შაჰს გაუგზავნა. მაჰმუდმა ხელმოწერებიც წაიკითხა – ქერიმ სანდჯაბი, შაჰპურ ბახტიარი და დარიუშ ფორუჰარი. - ცნობილი სახელებია, - გაიფიქრა, – დიდი ავტორიტეტები. ყველა სხვადასხვა წლებში შაჰის პოლიტიკური პატიმრები იყვნენ, ბახტიარი ექვსჯერაც კი იჯდა ციხეში.

,,1953 წლიდან, – კითხულობდა წერილში მაჰმუდი, – ირანი ტერორისა და შიშის ატმოსფეროში ცხოვრობს. ყოველგვარი ოპოზიცია დათრგუნვილი, წელში გადატეხილი, სისხლში ჩახშობილია. დღეები, როდესაც შეიძლებოდა ქუჩაში შეკრებები, დისკუსიები, როდესაც საზოგადოება თავისუფლად ყიდულობდა წიგნებს, დროთა განმავლობაში სიზმარივით გაუჩინარდა და მხოლოდ მეხსიერებასღა შემორჩა. საზოგადოების ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც თუნდაც ოდნავადაც რომ არ მოსწონდა ხელისუფლებას, აიკრძალა. ხალხი მდუმარებისათვისაა განწირული, მას სიტყვის დაძვრის, აზრის გამოთქმის, პროტესტის გაცხადების უფლებაც კი არა აქვს. მას მხოლოდ ერთი გზა დარჩენია – იატაკქვეშეთიდან ბრძოლა".

მაჰმუდი განსაკუთრებით წერილის იმ ნაწილს ჩაუღრმავდა, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა: ,,ირანში არსებული საგანგაშო მორალური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი სიტუაცია." მასში საუბარი იყო ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ კრიზისზე, საზოგადოების ფენებს შორის ქონებრივი უფსკრულის უჩვეულოდ

გაღრმავებაზე, სოფლის მეურნეობის განადგურებაზე, საზოგადოებისათვის თვალში ნაცრის შეყრაზე და მორალურ დეპრესიაზე, როგორშიც ირანელები ჩავარდნენ. ,,მაგრამ საზოგადოების სიჩუმესა და დუმილს, მისი მხრიდან გულგრილობად და, მით უმეტეს, მდგომარეობისადმი შეგუებად ნუ აღიქვამთ. საზოგადოების წინააღმდეგობამ სხვადასხვა ფორმა შეიძლება მიიღოს და მხოლოდ კრიტიკულ მომენტში გადაწყვეტს იგი, თუ როგორი სახით გამოხატოს თავისი უკიდურესი უკმაყოფილება".

ეს იყო ღია წერილი და თავისი პრინციპული ხასიათით ულტიმატუმივით ჟღერდა. იგი მთავრდებოდა რეფორმების, დემოკრატიის და თავისუფლების მოთხოვნით.

- ეს ხალხი ნამდვილად ციხეში ჩასხდება, – გაიფიქრა დასუსტებულმა და გამოფიტულმა მაჰმუდმა და იგრძნო, როგორ უწევდა ტემპერატურა.

რამდენიმე დღის შემდეგ ძმამ ერთი კაცის თანხლებით მოაკითხა. მას მაჰმუდი პირველად ხედავდა. ის ყარაჯის ხელსაწყოების ქარხნის მუშა იყო. მან თქვა, რომ ყველგან იზრდება გაფიცვების რაოდენობა, რომ არასოდეს ყოფილა იმდენი გაფიცვა, რამდენიც წელს. გაფიცვები აკრძალულია და მათ ძალით შლიან, მაგრამ ხალხი თავისას არ იშლის. მათ სხვა გზა არ დარჩენიათ, ცხოვრება უკვე შეუძლებელი გახდა. ქარხანაც და მისი პროფკავშირებიც სავაკის ზედამხედველობის ქვეშაა, ხოლო მუშა მონის მდგომარეობაში ჩავარდა. ხელფასებს კი უმატებენ, მაგრამ ფასები გაცილებით სწრაფად იზრდება, თანდათან ჭირს ოჯახის შენახვა. ამასთან, მუშამ ხელებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ვიღაცასთან შეხვედრა უნდოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ხელიდან უსხლტებოდა. ისიც თქვა, რომ ყარაჯის მუშები თეირანისაკენ დაიძრნენ, რათა შრომის სამინისტრო აეძულებინათ მათთვის ხელფასები გაეზარდა. ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ სამხედრო ნაწილები გაგზავნა, რომლებიც მუშებს გზაზე დახვდნენ და ცეცხლი გაუხსნეს. გზის ორივე მხარეს უდაბნო იყო, ადამიანი ვერსად გაიქცეოდა. ვინც გაიქცა და ტყვიების სეტყვას გადაურჩა, მალევე უკან დაბრუნდა, რათა დახოცილებისა და დაჭრილებისათვის ეპატრონა. ოთხმოცამდე კაცი მოკვდა, ხოლო ორასამდე დაიჭრა. ქალაქი ძაძებშია გახვეული და შურისძიების მოლოდინშია.

- შაჰის დღეები დათვლილია, – წარმოთქვა პრინციპული ხმით მაჰმუდის ძმამ, – შეუძლებელია წლების განმავლობაში უიარაღო ხალხი ასე აწამო.

- დათვლილია? – შეხვეული თავი მაღლა ასწია და ისე იკითხა მაჰმუდმა, – შენ რა, გაგიჟდი? ვერ ხედავ, როგორი არმია ჰყავს?

რა თქმა უნდა, ძმამ იცოდა, როგორი არმია ჰყავდა შაჰს, შეკითხვა უბრალოდ რიტორიკული გამოვიდა. მაჰმუდსაც ხომ ხშირად უნახავს შაჰის დივიზიები კინოსა თუ ტელევიზიით - პარადები, მანევრები, ტყვიამფრქვევები, რაკეტები. ტანკების ლულები მაჰმუდს პირდაპირ გულში უმიზნებდნენ. იგი ზიზღით უყურებდა ამ სამხედრო ნაწილების მეთაურ გენერლებს, რომლებიც ნემსის ყუნძში ძვრებოდნენ, ოღონდ კი შაჰისათვის თავი მოეწონებინათ.

- ისე, საინტერესოა, სინამდვილეში როგორ მოიქცეოდნენ ეს ოფიცრები, მათ სიახლოვეს ბომბი რომ აფეთქებულიყო, - ფიქრობდა მაჰმუდი – ალბათ ინფარქტს მიიღებდნენ!

წლების მანძილზე, როგორც ეს ტელევიზორის ეკრანიდან ჩანდა, სამხედრო ნაწილებს აღჭურვილობაც ემატებოდათ. მაჰმუდს მიაჩნდა, რომ ეს იყო საშინელი ძალა, რომელიც მტვრად აქცევდა ყველაფერს, რაც კი წინ აღუდგებოდა.

დაიწყო ზაფხულის ცხელი დღეები. უდაბნოდან, რომელიც თეირანს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება, ცხელი ჰაერი იყო მოწოლილი. მაჰმუდი თავს უკვე კარგად გრძნობდა, ამიტომ, გადაწყვიტა საღამოობით გაესეირნა ხოლმე და პირველად ამდენი ხნის განმავლობაში, ქუჩაში გავიდა. უკვე ბნელდებოდა. იგი ერთი უზარმაზარი, ნაჩქარევად აშენებული ნაგებობის სიახლოვეს პატარა ქუჩებში სეირნობდა. ეს შენობა რასტაკისის ოფისი იყო. ერთ მომენტში მოეჩვენა, რომ სიბნელეში რაღაც მოძრავ საგანს ხედავდა. მალე თითქოს ისიც მოესმა, თუ როგორ გამოვიდა ბუჩქებიდან კაცი. მაგრამ აქ ხომ არავითარი ბუჩქები არ იყო და შეეცადა თავის დამშვიდებას. მიუხედავად ამისა, უკვე შიშისაგან ატანილმა უახლოეს პარალელურ ქუჩაში შეუხვია. თუმცა კარგად იცოდა, რომ მის შიშს საფუძვლი არა ჰქონდა. მაჰმუდს კანკალი დააწყებინა. იგი ქვევით, ქალაქის ცენტრისაკენ მიმავალ ქუჩას დაუყვა. მალე უკან მომავალი კაცის ფეხის ხმა შემოესმა. ამან ძალიან ჩააფიქრა, ქუჩა ხომ ცარიელი იყო, ახლოს არავინ დაუნახავს. უნებლიედ ფეხს აუჩქარა, მაგრამ იმ კაცმაც უმატა სისწრაფეს და როგორც ჩანს, ახლა უფრო ახლოს იყო მაჰმუდთან, ვიდრე ადრე. - უკეთესი იქნება, თუ ნაბიჯს შევანელებ, - ფიქრობდა მაჰმუდი. მაგრამ შიში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე გონების ხმა და ამიტომ, მდევარი ჩამოეტოვებინა, თითქმის სირბილით წავიდა. მაგრამ მდევარი ისე მიახლოებოდა, რომ მაჰმუდს მისი აჩქარებული სუნთქვაც კი ესმოდა. მას უფრო სწრაფი სირბილი აღარ შეეძლო, მისი პერანგი, როგორც დროშა, ისე ფრიალებდა. მალე ისიც კი მოეჩვენა, რომ იმ ერთ მდევარს სხვებიც შეერთებოდნენ და ყველანი ერთად მისდევდნენ. მიუხედავად ამისა, იგი უფრო სწრაფად ვეღარ მირბოდა, ძლივს სუნთქავდა, ტანისამოსი ერთიანად ოფლით დასველებოდა. გრძობდა, რომ ცოტაც და მიწაზე უგონოდ დაეცემოდა.

როგორც იყო უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ალაყაფის კარებამდე მიხოხდა და მის საკეტს ჩამოეკიდა. ეგონა, საცაა გული გაუსკდებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ვიღაცის მუშტმა შეუნგრია ფერდი და იქ, შიგ, აუტანელ ტკივილს აყენებდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გონზე მოსვლა დაიწყო. ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. ქუჩაში კაციშვილი არ ჩანდა. კედელთან შავი კატა ჩაცუცქულიყო. ნელი ნაბიჯებით, თან ისე, რომ გული კინაღამ ხელით ეჭირა, მაჰმუდი სახლისაკენ გაემართა.

(,,ყველაფერი იმ გაზაფხულის იმ ღამეს დაიწყო, როდესაც კრებიდან გარეთ გამოსულებს თავს დაგვესხნენ. იმ დროიდან შიშის გრძნობა გამიჩნდა. იგი ხშირად მიპყრობდა ხოლმე ყველაზე უფრო მოულოდნელ დროს, როდესაც ამისათვის მოუმზადებელი ვიყავი. ძალინ მრცხვენოდა ამისა, მაგრამ თავისათვის ვერაფერი მომეხერხებინა, შიში ვერ დამეძლია. ეს ძალიან მიშლიდა ხელს. შეძრწუნებით ვფიქრობდი იმაზე, რომ რაკი გამუდმებით ჩემს თავში ვგრძობდი შიშს, უნებლიედ იმ სისტემის ნაწილად ვიქეცი, რომელიც შიშზე იყო დაფუძნებული. დიახ, ასეა, წარმოსდგა რაღაც საშინელი, განუყოფელი კავშირი ჩემსა და დიქტატორს შორის, როგორც პათოლოგიური სიმბიოზი. ამ ჩემი შიშის გამო მე გავხდი იმ სისტემის საფუძველი, რომელიც მძულდა და ვერ ვიტანდი. შაჰს შეეძლო ჩემი იმედი ჰქონოდა, სხვაგვარად რომ ვთქვა, ჩემში გაბატონებული შიშის იმედი, იმის იმედი, რომ მე ეს შიში არ მიმატოვებდა, ხოლო მე ამით გავამართლებდი მონარქიულ იმედებს და გათვლებსაც, კერძოდ კი იმას, რომ ზევიდან წამოსული ყოველი ხმის გაგონებაზე მე შიშით ვკანკალებდი. დიახ, რეჟიმი ჩემზე იყო დაყრდნობილი, მე არ შემეძლო მას გამოვცლოდი. მე რომ ამ შიშისგან განთავისუფლება შემეძლოს, შევარყევდი იმ

ფუნდამენტს, რომელზეც შაჰი იდგა, ყოველ შემთხვევაში, მის იმ ნაწილს მაინც გამოვუთხრიდი საყრდენს, რომელსაც ჩემი შიში უმაგრებდა ძირს, უფრო მეტიც, რომელიც სწორედ ჩემმა შიშმა შექმნა, მაგრამ მე ჯერ-ჯერობით ეს არ ძალმიძდა”).

მთელი ზაფხულის მანძილზე ცუდად ვგრძნობდი თავს, ყოველ შემთხვევაში, გულგრილი ვიყავი იმ ამბებისადმი, რაც ქვეყანაში ხდებოდა და ჩემს ძმას მოჰქონდა.

ამასობაში მთელი ქვეყანა, როგორც ვულკანზე, ისე ცხოვრობდა, მინავლებულ ნაპერწკალსაც კი ხანძრის გამოწვევა შეეძლო.

ქალაქ კერმანშაჰში გაგიჟებული ცხენი ქუჩაში მოსიარულეებს მივარდა და ტლინკები დაუშინა. თურმე, სოფლიდან გლეხი ჩამოსულა ამ ცხენით და იგი ქუჩაში ხეზე მიუბამს. ცხენი ავტომანქანამ დააფრთხო, საბელი გაწყვიტა და რამდენიმე ადამიანი დაასახიჩრა. ბოლოს ის ვიღაც ჯარისკაცმა მოკლა. მოკლული ცხენის ირგვლივ ბრბომ მოიყარა თავი. მალე პოლიციაც მოვიდა და შეჯგუფებული ხალხის დაშლა დაიწყო.

– მაშინ სად იყავით, როცა ცხენი ხალხს გაეკიდა? – პროტესტი გამოთქვა ერთმა.

ამის თქმა იყო და პოლიციამ ხალხის დარბევა დაიწყო. ხალხი მაინც მატულობდა. ბოლოს პოლიციამ ცეცხლი გახსნა. ქალაქი ყალყზე დადგა და ბარიკადების აგება დაიწყო. ხელისუფლებამ ჯარი გამოიყვანა. ქალაქში კომენდატის საათი გამოცხადდა.

- ხედავ, რა ცოტა დააკლდა, რომ იქ აჯანყება არ მომხდარიყო? – შეეკითხა ძმა მაჰმუდს, როდესაც ამ ამბის მოყოლა დაასრულა. მაგრამ ამ უკანასკნელს, როგორც ყოველთვის, მიაჩნდა, რომ მისი ძმა აჭარბებდა.

სექტემბრის დასაწყისში, მაჰმუდი რეზა ხანის ქუჩაზე მიდიოდა და რაღაც არეულობა შენიშნა. ცოტა ახლოს მივიდა, უნივერსიტეტის მთავარ შესასვლელთან სამხედრო სატვირთო ავტომანქანები, ჩაფხუტიანი ხალხი, კარაბინები და მწვანე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცები დაინახა. ეს უკანასკნელნი სტუდენტებს იჭერდნენ და სატვირთო ავტომანქანებში ჰყრიდნენ. მაჰმუდს ესმოდა ყვირილი, ხედავდა, როგორ უსხლტებოდნენ ჯარისკაცებს ხელიდან სტუდენტები და თავს გაქცევით შველოდნენ.

აი, ასე დაიწყო ახალი აკადემიური წელი უნივერსიტეტში.

იგი უკან წავიდა და გზა სხვა ქუჩით გააგრძელა. აქ კედელზე გაკრული მოწოდებები დაინახა, რომელთაც რამდენიმე ადამიანი კითხულობდა. ეს ადვოკატი მუსტაფა ბაკხერის მიერ პრემიერ ამუზეგარისათვის გაგზავნილი ტელეგრამის ასლი იყო.

,,თქვენ მოგეხსენებათ, რომ ბოლო ოცი წელიწადის განმავლობაში ირანის ყველა მთავრობა არღვევს ადამიანის თავისუფლების პრინციპებს. ამის შედეგად ჩვენი უნივერსიტეტები უკვე აღარ წარმოადგენენ იმ ადგილებს, სადაც ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას უნდა იღებდეს. ახლა ისინი ციხეებადაა გადაქცეული და მავთულხლართებით გარსშემორტყმული. ამ დაწესებულებებს პოლიცია მართავს. ცხადია, ამას ახალგაზრდა, მოაზროვნე ადამიანებში მხოლოდ ზიზღი და აღშფოთება უნდა გამოეწვია. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ თეირანშიც და სხვა ქალაქებშიც უნივერსიტეტები დაიხურა ან მხოლოდ ნაწილობრივ ფუნქციონირებენ”.

ხალხი მოწოდებას კითხულობდა და უხმოდ სტოვებდა იქაურობას.

მალე ქუჩაში ავტომანქანების სიგნალი გაისმება და მაჰმუდმა დაინახა, როგორ მიჰყავდათ სატვირთო მანქანებს სტუდენტები. მათ ირგვლივ ჯარისკაცები ჰყავდათ შემოხვეული და ხელები აკრული ჰქონდათ. ჩანს, მათ უკვე მოათავეს თავიანთი საქმე – გაიფიქრა მაჰმუდმა და გადაწყვიტა ძმასთან წასულიყო, რათა მისთვის ეცნობებინა

უნივერსიტეტში მომხდარი ამბავი. ძმის ბინაში ვიღაც ახალგაზრდა კაციც იყო, გიმნაზიის მასწავლებელი ფერეიდუნ განჯი. მაჰმუდს გაახსენდა, რომ პირველად ამ კაცს კულტურული შეკრებისას შეხვდა, როდესაც მათ პოლიცია დაესხა თავს. შემდეგ ძმა მოუყვა მაჰმუდს, რომ მეორე დღეს განჯი ჩვეულებრივ გიმნაზიაში მივიდა, მაგრამ დირექტორმა, რომელიც სავაკს უკვე საქმის ყურში ჩაეყენებინა, სამსახურიდან გამოაგდო და უყვიროდა, რომ იგი ხულიგანი და ავანტიურისტია, რომ სირცხვილიც კია სტუდენტებთან მისი შეშვება. განჯი დიდი ხნის განმავლობაში უმუშევრი და სასოწარკვეთილი იყო.

ძმამ მათ შესთავაზა, რომ ბაზარში წასულიყვნენ და ესადილათ. ბაზრის სიახლოვეს ვიწრო და უჰაერო ქუჩაში მაჰმუდმა მრავალი ახალგაზრდა შენიშნა, რომლებიც ოპიუმით გაბრუებულიყვნენ და ბანცალ-ბანცალით დადიოდნენ. ზოგიც კიბეზე იჯდა და ცივი, უსიცოცხლო თვალებით უაზროდ იყურებოდა. სხვები გამვლელებს ეძიძგილავებოდნენ და მუშტებით აშინებდნენ.

– როგორ ითმენს ამას პოლიცია? – იკითხა მაჰმუდმა.

_ მოითმენს, აბა რას იზამს. ეხ ხალხი ხანდახან მათთვის ძალზე საჭირო ხდება, – უპასუხა ძმამ, – ხვალ რამდენიმე გროშს მიუგდებენ, სამაგიეროდ დაურიგებენ რეზინის ჯოხებს და სტუდენტების დასარბევად გაუშვებენ. შემდეგ გაზეთები დაწერენ ჯანმრთელი, პატრიოტული ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც პარტიის მოწოდებას გამოეხმაურნენ და საკადრისი პასუხი გასცეს უნივერსიტეტის კედლებში შებუდებული საზოგადოების პარაზიტებს.

ისინი რესტორანში შევიდნენ და დარბაზის შუაში მიუსხდნენ მაგიდას. მათ ჯერ არ დაეწყოთ სადილი, რომ მაჰმუდმა გვერდით მაგიდასთან ორი დაკუნთული ტიპი შენიშნა. სავაკოველები! - ამ აზრმა გაუელვა თავში.

- მოდით სხვა მაგიდასთან გადავხდეთ, - სთხოვა მან ძმასა და განჯის.

მართლაც გადასხდნენ და ამასობაში ოფიციანტიც მოვიდა. ვიდრე ძმა სადილს უკვეთავდა, მაჰმუდის მზერა გვერდით მჯდომმა შავ ტანსაცმელში გამოწყობილმა ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა მიიპყრო, რომლებიც ხელი-ხელ ჩაკიდებულები ისხდნენ. – ესენიც სავაკოველები არიან და თავს კი ისე გვაჩვენებენ, თითქოს ჰომოსექსუალისტები იყვნენ – გაიფიქრა ზიზღითა და შიშით მაჰმუდმა. – კარგი იქნება, თუ ფანჯარასთან გადავჯდებით, შევხედოთ ერთი, ბაზარი რითი ცოცხლობს, – სთხოვა მაჰმუდმა ძმას. ისინი კვლავ ახალ მაგიდასთან გადასხდნენ. ის-ის იყო დაიწყეს ჭამა, რომ დარბაზში სამი მამაკაცი შემოვიდა. უსიტყვოდ, თითქოს უკვე შეთანხმებულები იყვნენო, ისინიც იმ ფანჯარასთან დასხდნენ. – გვითვალთვალებენ – ჩაიჩურჩულა მაჰმუდმა და იმავდროულად ისიც შენიშნა, როგორ უყურებდნენ მათ ოფიციანტები, რომლებიც პირიქით, დაეჭვდნენ, რადგან მაჰმუდმა და მისმა მეგობრებმა სამჯერ შეიცვალეს მაგიდა. გამორიცხული არ იყო ისინი თავად მათ თვლიდნენ სავაკოველებად, რომლებიც მსხვერპლის მახეში გასაბმელად ასე იცვლიდნენ ადგილს. მაჰმუდს უკვე მადა დაეკარგა, საჭმელს ძლივს ყლაპავდა. მეგობრებს ანიშნა გარეთ გასულიყვნენ და რესტორანი დატოვეს.

ისინი ძმის ბინაში მივიდნენ და ავტომანქანით მთებისაკენ წასვლა გადაწყვიტეს, რათა მცირე ხნით მაინც შვებით ამოესუნთქათ. ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ, გზად მდიდარი თეირანელთა საცხოვრებელი უბანი, შემირანი გაიარეს, სადაც მშენებლობა იყო გახურებული. გვერდი ჩაუარეს კომფორტულ რესტორანს, მოდის სახლს,

ექსკლუზიურ კლუბს აუზითა და კორტებით. ამ უბანში უდაბნოს (რამეთუ ქალაქს უდაბნო ესაზღვრება) ყოველი კვადრატული საცხოვრებელი ფართობი ასობით, თუ ათასი არა, დოლარი ღირდა, და მიუხედავად ამისა, მაინც ძნელი იყო აქ ბინის ყიდვა. ეს იყო სასახლის კარის მომხიბლავი სამყარო, სხვა დედამიწა, სხვა პლანეტა. მოულოდნელად ისინი ,,საცობში" აღმოჩნდნენ, ეტყობოდა რაღაც წინაღობა იყო შექმნილი. მანქანები დიდხანს იდგნენ ერთ ადგილას და წინ წასვლა უჭირდათ.

- ბულდოზერების ომი გრძელდება, – თქვა ძმამ.

მანქანა ტროტუარზე გააჩერეს და გზა ფეხით განაგრძეს. მცირე მანძილი ჰქონდათ გავლილი, რომ წინ ცამდე ასული მტვერი დაინახეს. ქუჩის გასწვრივ პოლიციელთა მანქანები იყო გაჩერებული, ხოლო შორს მოჩანდა შავი, გაღიზიანებული ბრბო. მაჰმუდმა ყვირილი და კვნესაც გაიგო. მალე სატვირთო მანქანა მოვიდა და მასზე ძონძებგადაფარებული ორი ადამიანის ცხედარი დადეს. მაჰმუდმა სროლის ხმაც გაიგო. როცა შეჯგუფებულ ხალხთან უფრო ახლოს მივიდნენ, დაინახეს, თუ როგორ ანგრევდა ხუთი ძლიერი ბულდოზერი ქოხმახებს. დაინახეს ქალიც, რომელიც ყვირილითა ბულდოზერის ქვეშ შევარდნას ცდილობდა, უსუსურ მძღოლებს, დროებით შეეჩერებინათ თავიანთი მანქანები, ხოლო პოლიციელები ჯოხებით ერეკებოდნენ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი სხეულით ცდილობდნენ დანგრევას გადაერჩინათ საკუთარი ხელით აჩოჩხილი ქოხები.

(,, - აი, ესაა ბულდოზერების ომი – უთხრა მაშინ ძმამ მაჰმუდს, – რომელიც თვეობით გრძელდება. აქ მცხოვრებ ღარიბებს ერეკებიან, რადგან ამ ადგილების დაკავება ელიტას სურს. აქაა ქალაქში საუკეთესო ჰაერი და ამ ადგილებს სამხედრო ნაწილები იცავს. იგი უკვე განაწილებულია, ახლა მხოლოდ აქ მცხოვრები ხალხის აქედან გაყრა და მათი სახლების დანგრევაა საჭირო. ამრიგად შემირანი გაანადგურებს მის ირგვლივ რკალივით შემორტყმულ სიღარიბეს და ამ სუპერდასახლებას გაფართოების საშუალება მიეცემა. მასში სასახლის კართან ახლო მდგომი ხალხი დასახლდება. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, – დაუმატა ძმამ, – ეს საქმე ისე ადვილად არ მიდის წინ, როგორც მათ სურდათ. ამ ქოხმახებში მცხოვრებთა შორის ფედაინელებმა ნამდვილი წინააღმდეგობის მოძრაობა ჩამოაყალიბეს. აი, ნახავ, თუ სწორედ აქედან არ დაიწყოს ნამდვილი გალაშქრება შაჰის სასახლის წინააღმდეგ").

მაგრამ მაჰმუდს ძმა ენთუზიასტად მიაჩნდა და მისი წინასწარმეტყველების არ სჯეროდა. ისინი ავტომანქანისაკენ დაბრუნდნენ და შეეცადნენ შემოვლითი გზებით წასულიყვნენ მთებისაკენ. ბოლოს მიაღწიეს იმ ადგილამდე და კლდეში გამოთხრილ ადგილას დასხდნენ. განჯიმ ჩანთიდან მაგნეტოფონი ამოიღო, კასეტა ჩადო და ღილაკს თითი დააჭირა. მაჰმუდმა დაბალ ხმაზე საუბარი გაიგო:

,,სახელითა ალაჰისათა, მწყალობლისა და მიმტევებლისა!

ხალხო!

გაიღვიძეთ!

უკვე ათი წელიწადია, რაც შაჰი ქვეყნის განვითარებაზე ლაპარაკობს, მაგრამ ხალხი აუცილებელ საგნებსაც კი მონატრებულია. შაჰი ახლა მომავალი ოცდახუთწლიანი გეგმის პროექტს სახავს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მისი დაპირება მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და მეტი არაფერი. სოფელი დანგრეულია, მუშებისა და გლეხების მდგომარეობა გაუარესებული, დამოუკიდებელი ეროვნული მეურნეობა ფიქციაა. და

ეს ადამიანი ჩვენ რევოლუციაზე გველაპარაკება! რა რევოლუციაა, რომელმაც ხალხი ასე დააბეჩავა, დაიმონა და უცხო დიქტატურის ხელში ჩააგდო? მოგიწოდებთ სტუდენტებს, მუშებს, გლეხებს, ვაჭრებსა და ხელოსნებს, ჩაებათ ბრძოლაში, შევქმნათ წინააღმდეგობის მოძრაობა და გარწმუნებთ, რომ ეს რეჟიმი მალე დაემხობა!

ხალხო!

გაიღვიძეთ!

სახელითა ალაჰისათა, მწყალობლისა და მიმტევებლისა!”

მაგნეტოფონში სიჩუმემ დაისადგურა.

- ვისი ხმა იყო? – იკითხა მაჰმუდმა.

- ჰომეინი ლაპარაკობდა, – უპასუხა განჯიმ.

განჯიმ მაჰმუდი იმ სამყაროში შეიყვანა, რომელიც მის შემეცნებაში დიდი ხანია, რაც დახშული იყო: მეჩეთი, მოლები, ყურანი, ისლამი, მექა. მაჰმუდიც, ისევე, როგორც მისი მეგობრები და ნაცნობები, წლების მანძილზე მეჩეთში არ შესულიყვნენ. მას თავი რაციონალისტად, სკეპტიკოსად მიაჩნდა, პირფერობა მის შინაგან წინააღმდეგობას იწვევდა, ღმერთი არ სწამდა, არ ლოცულობდა.

(,,ამ შეხვედრის დროს განჯიმ გვითხრა, რომ ის ამ კასეტებს ავრცელებს. იგი იმ ადამიანების წრეს მიეკუთვნება, რომლებიც ჰომეინის მოწოდებებს უწევენ აგიტაციას. მაშინ ჰომეინი ერაყის პატარა ქალაქ ნაჯაფაში იყო გადასახლებული. იგი მედრესში ასწავლიდა. მოწოდებები იქ იყო ჩაწერილი. ღაზეც არავინ არაფერი იცოდა, არადა ის, კონსპირატიული ფორმით წლების მანძილზე გრძელდებოდა. მოწოდებებში ჰომეინი უტევდა და აკრიტიკებდა შაჰის ყოველ გამოსვლას, მის ყოველ ღონისძიებას. ეს იყო მოკლე, რამდენიმე წინადადების შემცველი კომენტარები, გადმოცემული უაღრესად უბრალო, ყველასათვის გასაგები ენით. ყოველი მოწოდება იწყებოდა და სრულდებოდა ალაჰისადმი მიმართვით და ასეთი ფორმულირებით – ხალხო, გაიღვიძეთ!

კასეტები ირანში საზღვარგარეთიდან იყო ჩამოტანილი, ხშირად შემოვლითი გზებით, პარიზისა თუ რომის გავლით. მაშინ განჯიმ ისიც თქვა, რომ სავაკისათვის თვალის ახვევის მიზნით ხშირად ხალხისადმი მოწოდებები მოთავსებული იყო კასეტის ბოლოში, იგი ძირითადად სხვადასხვა ანსამბლის სიმღერებით იყო შევსებული. კასეტებს ადამიანთა გარკვეული წრე ავრცელებდა, რომელთაგან ერთ-ერთი განჯი იყო. ამ ადამიანებს კასეტები შეჰქონდათ მეჩეთებში და მოლებს ურიგებდნენ. ამრიგად, მოლები იღებდნენ მითითებას, თუ რა უნდა ექადაგად ლოცვის დროს და როგორ მოქცეულიყვნენ. მთელი მოხსენების დაწერა შეიძლება კასეტების როლზე ირანის რევოლუციაში. ჩემთვის ეს ყველაფერი მაშინ სენსაცია იყო, წარმოდგენა არა მქონდა, თუ ასეთი ფართო მასშტაბი ჰქონდა მიღებული შიიტურ კონსპირაციას და ვფიქრობ, ამას შაჰიც ვერ წარმოიდგენდა, თუნდაც შესაბამის ორგანოებს ამ თემაზე მისთვის მოხსენებები ეკეთებინა. იმ დღეს მივხვდი, რომ ჩემს ირგვლივ არსებობს რაღაც სხვა, იდუმალი სამყარო, რომელსაც არ ვიცნობ და თითქმის არაფერი ვიცი მის შესახებ”).

ქალაქში დაბრუნდნენ.

მომდევნო კვირის მანძილზე ქალაქში ახალი მანიფესტები და საპროტესტო წერილები გამოჩნდა. გახშირდა საიდუმლო კრებები და პოლიტიკური დებატები.

ნოემბერში დაფუძნდა ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი და სტუდენტთა იატაკქვეშეთის კავშირი. მაჰმუდი ხშირად სტუმრობდა ახლო მდებარე მეჩეთს, სადაც უამრავ ადამიანს ხვდებოდა, მაგრამ იქ გაბატონებული უაღრესად ვნებიანი ღვთისმსახურება მისთვის უცხო და მიუღებელი რჩებოდა. მას იმ ადამიანებთან რაიმე ემოციური კავშირის დამყარება არ შეეძლო. - ვის უხმობს ეს ხალხი, საით სურს წასვლა? – ფიქრობდა იგი. მათმა უმრავლესობამ წერა-კითხვაც კი არ იცოდა. ისინი ერთი წლის წინ ან იქნებ სულ ორიოდე თვის წინ უდაბნოს ან მთის რომელიმე ღატაკი სოფლიდან ჩამოვიდნენ დიდ ქალაქში. მათ სოფელში ათასი წლის მანძილზეც კი არაფერი შეცვლილა. ახლა ისინი აღმოჩნდნენ მათთვის გაუგებარ, მტრულ სამყაროში, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ატყუებდათ და რომლისთვისაც ისინი მიუღებელი იყო. თავშესაფარს ეძებდნენ, მოითხოვდნენ რაღაც შეღავათებს. მათ მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ამ ახალ და მათდამი აბსოლუტურად გულგრილ სამყაროში მხოლოდ ალაჰი იყო იგივე, რაც მათ სოფელში, როგორიც არის ყველგან და ყოველთვის.

მაჰმუდი ახლა ძალიან ბევრს კითხულობდა, ჯეკ ლონდონსა და რედიარ კიპლინგს ინგლისურიდან სპარსულად თარგმნიდა. ხშირად ახსენდებოდა ლონდონში გატარებული დრო და ფიქრობდა, რაოდენ დიდი განსხვავეებაა ევროპასა და აზიას შორის. კიპლინგის სიტყვებს იმეორებდა: ,,აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი და დასავლეთი – დასავლეთი. ეს ორი სამყარო ერთმანეთს არასოდეს არ შეხვდება. აზია უარყოფს რაიმეს შეთვისებას ევროპიდან და მას ისე უყურებს, როგორც უცხო სხეულს. ამაზე ევროპელები შეიძლება განაწყენდნენ, მაგრამ ეს ბევრს ვერაფერს შეცვლის. ევროპაში ეპოქები იცვლება, ახალი უკუაგდებს ძველს, რაღაც გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრება წარსულისაგან იწმინდება, ჩვენი საუკუნის ადამიანი ძალიან ძნელად გაუგებს თავის წინაპარს. აქ სხვაგვარადაა, წარსულიც ისევე ცოცხალია, როგორც თანამედროვეობა, უხეში ქვის ხანა თანაცხოვრობს ცივ, ანგარიშიან საუკუნეში, იგი ცხოვრობს იმავე ადამიანში, რომელიც არის შთამომავალი ჩინგის ხანისა, როგორც მოსწავლე ედისონის, რა თქმა უნდა, თუკი მას ოდესმე საერთოდ შეხება ჰქონია ამ სამყაროსთან.

იანვრის ერთ ღამეს მაჰმუდს კარებზე კაკუნი მოესმა. იგი ლოგინიდან წამოვარდა.

(,,ეს ჩემი ძმა იყო. უაღრესად აღგზნებულად გამოიყურებოდა. ჯერ ოთახში არ შემოსულიყო, რომ წარმოთქვა: ხოცვა-ჟლეტა! ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ოთახში დადიოდა და რაღაცა აბდაუბდას ბოდავდა. ამბობდა, რომ კუმის ქუჩებში პოლიციამ ხალხს ესროლა. თქვა, რომ ხუთასამდე მოკლულიაო. ძალიან ბევრი ქალი და ბავშვი დაიხოცაო”).

ყველაფერი კი ძალზე უბრალო ამბიდან დაწყებულა. თურმე, გაზეთ ,,ეტელატ”-ში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ჰომეინს უტევდა. მას ვიღაც სასახლის ან მთავრობის წარმომადგენელი წერდა. სტატიის ავტორი ჰომეინს უცხოელს უწოდებდა, რაც ირანელის წარმოდგენაში საკმაოდ ზიზღის მომგვრელია. როდესაც გაზეთმა კუმამდე (ჰომეინის მშობლიური ქალაქი) ჩააღწია, ხალხი ქუჩაში გამოვიდა და კამათი დაიწყო. შემდეგ მათ მთავარ მოედანზე გადაინაცვლეს, რომელსაც პოლიციამ იმ წუთასვე ალყა შემოარტყა. პოლიციელები სახლების სახურავზეც გამოჩნდნენ. გარკვეული დროის განმავლობაში არაფერი არ ხდებოდა, სრული სიწყნარე იყო, ალბათ თეირანთან კონსულტაციები მიმდინარეობდა. შემდეგ ვიღაც ოფიცერმა ხალხს მოუწოდა - დაშლილიყვნენ, მაგრამ ადგილიდან ფეხი არავის მოუცვლია. კვლავ სიჩუმემ

დაისადგურა. ამ სიჩუმეში ერთდროულად სახურავებიდანაც და ქუჩიდანაც ხალხს სროლა დაუწყეს. მოედანზე პანიკა ატყდა. ხალხს გაქცევა უნდოდა, ერთმანეთს აწყდებოდა და თელავდა, მაგრამ ვერსად გაიქცეოდა, ქუჩები კბილებამდე შეიარაღებული პოლიციის მიერ ალყაში იყო მოქცეული. მთელი მოედანი გვამებით მოიფინა, - ამბობდა ძმა. თეირანიდან დამხმარე ძალები ჩაიყვანეს და ახლა იქ ხალხს აპატიმრებენ. სრულიად უდანაშაულო ხალხი დაიხოცა, მათი ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ მოედანზე გამოვიდნენ. მახსოვს, მეორე დღეს მთელი თეირანი აღგზნებული იყო, იგრძნობოდა, რომ რაღაც შავი და საშინელი დღეები ახლოვდებოდა”).

მკვდარი ცეცხლის ენები (?)

ძვირფასო ბატონო ღმერთო
რატომ არ ტოვებ მზეს ღამით,
როდესაც იგი უფრო საჭიროა?
ბარბარა
(,,ბავშვების წერილი ღმერთისადმი”, გამომცემლობა ფაქსი, 1978წ.)

შაჰის ბატონობას რევოლუციამ დაუსვა წერტილი. რევოლუციამ დაანგრია მისი სასახლე და მონარქიაც მის ნანგრევებში შთაინთქა. ეს მოვლენები ერთი შეხედვით მცდარი ნაბიჯით დაიწყო, რომელიც შაჰის ხელისუფლებამ გადადგა. ეს მისი უკანასკნელი შეცდომაც აღმოჩნდა.

ჩვეულებისამებრ, რევოლუციის მიზეზად ობიექტურ პირობებს ასახელებენ ხოლმე – საყოველთაო სიღატაკეს, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, კორუფციას. მაგრამ ასეთი შეხედულება, თუმცა სწორია, მაგრამ ცალმხრივია. ამგვარ პირობები ასზე მეტ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ რევოლუცია იშვიათად იფეთქებს ხოლმე. საჭიროა სიღატაკისა და კორუფციის ჩაწვდომა, იმის რწმენა, რომ იგი სამყაროს ბუნებრივი წესრიგიდან არ გამომდინარეობს. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩაწვდომა, თუნდაც ძალზე აშკარა და მკაფიო, სრულიადაც არაა საკმარისი. აუცილებელია სიტყვა, აუცილებელია ამხსნელი აზრი. სახელდობრ, ამიტომაა, რომ ტირანებს, ნაღმსა და ხანჯლზე მეტად, სიტყვის ეშინიათ. სიტყვაზე, რომელიც იბადება მიწისქვეშეთში, მათ კონტროლის დაწესება არ შეუძლიათ.

მაგრამ ისეც ხდება ხოლმე _ სიტყვები, საზეიმო ფორმითა და ბეჭდით, იწვევენ რევოლუციას.

საჭიროა განვასხვავოთ შეთქმულება და სასახლის კარის გადატრიალება აჯანყებისაგან. შეთქმულება და გადატრიალება შეიძლება დაიგეგმოს, აჯანყება – არასოდეს. მისი აფეთქება და ამ აფეთქების დრო ყველას აოცებს, იმათაც კი, ვინც ყველაფერს აკეთებდა მის გამოსაწვევად. ისინი გაოცებული უყურებენ სტიქიას, რომელიც უცებ წარმოიშვება და თავის გზაზე ყველაფერს ანადგურებს. ამასთან ყველაფერს იმ დონემდე სპობს, რომ ბოლოს შეიძლება მისი წარმომშობი ხალხი და იდეაც კი გაანადგუროს.

მცდარია წარმოდგენა, რომ ისტორიის მიერ დაჩაგრული ერები (ხოლო ასეთები უმეტესობაა), სულ იმის ფიქრში იყვნენ, როგორ მოახდინონ რევოლუცია, რომ მასში ხედავენ თავიანთი პრობლემების გადაწყვეტის გზას. ყოველი რევოლუცია დრამაა, ხოლო ადამიანი ინსტიქტურად ერიდება დრამატულ სიტუაციას. თუმცა თუ ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდება, ცდილობს როგორმე იქიდან გამოსვლის გზები მონახოს, სიწყნარისაკენ და ხშირად ჩვეულებრივი ყოველდღიურობისაკენ მიისწრაფის. ამიტომაა, რომ რევოლუცია არასოდეს გრძელდება დიდხანს. ის უკანასკნელი სახის იარაღს წარმოადგენს და ხალხი წყვეტს, გამოიყენოს თუ არა ეს იარაღი. თუ ხალხი ამ უკიდურეს გზას აირჩევს, ესე იგი იცის, რომ სხვა გზა აღარ დარჩენიათ. სხვა ცდამ ვერ გაუმართლათ, ყველა სხვა იარაღმა უმტყუნა.

ყოველი რევოლუცია წინ უსწრებს საერთო გამოფიტვის მდგომარეობას და ამ ფონზე – გამოღვიძებულ აგრესიას. ხელისუფლება მასზე გაღიზიანებულ, გაბრაზებულ ხალხს ვერ იტანს. რომელსაც არ უყვარს ხელისუფლება და ეზიზღებათ კიდეც. ხელისუფლებამ უკვე გაფლანგა ხალხის ნდობა, ახლა მათ ხელები ცარიელი აქვთ, უკვე დაკარგეს მოთმინება და მუშტებს კუმშავენ. მდგომარეობა თანდათან იძაბება, მძიმდება და იხუთება.

რაც შეეხება ბრძოლის ტექნიკას.

ისტორიამ ორი ტიპის რევოლუცია იცის. პირველია შეტევითი, მეორე - ალყაში მოქცევით.

შეტევითი რევოლუციის დროს მის შემდგომ ბედზე, მის წარმატებებზე, გადამწყვეტ გავლენას ახდენს ის, რა სიძლიერისაა პირველი დარტყმა: დარტყმა აგრეთვე რაც შეიძლება დიდი ტერიტორიის დაკავება. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამ ტიპის რევოლუცია, როგორც წესი მოულოდნელი და იმავდროულად ზედაპირულიცაა. მართალია, მოწინააღმდეგე დამარცხებულია, მაგრამ მან უკან დახევისას საკუთარი ძალების ნაწილი გადაარჩინა. იგი კონტრშეტევაზე გადმოვა და შეეცდება გამარჯვებულს უკან დაახევინოს. ამიტომ, თუკი პირველი დარტყმა ძლიერი იქნება და აჯანყებულები მეტ ტერიტორიას დაიკავებენ, მიუხედავად დათმობებისა, შესაძლებელი იქნება გადარჩენა და მიღწეულის შენარჩუნება. შეტევითი რევოლუციის დროს პირველი ეტაპი განსაკუთრებით რადიკალურია. შემდგომი ეტაპები უკვე ნელი ტემპით, მაგრამ განუწყვეტელი უკან დახევით მიმდინარეობს იმ პუნქტამდე, ვიდრე ორივე ძალა – აჯანყებულიცა და მდგომარეობის შენარჩუნების მოწადინეც – საბოლოო შეთანხმებამდე არ მივლენ.

სხვაგვარადაა საქმე, როდესაც რევოლუცია მოწინააღმდეგის ალყაში მოქცევით ხორციელდება: ამ დროს პირველი დარტყმა სუსტია, იმასაც კი ძნელად მოისაზრებს კაცი თუ იგი რისამე კატასტროფის მომასწავებელია. მაგრამ მალე რევოლუციური მოვლენების ტემპები მატულობს და უფრო დრამატულ სახეს იღებს. მასში უფრო და უფრო მეტი ხალხი მონაწილეობს. კედლები, რომლის იქითაც ხელისუფლება იმალება, თანდათან იფშხვნება და სკდება. ასეთი რევოლუციის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აჯანყებულთა პრინციპულობას, მათ სულიერ ძალასა და

გამობრძმედულობას აქვს. კიდევ ერთი დღე! კიდევ ერთი მონდომება! ბოლოს ალაყაფის კარები იხსნება, ბრბო შიგნით შევარდება და ტრიუმფს ზეიმობს.

სწორედ რომ ხელისუფლება იწვევს რევოლუციას. რა თქმა უნდა, იგი ამას შეგნებულად არ აკეთებს. მაგრამ მისი ცხოვრების სტილი და მართვის მეთოდები რევოლუციური მოვლენების პროვოკაციად იქცევა. ეს მაშინ ხდება, როდესაც ელიტის წარმომადგენლებს შორის დაუსჯელობის სინდრომი ვითარდება: ჩვენ ყველაფერი გვეპატიება, ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია. ეს ძალზე მცდარი შეხედულებაა, თუმცა არაა რაციონალურ საფუძვლებს მოკლებული. მდგომარეობა რეალურად ისე გამოიყურება, თითქოს მართლაც ყველაფერი ხელეწიფებოდეთ. სკანდალი სკანდალზე, უსამართლობა უსამართლობაზე ეპატიებოდათ. ხალხი დუმდა, იგი მომთმენი და ფრთხილია. მას ეშინია კიდეც, საკმაოდ ვერ აცნობიერებს საკუთარ ძალებს, მაგრამ იმავდროულად იგი ყველა დამცირებასა და შეურაცყოფას აღნუსხავს და ერთ მშვენიერ დღეს აჯამებს კიდეც. აი, რა დროს აკეთებს ამას, ეს ისტორიის უდიდესი გამოცანაა. რატომ გამოდის ხალხი ქუჩაში ზუსტად იმ დღეს და არა სხვა დროს? რატომ დააჩქარა იგი ამ და არა სხვა მოვლენამ? ხელისუფლება ხომ გუშინ უფრო უარესის გაკეთების უფლებას აძლევდა საკუთარ თავს, მაგრამ ამაზე რეაგირება არავის მოუხდენია. - ახლა ასეთი რა გავაკეთე? - კითხულობს გაოცებული ხელისუფლება - ხალხი ასე მოულოდნელად რატომ გაცოფდა? გააკეთა: ხალხს მოთმინების ფიალა აუვსო. მაგრამ სად გადის ამ მოთმინების ფიალის ავსების საზღვარი, როგორ განვსაზღვროთ იგი? ალბათ, თუკი შეიძლება მისი დადგენა, იგი ყოველ შემთხვევაში სხვადასხვა იქნება. დარწმუნებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებას, რომელმაც იცის ასეთი საზღვრის არსებობის შესახებ და ფრთხილობს მას არ გადააბიჯოს, შეუძლია წყნარად იყოს: მას დიდი ხნის მართველობა უწერია. მაგრამ ასეთი ხელისუფლება ბევრი არაა.

რანაირად დაარღვია შაჰმა ეს საზღვარი და თავის თავს განაჩენი როგორ გამოუტანა? ყველაფერი გაზეთში დაბეჭდილი ერთი წერილიდან დაიწყო. გაუფრთხილებელ სიტყვას შეუძლია ყველაზე დიდი იმპერიაც კი ძირს დასცეს. ხელისუფალმა ამის შესახებ უნდა იცოდეს. მან ეს თითქოს იცის, თითქოს გრძნობს კიდეც, მაგრამ რომელიღაც მომენტში თვითგადარჩენის ინსტიქტი ღალატობს. საკუთარ თავში დარწმუნებული, მიუტევებელ, თავხედურ შეცდომას უშვებს და იღუპება.

1978 წლის 8 იანვარს სახელისუფლებო გაზეთ ,,ეტელატში" დაიბეჭდა ჰომეინის შეურაცმყოფელი სტატია. ამ დროს ჰომეინი ემიგრაციაში იმყოფებოდა, შაჰს იქიდან ებრძოდა. დესპოტისაგან დევნილი, შემდეგ კი ქვეყნიდან გაძევებული ჰომეინი ხალხის სინდისსა და ნამუსს წარმოადგენდა. ჰომეინის შესახებ მითის განადგურება მოასწავებდა ხალხის სიწმინდის განადგურებას, დამცირებულთა და დაბეჩავებულთა იმედის გაქრობას. სწორედ ასეთი გახლდათ ამ სტატიის ძირითადი თეზა.

რა უნდა დაწერო ისეთი, რომ მოსპო მოწინააღმდეგე? ალბათ, ყველაზე უკეთესი იქნება თუ მასზე იტყვი, რომ იგი უცხო ადამიანია. ამ მიზნით ვქმნით ნამდვილი ოჯახის კატეგორიას. ჩვენ აქ, შენ და მე, ხელისუფლება და ხალხი, ნამდვილი ოჯახი ვართ. ვცხოვრობთ თანხმობით, ერთმანეთს ვუგებთ, გვაქვს საერთო ჭერი, საერთო

მაგიდა, გაჭირვების დროს ერთმანეთს ვეხმარებით. სამწუხაროდ, ჩვენ მარტო არა ვართ. ირგვლივ მრავლადაა უცხო ადამიანი, რომელთაც სურთ ჩვენი თანხმობის დარღვევა და ჩვენი სახლის დაკავება. კი მაგრამ, ვინაა ის უცხო? უცხო ისაა, ვინც ცუდია და იმავდროულად - საშიშიც. რა უჭირდა, მხოლოდ ცუდი რომ ყოფილიყო და თავისთვის ყოფილიყო! როგორ გეკადრებათ! იგი ყოველნაირად ცდილობს გვავნოს. მას შენ არ აინტერესებ, ის შენი უბედურების წყაროა. რაში მდგომარეობს უცხო ძალა? იმაში, რომ მის უკან ასევე უცხო ქვეყნები დგანან. ის უცხო ქვეყნები შეიძლება იყოს ან არ იყოს დასახელებული, მაგრამ ერთი კი ნამდვილია – ისინი ძალიან ძლიერნი არიან. ანუ ძლიერნი არიან მაშინ, თუ მათ უგულვებელვყოფთ. სამაგიეროდ, თუკი მათ მიმართ ფრთხილად ვიქნებით და ბრძოლას დავუწყებთ, ჩვენ აღმოვჩნდებით მათზე ძლიერნი.

აი, ვთქვათ, ჰომეინი. ის უცხოა. პაპამისი ინდოეთიდანაა. ამიტომ შეიძლება დაისვას კითხვა – ვის ინტერესებს ემსახურება ამ უცხოელი პაპის შვილიშვილი?

ეს იყო სტატიის პირველი ნაწილი. მეორე ეძღვნებოდა ჯანმრთელობას. რა კარგია, რომ ჯანმრთელები ვართ! ჩვენი ნამდვილი ოჯახიც ჯანმრთელი ოჯახია. საღ-სალამათი სულისა და სხეულის. ვის უნდა ვემადლიერებოდეთ ამას? ხელისუფლებას, რომელმაც უზრუნველყო ჩვენი კარგი, ბედნიერი ცხოვრება და სწორედ ამიტომ იგი ყველაზე კარგი ხელისუფლებაა მზის ქვეშ. საკითხავია, ვინ უნდა იყოს ასეთი კარგი ხელისუფლების წინააღმდეგი? მხოლოდ იგი, ვისაც არეული გონება აქვს. რადგან ქვეყანაში საუკეთესო ხელისუფლება გვყავს, გიჟი არ უნდა იყო, რომ მას ებრძოლო?! ამიტომ ჯანმრთელმა საზოგადოებამ იზოლაციაში უნდა მოაქციოს, ასეთი არეული გონების ხალხი, შორეულ ადგილებში უნდა გადაასახლოს ისინი. რა კარგია, რომ შაჰმა ქვეყნიდან გაასახლა ჰომეინი, სხვანაირად საჭირო იქნებოდა მისი საგიჟეთში გაგზავნა.

როდესაც გაზეთმა, სადაც ეს წერილი იყო დაბეჭდილი, კუმამდე ჩააღწია, ხალხი აღშფოთდა. მათ ქუჩებში და მოედნებზე იწყეს თავშეყრა. ვისაც კითხვა შეეძლო, სხვას ხმამაღლა უკითხავდა. გაღიზიანებულმა ადამიანებმა ხალხმრავალი ჯგუფების შექმნა დაიწყეს, სადაც ერთმანეთს ეკამათებოდნენ. ირანელთა ვნება ხომ სწორედ ესაა - იკამათონ ყველგან გაუთავებლად, ნებისმიერ საკითხზე და ნებისმიერ დროს. ისინი სხვა ადამიანებზე მაგნიტივით ზემოქმედებდნენ და მათაც იზიდავდნენ თავისკენ. შედეგად კი თითქმის მთელმა ქალაქმა მოედანზე მოიყარა თავი. პოლიციას ასეთი რამ არ უყვარს. ვინ მისცა ამის უფლება, რომ ასე ბევრი ადამიანი ერთად შეჯგუფებულიყო? არავინ. ასეთი ნებართვა არ გაცემულა. ვინ აძლევს მათ ასე ყვირილის და ხელების ქნევის ნებას? პოლიციამ წინასწარ იცის, რომ ეს რიტორიკული კითხვებია და უკვე დროა უშუალოდ საქმეს შეუდგნენ.

დგება უმნიშვნელოვანესი წუთები, რომლებმაც უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის, შაჰისა და რევოლუციის ბედი. ეს ის წუთებია, როდესაც პოლიციელთა პოსტს ერთი მათგანი გამოეყოფა და შეჯგუფებული ხალხის განაპირას მდგარ ადამიანს ყვირილით სახლში წასვლას უბრძანებს. ისინი ერთი ჩვეულებრივი, ანონიმური პიროვნებებია, მაგრამ მათი ეს შეხვედრა ისტორიულ ხასიათს მიიღებს. ორივე ასაკოვანი ადამიანია, რომელიც გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. პოლიციელის გამოცდილება ასეთია: თუ ვინმეს დავუყვირებ და ჯოხს მოვუღირებ, იგი შეშინდება და გაიქცევა. ხოლო ბრბოს წარმომადგენლის კი ასეთი: მოახლოებული პოლიციელის დანახვაზე შემეშინდება და გავიქცევი.

მოდით, ამ გამოცდილებების საფუძველზე განვავითაროთ შემდგომი სცენარი: პოლიციელი ყვირის, ადამიანი გარბის, მას სხვები მისდევენ და მოედანი ცარიელდება. მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. პოლიციელი კი ყვირის, მაგრამ ადამიანი არ გარბის, დგას და შეჰყურებს მას. ეს არის ძალიან მგრძნობიარე, დაძაბული ყურება, მასში ჯერ კიდევ იგრძნობა შიში, მაგრამ ამავე დროს არის მტკიცე და მოურიდებელი ყურებაც. დიახ, ფეხსაც არ მოვიცვლი! დემონსტრანტი ჯიქურ უყურებს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ხელისუფლების წარმომადგენელს და ადგილიდან არ იძვრის. შემდეგ იგი ხედავს, თუ როგორი აღგზნებულები და ოდნავ დაშინებული სახით უყურებენ სხვები, თუმცა მაინც მტკიცედ დგანან. არავინ არ გარბის, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელი კვლავ აგრძელებს ყვირილს. ბოლოს დგება წამი, როდესაც ისიც დუმდება და გარკვეული დროის განმავლობაში მთელ მოედანზე სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. არ ვიცი, იცოდნენ თუ არა მათ, რაც უკვე მოხდა, ანუ, ის, რომ ადამიანმა უკვე დაძლია შიში და ეს უკვე რევოლუციის დასაწყისია. დიახ, ზუსტად ამ მომენტიდან იწყება რევოლუცია. აქამდე, რამდენჯერაც ეს ორი ადამიანი ერთმანეთის პირისპირ დამდგარა, დაუყოვნებლივ გამოჩენილა რაღაც მესამე - შიში. ეს უკანასკნელი გამოჩნდებოდა ხოლმე როგორც პოლიციელის მეკავშირე და რიგითი ადამიანის მტერი. იგი ადამიანს თავს ახვევდა თავის უფლებას, ყველაფერს ის წყვეტდა. მაგრამ ახლა ეს ორი ადამიანი ერთმანეთის პირისპირ, უშუალოდ დადგა, შიში გაქრა, სადღაც მიწის ქვეშ ჩაძვრა.

აქამდე მათ შორის ურთიერთობა ემოციით სავსე იყო. ეს ზიზღის, აგრესიის, გაბრაზების და შიშის რაღაც ნარევს წარმოადგენდა. მაგრამ ახლა, როდესაც შიში სადღაც დაიკარგა, ეს წყეული და საზიზღარი კავშირი უცებ დაირღვა, რაღაც გადაიწვა, რაღაც ჩაქრა. ეს ორი ადამიანი ერთმანეთის მიმართ გულგრილი, ერთმანეთისადმი უსარგებლო გახდა. თითოეულ მათგანს შეეძლო თავის გზას გადგომოდა. მართლაც პოლიციელი შეტრიალდება და მძიმე ნაბიჯებით იწყებს თავისი პოსტისაკენ წასვლას, სამაგიეროდ ის კაცი, ბრბოს წარმომადგენელი რჩება მოედანზე და რაღაც მომენტის განმავლობაში მზერით აცილებს მიმავალს.

შიში ხარბი, დაუნდობელი მხეცია, რომელიც ჩვენში ზის. თავს ყოველთვის გვახსენებს. განუწვეტლივ განგვაიარაღებს და გვტანჯავს. გამუდმებით გვთხოვს საჭმელს, ჩვენც უნდა გკვებოთ და ვკვებოთ. თავად ვცდილობთ, რომ მისი საკვები, საუკეთესო იყოს. მისი საყვარელი საკვებია – ბოროტი ჭორები, ცუდი ცნობები, საგანგაშო აზრები, კოშმარული ხილვები. ათას ჭორს, ცნობას და აზრს შორის ყოველთვის ყველაზე უარესს ვირჩევთ, ანუ მას, რომელიც შიშს განსაკუთრებით უყვარს. რათა დავამშვიდოთ, მოვეფეროთ ამ მხეცს. აი, ვხედავთ ადამიანს, რომელიც სხვას უსმენს და თან სახე მიტკალივით უთეთრდება, ნერვიულად ტოკავს. რა დაემართა? ის საკუთარ შიშს კვებავს. მაგრამ თუ არ გვექნება მისი მოსაწონი საკვები? დაუყოვნებლივ მოვიფიქრებთ. თუ ვერ მოვიფიქრებთ (რაც იშვიათად ხდება), მაშინ სხვა ადამიანებს მივაშურებთ, მოვძებნით, გამოვიკითხავთ, მოვისმენთ და იმდენ ხანს ვიწრიალებთ, ვიდრე კვლავ არ დავაწყნარებთ ჩვენს შიშს.

ნებისმიერი წიგნი, რომელიც რევოლუციების გენეზისსა და განვითარებას ეხება, იმაზე მოგვითხრობს, თუ რა დამპალი იყო ძველი ხელისუფლება და რა სიღატაკეში

ცხოვრობდა ხალხი. არადა, წესით ის ფსიქოლოგიის შესახებ განყოფილებით უნდა იწყებოდეს – ანუ იმით, თუ როგორ ხდება, რომ დაბეჩავებული, გაწამებული, დაშინებული ადამიანები უცებ ძლევენ შიშს და აღარავისი ეშინიათ. აღწერილი უნდა იყოს მთელი ეს უჩვეულო პროცესი, რომელიც ზოგჯერ ერთ წუთში ხდება. ადამიანი სძლევს შიშს და თავს თავისუფლად გრძნობს. ამის გარეშე რევოლუცია წარმოუდგენელია.

პოლიციელი პოსტზე ბრუნდება და თავის უფროსს მოხსენებას უწერს. ეს უკანასკნელი გააგზავნის მსროლელებს და მათ მოედნის ირგვლივ სახლებზე პოზიციების დაკავებას უბრძანებს. თავად ავტომანქანით ქალაქის ცენტრისაკენ მიდის და ხმის გამაძლიერებელით ხალხს მიმართავს, დაიშალონ. მაგრამ მას არავინ უსმენს. მაშინ იგი უსაფრთხო ადგილას დგება და სროლის დაწყების შესახებ იძლევა ბრძანებს. მაშინვე ტყვიის წვიმა მიდის ხალხისაკენ. იქმნება განგაში, ხალხი ერთმანეთს თელავს, გარბიან, მოედანზე მხოლოდ დახოცილები რჩებიან.

ცნობილი არაა, აჩვენეს თუ არა შაჰს მოედნის ფოტო, რომელიც პოლიციამ გადაიღო ამ ხოცვა-ჟლეტის პროცესში. ვთქვათ, რომ არ აჩვენეს. შაჰი ძალიან ბევრს მუშაობდა, შეიძლება ამის დრო არა ჰქონდა. მისი სამუშაო დღე იწყებოდა დილის შვიდ საათზე და შუაღამით მთავრდებოდა. წესიერად მხოლოდ ზამთარში ისვენებდა, როდესაც წმ. Moritz-ში მიდიოდა თხილამურებზე სასრიალოდ. მაგრამ იქაც მხოლოდ ერთი-ორი დღე თუ სრიალებდა, შემდეგ ბრუნდებოდა თავის რეზიდენციაში და მუშაობდა. ამ დღეებს რა იგონებს, ქალბატონი ლ. ამბობს, რომ შაჰის მეუღლე წმ. Moritz-ში ძალზე უბრალოდ იქცეოდა. ამის დასამტკიცებელ საბუთად მას მოაქვს ფოტოსურათი, რომელზედაც ჩანს, თუ როგორ დგას იგი თხილამურებით ჩამსრიალებელთა რიგში. ასე, უბრალოდ, დგას თხილამურებზე დაყრდნობილი მშვენიერი ქალბატონი. არადა, – ამბობს ქალბატონი ლ. - მათ ხომ იმდენი ფული ჰქონდათ, რომ საკუთარი სასრიალებელის აშენება შეეძლოთ.

დახოცილებს თეთრ ზეწრებში ახვევენ და ხის საზიდრებზე აწყობენ. ისინი, ვისაც საზიდარი მიაქვს სწრაფი ნაბიჯებით დადიან, კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ძალიან ეჩქარებათ ამ საქმის მოთავება. მთელი სამგლოვიარო პროცესია ჩქარობს, ისმის ყვირილი და ტირილი, მგლოვიარეთა შორის იგრძნობა მოუსვენრობა და ნერვიულობა. თითქოს მკვდრები თავიანთი იქ ყოფნით აღიზიანებთ მათ და ამიტომ ჩქარობენ, რაც შეიძლება მალე მიაბარონ მიწას. შემდეგ კუბოზე აწყობენ საკვებს და ატარებენ წირვას. ვინც იქ მივა, სთავაზობენ რაიმეს შეჭმას. თუ მშიერი არაა, ხილს - ვაშლს ან მანდარინს მაინც შესთავაზებენ. მაგრამ რაღაც აუცილებლად უნდა შეჭამოს.

მეორე დღეს იწყება გარდაცვლილთა გახსენება. ხალხი იგონებს გარდაცვლილთ, ამბობენ, თუ რა კეთილი გული და კარგი ხასიათი ჰქონდა. ეს პროცესია ორმოც დღეს გრძელდება. მეორმოცე დღეს გარდაცვალებულის ოჯახში ოჯახის წევრები, მისი მეზობლები და მეგობრები იკრიბებიან. სახლის გარშემოც მთელი ქუჩა, სოფელი ნაცნობები იყრის თავს. ესაა გამოსათხოვარი თავმოყრა, ისმის ტირილი და მოთქმა-გოდება. იგი ამ დღეს თავის კულმინაციას აღწევს. ეს რომ ბუნებრივი სიკვდილი ყოფილიყო, ანუ რაც ადამიანს ბედით აქვს განსაზღვრული, მაშინ თავმოყრილი ხალხის ქცევა გაცილებით მორჩილი, მომთმენი იქნებოდა. მაგრამ როდესაც ესაა

ვიღაცის იძულებით გამოწვეული სიკვდილი, მაშინ ხალხის გული სავსეა ბოღმით, ის შურისძიების წყურვილითაა განმსჭვალული. რისხვითა და ზიზღით დამძიმებულ ატმოსფეროში ისმის მკვლელის – ამ უბედურების ჩამდენის სახელი. ეს უკანასკნელი, თუნდაც აქედან ძალიან შორს იყოს, შიშისაგან უნდა აკანკალებდეს: დიახ, მისი დღეები დათვლილია, მას ვეღარაფერი უშველის.

ერი, რომელიც დაჩაგრული, დამონებულია დესპოტური ხელისუფლების მიერ, თავის თავშესაფარს, გადარჩენის ადგილს ეძებს, სადაც შეძლებს საკუთარი თავის პოვნას, ჩაგვრისაგან გაქცევას. ეს აუცილებელია რათა შეინარჩუნოს საკუთარი სახე, საკუთარი თავისთავადობა. მაგრამ მთელ ერს როდი შეუძლია სადმე სხვაგან გადასახლება, ამიტომ იგი მიდის არა სივრცით, არამედ – დროით ემიგრაციაში ანუ უბრუნდება წარსულს, რომელიც უხეშ რეალობასთან შედარებით, მას გარს რომ არტყია, დაკარგულ სამოთხედ ეჩვენება. და იგი პოულობს თავს ძველ ჩვეულებებში და ისეთ წმინდაში, რომ ხელისუფლებას ეშინია კიდეც მის წინააღმდეგ გამოსვლა, მასთან ბრძოლა. სწორედ ამიტომაც ყოველი დიქტატურის საფარქვეშ ადგილი აქვს – მისდაუნებურად და მის წინააღმდეგ – უძველესი წეს-ჩვეულებების, რწმენის და სიმბოლოების აღდგენას. ამასთან ისინი სრულიად ახალი აზრით ივსებიან. თავიდან ესაა გაუბედავი და ხშირად ფარული პროცესი, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება დიქტატურა თანდათან აუტანელი და მძიმე, მატულობს მისი ძალა, ფართოვდება მისი მოქმედების არეალი. შეიძლება მოვისმინოთ კრიტიკული აზრიც, რომ ეს არის შუა საუკუნეებისაკენ დაბრუნება. ასეც ხდება ხოლმე. მაგრამ უფრო ხშირად ესაა ფორმა, რომლითაც ხალხი თავის წინააღმდეგობას გამოხატავს. ხელისუფლება აცხადებს, რომ ის არის პროგრესისა და თანამედროვეობის სიმბოლო, ჩვენ კი ვაჩვენებთ მას, რომ ჩვენი ღირებულებები სრულიად სხვაა. ამიტომ ეს უფრო პოლიტიკური სიჯიუტეა, ვიდრე წინაპართა უკვე დავიწყებული სამყაროსაკენ დაბრუნების სურვილი. საკმარისია ცხოვრება უკეთესობისაკენ წავიდეს, რომ ძველი წეს-ჩვეულებები კარგავენ თავიანთ ემოციურ შინაარსს და იქცევიან იმად, რაც იყვნენ – რიტუალურ ფორმად.

ასეთ წეს-ჩვეულებად, რომელიც მზარდი ოპოზიციის სულის ზეგავლენით მოულოდნელად პოლიტიკურ აქტად გადაიქცა, მოგვევლინა გარდაცვალებულთა სულის მოსახსენიებელი. სამგლოვიარო პროცესიამ, ოჯახურ-მეზობლურმა სამგლოვიარო შეკრებამ საპროტესტო ყრილობის სახე მიიღო. კუმის მოვლენების ორმოცი დღის თავზე ირანის მრავალი ქალაქის მეჩეთში შეგროვდა ხალხი, რათა გაეხსენებინათ მაშინდელი ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლნი. ამ დღეს თავრიზში სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ აჯანყებამდე მივიდა. ხალხი გამოვიდა ქუჩაში და შაჰის სიკვდილით დასჯას მოითხოვდა. პასუხად ქალაქში ჯარი შეიყვანეს და აჯანყება სისხლში ჩაახშეს. შედეგად რამდენიმე ასეული კაცი დაიღუპა, მრავალი დაიჭრა. ორმოცი დღის გასვლის შემდეგ ქალაქები ძაძებში გაეხვია – დადგა თავრიზში დაღუპულთა სულების მოხსენიების დღე. ერთ-ერთ ქალაქში – ისპაჰანში – გაავებული და ზიზღით სავსე ბრბო კვლავ ქუჩაში გამოვიდა. ჯარმა ალყა შემოარტყა მანიფესტანტებს და ცეცხლი გაუხსნა, რასაც მრავალი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. კვლავ გადის ორმოცი დღე და ქვეყნის მრავალ ქალაქში ისევ იმართება სამგლოვიარო პროცესიები, რათა ისპაჰანში

დაღუპულთ პატივი მიაგონ. ამას კვლავ მანიფესტაცია და ხოცვა-ჟლეტა მოყვა. ორმოცი დღის გასვლის შემდეგ იგივე განმეორდა მეშხედში, შემდეგ – თეირანში. მერე ისევ თეირანში. ბოლოს უკვე ირანის ყველა ქალაქში. ამრიგად, ირანის რევოლუცია პიკს ყოველ მეორმოცე დღეს აღწევდა. მას შედეგად კვლავ და კვლავ სასოწარკვეთა, აღშფოთება და სისხლი მოსდევდა. ამასთან, ყოველი შემდეგი ხოცვა-ჟლეტა თავისი სისასტიკით გამოირჩეოდა, ყოველ მათგანს პროტესტის ნიშნად უფრო მეტი ხალხი გამოჰყავდა ქუჩაში და უფრო მეტი მსხვერპლიც მოსდევდა. ტერორის მექანიზმმა საწინააღმდეგო მიმართულებით დაიწყო მოქმედება. ტერორს იყენებდნენ დასაშინებლად, ამ პერიოდის ირანში კი ტერორი ხალხს ახალი შეტევების განხორციელების, შემდგომი ბრძოლებისაკენ უბიძგებდა.

ამ მოვლენებზე შაჰის პასუხი ტიპიური იყო ყოველი მონარქის მოქმედებისა. ჯერ დავარტყათ და ჩავახშოთ, შემდეგ გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ მომავალში. ანუ ჯერ მუსკულები, ძალა ვაჩვენოთ, ხოლო შემდეგ დავუმტკიცოთ, რომ გონებაც გაგვაჩნია. დესპოტიური ხელისუფლება ხომ სულ იქით ისწრაფის, რომ იგი ძლიერად მიიჩნიონ და უფრო ნაკლებად ცდილობს ხალხს თავისი გონიერება აჩვენოს. ამასთან, ისიც საკითხავია, თუ რა არის დესპოტის გაგებით – გონიერება? ესაა ძალის გამოყენების უნარი. ბრძენია ის, ვინც იცის, როდის და როგორ დაარტყას. ძალის განუწყვეტელი ჩვენება აუცილებელია, ვინაიდან ყოველი დიქტატურის საფუძველი უმდაბლესი ინსტიქტებია, რომელიც მან ქვეშევრდომებში გამოიწვია – ესაა შიში, აგრესი თანამოძმის მიმართ, ესაა მლიქვნელობა და ლაქიაობა. ამ ინსტიქტებს კი ყველაზე საუკეთესოდ აღვიძებს შიში, რომლის წარმომშობიც ძალაა.

დესპოტები დარწმუნებული არიან, რომ ადამიანი მდაბიო არსებაა. სწორედ ასეთები ედებიან მას ფეხებში სასახლის კარზე, სწორედ ისინი შეადგენენ მის გარემომცველ საზოგადოებას. ტერორიზებული საზოგადოება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ უაზრო და მორჩილ ბრბოდ გადაიქცევა. საკმარისია ის გამოკვებო, მომთმენი და დამჯერი გახდეს, ხოლო თუ გასართობსაც მისცემ, მაშინ ხომ მთლად ბედნიერად იგრძნობს თავს. აქედანაა ამდენი მოყვარული ადამიანი პოლიტიკაში, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ თუკი ხელისუფლება ჩაუვარდებათ ხელში, მართვა შეუძლიათ. და აი, გამოკვებილ და გართობილ ხალხს აღარ სურს მორჩილად ყოფნა, იწყებს უფრო მეტის მოთხოვნას, ვიდრე გართობაა. სურს თავისუფლება, მოითხოვს სამართლიანობას. დესპოტი შეფიქრიანებულია. რეალობა მოითხოვს, რომ ადამიანს შეხედო მის მთლიანობაში, შეიცნო მისი მდიდარი ბუნება. მაგრამ ეს დიქტატურას არ სურს, ასეთი ადამიანი მას ემუქრება, იგი მტერია და ამიტომაც ხელისუფლება ამრავლებს და აძლიერებს ჯარს, რათა მოსპოს და გაანადგუროს ადამიანი.

დიქტატორი, თუმცა ეზიზღება ბრბო, ყველანაირად ცდილობს ხალხის აღიარება მოიპოვოს. მიუხედავად იმისა, რომ არის უკანონო, უფრო სწორედ – ვინაიდან არის უკანონო, მიისწრაფის ლეგალურობის ილუზია მაინც შეიქმნას. ამ ასპექტით დიქტატორი ძალზე მგძნობიარეა, ავადმყოფურად მგძნობიარე. გავითვალისწინოთ ისიც, რომ მას ბოლომდე არა აქვს თავისი ძალების რწმენა. ამიტომ მცდელობას არ აკლებს, საკუთარ თავსაც და სხვებსაც დაუმტკიცოს, თუ ხალხის როგორი მხარდაჭერა

და ნდობა აქვს მოპოვებული. და თუნდაც ხალხის მხარდაჭერა იყოს მოჩვენებითი - ეს მას უჩვეულო კმაყოფილებასა და სიამოვნებას ჰგვრის. მერე რა, რომ ის ილუზიორულია, მოჩვენებითია? განა დიქტატურის მთელი სამყარო ილუზიებით არაა სავსე?!

შაჰსაც ასევე სჭირდებოდა ხალხის მხარდაჭერა. ამიტომ თავრიზში ჯერ კიდევ არ აეღოთ ხოცვა-ჟლეტის ბოლო მსხვერპლის გვამი, რომ ქალაქის ქუჩებში უკვე მონარქის მხარდამჭერი დემონსტრაცია გაიმართა. დიდ მოედნებზე შაჰის პარტიის – რასტაკისის აქტივისტები შეიკრიბნენ. მათ თავიანთი ლიდერის პორტრეტები მოჰქონდათ, რომელზედაც შაჰის თავს ზევით მზე იყო გამოსახული. ტრიბუნაზე მთელი მთავრობა ავიდა. შეკრებილებს პრემიერ-მინისტრმა ჯამშიდ ამუზეგარმა მიმართა. მომხსენებელმა განსაკუთრებით იმაზე გაამახვილა ყურადღება, თუ როგორ შეუძლია რამდენიმე ანარქისტსა და ნიჰილისტს საფრთხე შეუქმნას ხალხის ერთიანობას და დაარღვიოს მისი მყუდრო ცხოვრება. მან განსაკუთრებით წესრიგის ამრევთა რაოდენობაზე გაამახვილა ყურადღება და თქვა: ,,ისინი ისე ცოტანი არიან, რომ მიჭირს მათ ჯგუფი ვუწოდო. ესაა ერთი მუჭა ხალხი. საბედნიეროდ, მთელ ქვეყანაში ისმის მათი დამგმობი სიტყვები, ვინც ანგრევს ჩვენს საერთო სახლს და ზიანს აყენებს ჩვენს კეთილდღეობას”.

ამის შემდგომ შეკრებილებმა შაჰის პოლიტიკის მხარდამჭერი მოწოდება მიიღეს. შეკრების ბოლოს მისი მონაწილეები, ვინც კი ადგილობრივი იყო, ჩუმად გაიპარა სახლისაკენ, მათი უმეტესობა ავტობუსებით მეზობელ ქალაქში წაიყვანეს, საიდანაც ისინი თავრიზში ჰყავდათ ჩამოყვანილი.

ამ მანიფესტაციის შემდეგ შაჰმა უფრო ლაღად იგრძნო თავი. ჩანდა, ფეხზე მყარად დგომას იწყებდა. თუ აქამდე სისხლში მოსვრილი კარტებით თამაშობდა, ახლა სუფთა კარტით დაიწყო თამაში. ხალხის სიმპათიის მოსაპოვებლად, რამდენიმე ოფიცერი გადააყენა, რომლებმაც თავრიზში ხალხის ხოცვა-ჟლეტის განკარგულება გასცა. გენერლებს შორის უკმაყოფილების გამომხატველი ხმები გაისმა. მათ დასაწყნარებლად განკარგულება გასცა ესროლათ ისპაჰანის მცხოვრებთათვის. ხალხმა ამას ზიზღით და აღშფოთებით უპასუხა. მათი გულის მოსაგებად შაჰმა სავაკის უფროსი გადააყენა. ამაზე სავაკი გაოგნდა. სავაკისათვის რომ ესიამოვნებინა, ნება დართო, დაეჭირა, ვინც უნდოდა. და აი, ასე, ზიგზაგებით, მიხვეულ-მოხვეული გზებით, შაჰი ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელა-ნელა უფსკრულს უახლოვდებოდა.

შაჰს საყვედურობდნენ, უფრო მეტი პრინციპულობა გამოიჩინეო.

– პოლიტიკოსი, – ამბობენ მისი კრიტიკოსები – უფრო პრინციპული უნდა იყოს. მაგრამ პრინციპულობა – რა გაგებით? შაჰი პრინციპული იყო, რათა ტახტზე მყარად მჯდარიყო და ამის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. ხალხსაც ესროდა და რეჟიმის გადემოკრატიულობასაც ცდილობდა, ზოგს ციხეში სვამდა, ზოგს – უშვებდა. ერთს რომ თანამდებობას ართმევდა, მეორეს აძლევდა, ერთს აქებდა, მეორეს პირიქით - აძაგებდა. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ხალხს უბრალოდ ყელში ამოუვიდა შაჰიც და მისი ხელისუფლებაც. მათ უბრალოდ აღარ უნდოდა ასეთი მმართველობა.

შაჰი თავისმა მედიდურობამ დაღუპა. საკუთარი თავი მას ხალხის მამად მიაჩნდა, მაშინ, როდესაც ისინი შაჰის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. შაჰი ამას განიცდიდა, თავს

შეურაცჰყოფილად გრძნობდა. უნდოდა ნებისმიერ ფასად (სამწუხაროდ, სისხლის საფასურადაც) დაებრუნებინა წლობის მანძილზე ნაფერები სახე ბედნიერი ერისა, რომელიც მუხლს იყრიდა თავისი კეთილისმყოფელის წინაშე. მაგრამ ავიწყდებოდა, რომ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც ხალხი ითხოვს უფლებებს და არა – პატივის დადებას.

შესაძლოა ის დაღუპა იმანაც, რომ საკუთარ თავს მეტისმეტად პირდაპირ, ძალზე სერიოზულად უდგებოდა. ნამდვილად სწამდა, რომ ხალხი მას ეთაყვანება, მიაჩნია თავიანთ უმაღლეს და საუკეთესო წარმომადგენლად, უეცრად კი დაინახა, რომ ხალხი აჯანყდა. ეს წარმოუდგენელი და გაუგებარი რამ იყო მისთვის. ამის ატანა მის ნერვებს ძალიან გაუჭირდა და ჩათვალა, რომ ამაზე აუცილებლად რეაგირება უნდა მოეხდინა. რასაც მისი მოულოდნელი, ისტერიული, გიჟური გადაწყვეტილებები მოსდევდა. შაჰს გარკვეული დოზით ცინიზმი არ ეყო. მას შეეძლო ეთქვა: მანიფესტაციებს მართავენ? დაე, მართონ. რამდენ ხანს შეძლებენ დემონსტრაციებზე სიარულს? ნახევარ წელიწადს? ერთ წელიწადს? ვფიქრობ, გავუძლებ. სასახლიდან არ გავალ და ხალხი, სასოწარკვეთილი და გასავათებული, ენდომება თუ არა, ბოლოს და ბოლოს, სახლში დაბრუნდება, რადგან ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმეს სურვილი ექნეს მთელი სიცოცხლე დემონსტრაციებს შესწიროს. მაგრამ მას ლოდინი არ შეეძლო. ეს კი ნამდვილად აუცილებელია პოლიტიკაში.

შაჰი დაღუპვის უმთავრესი მიზეზი ისიც გახდა, რომ კარგად არ იცნობდა საკუთარ ქვეყანას. ანდა საიდან მოვიდოდა ეს ცოდნა, როდესაც მთელი ცხოვრება სასახლეში გაატარა, რომლის დატოვებისას შაჰს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს თბილი ოთახიდან ყინვაში გაყო თავი. მცირე ხნით გავიდოდა და მალევე უკან ბრუნდებოდა! ისე, მუდამ ასე ყოფილა, _ ყველა სასახლის ცხოვრებას ხელისუფლისათვის ხელისშემშლელი, უფრო მეტიც, მმართველობის სისტემის გამანადგურებელი კანონი მართავდა. ასე იყო უხსოვარი დროიდან, ახლაც ასეა და მომავალშიც ასე იქნება. შეიძლება ათასი სასახლე ააგო, მაგრამ ყველა მათგანში მსგავსი კანონი გაბატონდება, ანალოგიური წესი დაისადგურებს, როგორიც არსებობდა ხუთი ათასი წლის წინანდელ სასახლეებში. აქედან ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ სასახლე მივიჩნიოთ დროებით სადგომად, ისე, როგორც ტრამვაის ან ავტობუსს მივიჩნევთ, ვსხდებით მასში გაჩერებაზე, გარკვეული დროით ვმგზავრობთ, ხოლო შემდეგ ჩამოვდივართ. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გაჩერებაზე ჩამოვიდეთ და არ გავცდეთ.

დე გოლი ღირსეული ადამიანი იყო. როდესაც რეფერენდუმი წააგო, მოაწესრიგა კაბინეტი, დატოვა სასახლე და არასოდეს იქ აღარ დაბრუნებულა. იგი მხოლოდ იმ პირობით დათანხმდებოდა ქვეყნის მართვას, თუ მოსახლეობის უმრავლესობა მხარს დაუჭერდა. ხოლო როდესაც დაინახა, რომ უმრავლესობამ უარი თქვა მის პრეზიდენტობაზე – იგი გადადგა. მაგრამ რამდენია ასეთი პოლიტიკოსი? სხვები ტირილს დაიწყებენ, მაგრამ ადგილიდან ფეხს არ მოიცვლიან, გატანჯავენ ხალხს, მაგრამ ჯიუტად არ გადადგებიან. ერთი კარებიდან გაგდებულნი, მეორე კარებიდან შევლენ. დაიწყებენ ახსნა-განმარტებას, ქედის მოხრას, ტყუილისა და სიმართლის ერთმანეთში არევას - რათა დარჩნენ, ან – იქნებ დაბრუნდნენ. შლიან ხელებს, აი,

ნახეთ, სადაა მათზე სისხლი. მაგრამ თავად ფაქტი იმისა, რომ ხელის ჩვენებაა საჭირო, უკვე დიდი სირცხვილია. ჯიბეებს ამოიტრიალებენ – ნახეთ, არის რამე? მაგრამ თავად ფაქტი – უკვე დამამცირებელია. როდესაც შაჰმა სასახლე დატოვა – გზაში ტიროდა. აეროპორტშიც ტიროდა. შემდეგ ინტერვიუებში ამბობდა, გაცილებით ნაკლები ფული მაქვს, ვიდრე ფიქრობენო. რა საცოდავი, რა საზიზღარი, გულისამრევი სანახაობა იყო ეს ყველაფერი.

მთელი დღეები თეირანში დავდიოდი. სრულიად უმიზნოდ და უაზროდ. ჩემი სასტუმროს სიცარიელეს გავურბოდი, ვერიდებოდი თავხედსა და მომაბეზრებელ დამლაგებელ ქალს. იგი გამუდმებით ფულს მთხოვდა. საამისო მიზეზი რომ ჰქონოდა, აიღებდა ჩემს სუფთა, გაუთოებულ, ქიმწმენდიდან გამოტანილ პერანგს, ჩააგდებდა წყალში, გაათეთრებდა, გასაშრობად გაფენდა და ფული უნდოდა. რატომ? პერანგის გაფუჭებაში? გამხდარი ხელი სულ გამოწვდილი ჰქონდა. ვიცოდი, რომ უჭირდა, მაგრამ მეც ხომ უფულოდ ვიყავი დარჩენილი?! მას ამის გაგება არ შეეძლო, არ სურდა. მისი აზრით, ადამიანი, რომელიც ასე შორიდან ჩამოდის მის ქვეყანაში, მდიდარი, ფულიანი უნდა იყოს. სასტუმროს მეპატრონე უსასოოდ შლიდა ხელებს: მაგ ქალს ვერაფერს ვუხერხებო.

- ეს რევოლუციის შედეგია, ჩემო ბატონო, ახლა ძალაუფლება მაგ ქალს აქვს! სასტუმროს მეპატრონე მე, როგორც თავის ბუნებრივ მეკავშირეს, როგორც კონტრრევოლუციონერს, ისე მეპყრობოდა. მას მიაჩნდა, რომ მე ლიბერალური შეხედულებები მაქვს, ხოლო ლიბერალებს ყველაზე მეტად ებრძოდნენ. ოფიციალური პროპაგანდა ყოველი ადამიანისაგან მოითხოვდა გარკვეულ განცხადებას, იწყებოდა წმენდის პერიოდი და ყველასათვის ხელებში ყურება.

აი, ყოველდღე ასე დავხეტიალობდი ქალაქში და ამასობაში დეკემბერიც მიიწურა. მოახლოვდა 1979 წლის ბოლო დღე (კათოლიკურად – Sylwester – ა.გ.). ერთმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა, რომ აწყობენ ნამდვილ საახალწლო საღამოს, თუმცა შეფარული ფორმით და მთხოვა, მივსულიყავი. მე უარი ვუთხარი და მოვიმიზეზე, რომ სხვა გეგმა მაქვს მეთქი. - რა გეგმა? – გაუკვირდა, რადგან მართლაც სხვა რა უნდა გამეკეთებინა თეირანში ასეთ საღამოს? – ძალზე საკვირველი გეგმა, – მივუგე. და ეს სიმართლესთან ახლოს იყო. გადაწყვეტილი მქონდა, საახალწლო საღამოს ამერიკის საელჩოში წავსულიყავი. მაინტერესებდა, მენახა, როგორ გამოიყურებოდა ამ დღეს ადგილი, რომლის შესახებაც მაშინ მთელი მსოფლიო საუბრობდა. მართლაც ასე მოვიქეცი. თერთმეტ საათზე სასტუმროდან გამოვედი და საელჩოსაკენ, რომელიც სასტუმროსთან ახლოს იყო, გავემართე. ყინავდა, მშრალი, ცივი ქარი ქროდა. მივდიოდი ცარიელ ქუჩაში, გზაზე კაციშვილი არ შემხვედრია, ერთი მილიციონერიც კი, მხოლოდ ვალაჰდის მოედანზე ქალი თხილს ყიდდა. იგი შალში ისე შეფუთულიყო, როგორც ჩვენი მოხუცი გამყიდველები შემოდგომობით ვარშავის ქუჩებში. მისგან ერთი პარკი თხილი ავიღე და მუჭით რეალები მივეცი, ბევრი რეალი, რადგან ეს უნდა ყოფილიყო ჩემი საახალწლო საჩუქარი. ვერ მიხვდა ჩემს განზრახვას. აიღო, რაც ერგებოდა, ხოლო დანარჩენი ამაყი, სერიოზული სახით უკან დამიბრუნა. ამრიგად ჩემი სურვილი, რომელსაც შეეძლო დამხმარებოდა, თუნდაც მცირე ხნით. ერთ ადამიანს მაინც დავახლოებოდი ამ გაყინულ და ჩამკვდარ ქალაქში, მარცხით დასრულდა. გავაგრძელე გზა, რათა დამეთვალიერებინა თანდათან გამოცარიელებული მაღაზიათა ვიტრინები, ჩავუხვიე ტახტე-იამშიდისკენ, გვერდი

აუარე დამწვარ კინოთეატრს, გადაბუგულ ბანკს, ცარიელ სასტუმროს, აეროპორტის ჩაბნელებულ სალაროებს და ბოლოს საელჩოს მივადექი. დღე ეს ადგილი უდიდეს ბაზარს მოგვაგონებს, სადაც უამრავი ხალხი ირევა. აქ უფლება გაქვს თავს ნება მისცე და იყვირო, იხმაურო. შეიძლება აქ მოხვიდე და ყველაფერი გაუბედო ძლიერთა ამა ქვეყნისათა და ამის გამო ადამიანს არაფერი მოუვა. ამიტომაც აქ მრავალი ხალხიც გროვდება. მაგრამ ახლა, შუაღამით, არავინ არ იყო. აქ ისე დავდიოდი, როგორც ვრცელ, დაცარიელებულ სცენაზე, რომელიც უკანასკნელმა მსახიობმა კარგა ხანია, რაც მიატოვა. დარჩა მხოლოდ უწესრიგოდ განლაგებული დეკორაციები და რაღაც უჩვეულო განწყობა, რომელიც ყოველთვის გეუფლება ასე მიტოვებული ადგილის ნახვისას. ქარი ტრანსპარანტებს და ერთ დიდ ნახატს აფრიალებდა, რომელზედაც გამოსახული ეშმაკების ჯოგი ჯოჯოხეთის ალში იწვოდა. ცოტა მოშორებით კარტერი იდგა ცილინდრით ხელში, რომელზედაც ვარსკვლავები იყო გამოსახული. იგი მარჯვენა ხელიდან ტომრიდან ოქროებს ბერტყავდა, ხოლო მის გვერდით გასპეტაკებული იმამი ალი მოწამეობრივი სიკვდილისათვის ემზადებოდა. პლატფორმაზე, რომელზედაც ეგზალტირებული ორატორები აღაგზნებდნენ ბრბოს ზიზღისა და გაბრაზებისათვის, მიკროფონი იდგა. ამ დადუმებული ხმის გამაძლიერებლების შეხედვა კიდევ უფრო აღრმავებდა სიცარიელისა და მდუმარების შთაბეჭდილებას. საელჩოს მთავარ კარებამდე მივედი, რომელიც, როგორც ყოველთვის, ურდულით და ჯაჭვით იყო დაკეტილი, ვინაიდან კლიტე, რომელიც საელჩოზე იერიშის დროს დაიმსხვრა, შემდეგ აღარავის გაურემონტებია. ალაყაფის წინ, ორი თბილ ქურთუკში გამოწყობილი მამაკაცი იდგა. მათ მხარზე ავტომატი ჰქონდათ გადაკიდებული. ისინი იმამის მიმდევრები იყვნენ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს თვლემდნენ. კარებს იქით, სიღრმეში განათებული შენობა მოჩანდა, სადაც მძევლად აყვანილი ხალხი დაემწყვდიათ. მიუხედავად იმისა, რომ ფანჯარაში შეხედვა შევძელი, იქ ვერავინ დავინახე. საათს დავხედე. შუა ღამე იყო, ყოველ შემთხვევაში – თეირანში. ახალი წელი იწყებოდა, სადღაც ახლა საათი თორმეტს აჩვენებდა და შამპანურის ბოთლი იხსნებოდა, სიხარული დამკვიდრებულიყო, ათასფერად აელვარებულ დარბაზებში ხალხი დღესასწაულობდა. და ეს ყველაფერი ხდებოდა თითქოს სხვა პლანეტაზე, საიდანაც თეირანში არ აღწევდა არავითარი ხმა, შუქის ნაპერწკალიც კი. და მოულოდნელად, როდესაც ვიდექი და ვიყინებოდი, უცებ იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რატომ მოვედი აქ, ამ მიტოვებულსა და უდაბურ ადგილას. საღამოთი მომივიდა აზრი, რომ ახლა აქ ვყოფილიყავი. არავის არ ვიცნობდი – არც საელჩოში მყოფ იმ ორმოცდაათ ამერიკელს, არც ამ ორ ირანელს, მათთან საუბარიც კი არ შემეძლო. შეიძლება ვფიქრობდი, რომ აქ რაიმე მოხდებოდა? მაგრამ არაფერიც არ მომხდარა.

ახლოვდებოდა შაჰის გაქცევისა და მონარქიის დაცემის წლისთავი. იუბილესთან დაკავშირებით ტელევიზორში რევოლუციისადმი მიძღვნილი მრავალი ფილმის ნახვა შეიძლებოდა. ისინი სულ ერთმანეთის მსგავსი იყო. მათში ერთი და იგივე სახეები და მოვლენები მეორდებოდა.

პირველი ნაწილი დიდ დემონსტრაციას ეძღვნებოდა. ძნელია მისი ზომების განსაზღვრა. ზღვა ხალხი იღებს მასში მონაწილეობას. ვერ გაარკვევდი, სად იწყებოდა და სად მთავრდება ხალხის ეს ტალღა. ისინი მთავარ ქუჩაზე მთელი დღის

განმავლობაში მიდიოდნენ. მაგრამ მოულოდნელი წარღვნა და ამ ყველაფერს წალეკავს. შემდეგ რიტმიულად, ზევით, მუქარის ნიშნად აწეული მუშტები აღიმართება. ბრბო თან მღერის და თან ყვირის – სიკვდილი შაჰს! ამ კადრებს ახლოდან იშვიათად უჩვენებენ, სახით გარკვევით ვერავის დაინახავ. ოპერატორები აღფრთოვანებულები არიან ამ მოვლენის მასშტაბებით და მას ისე განცვიფრებით შეჰყურებენ, თითქოს მოულოდნლად ევერესტის წინაშე აღმოჩენილიყვნენ. ამ სახის დემონსტრაციები ქვეყნის ყველა ქალაქში ეწყობოდა. ეს იყო უიარაღო ადამიანების ბრბო, რომელთა ერთადერთ ძალას მათი რაოდენობა შეადგენდა. ირანის მთელი მოსახლეობა იმ დღეებში ქუჩაში იყო გამოფენილი.

მეორე ნაწილი კიდევ უფრო დრამატული იყო. ოპერატორები სახლების სახურავზე დგანან. სცენა, რომლის ნახვის შესაძლებლობაც ახლა მოგვეცემა, სწორედ იქიდანაა გადაღებული. ჩვენ ჯერ იმას გვაჩვენებენ, რაც ქუჩაში ხდება, სადაც ორი ტანკი და ჯავშანტრანსპორტირი დგას. ქუჩის სავალ ნაწილზე და ტროტუარებზეც ჯარისკაცებს საბრძოლო პოზიცია მიუღიათ. ისინი ბრძანებას ელოდებიან. შემდეგ ოპერატორები უფრო ახლო პლანით გვაჩვენებენ მანიფესტაციას. მას ჯერ ძლივს გაარჩევ, მაგრამ მალე კარგად დავინახავთ. დიახ, აი მსვლელობის პირველი რიგები. მოდიან მამაკაცები, თუმცა მათ გვერდით ბავშვიანი ქალიც ბევრი ჩანს. ისინი თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილან. ოპერატორები მათ სახეებს და თვალებს გვაჩვენებენ. ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები არიან. მრავალი მათგანი ბავშვია, დაქანცულები, გამოფიტულნი ჩანან, თუმცა ცოცხალი და მოძრავი თვალებით, დაინტერესებულნი იმით, თუ შემდეგ რა მოხდება. ბრბო, რომელიც ტანკების წინააღმდეგ მიდის, არაფერს ეპუება, თითქოს ჰიპნოზირებული, მოჯადოებული იყოს, თითქოს წინ ვერაფერს ხედავდეს, უკაცრიელ მიწაზე ხეტიალობდეს. ეს იყო ბრბო, რომელიც წამიც და ცაში გაემართებოდა. მათი სახეები უკვე კანკალებს, რადგან კანკალს აუტანია ოპერატორის ხელები. ისმის წყევლა, ტირილი, ყვირილი, ტყვიების სისინი. გვაჩვენებენ ჯარისკაცს, იგი ავტომატს ახალი ტყვიებით ტენის, აგრეთვე ტანკების ლულებს, რომლებიც აქეთ-იქით ტრიალებენ. ვხედავთ ჩაფხუტჩამოფხატებულ ოფიცერს, რომელიც საკმაოდ კომიკურად გამოიყურება. დამრბევებს მალე ცხენოსანი არმიაც შეუერთდება. მომდევნო კადრი საპირისპირო მხარეს მდგარ სახლის კედელს გვიჩვენებს, მის სახურავს, საბუხრეს, შემდეგ ცას, პატარ-პატარა ღრუბლის ფთილებს, შემდეგ ფირი მთავრდება და სიბნელე ისადგურებს. ეკრანზე წარწერა გვამცნობს, რომ ეს იყო ამ ოპერატორის უკანასკნელი გადაღება, მაგრამ სხვები გადარჩნენ და ისინი შეძლებენ მისი საქმის გაგრძელებას.

მესამე აქტი წარმოადგენს სცენებს ხალხის დარბევის შემდეგ. წვანან დაჭრილები, სასწრაფო დახმარების მანქანები აქეთ-იქით მიდი-მოდიან, ქალი ტირის, გაოფლიანებული მამაკაცი ვიღაცის გვამის გადაატრიალებას ცდილობს. დაბნეული, დარეტიანებული, გაავებული ბრბო მიმდებარე ქუჩებით ტოვებს იქაურობას, სახლების სახურავების სიახლოვეს თვითმფრინავი გადაიფრენს. რამდენიმე ქუჩის იქით იწყება ნორმალური მოძრაობა, ყოველდღიური ცხოვრება.

მახსოვს კიდევ ასეთი სცენა: მიდის მანიფესტაცია. როდესაც ის საავადმყოფოს მიუახლოვდა, ბრბო დადუმდა. მას არ უნდა, რომ ავადმყოფებს მყუდროება დაურღვიოს.

ანდა სხვა სცენა: დემონსტრაციის ბოლოში მიდიან გლეხები, რომლებიც გზაზე დაყრილ ნაგავს კრეფენ და ტომრებში ყრიან: გზა, რომელზედაც ხალხმა გაიარა, სუფთა უნდა იყოს.

ესეც იმ ფილმის ფრაგმენტია: ბავშვები სკოლიდან ბრუნდებიან. ისმის სროლის ხმა. მოსწავლეები ტრიალდებიან და ტყვიების წვიმაში უშიშრად გაიქცევიან იქით, საითაც მანიფესტანტები ეგულებათ. შემდეგ ჩანთიდან რვეულებს იღებენ, იქიდან ფურცელს ამოხევენ, მიწაზე დაქცეულ სისხლში ჩაასველებენ, მაღლა ასწევენ და ასე დარბიან ქუჩაში, რათა ის ხალხმა დაინახოს. ეს გამაფრთხილებელი ნიშანია – ფრთხილად იყავით, იქ ისვრიან!

განსაკუთრებით ბევრჯერ აჩვენებენ ისპაჰანში გადაღებულ ფილმს. დიდ მოედანზე დემონტრაცია მიდის. მასში უამრავი ადამიანი მონაწილეობს. უცებ ჯარი მათ ყოველი მხრიდან ცეცხლს უხსნის. ხალხი ყვირილით გარბის და მოედანი ცარიელდება. და უცებ, როდესაც იგი უკანასკნელმა დემონსტრანტმა დატოვა, რომელიც ისე იყო გადაფარებული ტელეაპარტის ეკრანს, რომ მის გამო ამხელა მოედანი არ ჩანდა, ვხედავთ, ცარიელი მოედნის შუაგულში დარჩენილ მოხუცს, ინვალიდის ეტლში, მასაც უნდა გაქცევა, მაგრამ ვერსად მიდის. ეტლის ერთი ბორბალი ვეღარ ბრუნავს (ფილმში არ ჩანს, რატომ გაფუჭდა), კაცი სასოწარკვეთილი ცდილობს ეტლი ადგილიდან დაიძრას, მაგრამ ამაოდ, წრეზე ტრიალებს.

ეს ისეთი თავზარდამცემი სურათია, რომ ჯარისკაცები დროებით წყვეტენ სროლას, თითქოს რაღაც განსაკუთრებული ბრძანების მოლოდინში არიანო. სიჩუმე ისადგურებს. ვხედავთ ფართო, ცარიელ კადრს და მხოლოდ მის სიღრმეში ძლივს გასარჩევ, წელში მოხრილ ფიგურას, შორიდან ის თითქოს ბადეში გაბმულ მწერს ჰგავს, რომელიც მიფრთხიალებს, ჯერ კიდევ ებრძვის ქსელს, რომელშიც ისაა გაბმული. ეს ყველაფერი დიდხანს არ გრძელდება. კვლავ ისვრიან, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი მიზნით, რომელიც როგორც ქანდაკება, მალე გაქვავდება და გარკვეული დროის განმავლობაში მოედნის შუაგულში დარჩება.

ოპერატორები დიდ ყურადღებას უთმობენ ზოგად კადრებს, რის გამოც მნიშვნელოვანი წვრილმანები იკარგება. არადა, წვრილმანებით უკეთ შეიძლება ყველაფრის ჩვენება. წვეთში ხომ მთელი სამყაროა. წვრილმანები, ანუ კერძო და კონკრეტული, უფრო ახლოსაა ჩვენთან, ვიდრე ზოგადი. ადვილად ვამყარებთ მასთან კონტაქტს. ახლოს არ გვაჩვენებენ იმ ადამიანებს, რომლებიც დემონსტრაციაზე მიდიან და მათი საუბარი ვერ გვესმის. რამდენი იმედია დემონსტრაციაზე მიმავალ ადამიანში! ის იმიტომ მიდის იქ, რომ რაღაც საქმის მოგვარების იმედი აქვს. დარწმუნებულია, რომ ცხოვრებას გაიუმჯობესებს. მიდის და ფიქრობს – თუ გავიმარჯვეთ, ისე ვეღარავინ მომეპყრობა, როგორც ძაღლს; ცოლსაც და ბავშვებსაც ახალ ფეხასცმელებს ვუყიდი; ბინაზეც ფიქრობს - იქნებ გვეღირსოს ადამიანური ცხოვრება, პირობებს გავიუმჯობესებთ. მაშინ სულ შეიცვლება ყველაფერი, მე, უბრალო ადამიანს, მინისტრთანაც კი შემეძლება თავისუფლად შესვლა და საქმეების მოგვარება. ანდა მინისტრი რა საჭიროა, ჩვენ თავად ვერ შევქმნით საბჭოს და ხელისუფლებას ვერ ავიღებთ ხელში?! მას სხვა გეგმებიც აქვს, რომლებიც ჯერ კიდევ არაა ნათელი და გამოკვეთილი, მაგრამ ყველა კარგია, იმედის მომგვრელია, რადგან ყველა მათგანს ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსება გააჩნია –შესრულებადია. მიდის კაცი და კარგ

ხასიათზეა, გრძნობს, როგორ ემატება ძალა. იგი ხომ ცხოვრებაში პირველად გახდა საკუთარი ბედის გამომჭედი.

ერთხელ საკუთარი თვალით ვნახე დემონსტრაციის დაწყება. აეროდრომისაკენ მიმავალ ქუჩაზე კაცი მიდიოდა და ალაჰისადმი მიძღვნილ სიმღერას – ალაჰ აკბარს მიიმღეროდა. მშვენიერი, ტკბილი, უჩვეულო ტემბრის ხმა ჰქონდა. მიდიოდა თავისთვის და არავის და არაფერს არ აქცევდა ყურადღებას. მეც გავყევი მას უკან, მისი სიმღერის უფრო დიდხანს მოსმენა მინდოდა. მცირე ხნის შემდეგ ჩვენ ქუჩაში მოთამაშე ბავშვები შემოგვიერთდნენ და მათაც წამოიწყეს სიმღერა. შემდეგ მამაკაცების ჯგუფი შემოგვიერთდა, შემდეგ – მორცხვად და გაუბედავად – რამდენიმე ქალიც. როდესაც ასე ას კაცამდე მოვგროვდით, მას შემდეგ ჩვენმა რიგებმა გეომეტრიული პროგრესიით იწყო ზრდა. ბრბო იზიდავს ბრბოს, როგორც ეს სწორედ შენიშნა ცანეტიმ (Canetti). ირანელებს უყვართ ბრბოდ ყოფნა, ერთად ყოფნა მათ ახალი ძალით ავსებს, ღირსებას მატებს. ბრბოს ფორმით გამოხატავენ თავიანთ სათქმელს. მარტო ყოფნის დროს თავს კარგად ვერ გრძნობენ.

იმავე ქუჩაზე (რომელსაც ადრე შაჰი რეზას სახელი ერქვა და ახლა ენგელობის სახელობისაა) ერთი სომეხი კაცი რაღაც სანელებლებს და გამხმარ ხილს ყიდის. ვინაიდან მაღაზია ძალზე ვიწროა, ის თავის საქონელს ქუჩაში, ტროტუარზე გამოფენს ხოლმე. Udგას აქ ტომრები და ქილები ნუშით, ფინიკით, ზეთისხილით, ბროწეულით, ათასგვარი წიწაკით და სხვადასხვა სახის ხილით და სანელებლით, რომელთა სახელი მე არ ვიცი. ის რუხ და ჩამოფხაჭნილ-ჩამოკაწრულ და ჩამოცვევნილ თაბაშირის ფონზე, შორიდან ისე ჩანს, როგორც ფერებით სავსე, მდიდრული ფერწერული ტილო, გემოვნებითა და ფანტაზიით შესრულებული მშვენიერი ნახატი. ამასთან ხანდახან ვაჭარი ამ ფერებს ადგილს უცვლის, რადგან ზოგჯერ ყავისფერი ფინიკი დგას მოწითალო მიწის თხილთან და მწვანე ზეთისხილთან, სხვა დროს თეთრი, ლამაზ ფორმიანი ნუშები ხორციანი ფინიკის ადგილს იკავებენ, ხოლო იქ, სადაც ადრე ნიორის გალა იყო ჩამოკიდებული, ახლა წითელი წიწაკის წნულებია. მე ამ სომხის ფარდულის სანახავად იმიტომ კი არ დავდივარ, რომ თვალს სიამოვნებს ასეთი ლამაზი ფერების ყურება, არამედ იმიტომ, რომ ამ გამოფენის ყოველდღიური ბედი ჩემთვის გარკვეული ინფორმაციის მომცემია იმის შესახებ, თუ რა მოხდება პოლიტიკაში. ენგელობის ქუჩა ხომ დემონსტრანტების საყვარელი ადგილია. თუ სომეხი დილით ადრე თავის საქონელს არ გამოამზეურებს, მაშასადამე, იგი ცხელი დღისათვის ემზადება – დემონსტრაცია იქნება. ამიტომ უმჯობესია, თუ მაღაზიის კედლებს შეაფარებს საქონელს, რათა დემონსტრანტებმა არ გათელონ. ასეთ დღეს მე მუშაობას უნდა შევუდგე, ანუ დავადგინო, ვინ აწყობს დემონსტრაციას და რატომ. თუ ენგელობის ქუჩაზე მივდივარ და შორიდან ლამაზად გამოფენილ საქონელს დავინახავ, უკვე ვიცი, რომ იქნება ჩვეულებრივი დღე, ყოველგვარი ექსცესების გარეშე და სუფთა ნამუსით შემიძლია ლეონთან წასვლა და ერთი ჭიქა ვისკის დალევა.

თუ ენგელობის ქუჩაზე გზას გააგრძელებთ, მცირე მანძილის გავლის შემდეგ პურის საცხობს მიადგებით, სადაც ახალი, ცხელი პურის ყიდვა შეიძლება. ირანში პურს დიდი ბრტყელი ლავაშის ფორმა აქვს. ღუმელი, სადაც ამ პურს აცხობენ, წარმოადგენს

სამმეტრიან ჭას, რომელიც მიწაშია ამოშენებული. მის ძირში ცეცხლს ანთებენ. ამ ქვეყანაში თუ ცოლი ქმარს უღალატებს, მასაც ასეთ ჭაში აგდებენ.

ფურნეში რაზაკ ნადერი მუშაობს. იგი ოცი წლის ბიჭია. კარგი იქნებოდა ვინმეს მასზე ფილმი რომ გადაეღო. თორმეტი წლის იყო, როდესაც სამუშაოს საძებნელად თეირანში ჩამოვიდა. მშობლიურ სოფელში, ზანიანის ახლოს (დედაქალაქიდან ათასი კილომეტრის დაშორებით), მან დატოვა დედა, ოთხი უმცროსი და-ძმა. რაზაკი იძულებულია თეირანში იმუშაოს და ოჯახი შეინახოს.

რაზაკი დილის ოთხ საათზე დგება და ღუმელის დანთებას იწყებს. ასე ხუთი საათისათვის ცეცხლი მძლავრდება და ფურნეში აუტანელად ცხება. გრძელი ნიჩაბის მსგავსი ფიცრის ნაჭრით რაზაკი თონის გახურებულ კედლებზე ცომის გუნდას აკრავს და ყურადღებით დაჰყურებს, რომ გამოცხობისთანავე ამოიღოს. ასე მუშაობს საღამოს ცხრა საათამდე. გამომუშავებულ ფულს დედას უგზავნის. აქ მთელ მის ავლა-დიდებას შეადგენს სამგზავრო ზურგჩანთა და საბანი, რომელშიც ღამე გაეხვევა ხოლმე. რაზაკი ხშირად იცვლის სამუშაო ადგილს და ზოგჯერ უმუშევარიც რჩება. იცის, რომ ამაზე ვერავის დაადანაშაულებს. უბრალოდ, სამი-ოთხი თვის შემდეგ ძალიან მოენატრება ხოლმე დედა, და-ძმები. რამდენიმე დღე უძლებს ამ გრძნობას, შემდეგ კი ჯდება ავტობუსში და მშობლიურ სოფელში ჩადის. ძალიან სურს რაც შეიძლება დიდი ხანი დარჩეს აქ, მაგრამ შეუძლებელია. იგი ხომ ოჯახის ერთადერთი მარჩენალია. ამიტომ ბრუნდება დედაქალაქში, მაგრამ მის ადგილზე სხვა მუშაობს. ამიტომ რაზაკი მიდის გომრუკის მოედანზე, სადაც უმუშევრები იყრიან თავს რაიმე სამუშაოს მოლოდინში. ესაა იაფი სამუშაო ძალის ბაზარი, ვინც აქ მოდის, თანახმაა ჩალის ფასად იმუშაოს. მიუხედავად ამისა, რაზაკს მაინც უხდება ერთი ან ორი კვირა ლოდინი, ვიდრე მას ვინმე დაიქირავებს. მანამდე კი მთელი დღე მოედანზე დგას, სცივა, აკანკალებს, აწვიმს და შია. ბოლოს, ვიღაც გამოჩნდება, რომელიც მას ყურადღებას მიაპყრობს. რაზაკი ბედნიერია – კვლავ შეუძლია მუშაობა. მაგრამ მისი სიხარული ძალზე ხანმოკლეა, მალე კვლავ მოენატრება დედა და და-ძმები, ისევ ანებებს სამუშაოს თავს და მშობლიურ სოფელში ბრუნდება. შემდეგ კვლავ ბრუნდება ქალაქში და კვლავ გამოდის გომრუკის მოედანზე. რაზაკის გვერდით არსებობს უდიდესი სამყარო – სამყარო შაჰის, რევოლუციის, ჰომეინის და მძევლების. ყველა მათზე ლაპარაკობს. მაგრამ როგორც ჩანს, რაზაკის სამყარო კიდევ უფრო დიდია, რადგან იგი დახეტიალობს მასში და გამოსავალი ვერ უპოვია.

1978 წლის შემოდგომა-ზამთარში ენგელობის ქუჩაზე განუწყვეტელი საპროტესტო დემონსტრაციები მოეწყო. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა ქალაქებში. საპროტესტო მოძრაობას მთელი ქვეყანა მოეცვა. დაიწყო გაფიცვებიც, გაჩერდა მრეწველობა და ტრანსპორტი. მიუხედავად ათიათასობით მსხვერპლისა, დემონსტრაციები და გაფიცვები უფრო ძლიერდებოდა. მაგრამ შაჰი მაინც ტახტზე რჩებოდა, სასახლეს არ ტოვებდა.

ყოველი რევოლუცია ორი ძალის დაჯახებას იწვევს (ან პირიქით, მათი დაჯახების შედეგია): ძველი სტრუქტურისა და ახალი ძალის. ეს უკანასკნელი უტევს სტრუქტურას, მისი განადგურება სურს. ორივე ამ ძალას, ერთნაირად ძლიერს, სხვადასხვა თვისება ახასიათებთ: ახალი ძალისათვის დამახასიათებელია სპონტანურობა, მგზნებარება, დინამიური ექსპანსიორობა და ამასთან –

მოკლევადიანობა. სამაგიეროდ სტრუქტურისათვის დამახასიათებელია აპატია, ინერტულობა, სიმყარე, ჯიუტობა და გასაოცრად დიდი უნარი თავის შენარჩუნებისა. გაცილებით ადვილია სტრუქტურისათვის სულის ჩაბერვა, ვიდრე მისი განადგურება. თუმცა იცვლება მისი წარმომშობი აზრი, მაგრამ იგი მაინც აგრძელებს არსებობას. შექმნილა მრავალი სუსტი, მხოლოდ ფიქციური ხასიათის სახელმწიფო, მაგრამ იგი უკვე სტრუქტურადაა ჩამოყალიბებული და ვეღარ გააქრობ რუკიდან. თითქოს სტრუქტურათა ერთიანი სამყარო არსებობდეს და თითოეული მათგანი ერთმანეთს ეხმარებოდეს. საკმარისია ერთ მათგანს რაიმე საფრთხე შეექმნას, რომ სხვა ყველა დანარჩენი, მისი მსგავსნი, მის დასახმარებლად მიისწრაფიან. სტრუქტურისათვის დამახასიათებელია უაღრესი ელასტიურობა, რაც ასევე გადარჩენაში ეხმარება მას. შევიწროებულსა და შეზღუდულს შეუძლია მუცელი შეკუმშოს და დაელოდოს, თუ როდის მოვა დრო, რომ კვლავ თავის ძველ მდგომარეობას დაუბრუნდეს, კვლავ გააფართოოს თავისი გავლენა. საინტერესოა, რომ მისი ხელახალი გაფართოება სწორედ იმ მიმართულებით მიდის, საიდანაც იგი შევიწროებული იქნა. ერთი სიტყვით, ყოველი სტრუქტურის მისწრაფებას წარმოადგენს თავისი სტატუს კვოსაკენ დაბრუნება, რომელიც მას იდეალურად, ყველაზე საუკეთესოდ მიაჩნია. ამაში გამოიხატება ასევე სტრუქტურის უძლურებაც. მას მოქმედება მხოლოდ დაპროგრამებული კოდის თანახმად შეუძლია. თუკი მას ახალ სამოქმედო პროგრამას მისცემ – ამაზე რეაგირებასაც კი არ მოახდენს. ერთ ადგილას იდგება წინა პროგრამის მოლოდინში. სტრუქტურას შეუძლია ასევე ვანკა-სტანკასავით მოქცევა. ვითომ დაეცა, მაგრამ მალე კვლავ ფეხზეა. მოძრაობა, რომელმაც არ იცის სტრუქტურის ამ თვისებების შესახებ, დიდხანს ეჭიდავება მას, ვიდრე ბოლოს არ დასუსტდება და ძლეული თავად არ დაეცემა.

შაჰის თეატრი. შაჰი რეჟისორი იყო, რომელსაც სურდა უმაღლეს, მსოფლიო დონეზე მდგარი თეატრი ჩამოეყალიბებინა. მას უყვარდა ხალხის თვალწინ ყოფნა და ყველასათვის თავმოწონება. ოღონდ იმის გაგება უჭირდა, რა არის ხელოვნება, რა არის რეჟისორის სიბრძნე და წარმოსახვა. იგი ფიქრობდა, რომ საკმარისი იქნებოდა მისი ტიტული და ფული. ეს ყველაფერი მას მართლაც თავზე საყრელად ჰქონდა, მაგრამ... ამასთან მის განკარგულებაში იყო ასევე უდიდესი სცენა, სადაც მოქმედება შეიძლება მრავალ ადგილას ერთდროულად წარმართულიყო. მან გადაწყვიტა, რომ ამ სცენაზე დაედგა წარმოდგენა, სათაურით: ,,დიდი ცივილიზაცია". ფანტასტიური თანხების საფასურად საზღვარგარეთიდან შემოიტანა დეკორაციები. ეს იყო მრავალი სახის მანქანა-დანადგარები, აპარატურა, ცემენტის მთელი მთები, სადენები და ა.შ. დეკორაციის მნიშვნელოვან ნაწილს სამხედრო ტექნიკა – ტანკები, თვითმფრინავები, რაკეტები წარმოადგენდა. შაჰი ამ სცენაზე კმაყოფილი და ამაყი დადიოდა. ესმოდა, მრავალი რეპროდუქტორიდან როგორ გადასცემდნენ მის ქება-დიდებას. რეფლექტორების შუქი დეკორაციებს ანათებდა, რის შემდეგაც შაჰის სხეულზე ჩერდებოდა. ისიც იდგა ან მოძრაობდა მათ შუქზე. ეს იყო ერთი მსახიობის თეატრი. ყველა დანარჩენნი სტატისტის როლით კმაყოფილდებოდნენ. სცენის ყველაზე მაღალ სართულზე მოძრაობდნენ გენერლები, მინისტრები, ელეგანტური ქალბატონები, ლაქიები – სასახლე დიდი იყო. შემდეგ იწყებოდა შუა საფეხური, ხოლო ყველაზე დაბლა უმდაბლესი კატეგორიის სტატისტები იდგნენ. აქ ყველაზე მეტი ხალხი

ირეოდა. ისინი ქალაქში ღარიბი სოფლებიდან იმ იმედით ჩამოდიოდნენ, რომ ცოტა მეტი ფული გამოემუშავებინათ. შაჰიც მათ ოქროს მთებს ჰპირდებოდა. შაჰი მთელ დროს სცენაზე ატარებდა და სტატისტების თამაშს ხელმძღვანელობდა. მისი ხელის მოძრაობაზე გენერლები ,,სმირნაზე" დგებოდნენ, ხოლო მინისტრები ხელზე კოცნიდნენ. ქალბატონები რევერანსებს უკეთებდნენ. როდესაც ქვემო საფეხურზე ჩადიოდა და თავს დახრიდა, მოხელეები, რომლებიც დაწინაურებასა და ხელფასის მომატებას ელოდნენ, მისკენ მირბოდნენ. იგი იშვიათად, და ისიც მცირე ხნით ჩადიოდა პარტერში. ყველაზე მეტად აპატიურად აქ მყოფი სტატისტები იქცეოდნენ. ისინი დაბნეულები, დიდ ქალაქში ორიენტაცია დაკარგულები, მოტყუებულები და გაცურებულები იყვნენ, თავს უცხოდ გრძნობდნენ მათთვის მიუღებელ დეკორაციაზე, ამ აგრესიულ სამყაროში, რომელიც ახლა გარს ერტყათ. ერთადერთ ადგილად, რომლის მიმართაც მათ ორიენტაციის გაკეთება შეეძლოთ, მეჩეთი იყო, იგი იდგა მათ სოფელშიც, ამიტომ მიდიოდნენ იქ. მათთვის ერთადერთ ახლობელ ადამიანს მოლა წარმოადგენდა, რომელსაც ასევე სოფლიდან იცნობდნენ. სოფელში მოლა ყველაზე დიდი ავტოორიტეტია – მეზობლებს შორის ჩხუბი ატყდება, წყლის გაყოფაა საჭირო თუ სხვა რამ, იგი სულ მათთანაა დაბადებიდან სიკვდილამდე. ამიტომ აქაც მოლასკენ მიისწრაფოდნენ, უსმენდნენ მას და ესმოდათ ხმა, რომელიც მათი ბავშვობის ხმა იყო, მშობლიური და დაკარგული მიწის ხმა.

მოქმედება რამდენიმე სართულზე ერთდროულად მიმდინარეობს. სცენაზე რამდენიმე მოქმედება ხდება. ცვლიან დეკორაციებს, ტრიალებენ ბორბლები, ბოლი ამოდის, გრუხუნით მიდი-მოდიან ტანკები, მინისტრები შაჰს კოცნიან, მოხელეები მიწაზე ხოხავენ, რომ ხელფასი გაუზარდოს და სამსახურში დააწინაუროს, პოლიციელები წარბებს იჭმუხნიან, მოლები ქადაგებენ, სტატისტები დუმან და მუშაობენ. საზოგადოებაში თანდათან მეტი მოძრაობა შეინიშნება. შაჰი დადის, იქით ხელს დაუქნევს, აქეთ თითით მიანიშნებს. იგი მთელი დრო რეფლექტორების შუქზეა. მაგრამ მალე სცენაზე რაღაც ჩოჩქოლი ატყდება, თითქოს ყველას დაავიწყდა, თუ რა უნდა ითამაშოს. დიახ, ძველ სცენარს სანაგვეში ისვრიან და ახალს თავად იგონებენ. თეატრში ბუნტია! სპექტაკლი სახეს იცვლის და ბობოქარ, მხეცურ სანახაობად იქცევა. ქვედა სართულის სტატისტებმა, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში იმედგაცრუებულნი იყვნენ იმით, რომ ცუდად უხდიდნენ, დაიწყეს ზედა სართულებზე ასვლა. შუა სართულების მსახიობებიც ებუტებიან შაჰს და ქვედა სართულების მსახიობებს უერთდებიან. სცენაზე გამოჩნდება შიიტების შავი დროშა, ხმის გამაძლიერებელში ისმის დემონსტრანტების საბრძოლო სიმღერა – ალაჰ აკბარ! ტანკები სცენაზე მიდი-მოდიან, პოლიციელები ისვრიან. მინარეთიდან მუეზინის გაბმული მოწოდება ისმის. ყველაზე მაღალ სართულზეც უჩვეულო დაბნეულობაა! მინისტრები ფულს ჩემოდანში აწყობენ და გარბიან, ქალბატონები ხელს სტაცებენ თავიანთი ოქროულობის ხელჩანთას და ქრებიან, ლაქიებმაც არ იციან, რა ქნან. მალე სცენაზე ჩნდებიან მწვანე ქურთუკებში გამოწყობილი ფედაინები და მოჯაჰიდები. მათ უკვე იარაღი – არსენალი აუღიათ. ჯარისკაცები, რომელიც აქამდე ბრბოს სროლას არ ერიდებოდნენ, ახლა ხალხს ძმობას ეფიცებიან და ავტომატის ლულაში წითელ მიხაკებს არჭობენ. სცენაზე ვაჭრები კამფეტებს ყრიან და საერთო მხიარულებას უერთდებიან. მიუხედავად იმისა, რომ შუადღეა, ყველა ავტომობილს შუქი აქვს

ანთებული. სასაფლაოზეც ხალხი იკრიბება. ყველანი მოვიდნენ, რომ აჯანყების მსხვერპლნი დაიტირონ. ლაპარაკობს დედა, რომლის შვილმაც თავი მოიკლა, რადგან, როგორც ჯარისკაცს, თავისი მოძმე დემონსტრანტებისათვის სროლა არ უნდოდა. გამოდის ჭაღარა აიათოლა ტელეჰანი. რეფლექტორების შუქი თანდათან ქრება. წარმოდგენის ბოლო სცენა: სულ ზედა, უკვე ცარიელი სართულიდან, პარტერში ჩამოდის ფარშევანგივით ათასფერი ქვით აჭრელებული შაჰის ტახტი. მას მთვარის შუქი სცემს და კიდევ უფრო ჭრელდება. ტახტზე ზის უზარმაზარი ზომის საოცარი, გაბღენძილი არსება. რომელსაც ასევე თვალისმომჭრელი შუქი ანათებს. მას კისერზე, მკლავებზე, ხელებზე და ფეხებზე შემოხვეული აქვს სადენი, მსხვილი თოკი და მავთულები. ამ ურჩხულის ერთი შეხედვაც კი ადამიანს შიშის ისეთ კანკალს აწყებინებს, რომ მუხლები ეკეცება და მზადაა დაიჩოქოს. მაგრამ მალე სცენაზე გამოჩნდებიან ელექტროშემკეთებლები, რომლებიც გადაჭრიან სადენს და თოკებსაც ერთმანეთის მიყოლებით მოაცილებენ მას. შუქი, რომელიც ამ ურჩხულს ანათებდა, ნელ-ნელა ჩაქრობას იწყებს და იგიც თანდათან პატარავდება. ბოლოს ელექტროშემკეთებელი გვერდზე გადგება და ტახტზე დგება გამხდარი მოხუცი კაცი, დაახლოებით ისეთი, რომლიც მსგავსაც მრავალს შეხვდებით კინოთეატრში, კაფეში თუ რიგში. ის ადგომისთანავე იბერტყავს კოსტიუმს, ჰალსტუხს ისწორებს და სცენას ტოვებს. ის აეროდრომისაკენ გასწევს.

შაჰმა ისეთი სახელმწიფოებრივი სისტემა შექმნა, რომ მხოლოდ მისი დაცვა შესძლებოდა, სამაგიეროდ უძლური იყო რაიმეთი დაეკმაყოფილებინა ადამიანების მოთხოვნილებები. სწორედ ეს იყო მისი სისუსტე და უმთავრესი მიზეზი მისი ტახტიდან ჩამოგდების, რომლის ფსიქოლოგიური საფუძველია საკუთარი ხალხის ზიზღი და უგულვებელყოფა, იმის რწმენა, რომ ყოველთვის შეიძლება ამ ბნელი მასის მოტყუება, გამუდმებით მათთვის რაღაც ამაო დაპირებების მიცემა. მაგრამ ირანული ანდაზა ამბობს: ,,დაპირებას მხოლოდ მისთვის აქვს რაიმე ფასი, ვინც მას იძლევა”.

ჰომეინი ემიგრაციიდან დაბრუნდა და ვიდრე კუმში წავიდოდა, თეირანში შეჩერდა. ყველას სურდა მისი ნახვა, მილიონობით ადამიანს უნდოდა მასთან მისალმება, მისთვის ხელის ჩამორთმევა. სკოლის შენობა, სადაც ის შეჩერდა, ხალხით გაივსო. ყველას მიაჩნდა, რომ მას აიათოლასთან შეხვედრის უფლება ჰქონდა. ისინი ხომ მის დასაბრუნებლად იბრძოდნენ, სისხლს ღვრიდნენ. ქვეყანაში ეიფორიული განწყობა გაბატონებულიყო, ადამიანები ერთმანეთს მხარზე ხელს ისე უბარტყუნებდნენ, თითქოს ამით ერთმანეთისთვის უნდოდათ ეთქვათ – ხედავ? ჩვენ ყველაფერი შეგვიძლია!

მართლაც იშვიათად განიცდიან ადამიანები მსგავს წუთებს! მაგრამ ახლა გამარჯვების შეგრძნება ბუნებრივი და დამაჯერებელი ჩანდა. შაჰის ,,დიდი ცივილიზაცია” ნანგრევებად ქცეულიყო. რას წარმოადგენდა იგი თავისი არსით? უცხო სხეულს, უცხო ნერგს, რომელმაც სპარსულ ნიადაგზე ვერ გაიხარა. ეს იყო უცხო ცხოვრების წესის, ტრადიციებისა და ღირებულებების ირანელ ხალხზე თავსმოხვევის ცდა, ეს იყო იძულება, ქირურგიული ოპერაცია, რომლის უმთავრეს მიზანსაც პაციენტის გადარჩენაზე, უფრო ის წარმოადგენდა, რომ თავად ეს ოპერაცია განხორციელებულიყო, უპირველეს ყოვლისა კი – ტახტის შენარჩუნება.

უცხო სხეულის უარყოფა – როგორი დაუნდობელი და გარდუვალია ეს პროცესი, თუკი იგი დაიწყება. ამისათვის კი საკმარისია საზოგადოებამ ირწმუნოს, რომ მის თავსმოხვეულ არსებობის ფორმას ბოროტება უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე სიკეთე. ამის შემდეგ იგი თავისი წინააღმდეგობის გამოხატვას დაიწყებს. თავიდან – მალულად და პასიურად, შემდეგ თანდათან ღიად და დაუნდობლად. ვერ მოისვენებს, ვიდრე თავის ორგანიზმს ამ ახალი სხეულისაგან არ გაინთავისუფლებს. იგი ყრუ დარჩება ნებისმიერი არგუმენტის მიმართ, გახდება ვნებიანი, დაკარგავს ფიქრის უნარს. ,,დიდი ცივილიზაციის" საფუძვლად ხომ მრავალი კეთილშობილური იდეა, გონივრული აზრი იდო, მაგრამ ხალხი მას მხოლოდ ირონიულად უყურებდა, ანუ ხედავდა იმ ფორმით, როგორიც მათ პრაქტიკაში შეიძინეს. ამიტომ მშვენიერი იდეების მიმართაც კი ხალხს ეჭვი გაუჩნდა.

და შემდეგ? რა მოხდა შემდეგ? რის შესახებ უნდა დავწერო ახლა? იმის შესახებ, თუ როგორ მთავრდება ძლიერი განცდები? სევდიანი თემაა. რადგან აჯანყება ნამდვილად დიდი განცდაა, გულის თავგადასავალი. შეხედეთ იმ ხალხს, რომლებიც მასში მონაწილეობენ. როგორ აღტკინებულნი, აღგზნებული გამოიყურებიან, თავის შესაწირად არიან მზად. ამ დროს ისინი ცხოვრობენ ერთფეროვან სამყაროში, რომელიც მხოლოდ ერთი აზრით იმის სურვილითაა შეპყრობილი – რომ სასურველ მიზანს მიაღწიონ, ახლა ყველაფერი ამას ექვემდებარება, ამ გზაზე ყოველგვარი წინააღმდეგობა ადვილად გადასატანი ხდება, არავითარი მსხვერპლი არაა ამ საქმისათვის შეუძლებელი. ამბოხი გვათავისუფლებს ჩვენ საკუთარი ,,მეს"-გან, ყოველდღიურობისაგან, რომელიც ახლა თანდათან უფრო და უფრო პატარად, არარაობად და ჩვენთვისვე უცხოდ გვეჩვენება. განცვიფრებულები, ენერგიის აქამდე ჩვენთვის უცხო მარაგს ვნახულობთ, ისეთი კეთილშობილური ქცევების უნარს ვამჟღავნებთ, რომ თავად გვიკვირს. და მერე რამდენი სიამაყეა იმის გაფიქრებაში, რომ შევძელით ასე ავმაღლებულიყავით. როგორი კმაყოფილი და ნასიამოვნები რჩება ადამიანი იმის გაფიქრებით, რომ ასე ბევრი რამის გაკეთება შესძლებია! მაგრამ დგება დრო, როდესაც ეს განწყობა ქრება და ყველაფერი მთავრდება. კვლავაც ჩვეულებისამებრ, ინსტიქტურად, ვიმეორებთ იმ ჟესტებსა და სიტყვებს, კვლავ გვსურს, რომ ძველებურად, როგორც ,,გუშინ", ისე იყოს. მაგრამ უკვე ვიცით - და ეს აღმოჩენა შიშის გრძნობით გვავსებს - რომ ეს ,,გუშინ" მეტად აღარ განმეორდება. ირგვლივ ვიყურებით და ერთ ახალ აღმოჩენას კიდევ ვაკეთებთ – ისინი, ვინც გუშინ ჩვენთან იყვნენ, მათშიც რაღაც ჩაქრა, გადაიწვა. მოულოდნელად ჩვენი ერთობა, კავშირი და თანამეგობრობა იშლება, ყველა თავის ყოველდღიურ ,,მე"-ს უბრუნდება, რომელიც თავიდან ეხამუშებათ, ისევე, როგორც ცუდად შეკერილი ტანსაცმელი, მაგრამ იციან, რომ სწორედ ესაა მათი და სხვა არ ექნებათ. ყოველგვარ სურვილს ვკარგავთ ერთმანეთს თვალებში შევხედოთ, საუბარს გავურბივართ, ვგრძნობთ, რომ უკვე აღარ ვართ ერთმანეთისათვის ძველებურად საჭირო.

ტემპერატურის ეს დაცემა, კლიმატის ცვლილება, ყველაზე ცუდ და დამთრგუნველ განცდებს განეკუთვნება. იწყება დღე, როდესაც რაღაც უნდა მოხდეს, მაგრამ არაფერიც არა ხდება. არავინ არ გვიხმობს, გველოდება, უკვე ზედმეტი გავხდით. თავს უკვე

ძალიან დაღლილად ვგრძნობთ, თანდათან აპათია გვეუფლება. საკუთარ თავს ვეუბნებით – უნდა დაისვენო, ძალა უნდა აღიდგინო. რა თქმა უნდა, გვინდა სუფთა ჰაერი ჩავისუნთქოთ, სახლი დავალაგოთ, ფანჯარა გავარემონტოთ. ყველა ეს საქმიანობა თავდაცვითია, მათ იმიტომ ვაკეთებთ, რომ დეპრესიისაგან თავი დავიცვათ. ამიტომ ძალას ვიკრებთ მათ გასაკეთებლად. მაგრამ თავს მაინც ვერ ვგრძნობთ კარგად, რაღაც მოწყენილები ვართ, რადგან გვაწუხებს ის, თუ როგორ მჭიდროდ გვაწვება სევდა, დარდი, რომელსაც ჩვენ საკუთარ არსებაში ვატარებთ.

ეს განწყობა მეც გამომიცდია, როდესაც მინავლებულ კოცონთან ვმჯდარვარ. დავდიოდი თეირანში, საიდანაც გამქრალიყო გუშინდელი განცდების კვალიც კი. გამქრალიყო მოულოდნელად, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ უკვე აღარაფერი აღარ ხდებოდა. რამდენიმე გადამწვარი კინოთეატრი, რამდენიმე განადგურებული ბანკი – უცხო გავლენათა სიმბოლოები. რევოლუცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათ, ანგრევს ერთ ქანდაკებას და მის ადგილას აუცილებლად დგამს მეორეს – საკუთარს, რადგან სურს მყარად იდგეს და ამ მეტაფორული გზით გადარჩეს. ქუჩაში შემთხვევითი გამვლელები დადიოდნენ. ზოგიც ქუჩაში დანთებულ კოცონთან მისულიყო და ხელებს ითბობდა. აქაც ყველა თავისთვის იდგა, გულჩათხრობილი და მდუმარე. ვინ იცის, იქნებ ელოდებოდნენ, იქნებ სურდათ კიდეც, რომ რამე კიდევ მომხდარიყო, რაღაც უჩვეულო რამ? არ ვიცი, არ შემიძლია ამის თქმა.

ის ყველაფერი, რაც რევოლუციის გარეგან, აშკარა მხარეს წარმოადგენს, სწრაფად ქრება. ცალკეულ ადამიანს აქვს ათასი მეთოდი, რომლითაც შეუძლია გამოხატოს თავისი გრძნობა და აზრი. ის უსასრულო სიმდიდრეა, სამყაროა, რომელშიც განუწყვეტლივ რაღაცას აღმოვაჩენთ. სამაგიეროდ ბრბო ამცირებს, აკნინებს ინდივიდის უნარს, მის პიროვნებას, ადამიანი ბრბოში რამდენიმე ელემენტარული მოქმედებით შემოისაზღვრება. ფორმები, რომელთა საშუალებითაც იგი თავის მისწრაფებას გამოხატავს, უჩვეულოდ მწირია და ამასთან, გამუდმებით მეორდება – მანიფესტაციები, გაფიცვები, შეკრებები, ბარიკადები. ამიტომაა, რომ ადამიანის შესახებ მთელ რომანს დაწერ, ბრბოს შესახებ კი – ვერაფერს. თუ იგი დაიშლება, სახლებში წავა და მეტად აღარ შეიკრიბება, ვამბობთ, რომ რევოლუცია დასრულებულია.

კომიტეტების ოფისებში ვიყავი. კომიტეტი – ასე ერქვა ახალი ხელისუფლების ორგანოებს. ვიწრო და აქოთებულ ოთახებში მაგიდებს წვერმოშვებული ხალხი უსხდა. მათ სახეებს პირველად ვხედავდი. აქ რომ მოვდიოდი, მახსოვდა იმათი გვარები, რომლებიც შაჰის ეპოქაში ოპოზიციაში იყვნენ ან აქტიური პოლიტიკიდან შორს იდგნენ. ვფიქრობდი, რომ ისინი ლოგიკურად, ქვეყნის მმართველობაში ინტენსიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ. ვიკითხე, ეს ხალხი სად შეიძლება ვნახო მეთქი, მაგრამ არავინ არ იცოდა მათი ადგილსამყოფელი. დიდხანს და მყარად არსებული მთელი წყობა, რომელშიც ერთი ხელისუფლებასთან იდგა, მეორე – ოპოზიციაში, მესამე – ბიზნესში, ხოლო მეოთხე – ხელისუფლებას აკრიტიკებდა, მთელი ეს წლობით დალაგებული სტრუქტურა და კონსტრუქცია, რევოლუციამ, როგორც სათამაშო კარტისაგან აწყობილი სახლი, ისე დაშალა. ამ წვერებიანი ახმახებისათვის, რომლებიც ძლივს ახერხებდნენ წერასა და კითხვას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვის ვკითხულობდი. ყველა იმ ადამიანებს, რომელთა შესახებაც ვეკითხებოდი. მათ სულაც არ აინტერესებდათ, რომ რამდენიმე წლის წინათ ჰაფეზ ფარმანი შაჰს აკრიტიკებდა,

რის გამოც თანამდებობა დაკარგა, ხოლო კულსუმ კიტაბი როგორც უკანასკნელი მატყუარა, ისე იქცეოდა და კარიერას იკეთებდა. ეს ხომ წარსულში მოხდა, ის სამყარო კი უკვე აღარ არსებობდა.

რევოლუციამ ხელისუფლებაში სულ სხვა, ახალი ხალხი მოიყვანა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ სრულიად ანონიმურები, საზოგადოებისათვის უცნობნი იყვნენ. ეს წვერებიანი ადამიანები მთელი დღე კომიტეტებში ისხდნენ და თათბირობდნენ. რაზე? იმაზე, თუ რა ეკეთებინათ. აბა, როგორ, კომიტეტმა ხომ რაღაც უნდა აკეთოს. ერთმანეთს სიტყვის თქმას არ აცდიდნენ. ყველას უნდოდა გამოსვლა, რაღაცის თქმა. იგრძნობოდა, რომ მათთვის ეს ძალზე არსებითი იყო და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. შემდეგ თითოეული მათგანი მეზობელთან წაიტრაბახებდა - მოხსენებით გამოვედით. მისი ნაცნობები ერთმანეთს დაეკითხებოდნენ – მოისმინე მისი მოხსენება? როდესაც ქუჩაში გაივლიდა, ნაცნობები გააჩერებდნენ და აღფრთოვანებით ეტყოდნენ – მართლაც კარგად გამოხვედი! თანდათანობით დაიწყება არაფორმალური იერარქიის ჩამოყალიბება – მის მწვერვალზე დადგებიან ისინი, რომელთაც ყოველთვის საინტერესო მოხსენება ჰქონდათ, დაბლა კი მოქუჩდებიან ინტროვერტები, ანუ ისინი, რომლთაც არ ეხერხებათ საუბარი, მით უფრო მოხსენებებით გამოსვლა, ისინი მთელი არმიაა, რომელთაც არ შეეძლოთ დაეძლიათ მღელვარება, ხოლო ბოლოს ისინი, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ დაუსრულებელ ლაყბობას არავითარი აზრი არა აქვს. მეორე დღეს კვლავ იწყებდნენ თათბირობას, თითქოს გუშინ არაფერი გაკეთებულიყო და თითქოს ყველაფერი აუცილებლად თავიდან უნდა დაეწყოთ.

ირანი – ეს იყო ოცდამეშვიდე რევოლუცია, რომელიც მესამე სამყაროს ქვეყნებში მინახავს. ცეცხლში და ბოლში იცვლებოდნენ ხელისუფლებები, ეცემოდნენ მთავრობები, სავარძლებში ახალი ხალხი იკალათებდა. მაგრამ ერთი რამ უცვლელი რჩებოდა, რაც მუდმივ არსებობას განაგრძობდა, – ეს იყო: უსასოობა, უიმედობა, უპერსპექტიობა. რა ძალიან წააგავდა ირანში ნახული კომიტეტები, იმას, რაც მინახავს ბოლივიაში, მოზამბიკში, სუდანსა თუ ბენინში. რა ვაკეთოთ? შენ იცი, რა ვაკეთოთ? მე? არა, არ ვიცი. იქნებ შენ იცი? მე? საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. კი მაგრამ, როგორ? როგორ მივიყვანოთ საქმე ბოლომდე? დიახაც, ესაა პრობლემა. ყველანი თანხმდებიან იმაზე, რომ ესაა რთული საკითხი, რომელზედაც მსჯელობა აუცილებელია. უჰაერო, ბოლით სავსე დარბაზი. კარგი და ცუდი მოხსენებები, ზოგიერთი ნამდვილად მშვენიერი. ასეთი მოხსენების მოსმენის შემდეგ ყველა კმაყოფილი გამოიყურება – მათ ხომ რაღაც ისეთში, რაც ნამდვილად იდეალური და ღირსეული იყო, მონაწილეობა მიიღეს.

ამ კომიტეტების საქმიანობამ ისე დამაინტერესა, რომ ერთ-ერთ მათგანში დავჯექი იმ მიზეზით, რომ ვითომ აქ ვიღაცას ველოდებოდი. ვაკვირდებოდი, როგორ აგვარებდნენ მომსვლელთა თუნდაც უმნიშვნელო საქმეებს. ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ხომ საქმეების მოგვარებაზეა დაფუძნებული, ხოლო პროგრესის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანთა საქმეები კარგად და სამართლიანად მოვაგვაროთ, რათა ისინი კმაყოფილები დარჩნენ.

მალე ოთახში ერთი ქალი შემოვიდა და რაღაც ცნობა მოითხოვა. კომიტეტის ის წევრი, რომელსაც ეს საქმე ეხებოდა, კამათში იყო ჩაბმული. ქალი იცდიდა. ხალხს აქ ლოდინის საოცარი უნარი აქვთ, მათ შეუძლიათ ქვად იქცნენ და ასე მდუმარედ

იდგნენ უსასრულოდ. ბოლოს ის კაცი მოვიდა და მათ საუბარი დაიწყეს. კაცი ეკითხებოდა, ქალი პასუხობდა. ქალი ეკითხებოდა, კაცი პასუხობდა. ბოლოს რაღაცაზე შეთანხმდნენ და ქაღალდს დაუწყეს ძებნა. მაგიდაზე უამრავი ქაღალდი იდო, მაგრამ ამ მიზნისათვის არც ერთი არ გამოდგებოდა. უცებ კაცი გაქრა, ალბათ ქაღალდის მოსაძებნად, თუმცა არც ისაა გასაკვირი, რომ გვერდით ოთახში ჩაის დასალევად შესულიყო (ძალზე ცხელოდა). ქალი წყნარად ელოდებოდა. კაცი დაბრუნდა, ტუჩებს კმაყოფილი ილოკავდა (ნამდვილად ჩაი დალია), თუმცა ქაღალდიც მოიტანა. ახლა დაიწყო ყველაზე დრამატული ნაწილი – კალმის ძებნა. არსად არ ჩანდა კალამი – არც მაგიდაზე, არც უჯრებში, არც იატაკზე. ჩემი კალამი გავუწოდე. ქალმა შვებით ამოისუნთქა, კაცმა გაიღიმა და დასაწერად დაჯდა. როდესაც წერა დაიწყო, გამოირკვა, რომ კარგად აღარც ახსოვდა, თუ რა ცნობა სჭირდებოდა ქალს. დაიწყეს საუბარი, კაცი თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა. ბოლოს დოკუმენტი მომზადდა. მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირის ხელის მოწერა აკლდა. მაგრამ ეს უკანასკნელი ადგილზე არ აღმოჩნდა. ის სხვა კომიტეტში კამათობდა. მასთან დაკავშირება ძნელი აღმოჩნდა, რადგან ტელეფონზე არ პასუხობდა. მის მოსვლამდე ქალს უნდა დაეცადა. იგი კვლავ ქვად იქცა და ლოდინი დაიწყო. ეს კაციც კვლავ სადღაც გაქრა. მეც დავტოვე ოთახი და ჩაის დასალევად წავედი. ეს კაცი ისწავლის ცნობების დაწერასაც და კიდევ მრავალ სხვა საქმესაც. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მოხდება გადატრიალება, იგი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ – გადადგება, მის ადგილს სხვა დაიკავებს, ისიც დაიწყებს კალმისა და ქაღალდის ძებნას. იგივე ან სხვა ქალი ქვად ქცეული ლოდინს დაუწყებს. ვიღაც თავის კალამს ათხოვებს, ყველანი კამათში იქნებიან ჩართულნი. ეს ყველანი კვლავ დაიწყებენ მოჯადოებულ და უიმედო წრეზე ტრიალს. ვინ შექმნა ეს წრე? ირანში ის შაჰმა შექმნა. ის ფიქრობდა, რომ ქვეყნის გათანამედროვეობის გასაღებს ქალაქი და მრეწველობა წარმოადგენს, მაშინ, როდესაც სინამდვილეში მისი წინსვლის გასაღები სოფელში ძევს. შაჰი ძალიან გაიტაცა ატომურმა ელექტროსადგურებმა, კომპიუტერების საშუალებით მომუშავე ტექნოლოგიურმა ხაზებმა და დიდმა ნავთობქიმიამ. მაგრამ ჩამორჩენილ ქვეყანაში ეს ყოველივე თანამედროვეობის ბუტაფორიას წარმოადგენს და მეტს არაფერს.

ასეთ ქვეყნებში მოსახლეობის უმეტესობა ღარიბ სოფლებში ცხოვრობს, რომელსაც ტოვებს და ქალაქში მირბის. ისინი ქმნიან ახალგაზრდა, ენერგიულ ძალას, რომელთაც ცოტა შეუძლიათ (ესენი ძირითადად უკვალიფიკაციო, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხია), მაგრამ დიდი ამბიცია აქვთ და მზად არიან ყველაფრისათვის იბრძოლონ. ქალაქში უკვე არსებულ სტრუქტურას ნახულობენ, რომელიც ასე თუ ისე ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ისინი თავდაპირველად ვითარებაში ერკვევიან, ცოტა მოშინაურდებიან, დაიკავებენ საწყის მდგომარეობას და – იერიშზე გადადიან. ბრძოლისათვის იყენებენ იმ იდეოლოგიას, რომელიც თავიანთი სოფლიდან ჩამოიტანეს – როგორც წესი, ეს რელიგიაა. ვინაიდან ეს ადამიანები წარმოადგენენ ძალას, რომელიც ნამდვილად იმსახურებს ცხოვრებაში წინსვლას, ხშირად წარმატებას აღწევენ კიდეც - ძალაუფლება მათ ხელში გადადის. მაგრამ რაში უნდა მოიხმარონ ის? იწყება კამათი, შედიან გამოუვალ მდგომარეობაში, ლაბირინთებში. ხალხი როგორღაც ცხოვრობს და როგორღაც არსებობს, სხვა რა გზა აქვთ, მაგრამ ეს ახალი ხელისუფლება თანდათან უკეთესად ცხოვრობს. ამასთან, გარკვეული დროის განმავლობაში წყნარად, უშფოთველადაც არის. მათი შემცვლელები ჯერ კიდევ მინდორში დარბიან, აქლემებს

დასდევენ და ცხვრის ფარას მწყემსავენ. მაგრამ მალე გაიზრდებიან, ისინიც ქალაქში წამოვლენ და ხელისუფლებას ბრძოლას დაუწყებენ.

რა არის ამაში ყველაზე მნიშვნელოვანი? ის, რომ იმ ახლებს უფრო მეტი ამბიცია შემოაქვთ თავიანთ ბრძოლაში, ვიდრე ცოდნა. შედეგად ყოველი გადატრიალებისას, ქვეყანა, როგორღაც ამოსავალ მდგომარეობას უბრუნდება, ნულიდან იწყებს ცხოვრებას, ვინაიდან გამარჯვებულმა თაობამ თავიდან უნდა ისწავლოს ის ყველაფერი, რისი სწავლაც ასე დიდ ჯაფად დაუჯდა იმ თაობას, რომელიც მან სავარძლებიდან ჩამოყარა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი, ვინც მათ შეცვალეს, სამართლიანები და გონიერები იყვნენ? სრულიადაც არა. წინა თაობის გენეზისი ანალოგიური იყო იმათი წარმომავლობისა, რომლებიც ახლა მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში. რა გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან? მხოლოდ სოფლის განვითარება. მანამდე, ვიდრე სოფელი ჩამორჩენილი იქნება, ვერც ქვეყანა განვითარდება, თუნდაც იქ ათასობით ქარხანა ააშენო. მანამდე, სანამ ქალაქში გადასახლებული შვილი მშობლიურ სოფელს, როგორც ეგზოტიკურ მხარეს, ისე მოინახულებს, მანამდე მისი მშობელი ხალხი თანამედროვე ვერ გახდება. კომიტეტებში მიმდინარე დისკუსიებზე, – ყველა თანხმდება იმაში, რომ ჯერ აუცილებელია შური ვიძიოთ, ჯავრი ვიყაროთ. ამიტომ იწყება დასჯების მთელი სერია. ამისაგან გარკვეულ სიამოვნებას ღებულობენ. გაზეთების პირველ გვერდზე ათავსებენ სურათს თვალებაკრული ადამიანის და გლეხებისას, რომლებიც მას კოცნიან. დიდ ხანს და დეტალებში აღწერენ მთელ ამ შემთხვევას. რა თქვა სიკვდილმისჯილმა სასჯელის აღსრულების წინ, როგორ იქცეოდა, რა დაწერა თავის ბოლო წერილში. ევროპაში ამ დასჯებმა ხალხის უდიდესი წყრომა გამოიწვია. მაგრამ ვის ესმოდა აქ ევროპელთა გულისწყრომა? მათთვის შურისძიების პრინციპი ისევე ძველი იყო, როგორც სამყარო და მისი საწყისი შორეულ წარსულში იკარგებოდა. შაჰი მართავდა ქვეყანას, შემდეგ მას თავი წააჭრეს, მოვიდა შემდეგი, ამათ მოკვეთა თავები და ა. შ. აბა, სხვანაირად როგორ უნდა გათავისუფლებულიყვნენ შაჰისგან. დაეტოვებინათ იგი ან მისი ხალხი ცოცხლები? მაშინ ისინი შექმნიდნენ ჯარს და ხელისუფლებისათვის ბრძოლას დაიწყებდნენ. ციხეში ჩაესვათ? მოისყიდდნენ დარაჯებს, გამოვიდოდნენ გარეთ და დასჯიდნენ მათ, ვინც ისინი თანამდებობიდან გამოყარა. ასეთ სიტუაციაში სიკვდილით დასჯა თავის გადარჩენის ყველაზე უმარტივესი გზაა. ჩვენ ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც სამართალი გაგებულია, არა როგორც ადამიანის დაცვის საშუალება, არამედ, როგორც მოწინააღმდეგის განადგურების ინსტრუმენტი. ჰო, რა თქმა უნდა, ეს საშინლად ჟღერს, არის მასში რაღაც კოშმარული დაუნდობლობა, მაგრამ რას იზამ?

აიათოლა ხალკალი ჩვენ, ჟურნალისტების ჯგუფს, მოგვიყვა, თუ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჰოვეიდის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის შემდეგ, როგორ დაეჭვდა იმ სამხედრო ჯგუფის ნდობაში, რომელსაც მისთვის განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანა. ეშინოდა, რომ მათ ყოფილი პრემიერი არ გაეშვათ. ამიტომ ჰოვეიდი ავტომანქანაში ჩაისვა. ღამე იყო. ხალკალიმ გვითხრა, რომ ერთმანეთში საუბრობდნენ, ოღონდ არ უთქვამს - რაზე. არ ეშინოდა, რომ გაქცეოდა? არა, არაფერი ამის მსგავსი მას გონებაში არ მოსვლია. დრო გადიოდა, ხალკალი ფიქრობდა, თუ ვის ნდობოდა და ვისთვის ჩაებარებინა ჰოვეიდი დასასჯელად, ,,ნდობოდა", ანუ ისეთი ხალხისათვის დაეტოვებინა, ვინც განაჩენს აუცილებლად სისრულეში მოიყვანდა. ბოლოს გაახსენდა,

რომ ასეთი ხალხი ერთ-ერთ კომიტეტში ეგულებოდა, ბაზართან ახლოს. მართლაც ჰოვეიდი მათთან მიიყვანა და დაუტოვა

ძალიან მსურს ამ ხალხის გაგება, მაგრამ ამასობაში ვაწყდები შავ სფეროს, სივრცეს, რომელშიც გზა მებნევა და ვერ გავრკვეულვარ. მათ სხვანაირი დამოკიდებულება აქვთ სიცოცხლე-სიკვდილისადმი, სხვაგვარად რეაგირებენ სისხლზე, რომლის დანახვა მათში უდიდეს შინაგან მღელვარებას იწვევს, ისინი თითქოს მოიხიბლნენო, თითქოს ერთგვარ ტრანსში ვარდებიან, უფრო სხვანაირად, აღგზნებულად იქცევიან, ყვირილს, უცნაურ მოძრაობას იწყებენ.

ერთხელ ჩემს სასტუმროსთან ახლოს მდებარე რესტორნის მფლობელმა სალონიდან თავისი ახლად გამოყვანილი, მშვენიერი, ოქროსფერი ,,Pontiac" გააჩერა. იმწამსვე ხალხი შემოეხვია, ახლო-მახლო ქუჩების ეზოებში დაერივნენ ქათმის დედლებს და რამდენიმე დაკლეს. შემდეგ მათი სისხლით ჯერ ერთმანეთი გაწუწეს, ხოლო ბოლოს მანქანის ძარა სისხლით ისე შეღებეს, რომ ეს ოქროსფერი ავტომაქანა უკვე წითლად გამოიყურებოდა. ეს, მათი გაგებით, ,,Pontiac"-ის მონათვლა, ,,დასველება" იყო. ირანელები ერთმანეთს ასწრებენ, რომ იქ, სადაც სისხლია, ხელი დაისველონ. ვერავინ ვერ ამიხსნა, თუ რისთვისაა ეს საჭირო.

კვირაში რამდენიმე საათის განმავლობაში აქ უჩვეულო წესრიგი ისადგურებს. ეს ხდება პარასკევს, ერთობლივი ლოცვის დროს. დილით ადრე დიდ მოედანზე მოდის პირველი, ყველაზე მგზნებარე მორწმუნე მაჰმადიანი, გაშლის ხალიჩას და დაიწყებს ლოცვას. შემდეგ მოდის მეორე და თუმცა მოედანი ცარიელია, ისიც მის გვერდით გაიშლის ხალიჩას. შემდეგ მოდიან და მოდიან მლოცველები. ათასობით, ათიათასობით მლოცველი გროვდება აქ. შლიან ხალიჩებს და მუხლებზე დგებიან. ჩამუხლულები, სწორ რიგებად, მდუმარენი, სახით მექისაკენ. დაახლოებით შუადღისით, პარასკევის ლოცვის წამყვანი იწყებს. ყველა დგება და თაყვანისცემის ნიშნად შვიდჯერ თავს ძირს, მუხლებამდე ხრის, შემდეგ სწორდებიან და კვლავ მუხლებზე ეცემიან, კვლავ სახეს მიწას ახებენ. სრულყოფილი, აუმღვრეველი რიტმი მილიონობით ადამიანის სხეულისა ძალიან ძნელი აღსაწერია და ჩემთვის – ცოტა საშიშიც. საბედნიეროდ, როდესაც ლოცვა მთავრდება, მწყობრი რიგები მაშინვე იშლება, იწყება ყაყანი, ხმაური და მყარდება ერთობ სასიამოვნო, თავისუფალი ატმოსფერო.

მალე რევოლუციის ბანაკში ურთიერთშორის კამათი დაიწყო. ყველანი შაჰის წინააღმდეგნი იყვნენ, მისი გადაგდება სურდათ, მაგრამ მომავალი მათ ყველას სხვადასხვანაირად წარმოედგინათ. ხალხის ნაწილს სჯეროდა, რომ ქვეყანაში ისეთი დემოკრატია დამყარდებოდა, როგორსაც ისინი იცნობდნენ შვეიცარიაში და საფრანგეთში ყოფნის დროს. მაგრამ შაჰის გაქცევის შემდეგ ზუსტად ამ ხალხმა წააგო პირველმა ბრძოლა. ეს იყო ინტელიგენტი ხალხი, გონიერები, მაგრამ სუსტები. ისინი მალევე მოექცნენ პარადოქსულ სიტუაციაში – დემოკრატია არ შეიძლება ძალით დაამყარო, დემოკრატიული სისტემის აშენება მოსახლეობის უმრავლესობის ნება-სურვილი უნდა იყოს, მაგრამ უმრავლესობას სურდა ის, რასაც ჰომეინი მოითხოვდა – ისლამური რესპუბლიკა. ლიბერალების ბრძოლის ველიდან გასვლის შემდეგ ასპარეზზე დარჩნენ ისინი, ვინც რესპუბლიკის დამყარებას უჭერდა მხარს. მაგრამ მალე მათ შორისაც დაიყო ბრძოლა. ამ ბრძოლაში მაგარმა, კონსერვატიულმა ხაზმა

თანდათან უპირატესობა მოიპოვა ლიბერალურ და გამჭვირვალობის მომხრე ხაზთან დაპირისპირებაში. მე, როგორც ერთი, ისე მეორე ხაზის წარმომადგენლებს შორის მყავდა ნაცნობები, და რამდენჯერაც არ დავფიქრებულვარ მათზე, რომელთა მიმართაც სიმპათიები გამაჩნდა, ყოველთვის პესიმიზმი მიპყრობდა.

სინათლისა და გამჭვირვალობის მომხრე ხაზის ლიდერი იყო ბანი სადრი, გამხდარი, წელში ოდნავ მოხრილი კაცი, სულ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი დადიოდა, გამუდმებით ვიღაცას რაღაცაში არწმუნებდა, სულ ერთთავად კამათობდა, ათასი აზრი მოსდიოდა თავში, ბევრი ლაპარაკი უყვარდა, წერდა წიგნებს რთული, გაუგებარი ენით. ასეთ ქვეყნებში ინტელიგენტი პოლიტიკაში, როგორც ჩანს, ვერ არის მაინც და მაინც თავის ადგილზე. ინტელიგენტს მეტისმეტად მდიდარი ფანტაზია აქვს, დაბნეულია, სულიერ გაორებას განიცდის, აქეთ-იქით აწყდება. რა ხეირია წინამძღოლისაგან, რომელმაც თავადაც არ იცის, თუ რომელი გზა აირჩიოს?

ბეჰეში (მტკიცე ხაზის ლიდერი) ასე არასოდეს არ იქცეოდა. შეკრებდა თავის ხალხს და კარნახობდა, რა და როგორ ეკეთებინათ. ყველა მისი მადლიერი იყო, რადგან იცოდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, საით წასულიყვნენ. ბენეშს მხარს შიიტები უჭერდნენ, ბანი სადრს – მეგობრები და თანამოაზრეები. ბანი სადრის მხარდამჭერთ ინტელიგენიცია, სტუდენტები, მოჯაჰედინები წარმოადგენდნენ, ბეჰეშისას – მოლების ერთ დაძახილზე ყველაფერზე წამსვლელი ბრბო. ცხადი იყო, რომ ბანი სადრი ამ ბრძოლას წააგებდა. თუმცა, ბოლოს, ბეჰეშსაც წასწვდა კეთილისმყოფელისა და ყოვლადლმობიერის ხელი.

ქუჩებში მებრძოლები გამოჩნდნენ. ეს იყო ჯანიანი ახალგაზრდების ჯგუფი, რომელთაც შარვლის უკანა ჯიბეში დანები ჰქონდათ გარჭობილი. ისინი თავს დაესხნენ სტუდენტებს, სასწრაფო დახმარების მანქანამ დაჭრილი გოგონა წაიყვანა საავადმყოფოში. დაიწყო მანიფესტაციები, ბრბო მუშტით ვიღაცას ემუქრებოდა. კი, მაგრამ, ახლა მაინც ვის ემუქრებიან? იმ ადამიანს, ვინც წიგნებს რთული, გაუგებარი ენით წერს. მილიონობით ადამიანი სამუშაოს ვერ პოულობდა, გლეხები მიწურებში ცხოვრობდნენ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? ბეჰეშის ხალხი სრულიად სხვა რამით იყო დაკავებულნი – ის კონტრრევოლუციას ებრძოდა. დიახ, მათ ბოლოს იცოდნენ, რა გაეკეთებინათ, რა ეთქვათ. საჭმელი არა გაქვს? არ იცით, თავი სად შეაფაროთ? ჩვენ დაგანახვებთ მას, ვისი ბრალიცაა ეს ყველაფერი. ესაა კონტრრევოლუციონერი. ვიდრე მას არ გაანადგურებთ, მანამდე ადამიანურად ვერ დაიწყებთ ცხოვრებას. კი მაგრამ, რანაირი კონტრრევოლუციონერი ისაა, ჩვენ ხომ ჯერ კიდევ გუშინ ერთად ვიბრძოდით შაჰის ჩამოსაგდებად?! ეგ გუშინ იყო, მაგრამ დღეს ის შენი მტერია. და გაავებულ ბრბოსაც მეტი რა უნდოდა, მათ უსმენდა, უჯერებდა და ამ ადამიანის წინააღმდეგ თავდასხმაზე ისე გადადიოდა, რომ მაინც და მაინც თავს არ იტკივებდა იმაზე ფიქრით, იგი ნამდვილი მტერი იყო, თუ არა.

მაგრამ ამაში ბრბოს დადანაშაულება ნამდვილად არ შეიძლება, ვინაიდან მათ, მართლაც უკეთესი ცხოვრება სურთ და დიდი ხანია ამისკენ ისწრაფიან კიდეც. არ იციან და ვერ იგებენ, რომ მსოფლიოში მიუხედავად გამუდმებული ჩავარდნებისა, მსხვერპლისა და ბევრ რამეზე უარის თქმისა, უკეთესი ცხოვრება კვლავაც ცხრა მთის იქითაა.

ბევრი ჩემი მეგობარი მეტად დათგრუნვილი გამოიყურებოდა. მათი თქმით, ქვეყანას კატაკლიზმები ემუქრებოდა. როგორც ყოველთვის, როდესაც მძიმე დრო დგება,

ინტელიგენტები, ძალასა და რწმენას კარგავდნენ რა უნდა ეკეთებინათ. დაბნეულები და დაშინებულები ჩანდნენ. მათ, რომლებიც ადრე ერთ დემონსტრაციას არ გამოტოვებდნენ, რომ აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ, ახლა ბრბოს ახლოს გაკარებაც კი ეშინოდათ. მათთან საუბრისას შაჰზე ვფიქრობდი. შაჰი მთელ მსოფლიოში მოგზაურობდა. ხანდახან მისი პორტრეტი გაზეთშიც დაიბეჭდებოდა ხოლმე, იგი თანდათან გახდა. სიკვდილამდე იმედი ჰქონდა, რომ ირანში დაბრუნდებოდა. თავად მართალია ვერ დაბრუნდა, მაგრამ ბევრი რამ იქიდან, რაც მან გააკეთა - დარჩა. დესპოტი წავიდა, მაგრამ არც ერთი დიქტატურა არ დასრულებულა. ამ უკანასკნელის არსებობის პირობა ბრბოს სიბნელე, მისი გაუნათლებლობა იყო. ამიტომ ცდილობენ დიქტატორები, რომ რაც შეიძლება დიდხანს ამყოფონ ხალხი სიბნელეში. საჭიროა მთელი თაობების შეცვლა, რათა მდგომარეობა გამოსწორდეს, ხალხში სინათლე გაბატონდეს. ვიდრე ეს არ მოხდება, ხშირად ვინც დიქტატორი შეცვალა, თავისდა უნებურად ზუსტად ისე იქცევიან და იმისი ,,ღირსეული" მემკვიდრე ხდებიან, ვისაც ასე სასტიკად ებრძოდნენ. ისინი თავიანთი პოზიციითა და აზროვნების წესით აგრძელებენ იმ ეპოქას, რომელიც თავად გაანადგურეს. ეს მათი მხრიდან იმდენად გაუცნობიერებლად ხდება, რომ მათთან ამის შესახებ სიტყვაც რომ დაგცდეს, ძალიან გაანაწყენებ. მაგრამ განა შეიძლება ყველაფერში შაჰი დაადანაშაულო? იგი გარკვეული ტრადიციების, დამკვიდრებული წეს-ჩვეულებების ფარგლებში მოქმედებდა, იმ ტრადიციების და წეს-ჩვეულებების, რომლებიც ათასწლეულების განმავლობაში არსებობდა. ძალიან ძნელია ასეთი საზღვრების გადალახვა, ძნელია წარსულის შეცვლა. განწყობილების გამოსაკეთებლად და დროის საინტერესოდ გასატარებლად ფირდიუსის ქუჩაზე მივდივარ, სადაც ბატონი ფირდიუსი სპარსული ხალიჩებით ვაჭრობს. მან მთელი ცხოვრება სილამაზესთან და ხელოვნებასთან ურთიერთობაში გაატარა და გარშემო მყოფ რეალურ სამყაროს ისე უყურებს, როგორც არც თუ ისე ხარისხიან ფილმს სოფლის კინოთეატრში.

- ყველაფერი გემოვნების საკითხია, ჩემო ბატონო, – მეუბნება იგი, – ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ გემოვნება უნდა გქონდეს. ჩვენი სამყარო ნამდვილად უკეთესად გამოიყურებოდა, იქნებოდა, ხალხის უმრავლესობა ამ მხრივ უფრო დახვეწილი რომ იყოს. ყველაფერი საშინელება (მე ამას სწორედ ასე ვუწოდებ), ისეთები, როგორიცაა სიცრუე, ღალატი, დანაშაული, დაბეზღება, საბოლოოდ ერთ მნიშვნელამდე დადის – ასეთ რამეს მხოლოდ უგემოვნო ადამიანები სჩადიან. მათ სწამთ, რომ ხალხი ყველაფერს გადაიტანს. მშვენიერებას ვერაფერი გაანადგურებს. უნდა გახსოვდეთ, ჩემო ბატონო, _ მეუბნება და თან მორიგ ხალიჩას შლის (რომელსაც, ვიცი, რომ არ ვიყიდი, მაგრამ მინდა კიდევ ერთხელ დავატკბო თვალი მისი თვალიერებით), რომ ის, რამაც ჩვენ შეგვაძლებინა სპარსელებად დარჩენა 25 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ის, რამაც შეგვაძლებინა საკუთარი ორიგინალურობის შენარჩუნება, ათასგვარი მომხდურისათვის გაძლება, იყო ჩვენი სულიერი და არა მატერიალური სიმტკიცე, ჩვენი პოეზია და არა ტექნიკა, ჩვენი რელიგია და არა ფაბრიკები.

ჩვენ რაღა მივეცით სამყაროს? ჩვენ მივეცით პოეზია, მინიატურები და ხალიჩა. როგორც თქვენ ხედავთ, ჩემო ბატონო, ძალზე უსარგებლო საგნებია მოხმარების თვალსაზრისით, მაგრამ სწორედ ამით გამოვხატავდით ჩვენს მეობას. მსოფლიოს მივეცით ეს სასწაულებრივი, განუმეორებელი უსარგებლო ნივთები, რომლებიც არ

აიოლებს ცხოვრებას, სამაგიეროდ ალამაზებს და ამკობს მას, თუკი საერთოდ აზრი აქვს ასეთი განსხვავებების გაკეთებას. თქვენ ხალიჩას გადამწვარ-გადახრუკულ უდაბნოში შლით, მასზე ჯდებით და თავს ისე გრძობთ, თითქოს მწვანე, ხასხასა ტყეში იყოთ. დიახ, ჩვენი ხალიჩები ყვავილოვან მინდვრებს მოგვაგონებს. თქვენ ხედავთ ყვავილებს, ხედავთ ბაღჩა-ბაღებს, ტბებსა და შადრევნებს, ბუჩქებს შორის ფარშევანგები დაგოგმანობენ. ხალიჩა კი უკვდავი რამაა, კარგი ხალიჩა დიდხანს ძლებს, საუკუნოობით ინარჩუნებს თავის ხასხასა ფერებს. ამგვარად, თუმცა ცხოვრობთ ტიტველსა და მონოტონურ უდაბნოში, მაგრამ თავს ისე გრძნობთ, თითქოს ლამაზ პარკში იყოთ, რომელიც მუდმივია, უკვდავია, რომელიც არ კარგავს ფერებს და არც სიხასხასეს. თქვენ კიდევ იმის წარმოდგენა შეგიძლიათ, რომ ბაღი სასიამოვნო სურნელსაც გამოსცემს, შეგიძლიათ წყაროების რაკრაკიცა და ჩიტების გალობაც მოისმინოთ. და მაშინ თქვენ თავს აუცილებლად ლაღად, კარგად, ცაში ამაღლებულად, რომანტიულად იგრძნობთ.

ბროწეული სპარსულად

წიგნის თარგმნა დასრულებული არ გვქონდა, რომ პოლონური გაზეთის ,,Gazeta Wyborcza"-ს ლიტერატურულ დამატებაში სპარს მწერალ ქალ მარში მექრანთან ინტერვიუ დაიბეჭდა. ქალბატონი მარში თავისი წიგნის ,,წვნიანი ბროწეულით" პოლონურ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებით ვარშავაში იყო ჩამოსული. რამდენადაც ინტერვიუ იმ თემის გარკვეულ ლოგიკურ გაგრძელებად მოგვეჩვენა, რომელზეც ,,შაჰინშაჰშია" საუბარი, გადავწვიტეთ მისი მკითხველისათვის გაცნობა. ვფიქრობთ, ეს ინტერვიუ კიდევ უფრო შეავსებს ირანზე ჩვენს წარმოდგენას.

კორესპონდენტი: ყველა ირანელი ქალი ასე ლამაზია, როგორც თქვენ?

მარში მექრანი: რა უცნაური შეკითხვაა.

კორესპონდენტი: არა, ღმერთმა დამიფაროს, კომპლიმენტს არ გეუბნებით, ვიცი, რომ ემანსიპირებულ ამერიკაში ასეთი რამ აკრძალულია. თქვენ პირველი ირანელი ქალბატონი ბრძანდებით, რომელსაც ასე პირისპირ ვესაუბრები. აქამდე ისინი მხოლოდ ტელევიზორში მენახა თეირანში გამართული დემონსტრაციების დროს, როდესაც ჩადრით დაბურული აღგზნებული ქალები მუქარას უთვლიდნენ ისრაელსა თუ ამერიკას.

მარში მექრანი: დიახ, ირანელი ქალები მართლაც ლამაზები არიან (ჟურნალის გარეკანზე გამოსახულია თავად ამ მართლაც უაღრესად მომხიბლავი ქალბატონის პორტრეტი – ა.გ.). ერთ-ერთი ულამაზესი ირანელი ქალბატონი, მსახიობ შორეჰ აჰდალშუ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ფილმში - ,,ქვიშისა და ნისლის სახლი".

ირანული კულტურა, ის კულტურა, რომელიც ორ სფეროდაა გაყოფილი: პირად და საზოგადოებრივად. სახლის კედლებს შიგნით ყველაფერი შესაძლებელია: ჩადრების ქვეშ თანამედროვე მორთულობა იმალება, ხოლო საღამოობით ოჯახებში მხიარული წვეულებები ალკოჰოლის, სექსისა და მუსიკის თანხლებით იმართება. ირანი – ესაა სარკე, რომელშიც გარე სამყარო სხვადასხვა სახით აირეკლება და ძნელი გასარკვევია, თუ რომელია რეალურია.

კორესპონდენტი: როგორ გრძნობენ ირანელები თავს შეერთებულ შტატებში? თქვენ თავად სად ცხოვრობთ?

მარში მექრანი: ლოს-ანჟელესში, ისევე, როგორც საერთოდ კალიფორნიაში, ადამიანისათვის უმთავრესი. ირანელებიც ამ მოდას აჰყვნენ და უაღრესად თანამედროვე ტანსაცმელს იცვამენ და საუკეთესო ავტომანქანებით დადიან. მე ჩემს სპარს თანატოლებთან ერთად ვიზრდებოდი, თავდაპირველად ბუენოს-აირესში, შემდეგ – მაიამში. უცხოეთში სპარსელთა ცხოვრება, მუშაობასთან ერთად, ცეკვის, გართობის, ერთმანეთთან ჭორაობის, კარგი სადილისა და წარსულის, შაჰის დროინდელი თეირანის გახსენებებისაგან შედგება. მაშინ ხომ უამრავი ღამის კლუბი იყო და იქ თავისუფლად შეიძლებოდა შესვლა.

კორესპონდენტი: ირანი როდის დატოვეთ?

მარში მექრანი: ორი წლისაც არ ვიყავი, როდესაც ჩემი მშობლებმა ირანის რევოლუციის დროს სამშობლო მიატოვეს.

კორესპონდენტი: თქვენს წიგნში რევოლუციაზეცაა მსჯელობა. კერძოდ, წერთ ერთ ირანელ ქალზე, რომელმაც ჯერ თავშალი მოიხურა და ჩადრში შეიბურა, ხოლო შემდეგ, ნაბიჯ-ნაბიჯ, ფანატიურად მორწმუნე ქალთა რიგებში ჩადგა და ყოველთვიურ კონფერენციებში მონაწილეობდა, რომლებზედაც მსჯელობის საგანი იყო რა სიგრძე უნდა ჰქონოდა ჩადრს და ასევე, ქმართან სავალდებულო სექსუალური ურთიერთობის დროს როგორ უნდა აერიდებინა ქალს თავი სიამოვნების მიღებისაგან.

მარში მექრანი: ჰომეინის დროს ათასგვარი უცნაური წესები იყო ირანში შემოღებული. მაგალითად, ,,მუტ"-ა, ანუ ცოლ-ქმრობა ერთი დღე-ღამის განმავლობაში, რომელიც ფაქტიურად პროსტიტუციის ლეგალიზებული ფორმაა და მეტი არაფერი. ბოზი ქალი კლიენტთან ერთად მოლასთან, სასულიერო პირთან მიდის და ისიც, გარკვეულ საფასურად ერთი ღამის განმავლობაში მათ ქორწინებას უფორმებს.

კორესპონდენტი: მშობლები თქვენ მორწმუნედ გზრდიდნენ?

მარში მექრანი: ჩვენ ბაჰაის აღმსარებლები ვართ. ირანში ესაა უმცირესობის რელიგია, რომლის მიმდევრებიც მეორეხარისხოვან ადამიანებად მიაჩნიათ. მათთვის ძნელია მაგალითად, სამუშაოს პოვნა. მაგრამ არგენტინაში ჩასვლის შემდეგ მე მზრდიდნენ ხელოვნების, მეცნიერების, ინტელექტის სიყვარულით და არა - რელიგიურად.

მამაჩემმა ირანი გასულ წელიწადს, დატოვებიდან 26 წლის შემდეგ მოინახულა, დედას კი იქ წასვლის ხსენებაც არ უნდა. არ სურს, ეშინია მტკივნეული გახსენებები აეფუტკნოს სულში. მეც, თავს ირანელად ვგრძნობ, მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს იქ წასვლის. სამაგიეროდ, მიყვარს სპარსეთის ისტორიის, პოეზიის კითხვა, სპარსული არქიტექტურის გაცნობა, სპარსული სადილების მომზადება.

კორესპონდენტი: მართლაც – სადილები. ეს თქვენი წიგნის - ,,წვნიანი - ბროწეულით" უმთავრესი თემაა. მაგრამ თქვენს შემხედვარეს რაღაც არ ეტყობა, რომ...

მარში მექრანი: რომ დიდი გურმანი ვიყო, არა? ექვსი თვის განმავლობაში 20 ფუნტი მოვიმატე (დაახლოებით 8 კილოგრამი). ვიჯექი და დღე და ღამე ამ წიგნს ვწერდი, სამზარეულო კი იქვე იყო. მე ხომ, ვიდრე კერძებს აღვწერდი, ჯერ უნდა გამესინჯა, ამიტომ მთელი მაცივარი ჩემს მიერ მომზადებული საჭმელებით მქონდა სავსე.

კორესპონდენტი: რატომაა წიგნში ძირითადად კერძებზე, სანელებლებზე, მათი წარმოშობის ისტორიაზე საუბარი?

მარში მექრანი: ეს ჩემი ბიოგრაფიის შედეგია. ჩვენს ოჯახს ბუენოს აირესში რესტორანი გვქონდა. ეს ერთგვარი პატარა ოაზისი იყო სამშობლო მონატრებული ირანელი ემიგრანტებისათვის, რომელთაც, სამუშაოს დასრულების შემდეგ სად წასულიყვნენ, არ იცოდნენ. მე დავდიოდი ... შოტლანდიურ სკოლაში, მეცვა შოტლანდიური კაბა, ანუ გამოდის, რომ რაღაც კელტურიცა მაქვს.

გაკვეთილების შემდეგ გავრბოდი ჩვენს რესტორანში, მესმოდა სპარსული საუბარი, საჭმელებს გემოს ვუსინჯავდი. შემდეგ დავიწყე იმ საჭმელებისა და სანელებლების ისტორიის გაცნობა, რომლებიც ახლო აღმოსავლეთიდან დასავლეთში ჩამოიტანეს. ისეთი სიტყვაც კი, როგორიცაა ორანჯე, ფორთოხალი, სპარსულად ნარანგია, ხოლო ლემონ –სპარსულად – ლიმონი. ამას დავუმატოთ სპარსული ბროწეული, ბაზილიკა ანუ შაფრანი და ა. შ. ამიტომ გადავწყვიტე ამ ყველაფრის წიგნში აღწერა.

სადილი ჩემთვის გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ საჭმელის მიღების პროცესი. მთელი ჩვენი ოჯახი რამდენიმე საათით მივუსხდებოდით ხოლმე მაგიდას, ვსაუბრობდით, ერთად ვიყავით.

თუ კარგი დღე იყო, გავდიოდით ჩვენი არგენტინული სახლის სახურავზე, სადაც დედა ,,ათას ერთი ღამის" ზღაპრებს მიყვებოდა. საჭმელი ულამაზეს ხალიჩაზე იყო გაშლილი, შემდეგ სამოვარიდან ჩაის ვსვამდით და ტკბილეულს ვაყოლებდით.

კორესპონდენტი: ადრე თუ იცნობდი წიგნში აღწერილ კერძებს?

მარში მექრანი: ზოგიერთს ბავშვობიდან ვიცნობდი. ხშირად ვჭამდით აბგუშტს ანუ ბატკნის გულიაშს, ბაკლაწę თუ ბრინჯს. მაგრამ ,,წვნიანი ბროწეულით" ეს ისეთი დელიკატესია, რომელიც წელიწადში ორ-სამჯერ თუ შეიძლება გააკეთო, რაღაც განსაკუთრებულ დღესთან დაკავშირებით. ამიტომ მისი დამზადების წესი სპეციალურად უნდა შემესწავლა.

კორესპონდენტი:: ამას იმიტომ გეკითხებით, რომ დღევანდელი ქალები ცდილობენ, რაც შეიძლება თავი აარიდონ სამზარეულოში ტრიალს.

მარში მექრანი: მე ამას არ მივესალმები. სამზარეულოში ფუსფუსის მოდა უკან ბრუნდება. მის მომასწავლებელია თუნდაც სამზარეულოს ინგლისელი ჯადოქრის ნეგელ ლაუსონის ამ ბოლო დროს გამოსული წიგნიც: ,,Domestic Godes" (,,ოჯახის ღმერთები"), მასვე მიჰყავს სატელევიიზიო გადაცემა ამ თემაზე.

კორესპონდენტი: ირლანდიის სამზარეულო როგორღა მოგწონს? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ თქვენი წიგნის ავტობიოგრაფიული ნაწილიდან ვიგებთ, რომ ქმარი ირლანდიელი გყოლიათ და 1999 წლიდან ირლანდიაში ცხოვრობთ.

მარში მექრანი: მათი კერძების სპეციფიურობა იმით იყო განპირობებული, რომ ირლანდიელი მუშები და გლეხები მძიმედ მუშაობდნენ და ამასთან, იქ კლიმატიც მძიმეა. მაგრამ დიდი ხანია, რაც იქ ბევრი რამ შეიცვალა. ახლა ირლანდიაში შეგიძლია იყიდო პიტę და ბროწეულსაც ყველგან ყიდიან. ვფიქრობ, ამაში ჩემ წიგნსაც მიუძღვის დიდი როლი.

მარჟანი სატრაპი: 1979 წლამდე ირანი ხალიჩების ქვეყანას ჰგავდა ,,ათას ერთი ღამიდან"……

გთავაზობთ კიდევ ერთ ირანელ მწერალთან (ცხოვრობს პარიზში და სპარსულის გარდა ფრანგულადაც წერს) ინტერვიუს. ესაა მარჟანი სატრაპი, მსოფლიოში ცნობილი კომიქსების ავტორი. მას ინტერვიუ პოლონურმა ,,Gazeta Wyborcza"-მ ჩამოართვა.

კორესპონდენტი: ირანი პოლონეთში წვერებიანი ფანატიკოსების ქვეყანად წარმოუდგენიათ. თქვენი კომიქსები კი მას ნორმალურ ქვეყნად წარმოაჩენს.

მარჟანი სატრაპი: 1979 წლამდე ირანი უცხოელთათვის ხალიჩების ქვეყანას ჰგავდა ,,ათას ერთი ღამიდან"... როდესაც ხომეინი მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ერთ დღეში ვიქეცით ფანატიკოსების ქვეყანად. თუმცა ის შეხედულება, თითქოს ირანში ყველა ლოიალურადაა განწყობილი ისლამური ფუნდამენტალიზმისადმი, დაახლოებით ისეთია, როგორიც წარმოდგენა ხალიჩების ქვეყნის შესახებ. განა როდესაც პოლონეთში სტალინიზმი მძვინვარებდა, ყველანი სტალინისტები იყავით?..

კორესპონდენტი: სტალინისტები არჩევნებში ვერ იმარჯვებდნენ...

მარჟანი სატრაპი: ჩვენთან ფუნდამენტალისტებს დიდი შიში რომ არ ჰქონდეთ თავისუფალ არჩევნებში წაგების, მაშინ მკაცრ ცენზურას და კონტროლს არ დააწესებდნენ საზოგადოებაზე. ირანი დიქტატორული მეთოდებით იმართება. რა თქმა უნდა, იქ არის არჩევნების შედეგად წარმოქმნილი დაწესებულებები, მაგრამ ისინიც მკაცრ კონტროლს განიცდიან სახელმწიფოს მხრიდან.

გთხოვთ ნუ იხელმძღვანელებთ მხოლოდ იმით, რასაც ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ მედია აცხადებს. ფრანგული გაზეთებიდან თქვენ შესახებ ვიგებდი, რომ აქ ფაშისტებთან შეკრული ექსტრემისტული მემარჯვენეები ბატონობდნენ და ქვეყანაში აუტანელი სიღატაკე იყო გაბატონებული. მაგრამ ჩამოვედი და გაოცებული ვარ ქვეყანაში როგორ ნორმალურად ფუნქციონირებს ყველაფერი.

კორესპონდენტი: ბოლო დროს ვესწრებოდი კონფერენციას, სადაც ერთი მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ ირანს ,,მეორე პოლონეთად", ანუ ქვეყნად, რომელსაც შეუძლია მშვიდობიანად გადავიდეს დიქტატურიდან დემოკრატიაზე - გადაქცევის შანსი აქვსო. თქვენ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

მარჟანი სატრაპი: ვეთანხმები. დემოკრატია კულტურის საკითხია და არა პოლიტიკის. ირანში დემოკრატიის ყველაზე დიდი მტერი პატრიარქალური კულტურაა. აქ ყველა მიჩვეულია ოჯახში ცხოვრებას, სადაც ბოლო სიტყვა მამას ეკუთვნის. ამიტომ იწონებენ ისეთ საზოგადოებას, სადაც ბოლო სიტყვა დიქტატორისაა. მაგრამ პა ტრიარქატულ კულტურას ირანში უკვე საფუძველი ეცლება. დღეს სტუდენტთა 64 პროცენტი გოგონაა, ამასთან, უმთავრესად ზუსტი მეცნიერებების განხრით. თანდათან ხშირია სიტუაცია, როდესაც ქალიშვილს მამაზე, ხოლო გათხოვილ ქალს - ქმარზე მეტი ცოდნა და განათლება აქვს. ეს მოასწავებს

სერიოზულ ცვლილებებს ოჯახში, რასაც არ შეიძლება არ მოჰყვეს შესაბამისი ცვლილებები საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

კორესპონდენტი: თქვენს კომიქსებში დიქტატურის უნივერსალური სახე გაქვთ დახატული, რომელიც ალბათ ყველა ქვეყნის დიქტატურას მოერგებოდა....

მარჟანი სატრაპი: ყველა დიქტატურა მართლაც ერთმანეთს ჰგავს, მათ მხოლოდ სახელწოდებები განასხვავებთ. ნაცისტებმა ჯაზი აკრძალეს, ისლამისტებმა – საცეკვაო მუსიკა. კოცონზე სხვადასხვა დასახელების წიგნები იწვის, მაგრამ მათ საერთო მიზანი აერთიანებთ – ხალხში შიშის გრძნობა ჩანერგონ, რამეთუ დაშინებული ადამიანების მანიპულირება არც თუ ისე ძნელია.

კორესპონდენტი: თუ სწორედ გავიგე, თქვენი ბოლო კომიქსის პოლიტიკური ქვეტექსტი, დღევანდელ ირანში არსებულ ბოროტებას საფუძველი 1953 წელს მოჰამედ მოსადეჰის მთავრობის დაცემით დაედო?

მარჟანი სატრაპი: თუ არა ეს გადატრიალება, ჰომეინი არ იქნებოდა. მოსადეჰი იმიტომ გადააგდეს, რომ მან ნავთობის საბადოების ნაციონალიზაცია განახორციელა. ამ გადატრიალებამ ირანში დემოკრატიაზე იმედიც კი მოსპო და სხვა ქვეყნებს დაანახვა, რომ თუმცა შეგვიძლია ვისარგებლოთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრით, მაგრამ ამისათვის საჭიროა დასავლეთისაგან თავის დაცვა, რომელსაც დემოკრატიის საფარქვეშ ჩვენი კოლონიალური ძარცვა სწყურია.

სწორედ ამ გადატრიალებამ დაუდო საფუძველი ირანელთა სიძულვილს ამერიკისადმი. ყოველთვის მაოცებს ამერიკელთა პოლიტიკა – მოაწყონ სახელმწიფო გადატრიალება და შემდეგ დამწუხრებული სახით იკითხონ: ,,რატომ ვეჯავრებით ასე?".

კორესპონდენტი: ვხედავ არც თუ ისე მხარს უჭერთ აშშ-ს პოლიტიკას, რომელიც ,,ტერორიზმთან გლობალურ ომში" გამოიხატება?

მარჟანი სატრაპი: ჩვენს სამყაროში ყველაზე დიდ დაპირისპირებას ვხედავ არა ქრისტიანობასა და ისლამს, არა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, არამედ დიქტატურის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა, ანუ თავისუფლების მოყვარულთა შორის. მეგობარი მყავს ისრაელში, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების ერთადერთ გზად პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბება ესახება. სამაგიეროდ ჩემს ირანელ მეგობარს ვერ წარმოუდგენია, თუ როგორ შეიძლება ებრაელთან დაახლოება – რანაირად შეიძლება მათთან მეგობრობა, ისინი ხომ ვერ გვიტანენო, – ამბობს ის. მაგრამ თქვენ ჩემთან ალბათ უფრო მეტ საერთოს პოულობთ, ვიდრე თქვენ თანამემამულე ნეოფაშისტთან, ასე არაა?

კორესპონდენტი: თქვენს შემოქმედებაში ძალზე მომწონს ის, რომ იქ ვერ ნახავთ გამოკვეთილად დადებით ან უარყოფით პერსონაჟებს. მაგალითად, ბოლო ნაწარმოები ტრაგედიის თაობაზეა, მაგრამ მის გამო პასუხისმგებლობა არავის ეკისრება.

მარჟანი სატრაპი: რაც ყველაზე მშვენიერია ადამიანში, ეს ისაა, რომ შორსაა სრულყოფილებისაგან. ევროპული ცივილიზაციის მწვერვალს ბერძნული მითოლოგია წარმოადგენს. მასში ღმერთებს ადამიანური სახე აქვთ და ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ უკვდავება განასხვავებთ. სწორედ მაშინ, როდესაც სრულყოფილებაზე პრეტენზია ჩნდება, იწყება ბოროტება. ჩემი კომიქსები არასრულყოფილების ერთი დიდი ქებაა.

კორესპონდენტი: სწორედ თქვენი კომიქსების წყალობით გავეცანი შუასაუკუნეების სპარს პოეტს ომარ ჰაიამს.

მარჟანი სატრაპი: ჰაიამი მხოლოდ პოეტი არ ყოფილა. იგი იყო ფილოსოფოსი, არქიტექტორი, მათემატიკოსი და ასტრონომი. ის ლექსებს ადამიანური ყოფისა და საქმიანობის უაზრობაზე წერდა. მისმა პოეზიის ნიჰილიზმმა მთელ ჩემ ცხოვრებაზე მოახდინა გავლენა. პოეტები ირანში უდიდესი პატივისცემით სარგებლობენ. ალბათ ერთადერთი ერი ვართ, რომელიც თავის პოეტებს მავზოლეუმებს უგებს, სადაც ადამიანი შედის და თავის ცხოვრებას უფიქრდება. ჩვენში უწიგნურებმაც იციან ლექსები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ადამიანებს ზეპირად გადაეცემოდათ. Pპატარა რომ ვიყავი მამასთან კონფლიქტს ლექსის საშუალებით ვაგვარებდი. ერთი გაცხარებული კამათი მახსოვს, როდესაც მამას ჰაფეზის სტროფით შევეკამათე. მან ერთხანს მდუმარედ მიყურა და შემდეგ მითხრა: ,,შენ გაიმარჯვეო”.

კაპუშცინსკი მოსწავლეებს: სცადეთ ჟურნალისტიკა

პროგრამის - ,,რჩევა-დარიგება მოსწავლეებს” ფარგლებში, რომლის მიზანიცაა პოლონელი მოსწავლეები მომავალი ცხოვრებისათვის მოამზადოს, ამ ქვეყნის მრავალმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ მიმართა მოსწავლეებს. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი კინორეჟისორი ანჯეი ვაიდა, ფილოსოფოსი ლეშეკ კოლაკოვსკი, მწერალი იურეკ ოვსიაკი და სხვები.

მოსწავლეებს მიმართა კაპუშცინსკიმაც, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

ჟურნალისტის პროფესია შეიძლება იყოს მშვენიერი, სერიოზული და საპასუხისმგებელო. მშვენიერი, თუკი მას ადამიანებისადმი სიყვარულით, მთელი არსებით ეკიდები. სერიოზული იმიტომ, რომ მას-მედია თანდათან დიდ როლს ასრულებს ჩვენი გარემომცველი სამყაროს აღწერასა და ფორმირებაში, ხოლო საპასუხისმგებლო იმიტომ, რომ ტკბილად მოუბარ ჟურნალისტს ადამიანისათვის დიდი დახმარების აღმოჩენა, ხოლო ბოროტ სიტყვას სერიოზული ზიანის მიყენება შეუძლია.

მახსოვს პოლონური ლიტერატურის გაკვეთილი. ზუსტად ამ დროს ვარშავას გრიგალმა გადაუარა. მასწავლებელმა გვთხოვა ქარიშხლის და მისი შედეგების აღწერა. ამ დავალებამ ჩემს ცნობიერებაში ღრმად ჩამალული სამყაროს მოვლენების და მისი გამომწვევი მიზეზების გაგებისადმი აღძრული ცნობისმოყვარეობა გამოაღვიძა. ფიქრი დავიწყე, რა წარმოშობს ქარიშხალს, როგორ ხდება, რომ უცებ ამოვარდება ხოლმე, როგორ ვითარდება, რა ზიანს აყენებს ქალაქსა და მის მკვიდრთ და ა.შ. ერთი შეხედვით, თითქოს მარტივი დავალებაა, მაგრამ ხშირად ყველაფერი ასე იწყება – ყოველი ადამიანი საკუთარ არსებაში სამყაროსადმი ცნობისმოყვარეობის გრძნობას ატარებს. ეს უკანასკნელი ზოგჯერ სუსტდება, ზოგჯერ – ძლიერდება, მაგრამ არასოდეს არ ქრება. იგი ვლინდება საუბრებში, ადამიანებთან ურთიერთობაში. მაგრამ ჟურნალისტი სხვებისაგან ზუსტად იმით განსხვავდება, რომ შეგნებულად გადაწყვიტა ამ გრძნობის უფრო განვითარება და მისი თავის იარაღად გადაქცევა.

ზოგჯერ ჩვენს თავგადასავალს შეუძლია ამ ცნობისმოყვარეობის გაღვიძება. რეპორტაჟების მეფე, ეგონ ერვინი კიში თავისმა რედაქციამ პრაღაში, წისქვილკომბინატში მომხდარი ხანძრის აღსაწერად გაგზავნა. როდესაც ჟურნალისტი დანიშნულების ადგილზე მივიდა, ნახა, რომ იქ უკვე მრავალ ჟურნალისტს მოეყარა თავი, ამიტომ იფიქრა, რომ ისინი ყველაფერს საკმაოდ დაწვრილებით აღწერდნენ და იგი ამ ამბავს მნიშვნელოვანს ვერაფერს დაუმატებდა. ამიტომ გადაწყვიტა იმ მაწანწალათა შესახებ მოეთხრო მკითხველისათვის, რომლებიც წისქვილკომბინატის ახლოს მათხოვრობდნენ - აღწერა მათი გარეგნობა, მათი სამყარო და შიში, კომბინატის დაწვის შემდეგ რა ეშველებოდათ. საინტერესო რეპორტაჟი გამოვიდა.

ჟურნალისტიკა შეიძლება ვისწავლოთ. მაგრამ საკუთარი თავის ყველაზე კარგი მასწავლებლები ჩვენვე ვართ. სკოლა, დიპლომი აუცილებელია, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ჟურნალისტიკას მთელი სიცოცხლის მანძილზე ვსწავლობთ. და რაც ჟურნალისტს მოეთხოვება, გამუდმებით განვავითაროთ სამყაროს მიმართ გამოჩენილი ეს ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა და ვნება, რაც შეიძლება ღრმად აღვწეროთ ბუნებისა და საზოგადეობრივი ცხოვრების მოვლენები.

ჩვენ შეგვიძლია ამ ვნებას მივეხმაროთ. ამისათვის საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნი უნდა ვიყვნეთ.

უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დავკმაყოფილდეთ ნებისმიერი რამით: უნდა ვეცნობოდეთ ცნობილი ადამიანების ცხოვრებას, ვსწავლობდეთ მათ გამოცდილებას, ვკითხულობდეთ საუკეთესო წიგნებს, ვუყურებდეთ კარგ ფილმებს, ვუსმენდეთ საუცხოო მუსიკას.

ირგვლივ მრავალი რამაა აღწერის ღირსი. ჩვეულებრივ მათ ყურადღებასაც არ ვაქცევთ. მხოლოდ გამოღვიძებულ ცნობისმოყვარეობას შეუძლია გვაიძულოს ამ ყველაფერს სულ სხვა თვალით შევხედოთ. არ არის აუცილებელი დასაწყისიდანვე უჩვეულო თემების ძებნა.

დაწყება უაღრესად ჩვეულებრივი რამითაც შეიძლება. ჩემს სტუდენტებს ერთხელ საკუთარი ოთახის აღწერა ვთხოვე – აღმოჩნდა, რომ ეს არც ისე ადვილი საქმეა. ასევე შეიძლება აღვწეროთ ჩვენი სახლი, სკოლა, მშობლიური ქალაქი. უმნიშვნელოვანესია, რომ ვინც ჩვენს ტექსტს წაიკითხავს, ეს ადგილი, ეს სამყარო ჩვენი თვალებით დაინახოს.

რიშარდ კაპუშცინსკის ბოლო შეხვედრა ახალგაზრდობასთან

17 ოქტომბერს რიშარდ კაპუშცინსკი უკანასკნელად შეხვდა თავის მკითხველებს. ეს იტალიაში მოხდა, ალპებში, პატარა დასახლება ბოლზანოში. თუმცა მწერალი ყოველდღიურად ათობით მიწვევას იღებდა, მაგრამ სწორედ ეს ადგილი შეარჩია ახალგაზრდებთან შესახვედრად. ეს შეხვედრა ძალიან ახარებდა: უაღრესად საინტერესო, სხვადასხვა კულტურის, რელიგიის და ენების გადაკვეთის ადგილია – ამბობდა და საგულდაგულოდ ემზადებოდა გასამგზავრებლად. კერძოდ, ამუშავებდა ისტორიულ თუ ეთნოგრაფიულ მასალებს, რომლებიც ეხებოდა აქ მცხოვრებ იტალიელებს, ტიროლელებს და ლადინებს, ხვდებოდა იტალიელ ჟურნალისტებს და ა. შ. ვფიქრობთ, შეხვედრა და იქ გამართული საუბარი შეავსებს ჩვენს წარმოდგენას მეოცე საუკუნის ამ უდიდეს მწერალსა და მოაზროვნეზე.

კაპუშცინსკი ბოლზანოში შეხვდა ტრენტოს ლიცეუმის მოსწავლეებს, რომლებიც მის პროზასა და პოეზიას სწავლობენ და მწერლისათვის კითხვები ჰქონდათ მომზადებული. კაპუშცინსკი მოსწავლეებთან ერთად ტიროლელის ტრადიციულ ეზოში მაგიდასთან ჩამოჯდა და პოეზიასა და ჟურნალისტიკაზე, მსოფლიო პოლიტიკაზე, სიღატაკეზე, ომსა და მშვიდობაზე ესაუბრა. მოსწავლეები დიდხანს არ ეშვებოდნენ მწერალს. აი, მათ მიერ დასმული ზოგიერთი შეკითხვა:

ვერონიკა: მას შემდეგ, რაც თქვენ პირველად იმოგზაურეთ, აღარ გაჩერებულხართ. რატომ?

ჩვენ, რეპორტიორები, იმიტომ ვმოგზაურობთ, რომ უკეთ შევიმეცნოთ სამყარო. ჩვენთვისაც და სხვებისათვისაც. რამდენი პრობლემა, კონფლიქტი წარმოიშვება იქიდან, რომ ადამიანები ერთმანეთს არ იცნობენ. ერთმანეთის გაგება უაღრესად მნიშვნელოვანია, მით უმეტეს დღეს, სამყაროში, როდესაც არსებობს ამდენი კულტურა, ცივილიზაცია. მათ სურთ, რომ მნიშვნელოვანნი, აღიარებულნი და სხვათა თანასწორნი იყვნენ. ჩვენც იმიტომ ვმოგზაურობთ, რომ ეს კულტურები გავიცნოთ და სხვებსაც გავაცნოთ. ვეძებთ მათ შორის იმ გადაკვეთის წერტილებს, რომელთა გაგებაც ადამიანებისათვის ძნელი არ იქნება. სხვისი მოწონება და მისთვის საერთო მაგიდასთან ადგილის მიჩენა ხომ ადვილი საქმე არაა. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ სხვასთან შეხვედრა, კონტაქტი გარკვეული უნდობლობით იწყება. ვინაა ის? ადამიანის გაცნობა და მასთან დაახლოება დროს მოითხოვს. ეს პროცესია, რომელიც ადამიანისაგან კეთილ ნებას გულისხმობს. თუ ამ პროცესს სტერეოტიპებით დავიწყებთ, ვერასოდეს დავუახლოვდებით სხვა ადამიანს. ამასთან, არც ისე ადვილია სტერეოტიპის გადალახვა, რადგან ის ღრმადაა გამჯდარი ჩვენს სიზარმაცეში, აზროვნებაში. ჯერ კიდევ 1912 წელს ბრონისლავ მალინოვსკიმ დაწერა სტატია ,,კულტურათა ერთიანობა", რომელშიც ასაბუთებს, რომ არ არსებობს მაღალი და დაბალი კულტურა, როგორც ამას ყოველი ნაციონალისტი ამტკიცებს, და რომ ყველა კულტურა თანასწორია. ისინი ერთმანეთისგან კი განსხვავდებიან, მაგრამ ერთმანეთის თანასწორები არიან.

იულია: რა გავლენა მოახდინა მოგზაურობებმა თქვენს მიერ სამყაროს აღქმაზე?

მოგზაურობამ დამარწმუნა, რომ ადგილიდან ადგილზე ყოველი გადაადგილება სამყაროს საოცარ მრავალფეროვნებას, მის წარმოუდგენელ სიმდიდრეს გვაჩვენებს. ჩვენ თავდაპირველად ნაციონალისტები ვართ, ვინაიდან ნაციონალიზმის არსი საკუთარი კულტურის სხვა კულტურასთან შედარებით მაღლა დაყენებაში მდგომარეობს. ვინც ნაკლებად ვიცნობთ სამყაროს და ნაკლებად ვმოგზაურობთ, ნაციონალისტები ვართ. ვცხოვრობთ იმ რწმენით, რომ ჩვენი კულტურა ერთადერთია ამ სამყროში. ამავდროულად ყოველი მოძრაობა გვასწავლის, რომ ჩვენ პლანეტაზე ცხოვრობს სხვადასხვა კულტურის, რელიგიის, ენის, ჩვეულების და მენტალობის 6 მილიარდზე მეტი ადამიანი და ყველა ჩვენი და-ძმაა. ერთად ვქმნით ადამიანურ ოჯახს.

ლუცია: როდესაც ტოლერანტობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ასევ მსოფლიოში გაბატონებული სიღატაკეც……

უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური მაჩვენებლების თანახმად, მსოფლიო მოსახლეობა ორ კატეგორიად: მდიდრებად და ღარიბებად იყოფა. იმათი ხვედრითი

წილი, რომელთაც მდიდრებად მოიხსენიებენ, მსოფლიო მოსახლეობის 20 პროცენტამდე აღწევს. დანარჩენები ღარიბები არიან. თქვენ ამ რჩეულთ მიეკუთვნებით. გამონაკლისები ხართ, უფალმა ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოგხედათ. თქვენ სამოთხეში ხართ, მაგრამ ჩვენი პლანეტის მოსახლეობის 80 პროცენტი ასე როდი ცხოვრობს. ამასთან, სიღარიბე ყოველთვის მხოლოდ შიმშილს როდი ნიშნავს, თუმცა ხშირად სწორედ ასე წარმოვიდგენთ ხოლმე. ჯერ კიდევ ბიბლიაში ჩაიწერა, რომ ,,არა პურითა ერთითა ცხოვრობს ადამიანი". ადამიანი შეიძლება ღარიბი იყოს არა იმიტომ, რომ არაფერი უჭამია, არამედ იმიტომ, რომ ამცირებენ, აბუჩად იგდებენ. სიღატაკე ადამიანის ისეთი საზოგადოებრივი და მენტალური მდგომარეობაა, როდესაც სიტუაციიდან გამოსვლის გზებს ვერ ხედავს. ადამიანმა არ იცის, თუ როგორ დააღწიოს თავი სიღატაკეს. მისთვის დიდი ყურადღება დამითმია, ვინაიდან სიღატაკის ხასიათი დუმილია. სიღატაკე გამოთქმის უნარს უხშობს ადამიანს. ამიტომ ვწერ ასე ბევრს ამ პრობლემის შესახებ. ვიღაცამ ხომ უნდა ილაპარაკოს ღატაკთა სახელით.

ლუცია: თქვენ გიწერიათ, რომ ,,მედიის განვითარება ჩვენ პრობლემის წინაშე გვაყენებს: გავარჩიოთ რა არის ტყუილი და რა - სიმართლე". თქვენ ფიქრობთ, რომ არის სანდო ინფორმაციის მიღების საშუალება თუ მისი ალტერნატივაც არსებობს. თუ მიგაჩნიათ, რომ ინტერნეტის განვითარება ინფორმაციის ახალ სივრცეს წარმოშობს, უფრო თავისუფალს და ნაკლებს კონტროლირებადს, ვიდრე მედიის სხვა სახეები?

ჩვენ სამყაროს შესახებ ინფორმაციას მედიის, უპირველეს ყოვლისა, ტელევიზიის საშუალებით ვიგებთ. ამიტომ უნდა გახსოვდეთ, რომ მედია სამყაროს ძალზე გაყალბებულ სურათს გვიხატავს. ჩვენი პლანეტა, მიუხედავად კონფლიქტების და ცხელი წერტილებისა, ისეთების, როგორებიცაა ერაყი თუ ავღანეთი, მაინც მშვიდობიანი სამყაროა. შეიარაღებულ კონფლიქტებში მსოფლიო მოსახლეობის ერთი პროცენტიც არ მონაწილეობს. სადაც არ უნდა ვიყოთ, ჩავრთავთ თუ არა ტელევიზორს, მხოლოდ ტანკებს, ბარიკადებს, შეიარაღებულ ადამიანებს ვხედავთ. ეს ყველაფერი ერთადერთი სიმართლე როდია. მედიას სენსაციის კანონი მართავს. მედია სიმართლეს როდი ეძებს, მას სიმართლე არ აინტერესებს. ის რეკლამას ეძებს, ხოლო მას მაშინ მოიპოვებს, თუ განსაკუთრებით სენსაციურ, ზოგჯერ მოგონილ ინფორმაციას გამოაქვეყნებს. ამიტომ გახსოვდეთ, რომ ტელევიზორით უყურებთ, ძალზე ყალბ ინფორმაციას იღებთ.

კითხვა ინტერნეტის შესახებ, ის კითხვაა, რომელზედაც ადვილი პასუხი არ არსებობს. ჩვენ პროცესის მსვლელობის მოწმენი ვართ, რომელიც მიმდინარეობს და არ ვიცით, როგორ გაგრძელდება. ინტერნეტის დაბადება უდიდესი რევოლუცია იყო კომუნიკაციების სფეროში, მან სრულიად ახალი, განსხვავებული რეალობა შექმნა, რომლის სრულად შეფასება ჯერ არ შეგვიძლია. მხოლოდ ის ვიცით, რომ ინფორმაციის რაოდენობა გაიზარდა. ერთგვარი ცენზურის საპირისპირო რამ შეიქმნა. ცენზურის არსი იყო ინფორმაციის მოსპობა, ინტერნეტმა კი იმ სამყაროში შეგვიყვანა, სადაც ინფორმაციის საგრძნობი სიჭარბეა. ჩვენი თაობის წარმოსახვა ყალიბდებოდა ათასწლოობით, რომლის მთავარი დამახასიათებელი ინფორმაციის სიმწირე იყო, თქვენი თაობა კი იმ სამყაროში დაიბადა, რომლისთვისაც სრულიად საპირისპირო რამაა დამახასიათებელი.

თქვენ დაიბადეთ სამყაროში, სადაც უაღრესად ჭარბადაა ინფორმაცია. იან სებასტიან ბახმა, იმისათვის, რომ თავისი მასწავლებლის კომპოზიცია ესწავლა, თითქმის ნახევარი გერმანია ფეხით შემოიარა. ანტიკური ხანის ისტორიკოსს, ჰეროდოტეს, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით ათასობით კილომეტრის ფეხით გავლა უხდებოდა. მას თავისი ცხოვრების დიდი დროის დათმობა დასჭირდა, რათა რაღაც-რაღაც წვრილმანები დაეზუსტებინა. თქვენ ასეთი პრობლემები არა გაქვთ. სამაგიეროდ გაქვთ სხვა – რა ავირჩიოთ, რაა მნიშვნელოვანი და რა – სანაგვეში გადაძახების ღირსი. თუ კომპიუტერის კლავიატურაზე ,,აფრიკას" დაუკაკუნებთ, მილიონობით ინფორმაცია გამოჩნდება. რომელია მათგან საჭირო და რომელი – არა? როგორ გავიგოთ ეს? ვინ გვასწავლის? ამან შეიძლება ადამიანი დააბნიოს. ის ფიქრობს იმაზე, რომ რაღაც წესრიგი შეიტანოს ყოველივე ამაში. მაგრამ მას ხელს უშლიან დიდი კონცერნები, რომელთა ინტერესშიც შედის ინფორმაციის მოპოვება-გასაღება. ისინი ამით ცხოვრობენ. აქ ჩვენ ახალ კონფლიქტს ვეჯახებით, საბედნიეროდ, უსისხლოს.

შინაარსი

მთარგმნელის გამოთხოვება ავტორთან;
წინასიტყვაობა;
სურათები;
დეგეროტიპები;
ფოტოგრაფია (1);
ფოტოგრაფია (2);
ფოტოგრაფია (3);
ფოტოგრაფია (4);
რვეულებიდან (1);
ფოტოგრაფია (5);
ფოტოგრაფია (6);
ფოტოგრაფია (7);
გაზეთი (1);
წიგნი (1);
წიგნი (2);
კასეტა (1);
რვეულებიდან (2);
რვეულებიდან (3);
რვეულებიდან (4);
რვეულებიდან (5);
ფოტოგრაფია (8);
რვეულებიდან (6);
ფოტოგრაფია (9);
ფოტოგრაფია (10);
ფოტოგრაფია (11);

ფოტოგრაფია (12);
ფოტოგრაფია (13);
რვეულებიდან (6);
რვეულებიდან (7);
მკვდარი ცეცხლის ენები;
ბროწეული სპარსულად;
მარჟანი სატრაპი: 1979 წლამდე ირანი ხალიჩების ქვეყანას
ჰგავდა ,,ათას ერთი ღამიდან";
კაპუშცინსკი მოსწავლეებს: სცადეთ ჟურნალისტიკა;
ბოლო შეხვედრა ახალგაზრდობასთან .